მაია ჯალიაშვილი

გულის ბარძიმი

ლექსები,
იგავ-არაკები,
მოთხრობები,
რადიოპიესები,
დღიური

თბილისი
2009

ᲬᲘᲜᲐ

მაია ჯალიაშვილს, როგორც ლიტერატურათმცოდნეს, მეცნიერს, კარგად იცნობს მკითხველი, მაგრამ, როგორც შემოქმედს — ნაკლებად. ამ წიგნში სწორედ ამ კუთხით გაიცნობთ მას. აქ წარმოდგენილია შვიდ ციკლად დალაგებული მშვენიერი ლექსები და აქვეა 1996 წელს გამოცემული მცირე კრებული „დუმილის მიღმა“. ეს პოეზია, რომელიც გამოირჩევა მხატვრულ სახეთა სიუხვით, ამხელს პოეტის სწრაფვას ამაღლებულისა და მშვენიერისაკენ. მის მოთხრობებში კი ვლინდება ადამიანის შინაგანი სამყაროს ხატვის ნიჭი, თხრობის ირონიული მანერა. ირონია უფრო მძაფრდება ორიგინალურ იგავ-არაკებსა და ქარაგმულებში. რადიოპიესები კი წარმოაჩენს ავტორის ოსტატობას დიალოგისა თუ მონოლოგის შექმნის საქმეში. აღსანიშნავია, რომ სამივე პიესა რეჟისორმა ზურაბ კანდელაკმა დადგა საქართველოს რადიოში და მსმენელის გამოხმაურებაც მოჰყვა. აქვეა ტაო-კლარჯეთში მოგზაურობის ამსახველი გულშიჩამწვდომი დღიური.

მაია ჯალიაშვილის შემოქმედებას მსჭვალავს სიყვარული და რწმენა. ავტორი, უპირველესად, ესთეტია, გასაკვირი არ არის, რომ მას ძალიან საინტერესო ნახატებიც აქვს. მხატვრულ სახეთა ფერწერულობა და მუსიკალურობა მისი სტილის დამახასიათებელი ნიშანია. მისი მზერა მიისწრაფვის წარუვალი მშვენიერის აღმოჩენისკენ, ამიტომაც ხშირად იხედება მატერიალური სამყაროს მიღმა, რათა იგრძნოს მარადიულის სუნთქვა და შემდეგ სიტყვიერ ქსოვილში მოიხელთოს.

ᲬᲘᲜᲐ

რედაქტორი: **ლალი დათაშვილი**

დიზაინერი **დალი ჯვარშეიშვილი**

© მაია ჯალიაშვილი, თბილისი, 2009, პირველი გამოცემა

ISBN: 978-9941-0-1881-7

დაბეჭდილია შ.პ.ს. „გაზეთი „საქართველოს მაცნეს“ სტამბაში

გულის ბარძიმი

ფიქრი სასუფეველზე

როცა საღამო სადაფისფერი
ივლისის სითბოს დააფენს ველზე,
სულს სინანულად შეენისლება
ფიქრი შორეულ სასუფეველზე.

გალობის ნიავი

დედაო ღვთისავ,
სულის მალამო,
ქარვდება სიავე
გალობის ნიავში.
მოგანდობ ტკივილებს
ცოდვებით ალესილს.
და გულის ფიალა
მევსება ციური
უტკბესი ალერსით.

ტკივილი

ცა ნამჯისფერობს,
მზე შინ ბრუნდება.
და მჯერა შენი
დაბინდულ მზერის.
ქერუბიმებზე უბრწყინვალესო
და მეგობარო სერაფიმების,
სამოთხისაკენ გზას
რომ მიჰყვები,
თან გდევს ტკივილი
სახმილზე მნველი,
ჯოჯოხეთისთვის
განწირულების...

ღვთისმშობლის მიძინება

იდგა აგვისტო,
ირაზებოდა ცის კიდობანი,
და შუა გზაზე
ჩერდებოდა ნუგეშის ეტლი,
ფერმკრთალდებოდა
სამოსელი პატიოსანი,
ტკბილად გალობდნენ
მოციქულები....
გულის ბარძიმში
ყვაოდა მადლი...
არ ყუჩდებოდა
ჭრილობა ძველი.
სტკიოდა სიტყვა
ჯერ უშობელი.
და ღიღილოსფერ
შუქს შეერთვოდა
მიძინებული ღვთისმშობელი.

ხარება

დილამ ვერცხლისფერი
სირმით მოგიქარგა
სიზმრის შორეული
უცხო სამოსელი.
მხევალს დაემსგავსე,
სიძეს ელოდები
ფიქრებდაწმენდილი
უტყვი სასოებით...
ჟამი მომდგარია,
ფრთების შარიშურით
მალე გამოჩნდება
წმინდა გაბრიელი.

შვება

შენი ნაზი მარჯვენა
მხარზე როცა მეხება,
ფერმკრთალდება სამსჯავროს
საშინელი მახენი.
ზეცას შვებით აეხედავ
მღვრიე ბაღის ღამიდან
გაღვივდება ღიმილად
ცივი ბაგის მარჯანი.

ალუბლისფერი მოსასხამი

შენს მშვიდ მზერაში
დილა ხასხასებს
და ცრემლის ცვარი
წამწამებს შვენის...
დედაო ღვთისავ, უბიწოთ მცველო,
ფრთები მესხმება, როცა გიცქერი.
ცოდვილს წყალობა შემომაშველე,
განმაცხოველე უსახო მტვერი...
გათოშილ სულზე შემომახვიე,
ეგ მოსასხამი ალუბლისფერი.

მარად ევნები

შენს სახეს ლოცვით
ავედევნები.
შენ ხარ ვენახი, მზეჩამდგარი
თაფლის მტევნებით.
თუ დავეცემი, ლაჟვარდის მზერა
დაგეცვარება ამარტისფერით.
და ჩემთან ერთად
მარად ევნები...

* * *

ალუბლის ყვავილს
გაცრეცია ოცნება ქარში,
მეც გამიფრინდა ფიქრი
შენკენ გამოფრენილი,
როცა სიკვდილი
ზურმუხტისფერს
თალხებად გაშლის,
მოგეახლები მაშინ მშვიდი
და გამხელილი.

მთაწმინდელთა ძართულით

თენდებოდა, ბრწყინდებოდა
ცა ღვთისმშობლის თვალებით,
ლოცულობდა ბერი, თრთოლვით
ევანგელეს თარგმნიდა.
სასოების ცრემლით გალღვა
სიტყვა, ღვთისგან ნათესი,
პერგამენტზე აბიბინდა
სახარება მათესი.
ღაღადებდნენ უდაბნოში,
მწყურვალენი, მარტონი.
დაასრულა ბერმა გზნებით
თარგმანება მარკოზის.
ენუგეშა ივერიას
მადლი უკუნისამდე
შრიალებდა ნეტარებით
სახარება ლუკასი.
ნამებულთა სიხარული,
სინანულით ნალესი,
იყო სიტყვის სასწაული
ხმატკბილ იოანესი.
და ბიბლიის ბილიკებით,
ერი წელგამართული,
უფლისაკენ მიდიოდა
მთაწმინდელთა ქართულით.

* * *

უფლის სახლში ვარ
და ვუგალობ
ვარდისფერ დილებს,
უფსკრულს გაარღვევს
ზეცისაკენ ანვდილი თვალი.
ფიქრი ლოცვების
გვირილებით გაიბილიკებს,
და გულს წყალობა დაედება
მალამოსავი

* * *

არ დავიძინებ, დე წამწამებზე
ნაწვიმარ სიზმრებს
დაედოთ ხავსი.
შუალამისას მოვა სიძე და
თბილი თითებით
ჩამიცხრობს სახმილს.

ვაშლის ხის სიმღერა

როცა ყვავილებს ნიავში გავშლი
და გრილ საღამოს ფიქრს ავადევნებ,
გამახსენდება ედემი მაშინ...

უხილავის მოლოდინი

დავეძებ სიტყვას,
დასეტყვილან თითქოს მტევნები.
დამინაფოტდა გულის სავანე.
დარდის ალმურში ტკბილი ფსალმუნის
ხასხასა სითბო მელამუნება.
წყაროსთან მიდის სამარიტელი,
სადაც უხილავს შეესიტყვება.

და მოუღლელად იძადაგებ

მამა არჩილს (მინდიაშვილს)

ოდეს ვერარა ჰპოვე ქვეყნად
ღირსი ქებისა,
თუმც მოიწვართე მზისა ქვეშე
სიბრძნე მრავალი.
გულისხმა ჰყავი სიბრძნე ერთი
ზეაღმავალი
და მეყვსეულად შეიმოსე
კვართი ზეცისა.
გვემული ფრიად
ბნელ ძალთაგან ბოროტებისა.
ვედრებითა და სიყვარულით
გაალღობ რისხვას.
სინათლის რტოებს გამოსტაცებ
ტალღას ვნებისას
და მოუღლელად იქადაგებ
სიმართლეს ღვთისას.
მიაყურადებ ბნელ ღამეში
ღვთისმშობლის ლოცვას,
თვალთ გაგიცრიცავს
მოვარდნილი ცრემლების შხეფი.
ზეციურ მამულს სასოებით
აღაპყრობ მზერას
და მიწიერი საქართველოს
შეგაკრთობს ბედი.

რტო სიყვარულისა

უგბილთა მათთა მომაგეს ჯვარცმა
და შემრთეს სახმილს.
მიაგნეს ვერრით დაფარულ განძთა,
მიფათურებდნენ თუმცა სულში
ხელებს ცოდვიანს და გააფთრებით
მფლეთდნენ ამაოდ.
აჰა, თქვენ რტოი სიყვარულის
სამაგიეროდ.

შიშის ლანდი

გადამითქორავს ფიქრს
შიშის ლანდი,
მაგრამ სიტყვიდან
წამოვა შვება,
წიგნი გადაშლილი
მაისტერ ეკჰარტის:
ჰოი, იდუმალო,
შენ ჩემზე უფრო
ახლოს ხარ ჩემთან.

სინანული

ვნანობ. ანანურთან დაჩოქილი
მლოცველები. მზე ამომავალი.
ტაძრები. უხრწნელი სხეულები.
მოვანება. მისი ნებით.უვნებოდ.
ნიავის მსუბუქი მობერვით.
შთაბერა. ძვირფასი. უფასო. თვით სისხლით.
ქაფქაფა სისხლით ვარ ნაყიდი.
უსასყიდლო. მარგალიტი დავკარგე.
ოდესღაც. დავეძებ. ვიპოვნი და ისევ დავკარგავ.
მონაზვნები ქარგავენ წითელ აბრეშუმზე
ვერცხლის ძაფებით. ცრემლები იებად
ღვთისმშობლის თვალებში.
წყალობა უფლისა. გალობენ გლახაკნი,
მართალნი, ნმინდანი გულითა,
ზეცა რომ განიხვნება, ღმერთს იხილავენ.
მოხილვა ქვეყნისა, რომელი არ არი,
ფერითა მრავალი. ეს არი, რაც არი.
და კიდევ იქ არი. უფრორე მრავალი
ფერები ბრმათათვის.
მე კი ვარ ხილული. ხილვადი. ფორმითა.
შევსვა და მწყუროდეს აროდეს...

ᲓᲔᲒᲘ

ელიან და ბაღში იელის
იღვრება ყვითელი სურნელი
და უყვარს მარიამს
ღამეში მთვარიანს
დადგომა ლოცვად და გალობა...
მართა კი მატყლს ართავს,
ვიღაცა უცნობი
მათ ღია ჭიშკართან მოდგება შიშველი.
უხვია წყალობა მზითა და წვიმებით.
ელიან, ლაღია ლოდინი მართალთა,
მოვა და სიტყვების ყვავილებს მოიტანს,
მშვენიერს, ცვარიანს.
კარდაკარ დაივლის, იმედით, ნუგეშით
აანთებს კერიებს.
კანდელში ზეთი აქვთ ულევად. ფხიზლობენ,
ფრთხილი აქვს ნაბიჯი.
ელიან, სამყარო მთელია და გაუბზარავი.
რეკავენ ზარები, შორიდან, ელიან.
და გულთა მინდვრებზე აფენენ ხალიჩებს,
მართა და მარიამ.

ᲐᲓᲐᲛᲘᲡ ᲒᲚᲝᲕᲐ

წყვდიადი. წყალი თუ მიწა,
ტკივილი უშორეს წამთა.
არ მახსოვს, დამავიწყდა,
ვარსკვლავთ მოკირწყლულ გზიდან
როდის და როგორ მოვწყდი.
პირველად მან თქვა: იყავნ,
მასვა სინათლის წყარო.
დავეცი, გამომრიყა.
წყლულად გამომყვა წყევლა,
ვიქეც ქვებიან რიყედ და უნაყოფო ველად.
დამეხშო სიტყვის კარი.
ზარებს რომ შემოჰკრავენ წყალობით ძალნი ცათა,
მწყემსი მიაგნებს კრავებს,
განარჩევს მრუდს და მართალს,
შეგვინდობს, შეგვიბრალებს.

ზარები გულიდან

ხარობენ ქერუბიმნი
და ფრთების ქარებით
გრილდება სურვილი.
ქრება და ინთქმება.
ლოცვებში დამდნარი ხატება,
მსგავსება. პირველი. უჟამო.
ღრმა ერთი, უძირო, საპყარი.
დატოვა ქვაბული
ცოდვიან სიტკბოსი
და იმას უწირა, რომელმან მიაგო.
სანთელი. მრთელი და უბინო.
ფესვები გამხმარი. ნაყოფი
უდროოდ დამჭკნარი.
რატომ არ იმრავლე.
ხორბალი მიწაში.
იქიდან თავთავი ათასი.
მოთავე ბნელისა და თვითონ თავადი.
სინათლე. ინათლა.
მე კი სიზმრიდან ვერ გამოვაღწიე.
იქ მსხვერპლი უსისხლო.უკმიეს.
უკმარი. უხმარი სული და
ჭურჭელი ბზარებით.
ზარები გულიდან.
იგლოვე. იტირე.

ვარსკვლავთა წვიმით

ახლა ინვიმებს, ვარსკვლავებით გავიჟღინთები,
სიზმრის გარეშე, მე ხელანვდილი
გათენებამდე ასე ვიდგები
და მზეს შევხვდები,
როგორც ცვარი და დავინთქმები.
ამიტაცებენ სხივნი მაღლად,სამყაროს ზედა,
და გაჟღენთილი სული ჩემი
ვარსკვლავთა წვიმით მზეს ეახლება.

შენკენ

ზეთისხილისფერ
საღამოს ჩრდილში
ყუჩდება დარდი და მინაზდება,
ფიქრების ლურჯი
აბრეშუმები
შარიშურობენ თავის ქალაში.
შენკენ შორიდან მოვეშურები
რწმენის ფაქიზი ფიანდაზებით.

მგალობელი გვირილები

ზარები ხმობენ მოკრძალებით,
რიდით, მთრთოლვარედ.
იმსხვრევა ვნებათა ფერადი კოშკები,
კერპები ქალაქის, ქუჩების, ხმაურის
მორჩილად ხორკლიან
სქელ კისრებს იდრეკენ.
აქ სიმშვიდეა, როგორც სამარის
ნაცრისფერ კედლებში
და ხავერდების ბაცი სიგრილე.
იდუმალება ბაღია ნარმტაცი,
ფიქრები - მგალობელი გვირილები.
იყავ ნება შენი. გამლხვალი სხეული
საკმეველთან ერთად ორთქლდება.
ყოველი სუნთქვა, ვით თაყვანი
და მადლობა, ყოველი გზნება.
უცნაურ თრთოლვით ფეთქავს ახლა
ხრწნადი გვამის ყოველი ასო,
და სულში თქეში მოდის რწმენისა.
და სიყვარულის გამხმარ შტოებზე
მზით დატენილი მტევნები მნიფს.
და სასოების ნაზი ბარტყები
ცისკენ იწევენ თოთო ფრთებით
და ადიდებენ. ყოველი ბგერის
ნეტარი განცდით.
საღამო კი ლამინორს ჰგავს
და ველის შროშანები
მწუხრისას ლოცულობენ.

წარსულის სილუეტები

ღამეა.
დაღლილი სალომეა
მიენდო სარეცელს.
იქ ალბათ ვინმეა,
კარს მიღმა, შორეთში
და გლოვობს მოცელილ იოანეს.
კრთებიან იელები სამეფო ბაღებში.
დრო არის.
მოლივლივებს ის, უბელო ნიავივით.
მთვარე განიბანება იორდანეში.
იქ, სადღაც, სალომეას
ელანდება იოანე
და ხსნა იგვიანებს სამარადისოდ.

გლოვა

თქვენ ჩაიარეთ, ვით უცნობებმა,
ფეხაკრეფით და თითქმის ქურდულად.
ურდული წარსულს.
ავსულებით სავსე ხაროდან
კვლავ მიმიხმობენ ჩემი ცოდვები,
ლხენად, საშვებად,
ნებით ტყვეობა არის ნეტარი.
რისთვის დაშვერი,
მთაო პოხილო, უგუნურს წყარო
გარდმომივლინე.
მე ჩავიარე და მის სანაცვლოდ
სიცარიელით ავივსე გული.
წახვედით, დღეებო,
უბრად, უსაშველოდ.
მაშინაც და ახლაც: ცრემლები, ტირილი,
სად მიხვალთ, სად მიგაქვთ,
უფასო საუნჯე,
ვერაფერს ეიუნჯებ იქ, ცათა შინა,
რომ სიხარული წარმიძღვეს წინა,
როცა მინიდან ავიბარგები.

ლამაზი ჩურჩული

იცრიცებოდა მთვარე
ზეცის თეთრ სარეცელზე,
მესმოდა ფოთოლთა
ლამაზი ჩურჩული.
შორს,
ზმანების თუ სიცხადის ტევრში,
ბორიალობდა ვილაც უცხო
მწყემსი კეთილი
და გზააბნეულ
კრავს მოუხმობდა.

წინასაშობაო განწყობილება

ღამე უმთვარო, უვარსკვლავებო.
ბეთლემი დუმს და არ ეძინება.
ყველა სიზმარი ნარუტაციათ
გიშრის ქვაბულებს,
რომელთა ფშვინვით კრთება გარემო.
ბეთლემი ფიქრობს.
სურს ჰკითხოს ბედი
კუდიან ვარსკვლავს,
რომელმაც თავზე გადაუქროლა
და ჩაიკარგა სადღაც შორეთში
და უპასუხო დარჩა შეკითხვა.
გრძნობს კი იდუმალ,
რომ რალაც ელის,
უჩვეულო და შეუცნობელი.
გული კი კრთება
მიუვალი სინათლისათვის,
გული სულ სხვაგვარ განთიადს ელის.
რას ჩურჩულებენ ტყეში ნაძვები,
რატომ ერხევა კლდეს მტკიცე წელი.
და იბზარება ძველი ჭურჭელი
სამყაროს სულის.
ჩუმია სევდა და სასურველი.
და ჯერ არნახულს
ენით უთქმელს,
ელის ბეთლემი.

ფიქრები შობისთვის I

სურნელი თივის და
თბილი დრუნჩები ნაბლისფერ ხბოების.
ვარსკვლავი. გამლღვარი
ზეცაში სანთელი.
მთიები, სად ცხელი რძე არის ირმისა.
იქ ახლა სიჩუმეს გაბზარავს გალობა.
იქ ახლა ის მოვა, ვინ ჩემი ნისლიდან
მზე ამოზიდა.

ფიქრები შობისთვის II

წყალობა. ვარ ბნელი,
უძირო ქვაბული და ველი,
შემმოსავს ვით ველის შროშანას.
ჯერ კი ვარდისფერი,
დედალვთის კალთაში
თვალდახუჭული უსმენს სამყაროს,
ყვავილთა ნაცელად რომ ეკლებს მიაგებებს.
მე აქ ვარ, სადაც ვარ... და იქაც...
რომ სამჯერ უარვყო,
სანამდე მამალი იყივლებს მესამედ.
გული მოუხნავ უდაბნოდ ქცეული,
რომელი ხორბალი იხარებს უმადლოდ.
მზადა ვარ... და ჯვარზე მაჯებს რომ ვაჭედებ,
ექო მოვარდება შორეულ მჭედლისა.
მე მახსოვს თვალები, ტანჯვით რომ ნვეთავდნენ...
ვარ ბნელი, რომ ვიშვა მე ჩემი ღამიდან.
მზად არის ნაჯახი. გამხმარი ხე ლელვის.
და ვნება მღელვარე დარღვეულ სხეულში...
სნეული, ჩვეული და გადარეული
დატოვე სოფელი. აქ მოდი, სად ლოდი
დევს მკვიდრად ურღვევი.
უდრეკი ნება და მრავალი ფერია.
სად ნაღვლიანი, წყლიანი თვალებით
ხბოები ჩვილ მხსნელს ეფერებიან.

სამყაროს სალბუნი

ყველგან ბარდები, ძეძვი მაღალი,
როგორ იხაროს თესლმა იფქლისამ,
ქარს მიაქვს სიტყვა, მზე რომ იტვირთა.
მაშინ კი კვირა იყო მაღალი.
ჩავლილი პარასკევი, ჩავლილი შაბათი.
ორი დღე, რომელიც უდრიდა სიბნელეს
და უსასობის უსასრულობას.
იქ თესლი დაიმარხა. დადუმდა. იდარდეს
და მოლოდინში გამოიდარა.
დარღვეულ სამყაროს დაედო სალბუნი.
ლოდმა გაამყარა ნაბზარი თავანი,
და ვილაც მეძახის: ელოდე, იცანი,
ჩავლილ დღეები მარადის აქ არი,
შენშია სიცოცხლე დღეების გარეშე,
ოღონდაც გახსოვდეს
მარად ის, მარადის.

წყურვილი

ქარს მიაქვს კოშკები ღრუბლისა,
ქარს მიაქვს.
სულს სიტყვა მოსწყურდა უფლისა.
დამჭკნარი ფოთლები გულისა
ძველია,
ცოდვამ მზეს გზა შემოუნისლა.
მოვდრკები ცვილივით მორჩილი
შიშითა,
კეთროვანს გავიხსენებ მორჩენილს.
დავეწაფები ლოცვათა წყაროსა
კრძალვითა,
შევსვა და მწყუროდეს აროდეს.
ქარს მიაქვს კოშკები ღრუბლისა,
ქარს მიაქვს.
სულს სიტყვა მოსწყურდა უფლისა.

ედემში

ედემში... მზე მახსოვს,
ცა და ხეები,
მნიფე ვაშლებიდან სურნელი წვეთავდა.
ვხატავდი მერქანზე ქვითა და ლერნებით.
ვქარგავდი გულისთქმას.
მხედავდი, გხედავდი. არ იყო კედელი.
ახლა კი სხვა მზეა, სხვა ცა, სხვა ხეები,
უფოთლო, ჯოჯოები,
ნამდვილი ჯოჯო ხეთია.
მაშინ კი სულ იყო სამი თუ ოთხი ხე
და მაინც სამ-ოთხ-ე.
თავხედი კოდალა ეჭვისა
კაკუნით როდესაც ამიკლებს.
ეკლებით დავკაწრავ ხელისგულს.
ტკივილმა აღბეჭდოს ნახატი,
სადაც შენ მიმიხმობ სევდით უნაპიროდ.

ალმადგინე

ნუ განმდევნი,
დარდის დევნი
დაუნდობლად,
ცოცხლად მნთქავენ,
უდაბნოს ვერ მოვერევი,
ვერ ვიხილავ ზეცის თავანს.
მოვდრკები და დავმთავრდები
უყვავილოდ, უთავთავოდ.
ჩემი სული -კვამლი, ჭვარტლი,
ვერ გაიგნებს
ცისკენ სავალს.
ღამე ჟანგიანი სიზმრით
ჟამის ჯვარზე მიმამსჭვალავს.
ალმადგინე, იორდანე,
შემასვი მზიანი ჭავლი.
გულში ველარ ითავადონ
ავდარმა და ჭაობებმა.

მახსოვს

მახსოვს ეკლების გახელება
და გრილი შუბლი
სისხლის აფთრებით
დაფლეთილი კვართი უმტვერო,
ალმართი ვრცელი,
ნატერფალებზე სისხლის ბალახი,
უცხო ქალწულის შეღონება
და შებღალული მაღალი ფიქრი
შურის ტალახით.
ჟანგიანი სამსჭვალის ელდა,
ჩამქრალი დღე და
გაფითრებული ღრუბლის თვალები....
მახსოვს და აღარ ძალმიძს გავუძლო
ამაოების ტრფობით დაქანცვას,
წარსულს, რომელიც აწმყოა მარადის
და ჩადენილი ცოდვები მშანთავს.
ვჩურჩულებ, ხმაში სინანულის
თეთრი ლანდებით.
ო, მერამდენე, მე ვარ ის ერთი თორმეტთაგანი,
რომელმან გაგცა.

მელოდეთ

თქვენ იცით, მივდივარ, სიცოცხლის კარავში,
აღსრულდეს წერილი,ჩათავდეს არაკი.
მოვავლენ ქარებით,
წვიმებით, დარებით,
ჩემს მადლს და სიყვარულს,
ჩემს მაღალ ზვარაკებს.
კამკამა გულებით იმ წამებს ელოდეთ,
ღამე რომ შუაში მზით გაიბზარება,
დარეკენ ზარები, ზეიმით, წვალებით.
და მოვალ, მომელის მწყემსიც და ჰეროდეც...
კაშკაშა, ნეტარი სიტყვებით მოვდივარ,
იღონდაც მელნისფერ ღამეში იფხიზლეთ,
ოღონდაც ჩაუმქრალ კანდელით მელოდე.

დამელოდე

ლალის

დანიელ, მოგდევ, მინდორი დეირის
სავსეა ნიამორებით.
სივრცეებს მოდრეკს მოთქმა დარდიანი
ცრემლთა ადიდდება მორევი.
დანიელ, მოგდევ, ბილიკი მებლანდება,
სახმილის მეფინება ფოთლები,
ცეცხლს გრილად ემცვრევა
გალობა ყმანვილთა,
ლივლივებს ფრთები ქერუბიმის.
სურნელი მაბრუებს მთვარისა.
ნუ მიეფარები ჩუმ მღვიმის საკანეს,
ნუ მიეფარები.
დანიელ, არეული სიზმრებიდან
გარბიან დანისლული თვალები,
ბრმა ვარ და უსასოო,
უფსკრულთა ცდუნებასვერ დავემალები.
დანიელ, დამელოდე,
დანიელ, მოგდევ.

გადამარჩინე

ქარი აქუჩებს გამხდარ მათხოვრებს,
ვით მზესუმზირის გამხმარ ჩენჩოებს.
გადამარჩინე, გადამარჩინე,
სინათლეს სულ არ გადამაჩვიო.
ღირს თუ არა ღირს, ფიქრი მარჩბივი
აღვიძებს სულში ჩამქრალ აჩრდილებს.
გადამარჩინე, გადამარჩინე,
სინათლეს სულ არ გადამაჩვიო.

რად არ იფხიზლე

შუაღამისას ველოდი სიძეს,
იყო სიმშვიდე
და ვარსკვლავების თეთრი ღვარებით
იცრიცებოდა სივრცე გიშრისა...
ჩემი კარავი იდგა მინდორში
და შროშანები თვლემდნენ გარშემო...
ლამპარში უხვად ყვაოდა შუქი
და შლიდა წარსულს,
რომ დამავიწყდა
აღსანთები ზეთი სუნნელი...
მერე მეწვია შვება სიზმრიდან
და გამიყოლა უცნობ მხარეში...
ვერ გავიგონე ფრთხილი ნაბიჯი,
ვერ გავეგებე სიძეს ღიმილით...
მეძახდა დიდ ხანს,
მეძახდა, მაგრამ
ველარ აღვანთე ჩემი ლამპარი...
და დაიშრიტა გულშიც სიამე...
არ მიწილადეს დობილებმა
მე უგუნურს ზეთი - სუნნელი.
დაკეტილ კართან
ვდგავარ შეშლილი მწუხარებისგან,
იქით მზეა და სხვათა ქორწილი
და ქალწულები თეთრი სამოსით
მას უგალობენ...
ველარ მიცნო და
კარი დაკეტა... ხმაში ისმოდა
ყრუ საყვედური,
რად არ იფხიზლეო.
მთვარე ჩაშრიალდა
ხევში ფოთოლივით,
და შენც გაგიყოლა -
დამჭკნარი ლერწამი,
გამოუძერწავი დაგრჩა იმედები.
უკვე გვიანია.
აღარც ღამეა
და აღარც გათენდება არასოდეს.

ფერებში ვქრები

ენუხვარ... თვალებში მზე ჩაილია,
ჩაკეტეს კარიბჭე,
ეეღარ მოხვალ ჩემთან
თეთრი იასამნებით.
მილივლივებს სივრცეში ბგერა,
ასხლეტილი სულის სიმიდან.
იღვიძებს თესლი,
ჩამარხული მიწის უბეში,
და ყურს უგდებენ
გაყუჩებული მაყვლის ბუჩქები
სიჩუმის ოხვრას
და ახსენდებათ
ბუნდოვნად ცეცხლი,
მერე ქალწული, მერე სინათლე
ჩაქოლილი ქვებით რიყისა...
და მე სიტყვები მემსხვრევა ხმაში,
და მებჯინება ბაგეს დუმილი
და ვჭვრეტ სხივების მოჭრილ რტოებზე
კვირტების ფეთქვას.
აჩქარებული მაჯისცემა შორეთისა
როკავს რიტმებით და
თვალისმომჭრელ უცნობ ბაღებს
დადევნებული,
პირველყოფილ თავბრუდამხვევ
ფერებში ვქრები
და დახუჭული თვალებიდან
ამოდიან სიხარულის მწველი ტიტები.

დილა

მაცვია ზეცის კრიალა კვართი,
და ანგელოზებს მივყავარ მზისკენ.
შორს იზმორება მთვლემარე ვარდი
და უსასრულო სიმარტოვეში
ნათელი დადის.

ნათანაელ

ლელვის ჩრდილში
ვიჯექ მორთხმით,
ოცნებით ვქარგავდი სოფელს,
შორს ალმურში ლივლივებდა
ზაფხულით ამწვარი მდელო.
ნათანაელ, დამიძახე,
გაგახსენდი და მიცანი,
დაზაფრული ნაზარეთით,
არ ველოდი სასნაულებს.
ვხსნიდი ჯიუტ გამოცანებს,
ქაოსს ვარჯულებდი მწყობრად,
არა ვჩანდი ფიქრს დანთქმული,
დაფარული ვიყავ ცოდნით,
რაღაც მაკლდა და სრულყოფილს
ვერა ვჭვრეტდი ცარგვალს კუშტი.
შენ რომ ჩუმად დამიძახე,
გული უცხოდ შემეკუმშა.
ნათანაელ, რეკდა ზარი,
მივხვდი, შენ იყავი, მაშინ
სიტყვამ ყურში გაიარა
და დაემყნო მყარად სულში.
ვიგრძენ, როგორ მოვწყდი მიწას,
ფრთებად მესხა შენი მზერა,
და ის, რასაც ვერ მივაგენ,
იყო ახლა ისე ცხადი,
უშურველი და ულევი.
და რასაც სიღრმეში ვჩხრეკდი
წუთისოფლის გაჩენიდან,
იყო თურმე ისე ახლო,
ბალახის უხანო ღერო,
ჩემს თითებზე გადაწნული.
გეძებდი.
მიპოვე თვითონ
წარუვალმა სიყვარულმა.

ზეცის ჩეროში

ნუხელ ინვიმა, სველი წამები
ჩემს წამწამებზე
ბრწყინავდნენ უხვად.
ნუხელ ვიღაცა ჩემგან ნაეიდა,
თუმცა წვალებით,
მაინც ნავიდა, ჩუმად და უბრად.
მე კი ვეება ვეშაპმა მშთანთქა,
ღამის წყვდიადის მუცელში ჩავრჩი,
დილა მოვა და მზით გამოფატრავს
ამ ბნელ ქვაბულებს და გადამარჩენს.
რად ამირჩია მწერალმა ბედის
სწორედ აქ, ამ დროს და ამ სივრცეში.
ვიღაცა ჩემში ყოველ ღამ კვნესის,
ვიღაც ჩემიდან ყოველ ღამ მიდის...
და ერთ ღამესაც.
როდესაც იგი უკანასკნელი
ნავა ჩემიდან.
დავნანილდები, გავიფანტები
და დავისვენებ ზეცის ჩეროში.

ფრესკასთან

ჟამის უჟმურ წყვდიადში
იდუმალ დაქადნებად
უსასობის წინაშე
ბჟუტავს და იღვენთება
ფრესკის შარავანდედი.
აქ სურვილთა ზვაობის
მწვერვალები თავდება.
აუწყავი ნამების დაწყევლილი ფანდები.
ჩამცხრალ ფიქრის ღადარში
გააღვივებს ნაღვერდალს
ლოცვის ლურჯი ნიავი.
ფრესკის შარავანდიდან
ცოცხალი ნაპერწკლები-

ასხლტებიან ჩიტები.
სინანულის ცრემლებით
დაილტობა გუამი და
კვალად აყვავილდება
სულის შტო დაშრეტილი..

შენ

დაღლილ თვალებში
ირეკლება ძველი ლანდები,
მინებდი დინებას, ვით ტალღა გვემული.
ამაყი დილემა გიცქერის ირიბად.
მილმიურ ღამისკენ
მიგაქვს წვალებით
კუბო ძვირფასი მიცვალებულის.
ფიქრი ვნებული
მყუდროების კარავს მიელტვის.
ჟამის ეტლები დაქრიან ჟინით.
დაისის ხავერდზე იფინება
ფრთები სევდიან ქერაბიმთა.

გენატრება დაფნის ფოთოლთა სიგრილე
და დედა, ვით ფრესკა, მონასტრის კედლიდან.
უჩინარ გოდოლში
ვნებათა ტყვეების უებრო ამბოხი
და დამხობილი ნებისყოფის
მაღალი კოშკი.
ფეთქავენ ნაფლეთები დასისხლული.
ოდესმე- ოცნებათა მოციქულნი.

გზა შინისაკენ

სამყარო გარიყული ტკივილია უტყვი,
ილვრება გონების გაბზარულ ფიალაში
მღვრიე სიზმრები
ალბერ კამიუს და მარსელ პრუსტის.
სულს მენდელსონი დაენისლება,
ჰანგთა ქარაფები,
მერე უფსკრული და დავიწყება,

მერე არაფერი.
არ ძალგიძს ნამების წრეების გარღვევა.
სადღაც შორს, იცი ელიან კვალად,
უძღები შვილის დამაშვრალ მზერას,
გულის დაქცეულ ბჭესა თუ თაღებს
შეაშველებენ უშურველ ნათელს.
იელებით გარინდულ ტევრში,
კვნესის ვალტორნა.
ირმის ნახტომში მზე მირაკრაკებს,
მიაყურადებ ოდესმე მაინც ძახილს შორიდან,
და გაძარცული გაუდგები
გზას შინისაკენ.

ღამის სონეტი

რისთვის შემიჩნდი, ღამეული სამეფოს ლანდო,
ჩქარი ცხენებით რატომ აკრთობ ბილიკებს ჩემსას.
ბროლის ლარნაკში თეთრი ვარდი დააჭკნო სევდამ,
მე მზის ბაღებში დასიზმრებულ ზეცაზე ვდარდობ.

ნაღველის ტევრში ვხეტიალობ ეული, მარტო,
ფიქრები ჩემი - დარღვეული ქარით გოდოლი.
ცივმა წყვდიადმა შემაჩვია უღვთო მოლოდინს,
ყინულის ლურჯი ბაგეები კოცნიან ტატნობს.

ნაშლილ ფრესკაზე კვლავ ანთია შარავანდედი,
მივაყურადებ ბნელ თაღებში ჩარჩენილ ლოცვებს,
თუ სიყვარულით აივსები, არ გათავდები.

სიკვდილის ხატი იკაზმება ძვირფას ლალებით,
გაცრეცილია დღის ყვითელი ცხელი ალერსი
ნუ მოუდრკები უცხო გზნებით გზნებას ალესილს.

სონეტი უცხო მონაზონს

ტაძრის ბილიკს მიუყვები დაქანცული, ჩუმი.
ქარს შორს მიაქვს დალალები მკაცრად მოკვეცილი.
ბრონეულის ყვავილები ყრია მოცელილი,
მზე ნარინჯის ფერებს აფრქვევს ვნებით დაბინდული.

მაღალ ცაში დასრიალებს ვერცხლისფერი სული.
მიატოვე მოგიზგიზე ცეცხლის სივრცეები.
შმაგ ტკივილებს დაგიამებს ანგელოზი ფრთებით,
განელდება ყოფნის მწარე, გადახსნილი წყლული.

აყვავებულ სინათლეში სიხარულით მოხვალ,
ზამბახების ცვრიან რტოებს მიუბოძებ ფრესკებს,
ბაგის ლურჯი მინანქარი ჩამოდნება ლოცვად.

შორს დალანდავ ცის დასავალს გამგზავრებულ ეტლებს,
იდუმალი ჰორიზონტის შეგეყრება სევდა.
ჩამქრალ სანთლის ნაზ კვამლივით შეერევი ზეცას.

შებინდებისას

შებინდებისას, როს მოშვავდა
გრილი ჩრდილები,
ანას დედობის თბილი მადლი მოენანავა.
იოაკიმმა ბედი იგზნო დაუჩივლები,
ზეცა წყალობას მოაფრქვევდა,
ვითა მანანას...
და ლოცულობდნენ გათენებამდე,
ენამებოდათ ცრემლით ღაწვები,
იცრიცებოდა ღამის ვნებანი,
შროშანი თრთოდა ველზე ნაწვიმი.
ჰოი, ღვთისმშობელო,მოდიოდი შორიდან,
იდრიკებოდა შავეთის თაღები,
იღებოდა ჭიშკარი, დახშული და ნაშლილი,
მოჩანდნენ გვირილები ზეცისკენ აღერილნი...
ჰოი, ღვთისმშობელო, უშენობა ჰგავდა ეულობას,
მოგელოდა დაღლილი სამყარო სნეული.

შენ მოგიგონებ

არ ურევია ღამეში ღილილო,
ბიბინებს სიჩუმე.
უბელოა ფიქრი მოღეღილი.
და ურჩი ღილინით ობლობას ვიყუჩებ.
დამჭკნარი ღიმილითმიმზერს გარინდება,
ბალახი ვარ მოცელილი,
ქარებით დაგესლილი.
ციეად იცრიცება მთვარის დაპირება.
ეგებ, დავიურვო ტკივილის ალები,
ისევ მარტოობის სენაკს მივაშურებ,
და შენ მოგიგონებ,
ასულო იერუსალიმის.

ამაღლდი

ამაღლდი,
შენს ფერხთით
ბოროტი ათრთოლდა.
განვიდა ღრუბელი
მშთანთქავი მართალთა.
განქარდა მას თანა
ყოველი ბნელი და
მოგესმა ზეციდან
შენ სულთათანა.
მთვლემარე იმედი შეირხა,
გათავდა, რაც უღვთოდ ეწამე,
მიწა მას,ზეცა შენ,
ამაღლდი,
ინამე.

ამოგინატრე

ამოგინატრე მზეი ცხოველი
შუაღამისა,
როცა თვალები ცრემლმა დანისლა,
მრუმე ჩრდილების
კორიანტელშიშიშმა გამსრისა.
ზეცამ ნუგეში როს არ მაღირსა.

და ვიყავ ასე, ამ უსასრულო
და უსაზღვრო შუაღამეში,
წაგვრილი ნათლით
და სითბოთიდა უსასოო.
აკანკალებულ სულის ამარა,
ამოგინატრე მზეი ცხოველი.

განდობა ძნელია

ძნელია განდობა, მარიამ,
მორევა ცოდვათა რკალების,
ზმანებამ სოდომი გარია
ცეცხლის და ცრემლების ცვალებით.

სიცრუის უდაბნო მღვრიეა,
გულისთქმის მახინჯი ქარებით,
დღე ღამეს მისდევს, ღამე დღეს,
სულის მოქანცული წვალებით.

დამჭკნარი დაფნები მაღალი,
ლანდებად დაშლილი შორეთი,
სისხლშერეული ბალღამი,
გარდაცვლილ ფიქრთა მორევი.

მოვედი, განდობა ძნელია,
ფრესკათა უწმინდეს თოვაში,
სული ჰგავს ნოტიო ლელიანს,
მზის სხივთა ალერსის ნდომაში.

მოვედი, შენდობა მომმადლე,
ცხოვრება კვლავ ძერნავს ხაფანგებს.
მეც ძალა, ყოველი მინისა,
მოვიხადო, ვით სახადი.

* * *

ცას შემოაწყდნენ ღრუბლის ეტლები,
ირმის ნახტომში იშვა გრიგალი,
მინა აყმუვლდა, როგორც დაჭრილი
და ჰორიზონტებს შეაზრიალათ.
ლაგამს ვინ მოსდებს ველურ ულაყებს,
გაჟღენთილია ვნებით სამყარო,
გამომჭვარტლულ და
მახინჯ სხეულზე
მინას ცოდვებმა გამოაყრა.
ეჰა, გამოჩნდი, ათასნლეულებს
ამაყ ქედებზე დაჰკარ მათრახი,
შიში წარკვეთე, შური იძიე,
და იღალადე
სიტყვა მართალი.

სულის კივილი

მიირნევა ცაზე ურცხვად
ცოდვის მღვრიე კოცონი,
ცახცახებენ მოციქულთა
დაშრეტილი ლოცვები,
შუბლს აღმართულს ტაძარივით,
როგორც ბარბაროსები,
ეკლის ლურჯი ბაგეები
გაშმაგებით კოცნიან.
სხეულს სცვივა ზამბახები,
ტბორი დგება ტკივილის,
იზნიქება ჯვარი ოხვრით,
სულში დაძრწის კივილი.
შეიშლება უცებ ქარი,
მზის დაჭკნება სოსანი.
და დამხობილ ქალაქივით
ატირდება მგოსანი.
მერამდენედ ვერ იცანით,
მერამდენედ გაჰყიდეთ,
მერამდენედ გაუწონეთ

სულში წყრომა რაყიფის.
მარტვილივით გოდებს ჟამი,
სიძულვილით დაღლილი
და ქვითინებს ღრუბლის ქორო,
გადმომდგარი მაღლიდან.

* * *

მეუფეო ზეცათაო,
უამურ დროთ დამთმენო.
მომეც ძალა, სულის ბნელი
ცისკრად ამოვათენო.
მოთენთილი ფოთლებივით
ცვივა დღეთა ფურცლები,
დათალხული დარდი მოდის
და ტკივილი უცები.
მოვისწრაფი, მოვალ შენკენ,
როგორც შვილი უძღები.
გზაზე ყრია ყვავილები,
როგორც ჩემი სიზმრები
და ფიქრები ფართხალებენ -
ფრთადაჭრილი ჩიტები.
სიტყვას ცრემლი სცვივა ბროლის,
ფირუზს ზარავს გიშერი,
შიშველ ჭრილობებსა ჰგვანან
ძველ ცოდვათა ხიზნები,
შენ გენუკვი, გეზრახები,
მომიტევე, მიხსენი.

* * *

გვალვისაგან დახეთქილი
მინა ვარ და
მენატრება წყალი,
მღვიმის კედელს მიხატული
ჩიტი ვარ და
მესიზმრება ქარი.
დილა მოდის,

როგორც თეთრი ანგელოსი
ბროლის მინანქარით.
უსასრულო, გამოუთქმელ
მზისკენ ინევს ჩემი გულის ქნარი.
იალქნები მომაშველე, უხილავო,
და მომმადლე ძალი,
გადავურჩე ცოდვის მღვრიე
და ბნელ ტალღებს
ჩამეღვაროს სულში ნათლის ხვავი,
მქრქალ ფურცლებად იკინძება
დღე ყოველი,
როგორც სვინაქსარი.

მოზაიკის ნატეხები

* * *

დილაადრიან
მისდევენ რაბის
მებადურები იუდეისა.

* * *

და სეფისკვერის
რძისფერ ნამცეცებს
გადაჰკრავს გემო
მადლის ნამცვრევის.

* * *

ტაძრის კარს მიღმა
კიპარისები
მოჩანან, როგორც
კათაკმევლები..

* * *

ჩრდილებს აკრთობთ ნიავის
მობიბინე შეხება,
შუაღამის მინდორში
ლოცულობენ ხეები...

* * *

მძიმეა ფიქრი,
როგორც ალაზნის
მუქი ტალღები.
ირწევა ლანდი გარდასული
უდარდელობის,
ძველ სიმღერებთან
შეხვედრისას აილანძები
და თვალს მოგჭრიან
უსასობის უდაბნოები.
მჭახე ღიმილად
დაიმსხვრევა შუქი ვარსკვლავის
და ამაზრზენი გულგრილობით
ღამე გაგთელავს.
დარჩები მარტო,
უნუგეშო, მიუსაფარი
ჟამი იქნება დაუნდობი, ვით ანათემა.
საადღაც შორიდან, შორეთიდან
მოვა სანთელი
და უცხო ნათლით გაცისკრდება
სულის ჯურღმული.
ისევ ღმუილით
ჩაივლიან შმაგი ღამენი,
რომ ნარიტაცონ
და ნალეკონ ოქროს ბულული.
და გაიღვიძებს მაშინ შენში
რაღაც ფარული, რაღაცა მძლავრი,
წყურვილივით დაუოკები,
მიხვალ ხატებთან
დაქანცული და მოწყენილი
და აყვავდება ჩამომჭკნარი
რწმენის რტოები.

ხანძთა

ის მიტოვებულს ჰგავს მოხუც მამას,
უძღები შვილის ბედით სნეული,
მზე რომ ამოვა, ძვლებს მიაფიცხებს
ხანძთა -
ხერხემალგადამსხვრეული.
სველ ქუთუთოებს ძლივს ასნევს მაღლა
ფსალმუნთა სითბოს მონატრებული.
და დახავსებულ ხმით ღმერთს ადიდებს
ლოცვებში ჩამდნარ - ჩანაცრებული.

შატბერდი

შატბერდო, შავი გეხვევა ნისლი,
შავი ბალახიც მიმოდის შენთან,
ვერ მოვაღწიე, ვერ გეთაყვანე,
ვერ ვეამბორე შენს ნატკენ ფერდებს.
შემინდე, შევცდი და შორეული
გამიხდი ღვიძლო, მშობელო ჩემო,
უნდა გაუძლო, არ დამიბერდე,
არ ჩაგეშალოს მონყალე მკერდი.
მოვალ, მიშველი, მაპკურებ ნათელს
და შენდობილი ახლად ვიშვები.

* * *

გაუსაძლისად ბერნდება ღამე,
სიზმრის სირინოზს უკვე მოვბეზრდი.
მანთხევენ თავზე ლანკანს მეშვიდეს
განრისხებული ანგელოზები.
აქ არც ჯვარია და არც გოლგოთა,
არარაობის ქაოსს ვაწყდები,
იხრწნება ხსოვნის სასაფლაოზე
გარდაცვლილ წელთა სარკოფაგები.
მეწამულ ცხენებს მოაჭენებენ
იდუმალ მხარის უცხო მხედრები.
მე წამოვდგები, როგორც ლაზარე
და ჩემს მაცხოვარს დავედევნები.

ჰორიზონტის შადრევნები

მთვარის სიმღერები

მე შენ მოგისმენ, ასე ღამით
ზღვა აყურადებს მთვარის სიმღერებს...
მერე როდესაც გაიჟღინთება,
გაითანგება ხმების ალერსით,
მიიზიდება შორეული სივრცისაკენ
გახელებული, მირიადი
ლურჯი მკლავებით
და სვამს სიმღერებს მოწყურებული,
ჰორიზონტის ფიალებიდან.
და ლიცლიცებენ მირაჟები...
მთვარე კი მღერის,
ვარსკვლავების ვიოლინოებს
უცახცახებთ ნატიფი მხრები...
და ტოკავს, როკავს ცისკიდეთის ყოველი ასო,
იღვენთება მუსიკა მწველი
და სასურველი,
და ისე ახლოს, რომ ვერასდროს ვერ შეატოლოს
ზღვამ გულისთქმა მთვარის ბაგეებს...
და შეშლილივით ჩაიკარგოს თავის წიაღში.
მერე კი კვალად,
როცა მთვარე ბროლის ტახტზე
გაშლის სხეულს ამორძალივით,
ზღვა აიმღვრევა, დაიმსხვრევა სარკის
სასახლე, და ისეთივე მგზნებარებით,
თითქოს პირველად,
კვლავ მოუსმენს მთვარის სიმღერებს.

მეგონა

მეგონა, წვიმას ვუყვარდი მხოლოდ.
დამფრთხალი დარდით და ბედის რწევით.
მას ჩემში მიწა უყვარდა მხოლოდ
და ხელდებოდა საშიში გზნებით,
ელვის დაწყვეტილ ვიოლინოებს

ციდან ისროდა თავდავიწყებით.
და როცა ჟინით კულულს მიხვევდა
უხვი ნვეთების უვნებო ცეცხლით,
მიწას დახეთქილ ტერფებს უზელდა
ცაცხვების ნაზი ნელსაცხებელით.

არ მომწყინდები

იყავი შორს და არ მომწყინდები
მინა ხარ, წყალი, ჰაერი, ცეცხლი.
მე სულ სხვა სიძეს დავეწინდები.
და არ დამცვივა ცრემლების ვერცხლი.
იყავი შორს და არ მომწყინდები...
და არ შემომხვდე გზაჯვარედინზე,
რომ უტკივილო-უსიხარულო
თამაშ-თამაშით ვიფიქრო შენზე.

დაგეძებ

შენ რომელ ბაღში იშვებ დაღლილი,
ვის დაანაფებ ბაგეს მწყურვალი,
რომელ სტრიქონებს დანერ ცახცახით,
როდესაც დარდი შემოგერევა.
მე და შენ ეჭვის უსახო ბლანდით,
ვით აუხსნელი იეროგლიფი,
გაკრთება ცაზე უცნობი ლანდი
და უცხო ჩრდილი დაგვედევნება.
მერე ჩვენ ნავალთ და ბილიკები
სხვადასხვა მხარეს გამოგვრიყავენ.
მე ვენაფები ილუზიის შხამის ფიალას,
ეს ყვავილები, ვიცი, მხოლოდ
უშნო მტვერია. მაინც ვენთები
გადარჩენილ ნაპერწკალივით,
დაგეძებ, იქნებ
კვალად სადმე გადაგეყარო.

დამშვიდობება

იქ, სადაც ფიქრის ჯოჯოხეთია,
გაძარცულ ფერებით,
დემონის დადევნებით.
დამშრალი შადრევანი შემოგებება
დამსხვრეულ მარჯანთა
უმწეო გაღიმებით.
უხვია სიკვდილი და თანაც - თამამი,
თამაშით მიდიან მიწისკენ ფოთლები,
ილევა სურნელი იელების.
და გარდაცვალება იღვრება მუსიკად.
ჩუმი სინანული იელვებს.
გზაჯვარედინზე კუბოა ცარიელი,
ცივია ობლობა. ვერ დაგემონები.
მშვიდობით, მაპატიე,
აქ უნდა ჩაგასვენო,
ჩემო ძვირფასო მოგონებავ.

ფიქრი ანაზდეული

მე ახლა ეჭვის უებრო რაინდის
სატრფო ვარ რჩეული და გამომწყვდეული
მაღალი კოშკის ეულ ოთახში,
სადაც ვერ აღწევს იელების ჩუმი სურნელი
და შენზე ფიქრი მეკრძალება ანაზდეული.
ო, რა ულევად მილივლივებს ცაში ღრუბელი,
რომელმან არაფერი უწყის ვრცელი მოლოდინისა.
ნეტავი იქაც, იქ, ლაჟვარდის
წმინდა მინდორში,
თუ დააგელვებს თავის ულაყს ეჭვი თამამი,
ნეტავი იქაც თუ აკრთობს ცისფერს
გიშრის უხეში შემოფეთება.

თებერვლის თოვლი

დიდხანს მიხმობდი ხარბი ბარათებით,
ხატავდი სივრცეში ხაერდის ქარავანს
მერე სველ დუმილში გახსენი გასამხეღი,
მოხვედი თებერვლის უმტვერო თოვლი.
მახსოვს აკლდამაში ფარული ჯვრისწერა,
სამარადისო ფიცი და ბროლი დამსხვრეული
ქათქათა ფიქრებად.
გაცრეცილ ბაგეზე ენძელებს ეკოცნიდი,
თებერვლის თოვლი...
დაფანტული ფორთოხლები თეთრ სარეცელზე
ცხელი ტბორი ნარინჯისა,
ყვითელი ღამე, მზე დატეხილი,
ოქროს თითებით დაეძებდა დაკარგულ სარკეს
და დნებოდა ფიქრის სტრიქონი.
თავს არ განებებს უცხო ხილვა
და დავინყების ნეტარებიდან გამოხმობილს
შეგაფეთებს სიზმარს იმავეს,
მღვრიე ბურუსში მოჩანს ტილო,
ნატურმორტი: ლურჯი ცხედარი
თოვლის მკლავებში და ფორთოხლები.

სითბოს ნასხლევით

ვეღარ გამჩხიბეს ეჭვებმა სევდით,
ვერ აიქოჩრა გესლის ავსული,
ნადილს უელავს ზარნიში ვერცხლის,
ნედლი სურნელით სუნთქავს ნარსული.
ჭაღარა ღამე თვალებში მიმზერს,
თქრიალით მოდის მთვარიდან ლექსი,
ჩემი ხელები სავსეა ისევ
შენი სხეულის სითბოს ნასხლევით.
მოდგა სიმშვიდის უსაზღვრო ჯერი,
ურჩი წამები დრომ მიჯრით მოსრა.
გასცქერენ მკვდრები საფლავის ჯვრებით
ზეცაში ჩამდნარ მარადისობას.

ჩემო დარდო

ისევ შენთან ვარ, დარდო ჩემო,
დაქანცული ქალაქის ტრფობით.
ვნების ყვავილთა უცხო ბაღში
ვიშვებდი კვალად და მწველ ჩურჩულში
გაშლილ მიმოზებს ვკონავდი გზნებით.
მივდევდი ლანდებს, დაირებით რომ როკავდნენ
მაცდურ სივრცეში.
და იღვრებოდა ცაზე ქაფქაფა
რძე ხალებიან ირმის ცურიდან.
გვეგონა, ცეცხლი სიხარულის იყო სულ ახლოს,
მაგრამ ჩამქრალი ნაკვერჩხლები
ვიხილე ოდენ.
ისევ დავბრუნდი
შენი მკლავების ეკლიან ტევრში.
მივხვდი, თუ გინდა ჭვრიტო შორეთის
კამკამა სული და ჰორიზონტის შმაგ
შადრევნებთან ილაღო, იშვა.
ტანჯვის მწვერვალზე
უნდა შედგა კანკალით ფეხი
და ჩუმ სამყაროს, უბეში რომ მალავს მუსიკას,
ჯიუტსა და ავად მომზირალს,
ჭმუნვით დალაქულ სარკმლით გახედო.
ამიტომ აქ ვარ, ჩემო დარდო, ჩემო ნუხილო.

სიხარულის კარავი

ხელებს ახსოვთ ფერები,დახუჭული თვალების,
წამწამებზე ჩავლილისიყვარულის წვალება.
ბაგეებზე სიტყვები,როგორც ამორძალები,
როგორ უხვად როკავდნენ.
და თითები უცნობიბილიკებით მავალი,
ყუჩდებოდნენ დაღლილი სიხარულის კარავთან.
მერე თოვლი მოვიდა ჩუმი გარდაცვალების,
ბარათებში ულევი კოცონები ჩათავდა.
ხელებს სტკივათ ფერები დახუჭული თვალების.

სიმღერა

ატირდები, გულო,
როგორც თოვლი დამდნარი.
უნდა მიერთგულოთ
უდარობის ამინდებო.
მოგინდება დარდიანი,
დაცრემლილი ჰანგები,
ვით ტაძარში დაყუდება
და ლოცვის ჟრუანტელი.
წახვალ მზესთან, სადაც მიწყივ
ანთია კელაპტრები.
მერე მოვა მარტოობა,
ჩემთა ვნებათ დამტევი.
მერე. ფოთლის დაირები.
ფიქრის კორიანტელი.
აღარც გამახსენდები და
აღარც მომენატრები.

შავი ირემი

მითიური ღამიდან
მოდის შავი ირემი.
ჩემი სიზმრის კარიბჭე
წყვდიადებში ინთქმება.
შენ ნუ შემიშინდები,
ჩემო მზეო, სიცოცხლის,
შენ ნუ შემიშინდები,
თუ ეს ღამე წამიყვანს.

ფიქრის კვიცები

შენ კართან დგახარ
და ელოდები, როდის გინატრებ.
მე ახლა სხვა ვარ,
გაკვირტული ახალ სხივებით,
და შიში შენი - სიყვარულად მოლანდებული,
დამჭკნარ რტოებთან ერთად
ნიავს გადავუყარე.

უკან გაბრუნდი, თან წაიღე ბნელი სარკენი,
სადაც უკუნის სასახლენი ირეკლებიან.
მე სინათლესთან ვრჩები,
როგორც ობოლი ცვარი,
მზის თამამ მზერას შეწყვილებული.
და ჩემი შუბლის მცირე ტალანი
სავსეა ფიქრის უაღვირო თამამ კვიცებით,
რომელნიც უდრეკ ქარაფისკენ მიისწრაფვიან.

* * *

წყვდიადის არწივებით ილაქება
ფიქრების ლაჟვარდი.
ჰოი, უფსკრულის ღამეებო,
ჟამით ჟამამდე მე თქვენს ქარაფებს
ვეწვეოდი იდუმალ გზნებით
ვაბრიალებდი შავ კოცონებს ქარაგმის ბაღში
და აჟღერებულ ქაოსების შორ ორქიდეებს
ვკოცნიდი მძაფრი თავდავიწყებით.
შეშლილი ვკრეფდი
ამღვრეული სურვილის ჩქერებს.
ვიჟღინთებოდი ილუზიის მოლიზღარ წვიმით.
მენანებოდა აღარ მწარედ წამთა ნრიალი
და დამსხვრეული საფეთქლების ნაზი ფიქალი.
ჰოი, უფსკრულის ღამეებო,
ნუთუ ოდესმე მართლა მიყვარდით?

ბოლერო

ბოლერო. მარმარილოს
შემკრთალი გარინდება,
როცა აკლდამაში შემორბის სინათლე.
დუმილის ყვავილებს დანამავს ფლეიტა
და აკანკალებულ გამათა ბეღურებს
დააფრქვევს ალერსისმოთენთილ ნარინჯებს.
მობრძანდება სიყვარული
ხავერდის ნაბიჯებით,

სიფრიფანა სიხარული
ვიოლინოს სიზმრებად
იღვენთება აჟღერებული სულის
ღია სარკმლიდან.
სფინქსის გაღვიძება ჟამის წყვდიადიდან,
ფრთებით შეხეთქება სივრცეთა თაღებში.
დაღვრემილ ჰორიზონტის ელვარე გაღიმება.
იმსხვრევა მოლოდინის მაღალი კედელი.
ზათქით და ზრიალით, მზეებით, ქარებით,
კივილით, ტკივილით, ტანჯვით და წვალებით,
ზმანებით, წვიმებით, ცვალებით, ზარებით,
წყალობით, ხიფათით, ბედით და ზვავებით
და ფარშევანგების ფერადი ფაეტონით
უზადო ზეიმით მობრძანდება,
მობრძანდება, მობრძანდება
სიყვარული.

შენი დუმილი

სიჩუმის ტბორში იშლებიან
გიშრის ლანდები.
შენი დუმილი, როგორც მზერა
ოლეანდრების.
ალარც ქარია,
არც სურვილთა ხარბი ხლართები.
დრო გაიხიზნა მიტოვებულ სარკოფაგებში.
დგას სურნელება ნაძვის რტოების.
ჰანგები სწყდება გულის კლავიშებს.
ვმშვიდდები, როგორც დაფნის ფოთოლი,
როცა ნიავი ემარტოება.
და ვიკარგები ვარსკვლავჩამდგარი
ღამის მკლავებში.

ნეტავი იმ ჩიტს

ნეტავი იმ ჩიტს თუ გავახსენდებით,
მე და შენ, ის დღე, ის მზე,
ის შაბათი.
იანვარს სტკიოდა დამზრალი გვერდები,
ვისხედით, ვიშვებდით
ლექსების შარბათით.
იმ ჩიტმა თუ იცის,
იყო თუ არ იყო,
ის დღე, მე და შენ,
ის მზე, ის ქალაქი.
თუ ვესიზმრებოდით გრილ სანაპიროს,
ხიდქვეშ ჩაფენილი
ფერადი ბარათით.
თუ იცის, ნეტავი, თუ გავახსენდებით,
იმ ჩიტს მე და შენ,
ის მზე, ის შაბათი.

შენც აქ ჩამოიარე

სად იყო და სად არა,
სიყვარული გამოჩნდა.
სად იყო და სად არა,
ღალატიც არ ჩამორჩა.
სად იყო და სად არა,
სინანულმა იელვა.
სხვებიც უხვად გამოჩნდნენ,
სიცოცხლე და სიკვდილი,
დროის ხარბი ჩარჩები.
ნიღბებით თუ უნიღბოდ,
ჩამოლალეს ნაჩვევი,
სიჩუმე და ხმაური,
საიდუმლო ლაჩრული.
უყურებდი, გეგონა,
ჟამი შენთვის გაჩერდა.
შეცდი, იყავ სად არა,
შენც აქ ჩამოიარე.

უშენობა

მზეს ჩამოცვივდა ლურჯი ფოთლები,
თითქო დედოფალს ფარჩა გახადეს
და დარჩა ხილვით განაოცები,
უცხო სიზმარით, როგორც სასახლე.
ბროლი უებრო, მოდის სიცივე
და უშენობა შემაცახცახებს.
მოკვდა ლოდინი, მოხდეს რაც არი,
შემომაბერებს რიცხვი სანამდე.
მე მარტოდმარტო გავყვები ბილიკს
და ჯერ უნახავს ვნახავ სანახებს.

შემოდგომა

ცეცხლი ელავს შემოდგომის,
ბორგავს ვნება მოწეული,
და ქალები ჰგვანან მზეზე
გადახლეჩილ ბროწეულებს.
წველის მტევანს, როგორც ჯიქანს,
შავი გოგო თეთრ კბილს აჩენს,
ვაზის ჩრდილში ოხრავს პაპა,
ითვლის წლების გადანარჩენს.

ფარშევანგთა ქარები

გზაში შევხვდი ფარშევანგთა ქარებს,
უცხო წალკოტს ცახცახებდა თარი.
ქალი - ვაზზე გადაწნული მოლანდება,
ირწეოდა ქალი.
ქანაობდა ლერწმის რტოზე ცვარი.
გზაში შევხვდი ფარშევანგთა ქარებს,
თუ ანანომ დაარხია მარაო.
გზაში შევხვდი ფარშევანგთა ქარებს,
ვაზზე მტევნად გადმოჩქეფდა ქალი.
დალალებში დაცურავდა მზე და.
ვინ ნატრობდა, ვისი იყო ნება,
სიკვდილია, ბარემ შენ მომკალი,
გზაში შევხვდი ფარშევანგთა ქარებს.

მაპატიე

მაპატიე, ვერ მოგიძღვენ გვირილები,
თეთრპერანგა,
ნისლისქუდა ქალწულნი,
ბნელ ბურანში
შემიტყუეს ავსულებმა,
თორიანი მთების ხილვით გამთანგეს.
დათალხული დარდი
მიწევს კალთაზე
და მოწყვეტილ იასავით ვიღიმები.
მაპატიე, რგორც ცივი მოგონება,
დაივიწყე და მდუმარედ გაჰფანტე
დარდი ადრე დანყებული ფოთოლცვენის.
ვერმოძღვნილი
გვირილები ნისლისქუდა,
ჩემს შფოთიან ოცნებაში დავხატე.

ბალი სიხარულისა

დღე ოქრო-ვერცხლით ისეა სავსე,
თითქოს არ იყო ბრძოლა წუხელი.
მზე ფაშასავით ზის ხალიჩაზე
და მუხამბაზებს მღერის ღრუბელი.

ტაძარს მიდიან თეთრი ქალები,
თეთრი ვარდების თაიგულებით.
მოიტაცებენ ფიცხი ქარები,
თუ სადმე მარტოს დაიგულებენ.

და გვერდს აფიცხებს ცეცხლს დედამიწა,
მარადიული და შვილუძღები,
ბალი შენდება სიხარულისა,
ნუთუ აქ ბრძოლა იყო წუხელი.

მთვარე — მიჯნური

გამომაცილა მთვარემ
სახლამდე
და რაინდული
რიდით დამცილდა.
ვიყავი მშვიდი
და ბაგეს მორცხვი
ყვაოდა ღიმი.
მერე სარკმლიდან
დავლანდე ისევ,
მიაცილებდა უცხო გოგონას,
დავლონდი, შევკრთი,
დამემსხვრა ფიქრი
და გულში ჩუმად
რაღაც მეტკინა.

დამარცხება

ქუხილმა სივრცე დალეწა
ღრუბელი დაფრთხა ბღავილით,
ზეცაზე გადაიშალა
ელვის წითელი ყვავილი.

შენ მეძახოდი, მოვრბოდი,
ქარმა შემოჰკრა დაფდაფებს,
სხეული შემომეფლითა,
ყიოდა შავი ღვართქაფი.

ღმერთებს სწირავდა მსხვერპლს მინა,
როგორც ველური წარმართი,
დამასწრო, ძეც შემინირა,
შენკენ ბილიკი წამართვა.

გაზაფხული

ხარი რომ გუთანს გაიტანს,
იმ გუთნისდედის ჭირიმე,
ხნული რომ სურნელს დააფრქვეს,
ეშმაკს ფეხს გააჭიმინებს.
დიკა, მახა რომ ამოვა,
წვერით ცას შეულიტინებს,
საღამოს ქურდი ბორიო
მინას უწამლებს ტკივილებს.
ხმას ამოიღებს საფლავი
და არყოფნაზე იტირებს.

ავყვავილდები

ყომრალ ღამეს
ჩუმად გაასვენებენ,
დილა მოვა,
როგორც თეთრი ირემი.
სველ ბალახში მზე რომ აიბურდება,
მე სიცოცხლით ისევ გადავირევი.
გადაშლიან ბოლმას,
როგორც ნაკვალევს,
სიყვარულით დატენილი ფიქრები,
თუნდ მომკალით,
მოტეხილი ტოტივით,
ამ გაზაფხულს
მაინც ავყვავილდები.

* * *

შენ ელოდები ნაბიჯებს კართან
და ზამბახებით გევსება სული,
მოვა თუ არა, მოვა თუ არა,
მჩხიბაობს ფიქრი გადაბანგული.

საღამო მოდის, ნიავი როკავს
და ლივლივებენ ლექსის ძეწნები,

მოვა თუ არა, მოვა თუ არა,
და ეჭვი რბილად შემოგეწნება.

არა, ჯერ არა, ჯერ კიდევ დროა,
იმედის რტოებს ებღაუჭები.
და როგორც სასტიკ, უნდო ჯალათებს
წუთებს დარდები მოაქვთ მუჭებით.

ცხადია... ღია ჭრილობასავით,
აგიზგიზდება, რომ აღარ მოვა,
ამ ღამის ბრჭყალებს თუ გადაურჩი
დილას შეხვდები, როგორც წყალობას.

და მობიბინე საღამოს ბინდში
ხვალის იდუმალ ლაბირინთიდან,
ნაბიჯებს, როგორც იების კონებს
ნუთუ კვლავ კრთომით დაელოდები...

წავლენ დღეები

წავლენ დღეები და ფარშევანგებს
დაემსგავსება მათი გაფრენა.
მზეებით სავსე ჩემი ოცნებაც
განიძარცვება და ჩანავლდება.
მაგრამ ვუცადო ცვალებას რაით,
მოწვეთავს ზეცით რძე - განთიადი,
დღე დაწინწკლული ისე ბრიალებს,
მიხმობს, გამირბის, როგორც ციცარი.
ამ ალიონზე ყველაზე ფრთამალ
უცხო გვირილას გავეკიდები,
დაიჭიხვინებს შორით ღრუბელი
და სიყვარული წამეკიდება.
და აღარ წავლენ კვალად დღეები,
აღარც წუხილი ჩამეწვიმება,
ფარშევანგები, ფარშევანგები
ჩემს სიჭაბუკეს დაემძივება.

წამო ჩემთან

ცათა ტევრში მზე ამაყობს,
და დუმს ქვეყნის გამჩენივით.
მიყვარს ეს დღე, ვით ნადავლი,
დრო-ჟამს ლექსით ახლეჩილი.
დავიტბორე ღვთიურ მადლით,
მინდა ნათლად ჩამოვჩქერდე.
და ვხალისობ სხივებივით.
ჰეი, სად ხარ, წამო ჩემთან.
ვიცი, ბოლოს სიკვდილს შემყრის
ბედის მოთარეშე ეტლი.
ვინ გადურჩა დავინყებას,
წლების რისხვით დანასეტყვი.
ვეურჩები მაინც ბედს და,
წამო ჩემთან, გავშლი კარავს.
სიყვარულის და მზის ლექსი
ყველაფრისგან დაგვიფარავს.

სიტყვის ჩანჩქერები

ჯერ ნუ წახვალ, გარეთ ცივა
და ღამეა სველი.
მთვარე, როგორც მათხოვარი,
დაძრწის ფეხშიშველი.
გამიგრძელე ის ზღაპარი,
სიცოცხლეზე ძველი.
შენი სიტყვის ჩანჩქერები
ჩემს იარებს შველის.
ნუ გარბიხარ, ჯერ დილამდე
დროა კიდევ გრძელი.
შესუდრულან ვარსკვლავები,
როგორც ქვრივი დები.
დაჩეხილ მთებს შეაჟრჟოლათ,
გესმის ნაბიჯები?
ვერ გავექეც, არ მაცალა,
შენ ნუ შეშინდები,
სიკვდილია, ვერ წაუვალ,
გავალ, შევეყრები.

როცა დილა ახლოა

ქარებს გადაუყარე
გამომხრჩვალი დარდები,
მგოსნებით და ხოხბებით
დილა გამოიდარებს,
მზეს დააყრის ყაყაჩო
და ცა მოვარაყდება,
დამწიფდება ყანა და
აყვავდება ბაღები.
ყარამფილი გაცვდება,
ყანდსაც მორთავს სიმწარე,
და დათვლილი დღეები
სიკვდილს შემოიწნავენ.
მაინც არ ღირს ნაღველი,
როცა დილა ახლოა,
როცა სულში სიცოცხლის
ფოცხვერები სახლობენ.

კარი გამიღე

ადგაფუნდება ცაში ღრუბელი,
ჩინჩხლებს ჩამოჰყრის მთვარე,
დამფრთხალი,
მწიფე ვარსკვლავებს ქარი დაბერტყავს
და სველ ხნულებში
დაჰყრის ტყაპანით.
ეჰა, მოვდივარ, მეყო ლოდინი,
ჟამი მომდგარა ჩვენი შეყრისა,
იყოს ეს ღამე მონმე-ნანილი
ჩვენი შერისხვა-შეჯახებისა.
შემოვიფლითე ზღაპარ-სიზმრები,
და შენს პირისპირ დავრჩი სამიზნე,
ეჰა, მოვედი, შენთან, ცხოვრებავ,
გამო გარეთ და კარი გამიღე.

სიზმარი მოვა

გიშრის თვალები - კოშკები ქაჯთა,
შიგ დამწყვდეული ვნება ფოცხვერი,
დაიწყებს როცა როკვას მთოვარი,
ბაგე ლოცვებით დაიკოცნება.
თეთრი ტაიჭი ადგილს მოსწყდება,
სიზმარი მოვა, როგორც მსტოვარი,
ვერ დააოკებს ჰანგი ქარიშხალს,
სურვილი სხეულს შეატორტმანებს.
დაფლეთილ რტოებს ზღვა გამორიყავს,
დაუსხლტებიან ღამეს მგოსნები,
გზის გასაყართან შეიყრებიან
და მრუმე ნათლით შეიმოსება.

რას დავეძებდი

საწუთროს ვჭვრეტდი დაღრეჯით,
გულს შემომეგზნო სახმილი,
შორად მოთქვამდნენ დიაცნი,
ცაზე მზე რბოდა დაღლილი.
მერე გავექეცი კაეშანს,
სვეს ვენეოდი, მეგონა,
ტურფა ბაღნარი ვიპოვე,
გავმართე ლაღმა სერობა.
მალე მომწყინდნენ მუტრიბნი,
ყანდი მემწარა ანაზდად,
რა მსურდა, რას დავეძებდი,
ან ბედი რას მიმალავდა....

ნავსაყუდელი

ვიცი, ოდესღაც ცეცხლს
ვცემდი თაყვანს,
სისხლიან მსხვერპლით
კერპებს ვწირავდი.
ცაზე კვირტებად
გამოყრილ ვარსკვლავს
ეწერა ჩემი სვე და ყისმათი.

რაყიფს მივდევდი
ველურ ყიჟინით,
სატრფოსთვის ყანას
ყაყაჩოს ეკრეფდი,
მიყვარდა ისე ნაზად და ჟინით,
ვით ვეფხვს ზმორება თაკარა მზეში.
მერე მრავალჯერ
გარდავისახე,
ნლები გაცვივდნენ,
როგორც ქურდები,
და სიყვარული შემომრჩა მხოლოდ,
ვით ყოფნის ბოლო ნავსაყუდელი.

ნუ გეშინია

ქარები მოვლენ, ქარები ნავლენ,
ნლებს დაიცვლიან, როგორც ქალამანს,
ნუ გეშინია, გზის გასაყარზე,
მე შემოვხვდები
შენს თეთრ ქარავანს.
სალამურებში ჭინკები ჩასხდნენ,
და მე იარაღს ვფერავ ალმასით.
ვფიცულობ მზეს და
თაყვანს ვცემ მთვარეს
და შენ გაღმერთებ, როგორც წარმართი.

* * *

კვლავ უსისხლოდ დავიჭერი,
ღალატს არ ჰყავს ღმერთი,
სულში ყრია დალენილი
ნამსხვრევები ლექსის,
გახელებით მებრძვის ბედი,
როგორც თემურ-ლენგი,
ნუთისოფლის გოლგოთაზე,
მიმაქვს ჩემი ჯვარი, დამეხილი შეჭირვება-
ცხოვრება ეს არი.
შემომკარით მათრახები,
ჯერ არა ვარ მკვდარი.

იებით ივსება

იებით ივსება საღამო, მელი,
ამაო მტვერია ყოველი, ამაო,
ვიცი და მაინც მთვარის თავლიდან
გამომყავს ცხენი.
ტკივილი ძველი, დარდები ძველი,
ხილვაში კვდება დანგრეულ ტაძრის
უკანასკნელი, ერთგული მცველი.
ცრემლები ძველი, ეჭვები ძველი,
მე ვიცი, მელი, მოვალ ამაოდ,
მტვერია ქვეყნად, მტვერი ყოველი,
და მაინც მთვარის ლურჯი თავლიდან,
როგორც გზნება, როგორც განგება,
და ბედისწერა, გამომყავს ცხენი.

რატომ დაგედევნე

მზერა ისხამს დარდის მტევნებს,
და ჩუმდება ხმაში ჩიტი,
ნეტა რატომ დაგედევნე,
როგორც ქარი მეამიტი.
დადნა გზნების ბილიკები,
დაიმტვერა სივრცის ფარდა.
ცრემლი ღანვზე დაგექარგა
და გედებსაც აღარ ხატავ.
როგორ ულვთოდ გაიცრიცა
მოგონების ხალიჩები,
ჟამი მხოლოდ დილამდეა,
იყუჩე, ნუ გაირჯები.

ძარები იცდიან

არაბული ტაიჭები
გამორეკეთ ბაგიდან.
აქ ქარები იცდიან,
ჯიბრი აქვთ ულაყების.
საწუთროში განა ბევრს
წაანყდები საღირალს,
საალაფოდ ღრუბლებთან
ამ ფრთამალებს გავყვები.

შენმა ღიმილმა

შენი ბაგიდან გადმოდის ღიმი,
როგორც ქალწული ტალღათ ქაფიდან.
მე ავყვავილდი, როგორც აპრილი
და შემიძლია მზისკენ გაეფრინდე.
შეხე, ბილიკი როგორ გარინდდა,
გადაირბინეს, ალბათ, ირმებმა.
შენმა ღიმილმა გამათავხედა
და იდუმალის ხილვა ვინებე.

* * *

და შენი მზერის უტყვი ღიმილი
მიმოდიოდა ჰაერში უბრად,
ასე ლივლივებს ცაში ღუბელი
და თვით არ უწყის, რატომ მიდის დასავლეთისკენ.
მოუსავლეთი არ არის შორი
და არც წიაღი შავეთისა მოგიცდის დიდ ხანს.
შეხვალ მაღალი კარიბჭიდან
იქ, სადაც სველი სერაფიმები
ცრემლებს წმენდენ დაცემულ სულებს.
და არ არსებობს იმაზე უფრო ვარდისფერი,
ვიდრე დილით გამოღვიძება,
როდესაც ელი, რომ მზე ისევ ამოვა ცაზე
და ღრუბელიც ისევ წავა დასავლეთისკენ,
მაგრამ იქ სადღაც მოუსავლეთი არის ბინდბუნდში
და არ მიდიან ნებით იქითკენ.

* * *

მოდიხარ ჩემთან, ვით ჯვაროსანი
უცხო ქვეყნიდან გადმოხვეწილი,
მეწყერის ელდა შეაკრთობს სოსანს,
გრძნობა რითმებად დაიწეწება.
და მსხვერპლს, განწირულს საიქიოსთვის
მოიტაცებენ ნათლის მერცხლები.
მონასტერივით მაღალ ფიქრებში
გაინკრიალებს სული ვერცხლივით.

* * *

ყაყაჩოს ფარა რომ შეჰყვება თავთუხის ყანას,
და მზის წითელი ხარები რომ
გასძოვენ ზეცას.
მაშინ ყვირილით მოდის ხოლმე მინაზე ვიღაც
და სიცოცხლისთვის დასარწყლული
ჩანჩქერი მოაქვს.

სად ხარ

ჰაუ, სად ხარ, აგურგურდა ზეცა,
ქარი არ ქრის ადარბადაგანით,
საცა არის, ამოსკდება მზე და
გაიხსნება ცის შვიდივე კარი.
ჰაუ, სად ხარ, რა დროს დარდებია,
როცა იცი, მეორედ არ მოხვალ,
მზე ამოდის, და სიცოცხლის წვეთი
ემატება ჩვენს ამქვეყნად ყოფნას.
ჰაუ, სად ხარ...

ტყის სიმღერა

ყვაოდა შვინდი,
მოუხმობდა დალი სულკალმახს.
ჯიხვნი დიოდნენ მწვერვალებზე,
როგორც ქარები.
ოქროს დალალი გაიშალა კლდეზე ბილიკად,
თქვა მონადირემ: ბედიაო შენათვალები.
და ადუღებულ მაჭარივით წამოიქაფა
გულში ფარული სიყვარულის ნაიარევი.
წამოჭარხლებულ ცის კიდეზე მზე ჩამორბოდა,
ქნარებს უკრავდნენ ვნებიანი ჭინკა ქალები,
და იღვრებოდა ტყის სიმღერა ისე იდუმალ,
თითქოს ვიღაცის ლექსი იყო ეს ყველაფერი.

მზის ტაძარი

მთვარის ნავით

ქარი მიხვეტს ბზას და ფოთლებს,
დამჭკნარს, გამხმარს, დარდიანებს,
როცა გიხმეს, როცა გიხმეს,
დაზარდი, დაიგვიანე.
ახლა ცოდვის სუსხი ბაგეს
მიგაყინავს ლოცვის კვირტებს.
ავყიათა ბნელი გუნდი
გაგრიყავს და გაგიმეტებს.
მზერაში აღარ ჩანს მეტად
შორი სინათლის სვეტი.
სულერთია, სულერთია,
ცას გაკრულა ნერო კენტი.
სიმშვიდე შემოგხვევს მკლავებს,
მოგერევა თბილი რული...
გული მზეა, გული-მინა,
გული ზღვაა, მრთელი, სრული.
ეს შენი გზა არის თვითონ
დასანყისიც, დასასრულიც.
ღრუბელს აევსება უბე
მეწამული დაისებით,
მთვარის ნავით გაარწევენ
დანისლულებს, დაისრულებს.

განწყობილება

სცვივათ ალვის ხეებს ფოთლები გაცრეცილი.
მკრთალდება რტოების ლურჯი მონახაზი.
განწყობა:
წვიმაში მოდის მელოდია-
ტილოდან გადმოსული ასული მონა ლიზა.
ამრეზილ დღეებში შენ არსად გამოჩნდები.
არც ჯვარცმა, არც ცრემლი, არც რამით შველა.
განწყობა:
ქუჩაში ჩაივლი ჰამლეტივით
და მერე დამტვერილ ჩარჩოში შეხვალ.

ტკივილი

მოცელეს ბალახი.
არავის ახსოვდა.
ყაყაჩო უებრო.
და ახლა ტკივილი...
კივილი მოკანკალე
მოაქვს ქარს
ყვავილის მოკვეთილ ტანიდან.
უასაკოს და უსულოს...
მას უსმენს სამყარო და
კიდევ მარტოსული.
ველზე გამოსული
თავის მოსაკლავად.
მაგრამ მზე ზურმუხტის
დარბაზში ზეიმით
დაბინდულ მზერაში
სიმშვიდეს შეგაგებებს...
ლანდები მხიარული
წამოვლენ თვალებიდან...
და მერე მზერაში,
ოქროსფერ ზვინებში,
იგზნებენ სიცოცხლეს
გამხმარი ზიზილები.
დავსხდეთ და ვიგლოვოთ
დაზაფრული
სიზმარი, ამრეზით
წასული მოუსავლეთში.

ზეცის ჩეროში

წუხელ იწვიმა, სველი წამები
ჩემს წამწამებზე ბრწყინავდნენ უხვად.
წუხელ ვიღაცა ჩემგან წავიდა,
თუმცა წვალებით, მაინც წავიდა,
ჩუმად და უბრად.
მე კი ვეება ვეშაპმა მშთანთქა,

ღამის წყვდიადის მუცელში ჩავრჩი,
დილა მოვა და მზით გამოფატრავს
ამ ბნელ ქვაბულებს და გადამარჩენს.
რად ამირჩია მნერალმა ბედის
სნორედ აქ, ამ დროს
და ამ სივრცეში.
ვილაცა ჩემში ყოველ ღამ კვნესის,
ვილაც ჩემიდან ყოველ ღამ მიდის...
და ერთ ღამესაც.
როდესაც იგი უკანასკნელი
წავა ჩემიდან.
დავნაწილდები, გავიფანტები
და დავისვენებ ზეცის ჩეროში.

გაძცევა

დუმილი დალეწა
ჭიხვინმა კვიცისამ,
გარბოდა კვიცი და
მისდევდნენ ქარები,
მალები, ჩქარები.
არ ჰქონდა ფრთები და
ქარს მაინც უსნრებდა
უდრეკი წვალებით.
არ სურდა მათრახი,
გარბოდა კვიცი და
სნყუროდა ქარაფი.
ქარაფი... სად იყო კარავი.
სიკვდილის კარავი,
ყოველთა ტანჯულთა
თავშესაფარავი.
გარბოდა კვიცი და გარბოდა ქარაფიც.
არ სურდა ეხილა სხეული ამაყი
დაჩეხილ კვიცისა... და საით გარბოდნენ
კვიცი და ქარაფი. იცოდა არავინ...
არც თვითონ იცოდნენ.
არ სურდა მათრახი, ეს იყო მთავარი.
და არა სიკვდილი და არა სიცოცხლე.

მზის ტაძარში

მარტოობის მღვრიე ტალღებს
მივარღვევ,
უკუნს მივკვეთ დამაშვრალი გულით.
ბედკეთილად მოდი,
დღეო ხვალისა, განმინათლე სული.
აღმაელინე, მზის ტაძარში დამანთე,
ვით სანთელი ობლად მოძერნილი.
დე, სამყაროს სიცოცხლისთვის ლოცვაში
მეცა მქონდეს წილი.

* * *

ქანაობს ქარი
ნაძვის მწვანე საქანელაზე.
ქაცვისფერია
მზის ნაშლილი ნაფეხურები.

თეთრი და შავი

ბოსხი, ბრეიგელი,
ელ გრეკო, ტინტორეტო.
შეშლილი ვრუბელი. სახელები უცხო,
როგორც სიზმარში ზმანებული იადონები.
მზერა გაზნექილი და ბურანით გადაშლილი.
ფერები, როგორც მეძავი ქალები,
ვნებიანი და მიმზიდველი.
მწიფე მტევანთა გახლეჩილი ბაგეებიდან
მოლისფერი ღიმილი წვეთავს.
ფიქრები სადავე დაწყვეტილი
ცხენებია, ველური ჭიხვინით რომ
აკრთობენ ბებერ სიმშვიდეს.
სინათლის ნაზი ქალწული
ცისფერი მაჩიტაა,მოწყვეტილი და დამჭკნარი.
ყველაფერი, თითქმის, არაფერი, თითქმის.
შიში სიკვდილია და სიკვდილი შიში -
იტყოდა ოდესმე ბრძენკაცი.

ფუთფუთებს ჭაობი გონებისა-
ხრწნადი ნიალი მარადი ეჭვების.
ფორმები უნაკლო, ნარმტაცი, ზესრული.
დაისრულ სებასტიანესავით
უტეხია ნება.სელენეს ფერმკრთალი
ხელების ჩურჩული, ვაზის ლერწივით
მსუბუქი და ჰაეროვანი
შეაკრთობს განდეგილს.
დაჩეხილი გრძნობების
სასაფლაოზე დავეხეტები და
მიტოვებულ ედემსა ვგლოვობ.

* * *

თოვლია თითქო შორი ვარსკვლავი,
ხელშეუხები და მოცახცახე.
დაითრთვილება ბაგენი ღიმით
და ხატი ღვთისა,
ბრმა და ცოდვილი,
ამ უსპეტაკეს სითეთრის ხილვით
ლოცვას აღავლენს.

გარეთ ქარია

დამწყვდეული ვარ, როგორც მიმინო,
ჩემი ოთახი არის გალია,
მინდა ავფეთქდე და ავიწყვიტო,
გარეთ ქარია.
ცეცხლებს ანთებენ ცაში ღმერთები,
თუ ჩემი სულის ნიაღვარია.
ტვინს მიწენავენ ეჭვის ჭინკები,
გარეთ ქარია.
მე ჩამსხვრეული მაქვს ხერხემალი
და იარები მტკივა ძალიან.
შემეხიზნება დარდი - მეძავი,
გარეთ ქარია.
ვილაც მიხმობს და ვილაც მეძახის,
ჩემი აქ ყოფნა შესაზარია.
უნდა გავფრინდე, უნდა გავფრინდე,
გარეთ ქარია.

წადი

წადი,აღარ მსურს დავანება
შენს რბილ ჩეროში.
ნუ - ასე მშვიდი, ასე ჩუმი-
მიმზერ, ჭადარო.
ჰოი, როდიდან ფრთებდაკეცილი
დუმ და მდარაჯობ,
მე მოვილტვოდი და ვიშვებდი
შენს საუფლოში,
დღეს კი ჩემს ქოხში
ეშმაკებმა შემოალაჯეს.
შენ აქ იდექი მოწყენილი,
რამ გაგარინდა,
რატომ არ შეჰკარ, არ შერისხე,
თუ შეგეშინდა?!
წადი.

შიშის აფთრები

შუაღამისას მოვლენ აფთრები
და დაგიფლეთენ
სიზმრის ქარავანს.
გულაფეთქილი ყვირილს დაანთხევ
და შიშის ქარაფს ნაიჩეხები.
ჩამოგემხობა მეხად ტკივილი
და ჩუმი ძრწოლით გარდაიცვლები.
იქნები მარტო ნუხილსა შიგან,
არ შეგიბრალებს არცა მთოვარი,
გადმოგიქროლებს ჯოჯოხეთიდან
და წარგიტაცებს მყრალი ყორანი.
შუაღამისას მოვლენ აფთრები.

* * *

ყანას შეველ, შევენისლე,
ქარ-ღრუბელი გავლალე,
ყაყაჩოსთან ნავიჩოქე,
ლალი რძეში დავნამე.
შევაწყვიტე ბაგეს კოცნა,
მზე-საყვარელს გავყარე,
ჩამობურდულ ნანნავებში
ვარსკვლავები ჩავყარე.
გავთავხედდი, ვნება-ცეცხლით
სიყვარული ჩავხლართე.
გადაწითლდა მზე - მეტოქე
ჯავრიანად დამტორა.
მარტო ვარ!

* * *

"გუშინ" - უკვე აღარ არის,
მოკვდა უზიარები.
მოთქმით არვინ შეაწყვიტა
სამრეკლოებს ზარები.
ილვენთება დაისი და
ეს დღეც მალე გაქრება,
გულისთქმანი არ ცხრებიან,
როგორც ხარბი ნოქრები.
გაქონილი მზერა რტოებს
დააბინდებს, დალაქავს,
სალახანას ვგავარ ახლა
შემოხიზნულს ქალაქად.
დამისხლტება ოხვრა ბაგით
როგორც ბავშვი თავნება,
ჰაერს შანთავს ათაშანგი
და სუნთქვა მეთანგება.
ტაძრის ბილიკს შევუყვები,
დარდის მძიმე ბორკილით,
გამომინდის ვიღაც ხელებს
გადასარჩენ თოკივით.

ტკივილი

არ იცი, სად ჩამოაყრდნო
სველი, დაღლილი თვალები,
კვდება მზე ხანჯალგაყრილი,
იშლება დღის ნაკვალევი.
სულში თარეშობს ტკივილი,
დამფრთხალი წარსულს აწყდები.
იქაც - გამქრალი კერპები
და დარღვეული ტაძრები.
ირყევა რწმენის გუმბათი
და სიყვარულის თაღები,
გეწვევა ჯოჯოხეთური
სურვილი გარდაცვალების.
ცამდე აინევს ნაღველი,
მაინც სიცოცხლეს შერჩები,
როგორც არჩივი სოფლისა...
და ცრემლს ვერ გადაეჩვევი.

გავალ ბილიკზე

მზე გაილიმებს, როგორც მარიამ...
დაელმდებიან ბაღში ვარდები.
გავალ ბილიკზე, როგორც განგება
და ვინმე ყარიბს დავემგზავრები,
უცხო მხარეში სახეტიალოდ.

* * *

ამოისუნთქეს მთებმა ნისლები
მზეს გაითქვიფა ღრუბლის სილაში,
მიმოზისფერი სევდით ვივსები.

მარტის პირველი

ამორძალივით შემორბის მარტი
და მოაქვს ცათა ლურჯი ჩქერები,
დარდის ბორკილებს ხელდახელ ამყრის
და დამაფეთებს ველურ შვენებით.
ცხენები მოვლენ გაზაფხულიდან,
მზის მოციქული თეთრი ცხენები
და ავსებული სიცოცხლის მადლით,
ზეცას ღიმილად შევეშენები.

მზეო, მიხსენი

ჩაემხო, ჩაინთქა ღამეში
ჩემი დაჩეხილი სიზმარი.
წავიდნენ ქარები თარეშით,
როგორც ურდოები ყივჩაღის,
დახიეს იმედის ნიგნები,
დახოცეს ოცნების ირმები.
მარტო ვარ, დარდები მიწყვია
და ტკივილს ვერ დავევინყები.
გათენდი. სინათლე მომწყურდა,
სულს ახსოვს სიცოცხლის მითები,
გათენდი, ჰე, მზეო, სადა ხარ,
გათენდი, მიხსენი.

ცისარტყელა

დააწერს შუბლზე სველი თითებით
ცას ცისარტყელას უფალი გზნებით,
ნაიკითხავენ ველის შროშანნი ბაგეთა რხევით
და სიხარული მოშარიშურე
დაეფინებათ ლამაზ ღაწვებზე.
პირდაბანილი მზე გამოჩნდება,
ხალებიანი ტანის დარწევით.
დანურულ ღრუბელს ნაიღებს ქარი,
ჟამი მოხდენით ჩაიივლისებს...
დღე იხასხასებს, ნაზი და მშვიდი,
როგორც რძიანი სუნთქვა ჩვილისა.

ვარსკვლავთა წვიმა

პასტორალი

აქ გუთანმა გაიარა გუშინ,
ვნების ცახცახს ვერ იოკებს ხნული,
მწყემსი ბიჭი შემოდენის ძროხებს,
რძე მონვეთავს გატიკნული ცურით.
და ნისლები, დედამიწის ბუშნი,
შებინდავენ მოარშიყე მწვერვალს.
მწიფე ვაშლებს ტკრციალი აქვთ მოლზე,
რქანითელი ბებერ ქვევრებს ხეთქავს.
იდღვიბება ჩამოვარდნილ მზეში
მადლიანი, მკერდბარაქა მიწა.
დაეკარგა კამეჩს ლურჯი ზაქი,
ქართლის ქარი კახეთს გადაირწა.
იზნიქება ბრონეულის ტოტი,
საკოცნელად იწევს სველი ბაგე.
ლექსებსა წერს ორღობეში შვინდი
და საღამო ჰგავს ვარდისფერ ნაღებს.
და კაკალი - სოფლის ბრძენი მოგვი,
ისევ ბედის ტრიალს უთვალთვალებს.
აყეფდება შარიანი ძაღლი,
არ მიუხტეს ქვრივს ეშმაკი მთვარე.

საღამო მოდის

საღამო მოდის გზაზე, ვით უდარდელი დენდი,
დასრიალებენ ცაზე ღრუბელნი გაუხედნი.
მე კი გაჩენას ვწყევლი,
ვეძებ, ვაწყდები ხიფათს,
ხან შეშლილვით ყოფნის ამაოება მხიბლავს.
მოგვივით მივდევ ვარსკვლავს,
მიმიყვანს მაცხოვრისას,
გავიგებ, რატომ მოველ, გავიგებ, საით მივალ.

მზეში

მზე მიმზერს, მზეშია ყვითელი ზვინები.
ვინებე. მინება. და ვიგზნე ზეიმი
მინდვრის ზიზილების.
იელვა ველიდან უზომო ალმურმა.
დაელმდა ღრუბელი ულევი დარდითა.
ვილევი ნამივით.
მზე მიმზერს. ვილევი.
მზე დამლევს, მზე მიგზნებს.
მზე ზეცას ნამიყვანს.
მზე მიმზერს. მზეს ვუმზერ.
მზეში ვარ. ვილევი.

რად დაიგვიანე

ო, იდუმალებავ, მოსულხარ კანკალით
დასავლის კიდედან, ვით ნაზი ქალწული.
ეს კიბე, გგონია, მიგიყვანს კოშკამდე,
სად შენი სნეული მიჯნური მიგელის.
რად დაიგვიანე, უშენო დღეებმა
ნაცრისფერ ფიქრებად აქციეს ყოველი
და ისიც ცრემლებად დადინდა მინაზე.
დატოვა ბარათი-დამჭკნარი იები.
რად დაიგვიანე.

მარტი

მარადისობავ, არ გიცნობ
და რად მენატრები
მარტის თვალებში ირეკლება შენი პროფილი,
უარყოფილი სულებისგან ვგავარ მათხოვარს,
ქარს ვევედრები, მინყალობოს ფრთების ბუმბული.
უიღბლო დღეებს თალხი ფერის თავშლები უჩანთ.
სახეს მალავენ აზიელი დიაცებივით.
წვიმს, ღრუბლის ვარცლებს
ვერცხლისფერი წვეთები გასდით.
შორს ლურჯ მდელოზე გაიშლება მალე სუმბული.

უცხო სამოსით

ოაზისები მომელანდება
და მანდილები სირინოზების.
გადახაზული ლურჯი ბლანდებით,
ცა ქალწულივით გაინაზება.
ჩემი სიზმარი ვის დაბრალდება,
თითქო მზე ზღვაა წითელ ვარდების,
უცხო სამოსით გავლამაზდები
და ზარზეიმით მოსვლას გავბედავ.

შუადღე

გზის პირს მიჰყვება ბალბა ბარბაცით,
და შებოლილი მიაქვს შუადღე,
გაბერილია ბოღმით ღრუბელი
და ყველაფერი არის შუამდე.
მზეა პირთამდე სავსე შარბათით
და იბადრება ნამი უამე.
ბილიკი ლურჯად გამებლანდება
და ყველაფერი არის შუამდე
და დასასრული არ ილანდება.

შენ მოდიოდი

შენ ფერი გქონდა მზისებრ მჭვირვალი,
და ცანარევი გეცვა ფარჩები,
შემოდიოდა სახლში ღიმილი
და გადაშლილი ჩქეფდნენ ვარდები.
და აფეთქებულ გაზაფხულს ბაღში
ძირებით გლეჯდნენ დარდიმანდები.
შენ მოდიოდი, შენ მოდიოდი
ჯერ დაუტორავ იალაღებით.

ცას დააჩნდება

მთვარეში თოვლი დაეფინება,
ვით ფიანდაზი ბროლით ნაფერი.
დაფერდდებიან ძველი დარდები
და შებინდებულ ბილიკს გავყვები.
ოცნება ჩემი - მართვეს გაფრენა,
იქნება ნრფელი და აღმაფრენი,
ცას დააჩნდება ვარსკვლავ-ლაქებად
ჩემი მსუბუქი ნატერფალები.

ღამე

გადაიბინდა საღამო ნელი
და ვარსკვლავები ნამოწვნენ ცაზე,
როგორც ქალწულნი მოლზე ხავერდის.
როგორ მინდოდა, მომევლო შენი
დღე აშოლტილი და მობარბაცე,
მიმოქარგული ღრუბლის ხალებით.
მაგრამ ვიეჭვე და ვივაგლახე
და შევრჩი ღამეს ქარებრ შიშველი
და კვლავ ქარივით მივყვები ღამეს.

ვარსკვლავთა ნვიმით

ახლა იწვიმებს,
ვარსკვლავებით გავიჟღინთები,
სიზმრის გარეშე მე ხელანვდილი
გათენებამდე ასე ვიდგები
და მზეს შევხვდები,
როგორც ცვარი და დავინთქმები.
ამიტაცებენ სხივნი მაღლად,
სამყაროს ზედა,
და გაჟღენთილი სული ჩემი
ვარსკვლავთა ნვიმით
მზეს ეახლება.

მე არაფერი მაბადია

მე არაფერი მაბადია ღიმილის მეტი.
დარდი - ნაბადი, გაზაფხულმა შემომახია,
შემკრთალ სხეულში გასაფრენი შებუდა ჩიტი
და მზის ხარხარში ფოთოლივით ჩამომარხია.
მე არაფერი მაბადია ღიმილის მეტი.

შენი ღიმილი

შენი ღიმილი მაგონებს დედას,
ამოიწვერე, მზეო, გადაღმით
და ჩემი სულის მრუდე დაღმართებს
შენ აღმართივით შეუდექი
და მიმაახლე გადანახულ
დარდსა თუ შვებას,
ძველ ფოტოსურათს
ლაქასავით რომ შერჩენია,
დამხსენ ამ ღამის
დუმილსა და უსაზღვროებას
და განმაახლე.

წითელი წვიმა

გაშმაგებული, როგორც ულაყი,
ყელყელაობდა ყაყაჩო,
გადახვითქული ყანა მუდარით
ვერ აოკებდა ყაჩაღს.
ეს ალია თუ სისხლის ტბორები,
ვინ გადათელა მიწა ტორებით,
გიჟურად ვინ წყვეტს ლაგამს.
ჰეი, ნუ დასდევთ ულაყს ყვირილით,
მოჰქრის წითელი ტალღა.
ჩამოზვავდება ყაყაჩოები, მზეს დაადნება კაბა,
და ვნებით მოჰხვევს ყანას ლურჯ მკლავებს
თავდავიწყების ეშხით,
მერე წამოვა წვიმაც წითელი,
და სიხარულის თქეში.

ლხინი ჰქონდათ

შემოკრბა ზეცად
მნათობთა ჯარი საღამოისას.
შეოცდნენ მოგვნი, ენახათ არ სით
ერთად შეყრილიკრონოს და მარიხ
არა დროისას.
აღაპყრნეს თვალნი,
შეთრთოლდა ბაგე,
მიაგეს წყრომა ცოდვიან კაცთა,
უწინარსიტყვეს რისხვა მრავალი,
და იდუმალ ყვეს ხილვა საზარი.
მაღლით კი ნათელს ათოვდა დასი,
ერთად დარობდნენ ასპიროზ, მუშთარ
და ლხინი ჰქონდათ.

ღამის სტუმარი

სული შთამბერა ვინაც უკვდავი,
მოკვდავობისთვის რად გამიმეტა.
ვწერ აღსარებას ღამის სტუმარი
ფოთოლთა დამჭკნარ პერგამენტებზე.

სიზმარი

მზე დამხრჩვალი ზღვაში ეგდო.
სველ დალალებს წნავდა ტალღა,
და უშობელ სხივს ღრიალით
თოთო გულმკერდს უფატრავდა.
განეწილი ჰყეფდა ნისლი
და მოწოლილ დარდებს ხრავდა.
ცა ჩამოტყდა და ტკივილში
ჩაიჩეხა, ჩაიმარხა.
იდგა თეთრი სიცივე და
სიმარტოვეს ფიქრს აკლავდა.
უპატრონოდ ეგდო მზეი,
სახეს არვინ იკაწრავდა.
შორეთს ვიღაც ვინ ტიროდა,
ცრემლებს ნვიმად რად ასხამდა.

ზეცისკენ მიდიან

ეს ბილიკი ცისარტყელას ბაღებამდე
თითქო ბენვის ხიდია.
დღეები, ვით ქაშანურის ხალიჩები
გასაყიდად ჰკიდია.
მშვიდად მარცვლავს
კრიალოსანს ბერიკაცი,
იცის, ჟამი ფლიდია.
ყაჩაღ ნისლებს უკარება მწვერვალები
მრუმედ შეუბინდიათ.
ეჭვი ჩნდება, ვით ტკივილი ნატყვიარის,
ნდომა ისე დიდია,
საიდუმლოს მიელტვიან,ვით თაფლს ველურს
და ზეცისკენ მიდიან.

შემოდგომა

ცეცხლი ელავს შემოდგომის,
ბორგავს ვნება მოწეული,
და ქალები ჰგვანან მზეზე
გადახლეჩილ ბრონეულებს.
წველის მტევანს, როგორც ჯიქანს,
შავი გოგო თეთრ კბილს აჩენს,
ვაზის ჩრდილში ოხრავს პაპა,
ითვლის წლების გადანარჩენს.

დილის დალოცვა

მზემ დაივანა ველზე ალაზნის,
ვაზების მადლი იცხო,
გადასდიოდა მირონი ზეცას
და ლოცულობდა ცაცხვი.
ირმებს მოჰქონდათ რქებით დაფნები,
წყალზე ნათელი დადგა,
მზემ აიწია კვართის კალთები
შეეხო ცისფერ ტალღებს,
ალაზნის ძალით განახლებული,
მერე წავიდა ცაზე.

ისიც შეიწყალე

კაბის კალთებს დაგიკოცნი, დედილა,
მზე მოდენის იალაღზე ხარებს.
ეს რამხელა დარდი შემოგკედლია,
მშიერ აფთარს საით შეეყარე.
შეკრთებიან საფლავებში ბიჭები,
როს დაანვიმთ შენი ცრემლი მწარე,
გაიწევენ, ვეღარ წამოდგებიან
და შენს გულში შემონვება ღამე.
ეს რამხელა მოლოდინი გცოდნია,
სიზმრებად ქსოვ აუხდენელ წამებს.
ქოხის კართან წაიჩოქა სიკვდილმა,
გამოხველ და ისიც შეიწყალე.
ეს რამხელა სიყვარული გქონია,
რა სინათლე შეგდგომია თვალებს.
რა ვიცოდი, ღვთისმშობელი ყოფილხარ,
მზე კი არა, შენ მოდენი ხარებს.

მიგელიან

გახედნილი ბილიკივით
მორჩილია ბილიკი,
მიხვალ, მიგაქვს მუნჯი სევდა
და განგების ქილიკი.
ქარი ეკვრის დაფნის ფოთლებს,
ვით დაღლილი ყარიბი,
სულს ღიმილი შეაშფოთებს
მოცელილი ყვავილის.
ჰორიზონტი ურევს ლანდებს,
ცვივა სხივი დაისის.
ვიღაც სიზმრის ვარდებს დაკრეფს
და კალთაზე დაგიყრის.
მიგელიან ალბათ სადმე,
დარდი ფიქრებს აობლებს.
დაგიქარგავს ბაგეებზე
ჟამი ცის საგალობელს.

ერთი გზაა

მიღალატეს ციურ ძალთა,
მზე მარიდებს პირშავ სახეს,
ღამეს ჩამნთქავს გველეშაპი,
დილით ისევ წამომანთხევს.
კვდება გზაზე უპატრონოდ
ჭლექიანი ძველი სახლი,
მოზიარე არ ჩანს ახლო,
გაბერწებულ ჭადრის გარდა.
შხამის ისრებს მესვრის წუთი,
მოლოდინი დამეჟანგა.
ნუ შეშინდი, სული ყვირის,
სისხლისფერი მოქრის რაში,
ერთი გზაა, ბრძოლა, თორემ
განგება ჩემს ყოფნას წაშლის.

სადღეგრძელო

ჯამში ბობოქრობს რქაწითელი,
ბუბუნებს თორლვა,
მორღვევიაო ბებერ ციხეს
ძველი კარიბჭე.
ეს გაუმარჯოს იმ ვაჟკაცს, ვინაც
სამშობლოს ზეცას ბეჭით დაიჭერს.
თეთრი ტაიჭით ავა ღმერთებთან,
ცეცხლს მოსტაცებს და მოვა დაღლილი.
შეაქებენ და ხელებს ჩაიქნევს
და სოფლის გზაზე უხმოდ ჩაივლის.

ღამე

მოვიდა ღამე
ვარსკვლავების ბრჭყვიალა მძივით
მოცისფრო მკერდზე.
მოვიდა ღამე ბოშა ქალივით
მოქნილი და ცეცხლისთვალება,
უჭრელეს ფარჩის ღრმა ნაოჭით
იშიშვლა კარტი -
ნაირნაირი სიზმრების დასტა,
დაუკითხავად მომიჯდა გვერდით
და მიმკითხავა.

შლეგი რაშები

ისევ ეჭვი შემომიჩნდა,
წავალ, გავიხიზნები,
წამიყვანენ, სადაც მინდა
ჩემი შლეგი სიზმრები.
დამეხოცნენ ნეროები,
დაწყევლილი ისრებით,
მერამდენედ ვმეორდები,
მერამდენედ ვგიჟდები.
შუალამის ჯურღმულიდან
მოჩანს ვარსკვლავ_ნიშები,
რას ლოცულობს ბერი მთვარე,
ბედს რას ევიშვიშება.
მე ტყვია ვარ, ასხლეტილი,
ცდაზე მოთამაშენის,
წამიყვანენ, სადაც მინდა,
ჩემი შლეგი რაშები.

ცოდვების მორევიდან

ჯერ იყო დაცემა,
სურვილის მარმარილოს
შეერია მენამული ვნება.
მერე ამაღლება,
"განამზადეთ გზანი უფლისანი".
სხეულით შემოსვა _
უნმინდესი პოეზია.
ქვესკნელიდან ზესკნელამდე
მღვრიე შუასკნელი.
ცოდვების მორევიდან -
"გალობანი სინანულისანი".

ფოთლის პერგამენტი

სიტყვათა ჩრდილებში

ჰე შენ, ნარმავალო,
ნოემბრის ფოთლებით
ყვითელ მზერას რომ მაფეთებ ხარხარით,
შენც ჭკნები,
ჭადრების ხერხემალს მიყრდნობილს,
მოგიჩანს ჟამისგან დამდნარი ნეკნები.
ჰოი, ნარმავალო, მიდიხარ,
მე ვრჩები,
ჩემიდან ამოსულს
გზას გაძლევ სილაღით,
გეჩვევი, მეჩვევი
და მაინც გშორდები,
შენ ნარმავალი ხარ,
მე ნარუვალი.
სიტყვებით, ჯადოსნური, უკვდავი
სიტყვებით, რომლებიც რჩებიან
ყოველთვის ნაპირზე.
ემშვიდდები, ვიძინებ
სიტყვათა ჩრდილებში,
მზე ამოვა და გამომაღვიძებს.

ვან გოგის ცხადში დასიზმრება

ავტოპორტრეტში შენ ალმაცერი
მზერით შემხვდები.
სარკეში არავინ იქნება ალანდული..
მინა მზის ჩენჩოა მზერაში ჩარჩენილი.
ცრემლების მდინარეც ვერ ააღორძინებს.
ჩვეული ბილიკი ჩუმი და მორჩილი
მინდორში ნაგიყვანს და ყაყაჩოებით
დასიცხულ თვალებში შეგირევს ცისკიდეს,
ლურჯსა და უცოდველს.
ალმური გრილდება ფერების ლანდებში...
მუჭაში ღვივდება მარცვალი ხორბლისა

და გადახლეჩილი ყვითელი მუცლიდან
იელვებს ყანა _ უკვე სამკალი.
ცალკეა იფქლი და ცალკე ღვარძღი,
თავხედი ქარი, მარად აშარი,
მოვა და ყველას ერთად აურევს.
ივსები ხილვებით, ვით კიპარისები სასაფლაოზე.
სინათლე უხრწნელი ტილოდან ამსხლტარი,
გალობს და მიაცილებს მხატვარს ზეცისკენ.

ფიროსმანი

ფართხალებდნენ დამწყვდეული ფასკუნჯები,
რეტდასხმული ტორტმანებდა ჯებირი.
ფუნჯი მისნვდა იდუმალ მზეს დაუნჯებულს
და ეწვია სირინოზთა მეჯლისებს.
რას ეძებდი, ლაჟვარდებში
რას ეძებდი,
შემთხვევით შემოხეტებულს
ჰგავდი საიქიოდან.
ყალამს გვერდზე გადადებდი დანანებით,
სული, ღმერთო, ოო, როგორ გტკიოდა.
მიწყალეო, გულს ფსალმუნით იამებდი,
დაინდობდნენ ნამქერები დამფრთხალ ირმებს,
აგამღვრევდა მარგარიტას დალალები,
შმაგი მზერა დაგესლავდა დანაპირებს.
სველ თვალებში შველს
ჩავცქერ და მელანდები.
ქარი დაქრის გარითმული მაჯამებით.
ბროლის მთვარეს ყომრალ ღამეს აჯახებდი.
იღიმოდი მისტიკური ფერადებით.
დაინთქმება უდაბნოში დროის ვრცელი ქარავანი,
გზის ბოლოში შემოგხვდები,
მწყურვალი და დამაშვრალი.
მოდრეკილი, მოთენთილი გარიყული ნამავალი.
შემოგვედრებ, შემიფარე,
ნახატის ოაზისიდან
მიწყალობე ნმინდა წყალი.

დაუწერელი ლექსი

ახლა მე შეშლილს ვგავარ,
სულში უცნაურ გზნებით.
მირღვევს სიცოცხლის სამანს
დაუწერელი ლექსი.
გზები არა ჩანს ცისკენ
მზეს უკიდია ცეცხლი.
არ ვიცი, საით ვიწევ,
მომდევს დაჭრილი ვეფხვი.

ლექსი ამოვა

სიზმრებმა შხამით
ისე დამგესლეს,
მორიელებმა ვით
კოშკი ძველი.
დღე გავასვენე ჩუმად,
ქურდულად,
კვლავ შერცხვენილი
და უბრძოლველი.
გაცვდა ლოდინი,
როგორც ძველმანი
და ჩონჩხის დარად
დავრჩი შიშველი.
ვბერდები მეც და
ჩემი ოცნებაც,
ვფართხალებ მსხვერპლი,
შეუწირველი.
ხვალე თავიდან!
ჯიუტად ვბედავ და უცნაურად
ბედს ვეჯიბრები.
გამოჰკრავს ღამე
ალმასის ბრჭყალებს
და ვარსკვლავს სიმწრის
დასცვივა ცრემლი.
ლექსი ამოვა ჩემს სასთუმალთან
და ერთადერთი ის თუ მიშველის.

* * *

რთველი მქონდა
კანდამსკდარი ფიქრის,
სიტყვის გორა ყურძენივით დავნურე,
ღვინოსავით ჩამოვასხი ლექსები,
დიონისემ ვერ დაუდოს რამ წუნი.
ხოხბისყელა, გამომწყვდეულ სურვილებს,
ძაფებივით დავაწყვიტე მარნუხი.
ოცნების და სიხარულის ხატი ვარ,
გაზაფხულზე ვაზის წნელით დანნული,
მოდით, ყველამ დამილოცეთ ბარაქა,
აგრემც თქვენვე დაგელოცოთ რძალ-წული.

ღვთაებრივი ლექსები

თეთრი ეტლით მოვა მთვარე
და სულს შემოეგზნება,
ვარსკვლავები, როგორც ღამის
ღვთაებრივი ლექსები.
ამ იდუმალ სამყაროში
ფიქრებს ვერ დავეხსნები,
სული გალობს სიყვარულზე
და ტკივილით ბერდება.
ნამო, გარეთ რაში იცდის,
შორს ბილიკი ქაფდება,
სიცოცხლეს და სიკვდილს იქით
ყვავის ჩვენი ვარდები.

სანამ ლექსი ცხელია

დამახალე დატენილი ლექსები,
გული მოკვდეს, გრძნობა სისხლად დაიქცეს.
დამიშანთე გაცვეთილი ეშვები,
შემახვედრე, შემაერთე ქარიშხლებს.
თბილისს დარჩეს მოლოდინი ბებერი,
და დაღრღნილი, უხერხემლო ქუჩები.
ვერ მოდრიკეს უხედნავი კვიცები,
აცეცხლილი ვნება ბედს ეურჩება.
სად წავიდნენ ის ყელყელა ქალები,
და სიზმრებით დაქსოვილი ნისლები,
არ მოდიან მაშრიყით და მაღრიბით
რაინდები შუბით და ფარ-შიმშერით.
შიშველი ვარ, როგორც ქარი ნოემბრის,
მზე ნელდება, ვით ჩამქრალი ბუხარი.
გამათავე, სანამ დამენანება,
სანამ ლექსი ცხელია და მქუხარე.

* * *

ქარიშხალი ჩადგება, მჯერა,
და მოდგება დავანების ჯერი.
ჩაისუნთქავს
ვილაც მძლავრად სამყაროს
და ყველაფრის მქმნელი
მზიდან სიტყვა გამოვა.

წამო ჩემთან

ცათა ტევრში მზე ამაყობს
და დუმს ქვეყნის გამჩენივით.
მიყვარს ეს დღე, ვით ნადავლი,
დრო-ჟამს ლექსით ახლეჩილი.
დავიტბორე ღვთიურ მადლით,
მინდა ნათლად ჩამოვჩქერდე,
და ვხალისობ სხივებივით,
ჰაუ, სად ხარ, წამო ჩემთან.

ვიცი, ბოლოს სიკვდილს შემყრის
ბედის მოთარეშე ეტლი,
ვინ გადურჩა დავინყებას
ნლების რისხვით დანასეტყეი.
ეურჩები მაინც ყოველს,
ნამო ჩემთან, გავშლი კარავს,
სიყვარულის და მზის ლექსი
ყველაფრისგან დაგვიფარავს.

* * *

ასე მგონია, გავექეც ჯალათს
და მივემთხვიე დილის სალოცავს.
როცა ფიქრების ზღვა ამიჯანყდა
და დარდის მხსნელი
ლექსი ნამომცდა.
ვარ ავსებული ნკრიალა ვნებით,
და სულს ვირნყლულებ ზეცის წყაროდან,
მოარღვევს მინას იების ჩქერი,
ვით გაზაფხულის წმინდა წყალობა.

ლექსის ძნარები

სულს შემისახლდნენ ქარები,
დაშალეს ფიქრის ზვინები,
ნავალ და ლექსის ქნარებით
მზის ტაძარს შევეხიზნები.
გათავდნენ ძველი ზღაპრები,
ბედი არ ფანტავს თილისმებს,
დავრჩები ცათა გადაღმა,
მომენატრება თბილისი.
და ვით დაკლული ხარები,
ყრია ნასისხლი ღრუბლები,
ნავალ და ლექსის ქნარებით
მზის ტაძარს დავეყუდები.

მეწამული ხმები

პროლოგი ლიმონიანი ჩაისთვის

იმ გოგოს ვარდისფერი კიმანო ეცვა.
ამოქარგული თეთრი წეროებით,
ათასფრთიანი ქათქათა წეროებით,
ფრთებს რომ ამრავლებდა
ქარი მწვერვალების.
მიფრინავდნენ წეროები ლაჟვარდებისკენ
და მაინც იმ გოგოს ვარდისფერ მდელოში,
ვარდისფერი რტოების
ჩრდილებში რჩებოდნენ.
გოგო კი სიფრიფანა, ატლასის პირისკანით.
სახელად იოკო, ან თუნდაც აკიმურა
ან იქნებ, მაიკო...
ვარდისფერ ხალიჩაზე, მუხლებს მინდობილი,
უებრო პორცელანში ჩაის ასხამდა
და სურნელს აფრქვევდა ჩაი უჩვეულო.
სურნელი მზისა და ხოდაბუნების ჰაერს აბრუებდა.
ეს გოგო კი ვარდისფერი,
როგორც თვითონ სიცოცხლე,
ახლად მოვლენილი, თოთო და ცინცხალი,
იმეორებდა რაღაც იდუმალს,
კრძალვით და რიდით იმეორებდა.
ფინჯანს კი ახსოვდა ბაგენი მრავალთა,
მათ შორის დედოფლების.
კედელზე გოგრის უბრალო ვაზაში იდო ამ დილას
მონყვეტილი ყვავილი, ისიც ვარდისფერი.
და სიმშვიდეც ვარდისფერი.
იყო და არ იყო. ახლა მე აქ და არა იქ.
აქ, სადაც ნაცრისფერი უფრო მრავალია.
ბრდღვიალა ლიმონით, ყვითლად რომ მოწვეთავს.
ვაპირებ დავარღვიო ზღუდე დროისა.
ის გოგო ვერ მხედავს, ვარდისფერი და სიფრიფანა.
მე კი მის გვერდით ვზივარ გატრუნული
და ჩაის გეახლებით,
რომელსაც გემო აქვს უცხო სიხარულის.
ყველაფერი მშვიდია და ვარდისფერი,
სარკმლიდან ბელურა გვიმზერს დაბნეული.

გიხსენებ, მამალო

გიხსენებ, მამალო, მაღალი ყელითა,
ფერადი ბუმბულით, ოქროსფერ დეზებით.
ამ ქალაქს ახსოვხარ შენ მხოლოდ ზღაპარში.
ყიოდი, თენდებოდა, დანგრეული შენდებოდა.
ყიოდი და შენი ვარვარა მკერდიდან
ცხელ გულს მზესავით ამოისროდი.
ყიყლიყო, ჯერ ერთი, მერე სხვა, მეორე,
მესამე, მეოთხე და ასე მრავალი.
აისის ორკესტრი, მჟღერი და ხმოვანი
და ვაშლის ყვავილებში ჩამდნარი მუსიკა.
გელოდი, გელოდი, შენ რომ იყივლებდი,
ეშმაკი გარბოდა წყეული სიზმრიდან.
შენ ისე ერთგულად, ბეჯითად ყიოდი,
რომ არ დაგავიწყდა, არც მაშინ, არც მაშინ,
როდესაც მესამედ, მესამედ იყივლე,
თავზარდამცემად, საბედისწეროდ.
დაწერენ ოდესმე შენზე პოემას,
რომ როცა ყიოდი, მზე სულ სხვაგვარად ამოდიოდა.
დუმს ჩემი საათი,დაღლილი მაღვიძარა,
ნეტავი რა დროა, თუ დროა, დრო როა.

მეწამული ხმები

დრო დადგა. მე განა მინდოდა.
დუმილის მდინარე მდორეა,
მდინარესავით. დო დო დო.
ვინ მოვა, საიდან, გროვდება
გორებად დამჭკნარი ფოთლები.
აქ ვინმე გაივლის, ფერები
დარჩება უნდო და უცვლელი.
სველია წარსული წვიმებით.
ეწამა, იდარდა, დაეცა
რბილად და უნაზეს გამებად.
წავიდა. ეს იყო ნამდვილი
მზის ჩასვლის მეწამულ ხმებივით.
ცვალება მის გარდა
შეიტყო ვერავინ, მის გარდა
ეს ჩუმი გარდაცვალება.

ფიროსმანი და ტიციანი

ჯერ ძროხა დახატა,
ნითელი და თვინიერი,
მერე დედაკაცი,
ჯიქანს რომ წველის.
ქაფქაფა რძეს მიელიან
ქოხში ობლები.
ფიროსმანის ამ ნახატს მოუხდება
სტრიქონები ტიციან ტაბიძისა:
"ნეტავ მე ისე მიყვარდეს პოეზია,
ან თვითონ საქართველო,
დედაჩემს რომ უყვარს
მენველი ძროხა".

დო. რე. მი.

მდინარე. დამდნარი
დარდებით ადიდებული და მდორე.
დო. რე. მი. მოვდივარ,
ვარ და არა ვარ. ვარდები მარადისობისა.
ვვარდები. არ მინდა. დროა
და არ არის დრო. არა, არასდროს.
მერე რა.... ოდესმე ალმასთა არილი.
მთვარეში თოვლია.შორია. მდინარე.
შევდივარ. მეორედ, მესამედ.
რუხია მდინარე და მდორედ მდინარებს.
შევდივარ მეშვიდედ და მერვედ შევდივარ
ერთსა და იმავე მდინარის დარდებში.
სიმშვიდე, ვიშვი მე. ოდესმე.
ვერ მშველის. ვერ ვიშვებ....
შიშველი თვალები და შიში.
დრო არის....დრო შენში....დროს გაედევნები.
დრო მადევარი.... შენ დროში.
ოდესმე დაიშლები დამაშვრალი, თიხაში
და მერე. არასდროს... ოდესმე თიხიდან
თბილი თითები, თოთო თიხიდან.
და ისევ თავიდან. და მერე
მდინარე. დო. რე. მი. დო. რე. დო.

მახსენდება

არხეინად თვლემს
წირპლიანი მთვარე,
ღამე არის უსაშველო, ვით დედაბრის დარდი.
ვილაც ლექსებს წერს და უნაზეს გამებს.
ხეტიალობს მარტოდმარტო
ბნელ ქუჩებში მარტი.
მახსენდება, თითქოს ასე იყო მაშინ,
ამ ქვეყანას როცა მოვევლინე მე.

რა დროა თუ დროა

დადუმდა საათი, წითელი და სათნო,
ჩემი მაღვიძარა. ისრები შავი,
დაკეცილი ფრთებივით
უწყვია მხრებზე და აღარ უხარია.
ახსოვს კი, ნეტავი,
დროს როგორ მისდევდა, ჯიბრით და თამამად.
ეგონა, მიჰყავდა დრო, როგორც ულაყი
და მკაცრი მათრახით მის ჟინს აოკებდა.
ახლა კი დუმილის ტბორშია ჩამცხრალი
და აღარ ტიკტიკებს.
რა დროა, თუ დროა, უდროო დრო როა.

მეგობრებს

დავალთ, როგორც ბაღდადელი ვაჭრები
და თან დარდის ხალიჩები დაგვაქვს.
დავდუღდებით, მალე დავიმაჭრებით,
სხვანაირი გზები ალბათ არ გვაქვს.
მახლას, ჩვენკენ მობარბაცე სიბერე,
და სიკვდილით საბოლოო მარცხი.
ერთმანეთის სიყვარული გაგვიტანს,
ერთმანეთის ჭირს თასივით დავცლით.
ეს დღე ერთი იებით და ვარდებით,
მზით შეკრული აინთება ხვალაც.
ვიყოთ ერთად, სანამ არ გავთავდებით,
სანამ ცაში ლექსებად არ ავალთ.

ელენეს ცეკვა

ჩემს ნათლულს ელენეს

ცეკვავდა ელენე,
უვნებო ცეცხლით,
წკრიალი ვერცხლის
ზანზალაკების.
სხეული თოთო თრთოდა
დამფრთხალი ველის შველივით...
ეული მაჩიტა ნამდაფრქვეული
მზის ხელისგულზე
და მონანავე ნიავის სუნთქვა...
სულ ოთხი წელი, ისე მსუბუქი,
რომ თითქმის ფრთები
პაწაწა მხრებზე.
ცეკვავდა ელენე, სოფელი
მომღერალი ჯერ არ იცოდა.
იქ კი წარსულში
დიდ ქალაქში შეჰყავდათ ცხენი,
დაეცემოდა მალე ქალაქი,
სისხლსა და ცრემლში ჩაიქცეოდა
სასახლეები.
აქ კი ცეკვავდა შავთვალა ელენე.
ნორჩი და ხასხასა.
უმანკო, ცინცხალი....
იმასაც, იმ სხვასაც
ელენე ერქვა... ჩამქრალი
ნაკვერჩხალი... ნაცარი...
დაჭკნა და ფოთოლივით
მინაში ჩავიდა.
ნაცარი, რომელიც ცეცხლმა
მიატოვა.
ცეკვავდა ელენე, როგორც თვით
სიხარული.
სევდა კი გარიყული იჯდა
მოთმინებით, ურჩი და უდრეკი.
თავის ჟამს ელოდა.

გონების უდაბნო

ის მითვალთვალებს, მნიფე თავთავებს
როდი კრეფს მხოლოდ ლაღი ფერებით.
უცხო მოხიბვლას არ გაათავებს,
ზღაპრებს დამირგავს გულის მინდორში.
და ფიქრის ძაფი, როგორც ქეძაფი.
შხამის ნაქარგებს სულში გამიშლის.
და უდაბნოში ჩემივ გონების
გავეშურები, როგორც დერეიში.

გახსენება

ყარაჩოხელებს მიჰქონდათ ღამე
მტკვარზე ტივებით,
მეტეხს დაეცა ბებერი მთვარე ანატირები.
იყო დარდები, იმედები გასაკვირები.
გახელებული გული იყო, გრძნობა მიჯნურთა
და კალმახივით სხმარტალებდა ღამე თბილისში,
ლოთი კაცივით ისევ მთვრალი
ჟამთა თილისმით.
ცას მოუჩანდა ვარსკვლავების თეთრი წვიები,
მიირწეოდნენ ქარავნები გასაწირები
დავინყებათა სასაფლაოსკენ.

ზეცისკენ მიდიან

ეს ბილიკი ცისარტყელას ბაღებამდე
თითქო ბეწვის ხიდია.
დღეები, ვით ქაშანურის ხალიჩები
გასაყიდად ჰკიდია.
მშვიდად მარცვლავს კრიალოსანს ბერიკაცი,
იცის, ჟამი ფლიდია.
ყაჩაღ ნისლებს უკარება მნეერვალები
მრუმედ შეუბინდიათ.
ეჭვი ჩნდება, ვით ტკივილი ნატყვიარის,
ნდომა ისე დიდია,
საიდუმლოს მიელტვიან, ვით თაფლს ველურს
და ზეცისკენ მიდიან.

ვიყავით ერთად და გვიხაროდა

ლალის

გახსოვს რუსთველის ლურჯი გამზირი,
როგორც სიზმარი, როგორც ამბორი,
როგორ ჩაეხვა ნლები ვაზივით,
მივსეირნობდით ქუჩაში ორნი.

იყო საღამო სავსე ფოთლებით
და შემოდგომის ჩუმი ალერსით.
იკრიბებოდნენ სარდაფს ლოთები,
სიყვარულით და ეჭვით ნალესნი.

და ხერხემალი სტკიოდა ქუჩას,
ქარი უკულმა ქროდა აშარი,
და გვისხლტებოდა ხელიდან ურჩად
წიგნი ჯოისის და კორტასარის.

კაფეში, როგორც სამკითხაოში,
იწერებოდა წიგნი ბედისა,
და ინთქმებოდა ხმათა ქაოსში
მაღალი ლოცვა ქაშუეთისა.

მიიჩქაროდა თბილისი სადღაც,
შეყვარებული ურჩი ბიჭივით,
ვნებადაუმცხრალ კახპას მოჰგავდა
აალებული ტანი ვიტრინის.

ლაღობდა გული, სული დარობდა,
ვით სამყაროის ბატონ-პატრონნი,
მივსეირნობდით ქუჩაში ორნი,
ვიყავით ერთად და გვიხაროდა.

* * *

სვეტიცხოველი და ნიკორწმინდა
და ალავერდი _ ჩემი ჩინები.
თუ არ ქართული ბებერი მინა,
არყოფნას არც კი დავიჩივლებდი.
ჟამი საითკენ გარბის ფეთებით,
თეთრი რაშები ქრიან უბელო.
ამქვეყნად მისთვის დავეხეტები,
ვაზების ზეცას რამე ეუმღერო.

ბებერი მსახიობი

გასწით ფარდები! ძველი რამპები
რა უცნაური შუქით ბრწყინავენ.
აქ ჯადოქრების არის ლანდები.
სცენა ცახცახებს და მოლოდინით
გული უსკდება ბებერ მსახიობს.
ახლა დახევენ ჰაერს ლექსები
და ნვიმასავით მოვა ვარდები,
გულს კარიბჭენი გადაეხსნება,
დასამარდება ძველი დარდები...
გასწით ფარდები!

მთვარემ ლუზა ჩაუშვა

მთვარემ ლუზა ჩაუშვა
ორთაჭალის ბაღებში,
ჩამოკეცა აფრები
გაფხორილმა ქარმა.
შეიბრანა ვარსკვლავი,
როგორც მწვადი შამფურზე.
ჰეი, ყარაჩოხელო,
ჟამი ჭკნება, სად ხარ?

მენატრები

შენს კალთაში
კარვებს შლიდნენ ანგელოზნი,
შენი ბაგით იფრქვეოდა ზღაპრები,
მზეთა ბაღში ვყუჩდებოდი გალურსული,
შენთან ვარ და მაინც შენ მენატრები.
მახსოვს, ერთხელ გადავიცვით სამოსელი,
სავსე გვქონდა ჯადოსნური ჭურჭელი,
ქუჩა-ქუჩა და კარდაკარ დავდიოდით
და სიხარულს ვარიგებდით მუჭებით.
ბაბო, მითხარ, ის საღამო სად წავიდა,
რომელ მხარეს გაითხარა სამარე,
და ბავშვობა დარჩა სადღაც გარიყული,
გაცვეთილი მოგონების ამარა.

გახსოვს

ლიას

წვიმამ გაწუწა ბალი ზამბახის,
ამ დღეს ტკივილით ტკბობა უხდება.
გახსოვს დურუჯი, მთების მაზანდა
და ბოჰემური თავისუფლება.
დაანყვე ერთად, მერე გადასწვი
ის ბარათები, გიჟურ ოცნების.
ბაგე ლოცვებით არ იკოცნება
და დახოცილი ყრია ხოხბები.
წინ მწვერვალები აიტყორცნება,
ცას ააქაფებს ღრუბელთა ჯოგი.
ჯოჯოხეთშიაც შემოგეყრები,
ამოინატრე შენ ოღონდ, მოდი.

ბაბოს

ამ შემოდგომას შევხვდი უშენოდ,
გარეთ ქარია და მენატრები.
არ ვიცი, სულს რა შემოვუშენო,
გაძრცვნილან ზეცის ლურჯი ხატები.
შარშანდელივით მოდგა საღამო,
შარშანდელივით დაჭკნა ვარდები.
არ ვიცი, სულს რა შემოვუშენო,
არ ვიცი, ტკივილს როგორ ვუშველო,
როცა მარტო ვარ და მენატრები.

ოც წელთან დამშვიდობება

ნუთუ აქედან იწყება დაღმართი,
როდესაც მწვერვალი ახლოა ასე.
ეს ოცი ბილიკი რა სწრაფად ვიარე,
მიმყავდა დღეები, და როგორც ტყვეები
ჩემს ფერხთით ეყარნენ
მშფოთვარე დევები.
და თვლემდა უბეში შიში, ჯერ უსახო.
ო, როგორ ვიალე!
ვილხინე, ვილაღე და ვინკრიალე.
მოჰგავდა ყოველი
ნათელს და უმტვეროს,
ეს ოცი ბილიკი რა სწრაფად ვიარე,
ლაღი და თამამი მივქროდი უბელო,
და ზედ ცის კიდურთან
გავთავდი.

შემკრთალი მინაქარი

წაკითხვა

ვკითხულობ კიბეს და მის თავთან
გატრუნულ კატას
ობობას ფარჩას საცეცების ყაისნაღებით
უხვად დაქსელილს,
ქუჩები ურითმო ლექსებია...
ნვიმის წაკითხვა მაისმა მასწავლა.
შარშან შენც ერთხელ გადაგიკითხე...
ვკითხულობ მთვარეს ყდაშემოფლეთილს,
უიღბლოდ გადაფურცლულს თბილისურ ღამეებში.
ვკითხულობ მიტოვებულ ბავშვებს და
დაღლილ მათხოვრებს
ავლილ და ჩავლილ ფერად_
ფერად კაცებს და ქალებს.
ბომონებს ახალს, ჩამოტანილს შორი ქვეყნიდან.
ვკითხულობ უპატრონო სასაფლაოს.
უვნებო ფრესკის ცხელ ცრემლს ვკითხულობ...
ხანდახან თავსაც გადავიკითხავ,
თუმც დაწერილი ვარ მოსაწყენად.

ის გზა

საიქიო ღამიდან სააქაო დღემდე
არის ერთი წამი თუ უთვალავი წლები.
ვინც აქედან წავიდა,
ის ჯერ დუმილს არჩევს,
ვინც იქიდან მოვიდა,
ის ვერარას გვეტყვის.
ვეტრფით ლაღი სიცოცხლის
უხვფერიან ტევრებს,
ცასაც ვეჩურჩულებით...
გვყოფნის მზის და იმედის,
სიყვარულის სითბო,
საიდანაც მოვედით, საითკენაც მივდივართ,
ის გზა ჩვენ ვართ თვითონ.

უარი

ლელას

დაივიწყეს გზებმა და ჩრდილებმა
მელნისფერმა ეზომ, თანატოლმა ხეებმა,
მინაში ჩახატულმა სახლებმა,
მეზობელმა ღრუბლებმაც
უცხოებივით ჩაიარეს.
მერე სხეულსაც ჩამოსცილდნენ
ხელები, სითბოს ოქროები აღარ სცვივა.
წყალობას რაღა შეუშვიროს,
მუჭები დაეკარგა,
თვალები გაჯიუტდნენ,
კარიბჭე გადარაზეს.
სადა მაქვს პირი, რომ შევჭამო...
თბილ ლავაშში ყინულია გახვეული.
სიცარიელის თქეშში უცებ დაიქუხებს
და ელვა გაკრთება: ჯერ ბავშვებს აჭამეთ.
რა უმზეო ღამეა,წყვდიადით მოთენთილი.
სიტყვებიდან პატარა დედაჩემი მითენდება.

თავბრუსხვევა

მამას

რატომ აღარ ცეკვავს ჭინკა,
ფანჯრის რაფაზე მთვარემ უკვე გაფინა
გაცვეთილი ხალიჩა.
ბზრიალებენ ვარსკვლავები, ბახი აურ-დაურიეს.
ტვინის ნამსხვრევებზე
ფეხშიშველა ფიქრმა გაიარა და
დასერილი ტერფებიდან მტევნები გადმოცვივდა.
ღვინოში გაშენებულ ბაღში შროშანების სუნი იდგა.
სიზმარს ყვითელი კუდი ჰქონდა და
ხავერდის ქუთუთოები.
თვალებიდან გადმოდინდა ჩავლილი დღეები
თავის ქალა დაიბზარა და
ლოცვის ნაკუნებით შეუხვიეს.
თავბრუსხვევა შესავალია ჯოჯოხეთისა.
სიჩუმის ნაკითხვა ისწავლა მამაჩემმა.

წავლენ დღეები

წავლენ დღეები და ფარშევანგებს
დაემსგავსება მათი გაფრენა.
მზეებით სავსე ჩემი ოცნებაც
განიძარცვება და ჩანავლდება.
მაგრამ ვუცადო ცვალებას რაით,
მოწვეთავს ზეცით რძე - განთიადი,
დღე დაწინწკლული ისე ბრიალებს,
მიხმობს, გამირბის, როგორც ციცარი.
ამ ალიონზე ყველაზე ფრთამალ
უცხო გვირილას გავეკიდები,
დაიჭიხვინებს შორით ღრუბელი
და სიყვარული წამეკიდება.
და აღარ წავლენ კვალად დღეები,
აღარც წუხილი ჩამეწვიმება,
ფარშევანგები, ფარშევანგები
ჩემს სიჭაბუკეს დაემძივება.

მონატრება

ბაბოს

ფოტოს ხეს წყალი დავუსხი,
ეს ბუმბული ბაბოჩემია.
ალუბლებმა გაიხსენეს
დაუვარცხნელი დილა და რძე
მკვახე ლეღვიდან გადმოსული.
კალთის სამოთხეში თაფლის მდელოები.
ანგელოზებს თმაში გვირილებს ვუწნავდი.
ვიცი, გენატრები. ძვლების ნამუსრევისგან
გამომიძერწე სანთლები.
დროის ძველმანს დაერღვა ნაკერები.
ფიქრი აგვირისტებს.
ტოტში შეყუჟული კვირტი
უარს ამბობს გაზაფხულზე.
ეკალი კი ნაადრევად
ყვავის გულმოსული.

ნაცნობი მაწანწალა

სისხამ დილას სიტყვებიც იღვიძებენ
ბნელ სიზმრებს
ფარჩას და ატლასებს აცმევენ.
ოქრომკედის მდელოებზე
ძონის ფარშევანგთან
მისეირნობს ზურმუხტის ნიამორი.
ჩრდილებად დაეფინებიან ავსულები.
ნუ შეგეშინდება სარკეების...
ის მხოლოდ ანმყოს მოიხელთებს.
შენ კი სიტყვებმა გამოგიხსნეს,
დროის ტყვეობაში აღარა ხარ.
სარკის ანრეკლი ჩრდილივით გასხლტება
და გამოჩნდება არაფერი _
კარდაკარ მოწანწალე მათხოვარი.

მუსიკის ჩრდილში

გრილ ხელისგულებს
მივანდე შუბლი.
შუბიანი ანგელოსები,
ზეციური მხედრობა...
შუბერტი... ავე მარია...
შუაში შეწყვეტილი აღსარება...
ამ მღვიმეში აღესრულა ის,
თითქმის შიშველი.
რიჟრაჟი იყო და სისხამ დილის
მოსასხამზე ამოქარგულ მზეს
ცვილისფერი სცვიოდა ცრემლი.

დასასრულისკენ

ცა ფითრდება და თვალს ვერ აცილებს
მიწის მკერდს - გაშლილს მზესუმზირებად.
მერე უგზავნის ნაზირ-ვაზირებს
ჰორიზონტების ლურჯი ეტრატით
და გახელებით ემიჯნურება.
ღრუბლები ჰგვანან
დაღლილ კენტავრებს,
დავიწყებაში განმარტოებულთ,
დაბრუნება რომ მონატრებიათ.
ყვითელ სურნელში დნება შუადღე,
და იტოტება გულში ტკივილი,
მელანქოლიურ ფერთა ჩრდილებით,
დასასრულისკენ მიდის ბილიკი.

ვიგალობებ

რა გაადნობს ამ ყინულის ლოდინს.
მოგძახიან მკვდრები, მოდი, მოდი.
გაზაფხულდა და ამოსვლა გვინდა.
აქ ჩემ ახლო ფესვებია შვინდის,
შემიწოვა და შემმოსა კვირტით,
ახლა მზე რომ დამიკოცნის ღაწვებს,
ავინთები, ვიგალობებ ყვითლად.

მოლანდება

მოჩვენებას ვერ ეურჩა
და ყოფნა არჩია.
გზა შურისგების.
მომქანცველი და
ჭკუის შემშლელი.
ხშირად მელანდება
ნამებულ თვალებით,
ჩემი ძმა _ შორეული,
პრინცი დანიისა.

დილა მშვიდობისა

გათენებულა, სხივთა ბულულებს
ბლუჯებად მაყრის
აბეზარი მზე,
მე კი გაცოცხლება მეზარება.
გადავბრუნდები და
ისევ მოვკვდები.
სიცოცხლე სიზმარში მირჩევნია.
ისინი კი, გაღვიძებულნი,
დიადი მიზნებით, ქვეყანას ამტვერებენ
და ობის თაიგულებს ჩუქნიან ერთმანეთს.
დილა მშვიდობისა, მკვდრებო,
ახლებო და ძველებო.
ურჩი სიჯიუტით რომ
დასდევთ აჩრდილებს.
თქვენ დარჩით, მე წავალ
და უცხო ლანდებს შევერევი.

დამარცხება

ლაჟვარდის ნატიფ,
შემკრთალ მინანქარს
ხორკლიან ჟინით
და ეკლიანი თავგამეტებით
ამსხვრევდა ღრუბლის
ჯოჯო ჯალათი
სტკიოდა სივრცეს,
სცვიოდა ცრემლი ბინდის დედაბერს.
იდრიკებოდა შიშისაგან თოთო ყაყაჩო.
და უსასობით დაბზარულ სულში,
ვით აოხრებულ, მიტოვებულ სანყალ ციხეში,
თბილ ცხედრებსა და ნანგრევებს შორის
დაძრწოდა შმაგად და უკანასკნელ
სხივებს ძარცვავდა ენების ყაჩაღი.

* * *

ჭაღს დასტრიალებს პეპელა,
თავბრუდამხვევი თამაშით
და ჰაერს ისე ატალღებს,
როგორც ნიავი მარმაშებს.
არ გეშინია, სულელო,
სინათლის ჯინი აშარი
მიგინდობს, მერე გაგწირავს,
ამოგდებს გიშრის ავშარას.
შორს, აქედან შორს გაფრინდი,
მიენდე ველურ თემშარას,
ჩამოშლილ ქვებთან დაეშვი,
სიბნელე შესვი პეშვებით.

გელიან

დღე გაეხვია ღამეში,
როგორც მეცხვარე ნაბადში,
მინყდა სიმღერა ნათლისა,
შაბაში!
სიზმრები პირქვე დაეშვნენ,
მთვარემ ღრუბლები დახია,
თავი მოიკლა ოცნებამ,
ახია!
ვერსად წაუხვალ ბედის ეტლს,
ყველა ზღაპარი ძველია,
გათავდი თუ გათავდები,
გელიან.

იქითკენ

გაქცეულ ბედაურს
მისდევენ კივილით
შხამში ალესილი მახინჯი ისრები.
მოსირმულ ზეცაზე
კვეცავენ დალალებს
სხივთა ნაზ ასულებს.
შფოთავენ მისნები -
იხიზნებიან შორეულ მინაზე.
იქითკენ, იქითკენ...
თეთრი ბედაური და შავი ისრები...
შორია იდუმალ თავანის კარიბჭე,
ვილაცა ტალახის ვეება ტერფებით
ახლახან გაფეთქილ შროშანებს აბიჯებს.
ანკარა წყაროში ბავშვია დამხრჩვალი.
შიშის და სიკვდილის უფერო წიაღში
სინათლის გედები ცოცხლადვე დახლიჩეს.
სუნთქვაა მაღალი, ცხელი ქარბუქები,
სურნელოვანი ყანის ლამუნი.
ძგერს გულის ებანი,
დაჭიმულ სიმებზე ურჩობით თვრებიან
უდრეკი ჰანგები.
ფიქრების ჩოჩქოლი -
გაუძლებს? გაუძლებს?
გზნება იზნიქება
უკანასკნელი უფსკრულის
კლანჭებში.
იქითკენ, იქითკენ, იქითკენ...
ისრები. იმედის სასახლეს
შეაკრთობს უჟმური,
ხარხარებს ისრის
ქაჯი სურვილი
და გესლავს მიჯრით.
რძისფერ ქედიდან
დაღონებული და შებღალული
ჩამორბის ქაფქაფა
და მღვრიე სისხლი.

სასაფლაოზე

I

სიმშვიდე - სინათლე თუ სიბნელე?
როგორც მზიანი ღამის ქარაგმა.
შემკრთალი ლანდი
ლელვის დაღლილ ვეება ჩრდილში
და გაცვეთილი დავიწყების უნდო ბილიკი,
რომელიც ვიცი, რომ შენკენ მოდის,
ვით დაისის წყარო მეწამული.
მაგრამ... ზღვა ჩამცხრალია,
როგორც ვნება დაოკებული
და ცარიელი. და ერთი ფერის
მტანჯველი განცდა.
ციცი ფიქრების მზერაში
ჩაგატარებენ უპატრონო ცხედარივით
და ტკივილებით დაცხრილულ სხეულს
მიწა ბალახით ამოგილესავს.

II

ოდესმე დნებოდი უნაზეს კანკალით,
ვით თაფლის სანთელი,
გიყვარდა. სიმშვიდე.
ჰაერში აიჭრება ვილაცის ვედრება
და ეცემა მოკლული ჩიტივით.
ერთი გაზაფხული საკმარისია,
რომ გაიშალო,
როგორც შოპენის სიბემოლი.
მთრთოლვარე ბაგეზე
უბრნყინავს გვირილას
წვეთები სითბოსი.
შენი სხეულის მღვრიე ტბორიდან
ამოქაჩული ურჩი ფესვებით.
როგორც თავდასხმა_
შმაგი რიტმების კორიანტელში
როკავს სამყარო. წამით გახსნილი
გამთენიისას. და მერე... სიმშვიდე_
სიბნელე თუ სინათლე?

შიში

თავს ვერ მოვიკლავ ახლა,
მე მეშინია სისხლის,
და ეს სიშიშვლე მზარავს
ამ მოუქანცავ შიშის.
მერე დაუთვლელ წამებს
თითებზე მიჯრით ვითვლი
და მოლოდინით დაღლა
მიჭირს, ო, როგორ მიჭირს.
ღამეებს სიზმრებს ვართავ,
დილა მეხრჩობა ფიქრში
და სულში კვდება მდაბლად,
რაღაც ჩუმი და დიდი.

უდაბნო

მზის ნაფეხურებს
დაჟანგებული ღრუბლების ველზე
მიჰყვება ქარი.
და ჟამს ერევა მიცვალებულთა გრილი სიფითრე.
რა შორი არი ახლა, რასაც ელტვოდი კრძალვით
და მერე ვნების სიშლეგეში გადაიფიქრე.
და შტოებდაჭრილ ხის ტანივით
გითრთის სხეული.
დაეძებს სხივი განწირული
დაისის კალთას.
გხიბლავს დრო - ჟამის უცხო ხვეული,
შიშის მკლავები გადარეული.
გარბიხარ სველი ლაჟვარდის ტევრში.
მაგრამ უდაბნო მოგდევს ფეხდაფეხ.
და ისევ იქ ხარ, საიდანაც გამოიქეცი.
ძელიდან გიმზერს შენი სულის
შიშველი ლანდი და ცხელი სისხლი
განვიმს სახეზე.
და ქარსაც სტკივა, როცა მზეს მისდევს
დაჟანგებული ღრუბლების ველზე
და გახელებით თვრება ტანჯვის იდუმალებით.

თოვა

ზეცის დაბინდულ ულევ ზვრებიდან,
ნებითა თქვენით თუ კრავებივით
შესაწირავად ვილაც მოგდენით...
გოდებით დრკება სივრცე დაცლილი.
თქვენ კი ლაღები, თმაგაშლილები,
თეთრ სარეცლიდან, თეთრ პერანგებით,
გაბრუებულნი შორი ხილვებით
მიწისკენ მოხვალთ, მოეზიდებით,
რომელიც გელით ხარბი ხნულებით
და ტალახების შავ კუბოებით.
მიჯნურის ნაცვლად შეგეგებებათ
შემოქუფრული ვნება ცერბერის.
გაბრუნდით უკან, გაბრუნდით უკან...
მშვენიერებავ, ო, უმეცრების.
ცხელ ხელისგულზე მომეცელება
დაულაქავი თქვენი ცხედრები.

* * *

დაუნდობელი იყო ბედი,
როგორც ნაჯახი ჯალათის ხელში.
იდგა საღამო და მოდიოდა
ვარსკვლავთა თქეში.
კვდებოდა მარტო,
უსასრულობის უცნობ წიაღში
ის ერთადერთი იყო მოკვდავი უკვდავთა ტევრში.
და დაწყევლილი სიზმარივით
სასტიკი იყო ეტლი ბედისა,
შეჩერებული სიკვდილის ფერხთით.

* * *

ჰორიზონტს ძონი წაეცხო, მზე გადაიქცა გადაღმა.
ჭმუნვამ შემიპყრო ოხერმა და მონასავით დამდაღა.
ქარი მოვარდა ჩაუქი, ულირსი რამე მაკადრა,
შენი ნახოცი კანჯარი დარბისო უკულმა - წაღმა.
თავი ჩავკიდე, დავდუმდი,ან კი მეთქმოდა განა რა,
მიქელ გაბრიელ დავლანდე, მომსვლოდა წასაყვანადა.

დუმილის მიღმა

(გამომც. „ლომისი“, 1996)

* * *

მზე დასალიერს დაეწინდა,
წავიდა ისიც... შენ მარტო დარჩი,
ორხიდეებთან შეკრული ფიცით,
რომ ნათლის წიაღს მიაღწევდი ოცნების ჩქერით.
და ახლა მიხვდი,უსიყვარულოდ
უნდოა ხიდი და უამური სიზმრის ახდენა.
ეს არის კუბო ყვითელ იმედის
ახლახან დღემ რომ შემოასვენა.
ნუ გაიქცევი, ყველა მარტოა,
და მუდამ, მუდამ არის გვიანი,
მოაქვთ ღამეში თეთრ ქერუბიმებს
გალობა სველი და ნისლიანი.
დარჩი... სიჩუმეს ბზარავს ფლეიტა,
სამყარო უსმენს იდუმალ ჰანგებს.
მიაყურადე, გეძახის ვიღაც
და შენს მოლოდინს სინათლით ავსებს.

შენ და მარტი

ქუშად მოჩანს დღის დაღმართი,
ფიქრი გტკივა ნანამები,
შორეთს მთები იხაზება,
როგორც სივრცის ნამწამები.
მიირნევა ლოცვა ცისკენ_
წყნარი გუნდი წეროების.
ბინდი აფენს ფიანდაზებს
სულის ფერმკრთალ მდელოებზე.
აქეთ ნახვალ... სევდის ბაღი,
იქით... იქაც ჭმუნვის ტევრი,
არსაითკენ მიდის გზები,
ცივი დარდით შენამტვერი.
მოინატრებ გზნებას ჩავლილს,
სასოების მწიფე მტევნებს.
ქარი წარსულს შემოგაყრის
უცნაური გამეტებით...
მერე მოვა შენთან მარტი
და ორივე ატირდებით.

ᲬᲕᲘᲛᲡ...

წვიმს და... სველი ციცრებია გარეთ,
ბსელ ღამეში
დარდებს ფქვავენ ლანდები.
ახლა უცნობ მიცვალებულს სადმე
დაჰფარფატებს ანთებული სანთელი.
დამელოდე,
ვიოლინოს ხმაზე
მოვალ რძისფერ ლოცვებით და ხატებით.
ცრის და...
სველი ციცრებია გარეთ...
და ბარათებს უცახცახებთ ბაგენი.
მახსენდები...
ვევედრები უფალს,
მოგივლინოს სასოების ნათელი.
სივრცეები გარინდული დუმან
გაცრეცილი და დამცხრალი აფრებით.
წვიმს და...
სველი ციცრებია გარეთ...

* * *

ეს დღეც დაგორდა ცრემლივით,
დაცხრა მირკანის ზმანება,
და გზნება გადაცელილი
წაიღეს უცხო ზარებმა.
ფიქრის გეხვევა მკლავები,
როგორც ველური იელი,
საღამო მოდის ნვალებით,
უსახო გადამთიელი.
ლანდებით შეიფოთლება
დაღლილ თვალების სარკმელი,
და როგორც კათაკმეველი
სიზმრის ტაძარში სახლდები.

სული სინათლით დაიკვირტება

დამქანარ ყვავილებს ფერხთით დაგიყრი,
ჰოდა, ეგ არის ჩემი წარსული.
ზმანებას შანთავს ვნება ჯვარცმულის,
იერიქონის მაკრთობს საყვირი.

განვყრი სურვილებს ნაფოტებივით,
შეშლილ ღამეებს გამოქცეული,
ფეთქავს დაფლეთილ ოცნების ხატი,
ვით ოზირისის ცხელ სხეული.

მონანიების მზისფერ ყანაში
სული სინთლით დაიკვირტება,
და სიყვარულის უტყვი მაყრები_
ცრემლები ცისკენ წავლენ ჩიტებად.

შენ სერაფიტი გერძვა...

შენ სერაფიტი გერქვა და გიყვარდა
ჭორფლიანი გაზაფხული.
სიზმრებიდან იღვიძებენ
ყვითელი დღეები,
მზეებით სავსე,
როგორც ფიჭები კრიალა თაფლით.
სიამაყის ბროლის ჩარჩოდან
ორი ცისფერი გრძნეული კრთოდა_
ხან ჯალათებად, ხან ნამიან იის კონებად
გარდასახული.
როკვა ცეცხლთან ერთად
გზნების გარიჟრაჟზე...
სამსხვერპლოს ცხელი
სისხლია თასში,
ციმციმ რომ მიაქვთ სნეულ მისანთან.
სიხარული _ თეთრი ირმები
სველი დრუნჩებით
შენს მარილიან ღაწვებს ლოკავენ.
დარდი _ მშიერი აფთრის კლანჭებით

გამოფატრული თოთო ბატკანი.
საღამოები _ ქვრივი ქალებივით
თალხ მდუმარებაში გახიზნული.
სურვილთა ბნელი ჭაობიდან
მოგესმა უცნობი სინანული.
ძვირფასი კოშკები და ღატაკი ნიავი,
ღვთაებრივ ჰანგებს რომ
გალობდა გროშებად.
აისი_ვარდისფერი გედების სილაღე,
ღამე_ქიმერების უსიერი სამეფო.
ქარი მარხავდა უდაბნოში
გარიყულ ტრფობას...
თენდებოდა და ღამდებოდა...
იყო თუ არა (იყო და რა იყო რა),
შენ სერაფიტი გერქვა...

* * *

ღამდება...
ქვრივი ქალები
მოდიან სასაფლაოდან.
კეცავენ ცრემლის კიბეებს
და თალხ თავშალში მალავენ.
დაობდა დარდი, იმედი,
ჩაქრა კოცონი დალალის.
დღეს ვისთან მიხვალ, სიკვდილო,
ვის უნდა მიემალამო.

ნახვამდის...

ნახვამდის... მიგიხმობს
უცნობი ხატება,
სივრცეთა ფერადი ხილვებით ნაზავი.
გაბზარულ ღამეში მზე მოგელანდება,
როს ჩრდილებს დააფრქვევს
ცა ჩაურაზავი.
შორი გზა იდუმალ ქარაგმებს გადაშლის,
ფიქრებში გაჩნდება სამყაროს პროფილი,

ზეცათა უზადო ლალი და ბადახში
იელვებს დამჭკნარ და გაცრეცილ ლოდინში.
ნახვამდის,...
ჩათავდა ამაო ყოველი
და აღარ დაათოვს სიზმრები სარეცელს.
მოცელილ თავთუხებს მოჰვვანან დღეები
და ცრემლი ჩაგირბის დანისლულ სახეზე.
ნახვამდის,... ჩვენ იქით
შევხვდებით ერთმანეთს,
იყუჩე... ის მერე ისეთი ვრცელია.
მიამბობ,... სიტყვები
იქნება ჩიტები...
და დაუსრულებლად ვიქნებით მარტონი...

შენკენ

მოვქრივარ შენკენ,
ატაცებული ქარით ფოთოლი,
ფიქრები რეკენ
და ცახცახებს გულის გოდოლი.
სული სავსეა
შროშანების თეთრი ყვავილით.
მზე ილანდება შორ ბილიკზე,
როგორც ყარიბი.
დღე მაღალია...
მოვქრივარ შენკენ,
დანგრეული ტაძრის კედლიდან
გამოქცეული ფრესკის ქალივით.

ტაძარში

თითქო გალობენ საკმევლის ჩიტები,
სურნელი ისეთი ხმოვანია.
ოსანა! ოსანა! დიდ არს უფალი!
სიმშვიდე იდუმალი მგოსანია.
სოსნები ყვავიან
ღვთისმშობლის მზერაში,
სულში იფინება ხავერდები,

იღვრება მაღალი ფიქრების ზედაშე.
ფრესკათა ნაცრისფერი გარინდება...
და მოცახცახე ლოცვა გადრეკილი,
ცოდვილ ბაგეთაგან გადმომსხლტარი,
მდუღარე ცრემლებით ალეწილი.
ნაღველით გათანგული სინანული.
განამზადეთ გზანი უფლისანი _
მთრთოლვარე სულებზე წაწერილი.
ოსანა! ოსანა! დიდ არს უფალი!
იონა გველეშაპის ბნელ წიაღს გამოაღწევს,
ისევ აღმოხდება მზე უცოდველი.
შენს გრილ სავანეში მოვდივარ დაღლილი
და როგორც იობი შენდობას გევედრები.

მოფრინავს ცრემლის ქათქათა გედი

ხმელ ფოთოლივით გეფშხვნება ფიქრი,
როს მოგეხლება ჟამის შხეფები,
უსურვაზივით გატყვევებს ხიბლი,
ღამეში სიზმრის შემოჩეხების.
გზებით სავსეა სამყაროს ტევრი,
ყაყაჩოები გარბიან ქარში,
მთვარის გაცრეცილ სილუეტს ეტრფი
და არ გბეზრდება სხივთან თამაში.
ბოლოს წერტილი. ბოლოს წერტილი.
სულში გაყრილი ცხელი სამსჭვალი,
მზე თვალებიდან ამოშრეტილი
და სურვლების ბაღი დამჭკნარი.
სად დაიკარგნენ დღეები ვერცხლის,
მარტოდ შთენილი ციალებ ობლად,
მოფრინავს ცრემლის ქათქათა გედი
და სინანულის იები მოაქვს.

გამიყოლებენ სულ სხვა ქარები

ლალის

მე წავალ ახლა,
და მონატრებას შენსას
ფოთლის დარად მოვწყდები,
ნუ გამომიწვდი ხელებს დაცრემლილს,
ნუ გამომიწვდი, ველარ მომწვდები.
ნუ დააბრალებ გატაცებას ვარდებს
მთვარიანს,
გამიტაცებენ სულ სხვა ქარები,
და მთათა მიღმა, და ზღვათა მიღმა,
და სამყაროის მიღმა დარჩენილს,
დამიფარავენ შენი თვალები.

მიწის ძახილი

როცა ზეცა მზეში არის აყრილი
და მკათათვეს სურნელი აქვს თივის,
მიგიზიდავს მაცხოვარის ხატივით
მიწა, ჟამის უძველესი მითი.
და მძფრდება ჟინი ანდამატივით,
რომ შეერწყა, შეეხვიო მიწას.
შეეყუდო, ვით სანუკველ ტაძარში
და ლოცვები იგალობო წმინდა.
შემოიწნა ტანზე მიწის სიგრილე,
მიწა ხარ და მიწად ყოფნა გინდა.
სადაც შენი წინაპრები წასულან,
იდუმალი ძალა გიხმობს იქითკენ,
სადაც შენი ტაძრები ჩამარხულა,
სად მარადი ღამეა და სიმშვიდე.
დაგიკაწრავს ხილვას უცხო ზმანება,
ჯალათივით გამოგიყვანს წირვას,
ის გიშველის, ცოდვებსაც ის შეგინდობს,
მიწა, ყოვლის მიმტევები მიწა.

ნუღა დამიძახებ...

ნუღა დამიძახებ, ცივი რტოები
აღარ აყვავდება ცვრიან შროშანებით.
ღამე მოშავდება,
როგორც ანათემა,
მოლასლასდებიან
სნეული სიზმრები.
აღარ გათავდება?
აღარ გათავდება...
და ცისკრის შესახვედრად
ნუღა მოირთვები.
ლა-მი-სოლ, მი-რე-ლა,
სოლ-ლა-რე, ლა-რე-სი.
როიალს ადარდებს
რაღაც იდუმალი
და უცხო ქალწულის
თითებით ივედრება.
უშველეთ! ქარებმა წაიღეს ფოთოლი
და მთვრალი ღრუბლები
ნაცრისფრად ოხრავენ.
დაუშვით ფარდები, მზე დარჩა შიშველი,
ფარჩები ატლასის ცხელ ტანზე შემოადნა.
ფიქრებით დახრული გონების ფიქალი
წამისწამ უცნაურს წამოშლის ნახატებს
ირევა სამყარო და ფლამინგოები
თვალების თაფლისფერ
ტბორებში როკავენ.
როცა შენ მეძახი,
მთავრდება აღმართი,
სიზიფეს ღიმილი ჰკიდია მწვერვალთან,
იხსნება ლაბირინთი... მაგრამ დავიღალე...
და საცაა ღმეც მოშავდება.

მოვალ დაღლილი

შენი აჩრდილის ლურჯი სავანის
კვლავ ვარ სტუმარი,
გრილ სამარიდან მოდის ვედრება
გაუხუნარი.
წამების ცვლაში არ დადნება
თოვლი ლოცვისა,
მოდრეკილ ფიქრებს დაჰკრავთ ფერი
შემოდგომისა.
შორია ახლა ცეცხლი ვნების
სურვილთ ზვავები.
მოვალ დაღლილი,
როგორც ტალღა ზღვათა ქცევისა,
და შენს დაბინდულ მარტოობას შევეფარები.

სად იკარგება ჩუმი შორეთი

მას მზის უდაბნოს ოაზისში გახიზვნა სურდა,
ხატავდა სინათლის ქარვისფერ რაშებს,
ლურჯ სივრცეებში ცხელი სუნთქვით
გამდნარ სამანებს.
ყვითელ ბაღებში ნებივრობდნენ ფარშევანგები.
და მიჰყვებოდა ამაყ ფუნჯის
ველურ ფანტასმებს და მუნჯ ჰორიზონტს
ფერთა ხმებით აგალობებდა...
წახდა სიზმარი, გადაიქცა სიცხადის ხევში,
დაეჩეხა ლამაზი ფრთები...
ის აღარ ხატავს მაღალ კოშკიდან
ვრცელ მინდვრებისკენ გატყორცნილ მზერას,
ის ახლა ფიქრობს და აყურადებს
ვიღაცის ფრთხილ და საშიშ ნაბიჯებს,
და ელოდება....
მაგრამ ხანდახან იელვებს მძაფრად,
დაფეთდებიან მწყობრი წამები,
და შეაწუხებს ტკივილიანი
ასე უცხო და ნაცნობი კითხვა:
სად იკარგება იდუმალი, ჩუმი შორეთი,
როდესაც ღამე შავ ყვავილებსგზაზე დააფენს,
ვით უკანასკნელ ნატერფალებს მიცვალებულთა.

ჩუმად მოგეფერები ბაბოს

ახლა გაკოცებ,
და ჩუმად, ჩუმად მოგეფერები,
და ისე ნაზად აგაცოცებ ხელებს სახეზე,
თითქოსდა ვიყო ჭიამარია,
მზის სხივს რომ მოჰყვა ღრუბლის კოშკიდან,
და პაწაწინა სითბოს ნამცეცებს,
მაგ უსასრულო ნაოჭებში რომ ჩაგბნევია,
ავკრეფ საუთად.
ახლა გაკოცებ,
და ჩუმად, ჩუმად მოგეფერები...

ფიქრის საკანი

უღრანი სიღრმე შეშფოთების ბნელი სარკმლიდან
გიმზერს დაგეშილ ავაზასავით.
მზე ჩაესვენა დიდი ხანია
მკვდართა მეწამულ ტბის ფიალაში.
ღამეს ზმანების ზამბახები მოაქვს ნუგეშად...
ო, ვინ უშველის, ვინ აუშვებს ჩამცხრალ იალქნებს.
სულს გააურჟოლებს დასიცხული ჟამიანივით.
დაჟანგულ წარსულს ცვივა ფერფლი
ძველი ტკივილის.
ოცნება გდია ბნელ დილეგში,
ჟინჟღლავს უამოდ.
ვილაცის კართან უკვე მოდგა მწუხარე ეტლი,
ვერვინ ეტყვის უარს ბინდის ამაყ მოციქულს.
შიში უხეშად გიტყლაშუნებს
სახეში შოლტებს,
თვალში ჩარჩენილ ნაპერწკლებს აშთობს.
ვერ გამოარღვევს ბაგეს
ურჩი ბგერები: რატომ?
ირღვევა გულის ცხელი გუმბათი.
მუხლმოდრეკილი ევედრები
მოლოდინის დაღლილ ლანდებს,
არ მიგატოვონ.

* * *

ფიქრი აბორგდა წყეული,
გამისხლტა გრძნობის რიყედან,
სიზმრიდან ამორწეული
ყივჩაღი მეარშიყება.
რა ვუყო დარდის დარბაზებს,
მზე ზღვაა ყოჩივარდების,
შემიყვარდება სიცოცხლე,
მარტის მაყრიონს გავყვები.
სხეულს მოსირმავს წყურვილი,
მაგრამ ამაოდ დავშვრები,
გაქრება ეს გაზაფხული,
როგორც ზმანების რაშები.

თუ შენ ხატავდი

ბინდში დაშვებულ სხივთა კონებში
გაცრეცილ ფრესკის იელვებს ლანდი,
აბარბაცდება ჩუმი შორეთი,
წამოიშლება ფოთლები ცაცხვის.
შენ რომ ხატავდი...
იყო თუ არა დილის დალალები
და მზე, ბრონეულის წვენით გალეშილი,
ქოხი ფარღალალა, მზერა გაღეღილი
და დაუსაზღვრავი ფერების ბაღები.
და გზნება, ცახცახით სულში რომ ატანდა.
იყო თუ არა... თუ შენ ხატავდი...
მწიფე ალუბლებს წვიმა სნყუროდათ,
შენ _ ხეტიალი უცხო მხარეში.
ვერცხლში ურევდი ნარინჯს ულევად,
მტვრიან სარკეში სატრფოს ლანდავდი.
იყო თუ არა, თუ შენ ხატავდი...
იმ ძოწისფერი ფიალით ბანგი
მართლა მიგქონდა ნდომით ბაგესთან,
თუ იგონებდი სნეულ ფანტასმებს
და ყალბი თვლებითꣳ რთავდი დარბაზებს.
იყო თუ არა, თუ შენ ხატავდი...
და ხატავ კვლავაც,...
და მეც... მეც, როგორც შენი ნახატი.

როცა ყვავიან აკაციები

ნაირას

ღამემ შეგაკრთო,
თუ შოპენის შორმა შრიალმა,
თითქო ფოთლებად დაგეშალა სული ეული,
მეწამულისფრად ალივლივებს შხამის ფიალას,
მთვარე_ფიქრებში შემოლეული.
დრომ ჩაირა... ისე ამრეზით,
ნამებს არ ითვლი_უშნო იარებს,
აღარ გართობენ სირინოზები,
გეალერსება დარდის ხვიარა.
და ყვითლად გათოვს ყოფის ზღაპარი
იყო და არა, არა იყო რა.
მოგბეზრდა ტანჯვის თავშესაფარი,
და ჩამოლენილ რტოზე ტირილი...
დაჭკნენ ლოცვები, როგორც იები,
შემკრთალ ბაგეზე ყრია ნაცარი,
აღარც ციცარი, სველი ყაყაჩო,
და იდუმალი დეენა ირმების.
გნყურია... თვალში ცა გენისლება
და მარადისი შვების აჩრდილი
შემოგეხიზნა, როგორც აფთარი
და სიმშვიდეზე გეჩურჩულება.
მაგრამ აღმართი უკვე თავდება,
ახლოა ჟამი დასალიერის...
ხელს გაიწვდი და რაღაც ჩაგწყდება,
მოდრკება გული შენაციები...
ვერ შეეყრები იმას, რაც გინდა,
როცა ყვავიან აკაციები.

ამაოება

მახსოვდა შენი მზერის ცინცხალი გვირილები...
ქათქათა ფიქრები გონების ბუდიდან
მტრედის თოთო ხუნდებივით უცოდველნი
შენკენ მოიწევდნენ....
აი, მოვედი... ეს არის შენი ღიმილის ბაღი,
ჭაობისფერი მდუმარება
მათხოვარი ბერიკაციით თვლემს...
მწუხარება, როგორც ბნელი გვირაბი,

საიდანაც მახინჯ ჩრდილებს ელი...
ყველგან მტვერის ჟანგიანი ყვავილები,
უნუგეშო და არაფრის მთქმელი.
მარტოობა მოთმინებით მიცდის,
იისფერი გზნება სადღაც ქრება...
და ჩემი სიხარულის მეწამულ დარბაზში
მიცვალებულივით
შენი გაყინული სევდა ასვენია.

ძოწისაა ღამე

დარდის ურდოები
სულში შემეხიზნა,
გული ბილიკია _
სავსე ყარიბებით.
მოაქვთ კუბოები
ჩემი სიზმრებიდან,
როგორც უფსკრულეთის
შავი ყვავილები.
ქანაობს ქარში
ქოხი ლერწმისა,
ძოწისაა ღამე,
სიზმრით გამოძერწილი.
ფრთებს ამაოდ გაშლი,
სული ტყვეა ეჭვისა,
იდუმალი ხვალე
შეგაშინებს შეშლილი.

* * *

ცაზე გაჩნდება ღამის მხევალი,
მთოვარის ფერხთით ნამოშლის კარავს,
და ყვავილივით ნაზად შემკრთალი
გამანდობს არაკს.
ღამე _ ოცნების ლურჯი მწვერვალი,
თავმიდრეკილი სამოთხის კარად.
სულს ამიღელვებს, როგორც მდევარი
მომდგარი კვალად.
სხივს ჩამომიწნავს კიბედ ვარსკვლავი,
მე მასთან ავალ...

* * *

გამხმარი ჭადრები გაყინულ ხელებით
მზეს ევედრებიან კვირტებით შემოსვას.
შემოვა აპრილი ყვავილთა ფეთებით,
შემოვა...
შენ კი მნუხარე ხარ, რადგან დაშრეტილი
მზერა აღრ ქარგავს ფერად ფლამინგოებს,
ველარ გაიგონებ ძახილს ქარებისას,
ველარ გაიგონებ...
ცრემლის სარეცელზე გული იბინდება,
სული ისვეტება ზეციურ თაღამდე,
აღავლენ შუაღამეს ლოცვას სინათლისას,
აღავლენ...

შუადღის ბაღში

შუადღის მღვრიე, ყვითელ ტბორში
გდია ნაღველი.
დონდლო ფიქრების ბორიალში დრო იღვენთება.
მიუკარებელ ზამბახივით გიმზერს შორეთი,
სად დაშრეტილი, მოთენთილი თვლემენ მითები.
ლივლივებს ლანდთა მიეთ_მოეთი.
დიდი შუადღე... მზე ნაიქცა შუა ბილიკზე,
შეგუბდა სუნთქვის ოხშივარი უდაბნოს ქვიშად.
სხეული ნელი შარიშურით იშლება შვებით,
ხშირი ხაზებით ინისლებათვალთა სარკმელი,
ტკივილი ჩუმი, როგორც ფოთლების ნაზი კანკალი.
ნულა შეგაკრთობს ლაჟვარდიდან
დამფრთხალი შველი. დაიხშა კარი... შენთვის,
შენთვის... დაიხშა კარი.
შუადღის ბაღში ფერმკრთალდება ძველი სამანი...
გელამუნება ჰანგის ალმური,
როგორც ვივალდის უცნობი ვალსი,
ამაო არის სევდის მორევა.
შუადღის ბაღში სხედან ლექსები
და რითმებს აკრთობთ ასონანსები.

* * *

სიჩუმის ტბორში
იშლებიან გიშრის ლანდები,
შენი დუმილი_
როგორც მზერა ოლეანდრების,
აღარც ქარია,
არც სურვილთა ხარბი ხლართები,
დრო გაიხიზნა
მიტოვებულ სარკოფაგებში.
დგას სურნელება ნაძვის რტოების.
ჰანგები სწყდება გულის კლავიშებს.
ვმშვიდდები, როგორც დაფნის ფოთოლი,
როცა ნიავი ემარტოვება.
და ვიკარგები
ვარსკვლავჩამდანარი ღამის მკლავებში.

* * *

კრთებიან ზამბახის მოლურჯო თვალები
მდინარის სარკეში,
იანვრის სიზმარი წყალში იფინება.
სივრცეა ნაწამები ფიქრების თარეშით
და მაინც ცივია და მაინც უკარება.
ორნი ვართ... მზერაში ზეიმი ლანდების
და ჩუმი სტუმრობა ვიღაცის პროფილის.
ჟამი კი ყოვნდება, რომ იშვას წამიდან
ყვავილი სუნნელი... და ჯერ არს ყოფილი.
არ ვიცით, მირიად გზნებათა წყებაში,
რომელ მეტრფეთა ნაბიჯს ვიმეორებთ.
ან რატომ მივდივართ იმ უცნობ ღამისკენ,
სადაც სინათლის ვრცელი ბაღებია,
და ქალწულები კრეფენ ბილილებს.
არავინ გაგვიღებს ჩვენ მაღალ კარიბჭეს.
ამ დღემ უდაბურმა
იქამდე სავალი ბილიკი არ იცის.

* * *

მზერა გამექცა ჟამის სარკმლიდან,
ილანდებოდა ღრუბლის ფაფარი,
იდგა ყვითელი ტბორი მთვარისა_
თავისმკვლელების თავშესაფარი.
გაზნექილ სივრცეს სტკიოდა გვერდი,
ეყარა დღეთა უცხო გვამები.
ვიღაც გარბოდა ჩემი სევდიდან
იისფრად მხნე და განაწამები.
წადი, ჰკიოდნენ წვეთები სისხლის,
უნაყოფობა აბერებს ფერთა,
დანყეულილია სიმღერა მისნის,
სენი შეჰყრიათ შროშანებს ველთა.
ღამემ დალაშქრა ჩემი საკანე,
მზით მოსირმული მოსრა კოშკები.
ველარ მიცვნია, მე ვარ თუ სხვაა,
უარაფრობით რომ ითოშება.

* * *

ლექსი მოვა ასხლეტილი ტყვიასავით,
სიკვდილია, ბარემ მაგან მომკლას.
მოიმკება მოწეული თავთუხები,
მზე მოჰყვება როკვას.
უკანასკნელ სხივის კონებს გადმოგიყრი,
წავალ, როგორც ენკენისთვე მიდის.
ცას გახედე, ცეცხლი რომ წაეკიდება,
მე ვიქნები იქით...

მოდი

მოდი, მომეგაზაფხულე,
მოდი, მომედარდიანე,
ქარი ვარ და ვგიჟიანობ,
ქარი ვარ და დავდევ ქალებს.
მზე რომ ჩავა, მეც ვილევი,
შუაღამეს მთვარეს დავლევ,
მერე შეშლილ მოკვდავივით
კიდევ ერთხანს ვიფართხალებ.
მანამდე კი დროა დიდი,
მზე მიელტვის შუა მხარეს,
მოდი, მომეგაზაფხულე,
მოდი, მომედარდიანე.

* * *

როკავს დრო, როკავს, იშვებს, ქილიკობს,
თითქო შეჰყრია ზეცას ზარხოში,
მზე დაუდგრომლად მიჰყვება ბილიკს
ზოდიაქოდან ზოდიაქოში.
მე გახლეჩილი ვდგავარ სივრცეში,
არარაობის მტკივა ნარქენი.
მინაზე ყრია ბროწეულები_
ჩემთა ვნებათა საქულბაქენი.
სხეულს სასტიკი ჟამი გაცოხნის,
ცოდვა ულაყს ჰგავს, ლაგამანყვეტილს,
სულს ელანდება ხატი მაცხოვრის
და სისხლიანი ცრემლის ნასხლეტი.

გამახსენდები...

გამახსენდები... როს შემოდგომა,
როგორც მოკლული ფარშევანგი
იცლება ფერით.
დაეყუდება მზე ცის კიდესთან, ვითარცა ბერი,
და გრილი სევდა დაეფრქვევა ღიმილის ბაღებს.
შემკრთალ ჰორიზონტს დააჩნდება დარდის პროფილი.
ვიღაცა კვნესის: „როგორ მიყვარდით“.
მოჩანს ღრუბელი ლურჯი ქოხივით.
და ქარი ქარგავს გზნებით ქარაგმებს.
მიქრის უხილავ წამების ეტლი
და გაფითრებულ დღეს მიაქანებს.

სიმშვიდეა დასასრული

შორეთს შროშანები ილანდება,
შავეთს იკარგება ლაჟვარდის კონები.
მზის კუბოს მისდევენ სევდის ქალწულები,
აცვიათ კაბები მეწამული.
წუხან ღრუბელთა შიშველი რტოები...
ჰანგი შეგაკრთობს იდუმალი.
შენ მოგიგონებს დაღლილი მზერა,

მე _ არა,
შეუთრთოლდება ბაგე გულისთქმას,
მე _ არა.
გაუფითრდება ლოდინს საფეთქლები,
მე _ არა,
შემოგაგებებს გზნება ბარათებს,
მე _ არა.
ბნელ ფონს გაბზარავს თეთრი წუხილი,
მშვენიერ იშთარზე შფოთავს შეშლილი,
ტკივილი ნაღველად შეტბორდება.
ფიქრებს ააღელვებთ აღვირები.
ოტარიდ გაიელვებს ღამის აღმართიდან,
ცბიერი გაღიმებით.
სული ლაბირინთია, გიყვარს ხეტიალი,
ტანჯვის მწვერვალები, წამთა წარმავლობა.
მიიქცევა ვნება ოტებული.
შეხვედრაა _ დასასრული,
სიმშვიდეა _ დასასრული,
გეშინოდეს...
ჩუმი გარინდებით ჟღერენ ფაგოტები...

* * *

წვიმს თუ გლოვობს ანგელოსი,
ცრემლი ფიქრებს მისველებს.
დღე, ვარდებით შენალოცი,
ქარის ფრთებზე ისვენებს.
აღარასდროს დაბრუნდები,
ქარს ჩაეწან ტალღებად,
დასისხლული ალუბლები აღარ მოგენატრება.
მიუყვები ბილიკს მარტო, დაწყეველილი მარტვილი,
სულში გდია მოგონება გაძარცული ხატივით.

მე და ძალაძი

სარკმლის გადაღმა შფოთავს ქალაქი
ეპილეფსიით გამოშანთული,
გულგახეთქილი გარბის ბალახი,
ზეცა დაუხრავთ მშიერ სართულებს.

სარკმლის აქეთკენ_ჩემი სანახი,
სახარებით და ლექსით ნაშენი,
მოთარეშობენ, ზღუდეს მირღვევენ
ქალაქის რკინის ყიზილბაშები.
დულს და ბუყბუყებს შავი ასფალტი,
ნთქავს ბებერ ძაღლებს, ბავშვებს, მათხოვრებს,
ქუჩა მჭახედ რომ ამოახველებს,
შეუნუხდება გული მაცხოვარს.
მზეს ებზარება კაშკაშა შუბლი,
ტალახის მგელი ფლეთს ქარვის ტატნობს.
და მატორტმანებს მკვდარს ფიქრის შუბი,
დამენანოს თუ არ დამენანოს.

სიმარტოვე

დგას ნაცრისფერი დღეების ბუქი
და არ მოჩანან სხივის გედები,
მიდიხარ, მიგაქვს სველი სიზმრები
და უცხო გზაზე მიეხეტები.
დაღლილი თვალი ყვავილებს ნატრობს,
ხელებს მოსწყინდათ სივრცის ბლანდები,
გულში შეტბორდა სნეული ფიქრი,
რომ აღარავინ შეგიყვარდება.
და გვიმრისფერი შემოდის სულში,
მოაქვს სიმშვიდის გრილი რტოები,
და ფოთლებივით იშლები ქარში
და საკუთარ თავს ემარტოები.
ღანვებზე ცრემლი დაგექარგება,
ვთ ნაწვიმარზე ქორფა იები,
შეგებრალება მთელი სამყარო,
გარდაცვლილი და დაუტირები.

* * *

ზეცაზე დაფრთხნენ სიზმრის ირმები
და ნამოყარეს წითელი მტვერი.
საგანთიადო მზე არ გეგონოს,
აქ ფარშევანგებს გამოსჭრეს ყელი.
უკანასკნელი იყო შეხვედრა,
ლექსით ამაოდ დაშვრა ყალამი,

სულში დარდები შემომეწყერდა,
ნათელი ჩაქრა, დარჩა ნკვარამი.
მე გაძარცული ვდგავარ ნარსულთან,
აღარ ყირმიზობს ფიქრი ფარჩებად.
შენ რომ გიყვარდა, ის დრო ნასულა,
მარადისობის გადასარჩენად.

* * *

ჩუმია სივრცე, როგორც დაღლილი ბაგე ქადაგის.
გარინდებული გიცდის უდაბნო.
არ გაიხედო. ჩასაფრებული მზაკვრულ ფანდებით
აიშლებიან ოაზისები.
ნუ დახანდებიუცხო სასახლის ლამაზ ჭიშკართან,
თუმცა მიგიხმობს ვილაც მზისებრი.
ნუ მოირთვები ჟინით და ვნებით
და მოვარდნილი თავდავიწყებით.
არ გაიხედო,და შენს სხეულს არ გაედევნო,
მიიზიდება ოდეს იქითკენ.
აქ, მარტოობის ნაცნობ მინდორში,
მოდის ქალწული ცინცხალ ბილიკზე,
მოაქვს ფერმკრთალი, ქორფა იები.
მის მოსასხამზე არ ნებივრობენ
მაცდური ქვები ზურმუხტ-ბივრილის.
ჩიტნი გალობენ უხვად: მარიამ,...
ილვრება სევდა და სასოება,
თვეა მირკანის.
ღელავს და სუნთქავს უსაზღვროება...
მიეგებე და თაყვანი ეცი
ეს დღეც არ ჩაქრეს, არ ჩაიქცეს უკუნს უკვალოდ.
თორე ღამდება,ჩანავლებული გზნება ფითრდება,
და გაცრეცილი მიცვალებულნი
მილივლვებენ ზეცად და მთვარეს
ეფერებიან ლურჯი თითებით.

იძნება გვიან

მე რა ვუშველო შენს დაღლილ დალალს,
საყვარელ ქარებს თრთოლით რომ ელის.
მოგიხტებიან მზიანი დღიდან
დარდები, როგორც მშიერი მგლები.
მე რა ვუშველო შენს გიშრის თვალებს,
სადაც ოცნება ბერდება მწველი,
ვიოლინოზე დაუკრავს ვიღაც
და გადატყდება ლერწამის წელი.
და გაცვეთილი კაბების დარად,
წლები დარჩება ფერხთით დაყრილი.
იქნება გვიან, ძალიან გვიან,
როცა ეტლებით მოვა აპრილი.

უშენოდ

ქარი შლის რიტმებად სივრცეთა დარბაზებს.
ბინდდება, ფითრდება დაღლილი ცისფერი.
ირევა ფოთოლთა ფერადი ზვირთები.
ამაოა ყოველი, როდესაც შორიდან
მიგიხმობს არავინ...
და ბილიკს გაუყვები დაზაფრული.
სული ღრუბლის ზვინებს შეერევა.
წამები წაიღებენ შენს ცხედარს განამებულს,
ვერ იხილავ, რასაც მიელტვოდი აგრერიგად.
და მოლოდინით გათანგულ ღამეში
უშენოდ... უშენოდ... უშენოდ...
გაიშლება წარმტაცი ვიქტორია რეგია.

* * *

ისე სავსე ვარ ახლა სიმშვიდით,
თავზე მევლება რკალი მთიების,
მოვლენ შორეთით სირინოზები
და მიმწუხრისას იგალობებენ,
და კვირტებს გაშლის ცაზე მთოვარი.
ისე სავსე ვარ ახლა სიმშვიდით,
ისე სავსე ვარ, მე შენზე ვფიქრობ.

სიკვდილის ვედრება

რატომ კანკალებ, სულო შემდრკალო,
და იზნიქები ჩემი მწველი სუნთქვის შეხებით.
მოვალ უნიღბოდ, ფერით არ ვიმკობ
კვართს და ხამლიც მაცვია ძველი.
და არც ენებიან გრძნობათ ფრქვევა არ მეხერხება,
მაგრამ მე ის ვარ, ვისაც სიზმრებში
მუდამ ეძებდი და მიელოდი
მაცდურ სიცოცხლის ილუზიურ ლამაზ ტევრიდან.
ო, მე ვარ იგი, იდუმალი შენი მიჯნური.
ჰო. არაფერი. ნუ შეშინდები. ჰო. ყველაფერი.
ჩემი სამშვენი არის სიმშვიდე
და უშფოთველი ზმორება ოდეს,
სხეული იშვებს გამთენიისას.
ჩემი მკლავები, როგორც ჩრდილი
თაკარა მზეში _ სურნელოვანი ცაცხვის კარავი,
ჩემი თვალები ჰანგთა ზღაპრებით
ამოვსებული გიშრის ტბორები,
და ჩემი გული _ აღელვებული,
მღერიე ყოფას განრიდებული _
ლაღი კუნძული. ოაზისებით სავსე სავანე,
შენ რომ იგზნებდი ღამეული ხილვის ბაღიდან.
მე ვარ ნაყოფი_უპირველესი,
შენი სნეული შიმშილობის დასაოკებლად.
რომელსაც ინვევს მარადიული შემოხედვა ამაოების.
შენ ხომ მინვევდი და მომელტვოდი
შფოთიანი თავდავიწყებით,
გსურდა ხავერდთა ნაზი სიგრილე
და მოლივლივე ნიავის ფრთებზე გულის გაფენა.
ფიქრს აყოლებდი ღრუბლის ქარავანს,
აყურადებდი ძორეულ ძახილს
გამოუცხობი ქაოსებიდან.
აჰა, მოვედი, შენ კი გაშინებს
ჩემი არსების უნათლო ხატი,
და ჩემს სიყვარულს უკუაგდებ, ვითარცა ეკლებს.
მე კი მოგვგვარე ჩქარი ეტლები,
ცეცხლოვანი, ფეხმარდი რაშნი,
ვრცელ სამყაროში გრიგალივით გადაივლიან.
ხულარ აყოვნებ, ვერ გამიგია,
რატომ ცახცახებ, ვით თოთო ღერო.
შენი გულისთქმა ააყოლე ჩემს ძლიერ აფრებს,
ნუ დახანდები, განიძარცვე ცისკრის ლანდებით.
თორე ინახებ, დაჭკნებიან ცის ყვავილები,
და კვლავ უნყალო მარტოობითდაიზაფრები,
თუმცა, ვინ იცის...

სარკეში

სულში ქაოსის ბნელი ტალანია,
ძრნის და კანკალებს კვიპაროსი ალანდული.
ბალახის ღეროებია შენი ამოსუნთქვა,
მქრქალი ამოოხვრის ნაცრისფერ არშიებით.
გეშინია დაშლილი ჰორიზონტის,
შეშლილ ფიქრებად რომ შეგეყრება.
ნისლში იძირება ბეატრიჩე...
მღვრიე სარკეებში იმზირები,
ეგება მზის თვალებს გადაანყდე.
წვიმებს არ მოჰყვება ნითელი ბაღები,
ნაღველი მარადისი.
მთვარით გაფატრული ბაცი ღამის ფერი.
ბნელი, რომელიც სავსეა სინათლით,
მწიფე მსხლების სიყვითლით ანთებული...
ღმერთო, მაპოვნინე სიხარული.
დაღლილი ვედრება და ჩურჩული,
დაბრუნდი, საიდანაც წამოხვედი...

* * *

სევდის ღიღილო თვალებში გიკრთის
გლახაკი გიხმობს მარად დედოფალს
შენი მზერიდან ამსხლტარი სხივი
მას დღეს საგზლადაც უხვად ეყოფა.
უსჯულო კაცსაც შვილად მიითვლი
და უწყალობებ მზისფერ შენდობას.

წამოვალ...

შევიმოსები ჩამავალ მზის სხივთა სამოსით
ფიქრთა ბნელსა და ცივ წიაღებს
დავაღწევ მზერას.
ავედევნები ლურჯ ქარავანს ფოთლებისას
ცის უდაბნოში
და სნეულ გრძნობებს თავდაღწეული,
შემოდგომავ, წამოვალ შენთან.
დამედევნება გააფთრებით შმაგი სიცხადე,

ფეხქვეშ ჩამიშლის ნაპრალებად შემკრთალ ბილიკებს.
შემომაფეთებს ბალღამიან, გამხდარ მათხოვრებს,
ცოფიან ძაღლებს, მახინჯ ბავშვებს
და ჩამომხრჩვალ თავისმკვლელთა
მიტოვებულ, ნაცრისფერ ცხედრებს.
თავზე დამანთხევს უზნეო სიზმრებს.
მერე ჩამსხვრეულ საფეთქლიდან
იელვებს სისხლი და ციე ჰორიზონტს
მენამულად შეაცახცახებს.
მე კი მიტაცებს შორეული მთის სილუეტი,
მინდა შევიქმნა სილამაზის ჩუმი მსახური.
განვაგდებ ყოველს _ გაფითრებულ განცდათა კონებს
და დამჭკნარ სევდას გადავუყრი
ველურ ფრინველებს. და დავივიწყებ,
რაც მაღელვებდა ამ ხილვების უსაგნო ზღვაში
და განძარცული, მარდოდმარტო,
შემოდგომავ, წამოვალ შენთან.
შემოვიელი ყვითელ დარბაზებს
და გადარჩენილ თოთო სიხარულს _
უცოდველი ცრემლების რტოებს
დაგიფენ ფერხთით.

* * *

ჩუმად, მოდიან ქალწულები
ფრთხილი ნაბიჯით.
ახლა იდუმალ
ტახტრევანებს
ჩამოქსოვს მთვარე
და ციმციმ, ციმციმ
ნაელენ ქალწულნი
მრუმე ღამეში
და იმ შორეულ ნათლის სვეტებს
შეერევიან.

იგავ-არაკები და ძარაგმულები

„მეც სიცილს ძალი მივეც“
სულხან-საბა ორბელიანი

კუს კანტი არ ჰქონდა წაკითხული

ერთ დიდ ტყეში, რომელსაც თვითონვე აღარ ახსოვდა თავისი დახავსებული ისტორია, ათასწლოვანი მუხის ძირას შეიკრიბნენ დათვი, ტურა, ლომი და კუ, ყოველი მათგანი თავის პატარა გვარ-ჯილაგს წარმოადგენდა. დავა-კამათი საღამომდე გაგრძელდა, უნდა გადაეწყვიტათ, ეის ერგებოდა კესანებით მოჩითული ციცქნა კორდი, თაგვი კუდის მისაქცევ-მოსაქცევად რომ ინუნებდა. არადა, მემკვიდრობით, მამა-პაპათაგან კუს გადმოსცემოდა, მაგრამ ახლა ეს პატიოსანი ცხოველები ეცილებოდნენ. ჩამორჩიო. კუს მტკივან ადგილას აჭერდნენ. რაღა დროს სიგელ-გუჯრებიაო.

დაჩაგრულ-გადაფითრებულ კუს ყველა გზა მოჭრილი ჰქონდა, დათვს ბუნაგი ევინროებოდა, ლომს სამეფო ხელისუფლება ეცოტავებოდა, ტურას-რა, უბრალოდ, დავისას განზე ხომ არ გადგებოდა, რასაც ხელს გამოჰკრავდა, ხო კარგი და თუ არა, თავზარდამცემი ყმუილი ხომ შერჩებოდა.

ამ დროს ტოტზე თავდაღმა დაკიდულ გაქუცულ ბუს გაელვიძა, ყური დაუგდო ამ გაუგებარ მასლაათს, მიხვდა, რომ კარგა ხანს არ მოასვენებდნენ და ოოო _ თქვა. მერე თვალები თავისებური ჯამბაზობით გადაატრიალ-გადმოატრიალა და ვარსკვლავებიან ცას გახედა, დრო იყო, კიდევ რაღაც ეთქვა, მშვენიერი და მახვილგონივრული.

ნება მიბოძეთო. თავაზიანი იყო.

ზედაც არ ახედეს.

მაშინ კი დაიბოხა ხმა; ეი, თქვენ, ტყე ყბედობით რომ აგიკლიათ, ის კორდია თუ კორდის მინამსგავსი, იმისი იყოს, ვინც იტყვის, კანტმა რა თქვაო.

გაბრაზებულმა ცხოველებმა ვერაფერი შეჰბედეს ამ არამკითხე მოამბეს, ბრძენთაბრძენის სახელი ჰქონდა ბუს აქაც გავარდნილი, თუმცა კი დღისით სულ დუმდა და ღამე რა სიბრძნეს აფრქვევდა, მაგის გამრკვევ-გამომძიებელი არავინ იყო.

დათვმა მხრები გაშალა, პანტის მეტი რა ჰქონდა ნანახი, თუმცა მისი ლაპარაკი არაკადაც არ გაეგონა, მაგრამ იხტიბარი არ გაიტეხა, აბა, რაო _დაიბუბუნა, აბა, აბა, აბაო და რაო.

ლომს კვატი ჩაესმა, კვატი-კვუტის ენისგასატეხები ჩვენში ბავშვებმაც კი იციანო.

ტურამ, თან გამალებით ყურს იფხანდა, ისეთი კვანტის მოდება ვიციო, როო, როო. დანარჩენი ნათქვამი ყმუილმა შთანთქა.

ჩემი ჯერიაო და სანყალი კუ ჯერ ბაკანში შეძვრა, შეიმალა, საერთოდ თავი როგორ გამოვყავი, ფეხი კიო, შეიძლებოდა, ნახირ-ნახირისთვისო, მაგრამო, ამ ოხერ თავმოყვარეობას რა ვუყო, თორე, მე ვინ გამასწრებდაო, სირბილიც კარგი ვიცოდი ჩემს ბიჭობაშიო.

ასეთსა და ამგვარ ფიქრებში ისე გაერთო და გაიხლართა, რომ ბაკანი უკულმა მოექცა და როცა, როგორც იქნა, თავლაფდამსხმელი აღიარების გადაწყვეტილებით, წვალებ-ჯახირში ცხვირი როგორღაც გამოხირა, (სიბერისგან კარგად იყო მოფანფალებული), ერთი ნაღვლიანად გახედა ზეცას, ნეტავი შენ, რომ ვერავინ ვერაფერში შეგედავებაო და უსაშველობისგან გულისნამღებად ამოიოხრა.

ბუმ ვერ გაიგონა კუს ნაჩიფჩიფარი, მაგრამ არ შეიმჩნია, თვალები უფრო ბრძნულად დაქაჩა, ოსტატურად დააბზრიალა გუგები და გაოცებულ კუს გამარჯვება მიულოცა.

კუს არა გაეგებოდა რა სიხარულისაგან.

დათვი, ლომი და ტურა უფრო ხელსაყრელი დროის მოლოდინით ღირსეულად გაიძურწნენ. აბა, ბრძენ ბუსთან საქმის გარჩევას ხომ არ მოჰყვებოდნენ.

არადა, ბედს რა ვუთხარი, თორემ, კუს ამოოხვრის შემდეგ უნდა ელიარებინა, რომ კანტი თავის დღეში არ წაეკითხა და, ცოდვა გამხელილი სჯობს, არც ეპირებოდა.

მონასტრის თაგვი

მონასტრის თაგვი იყო, რა, ღარიბ-ღატაკი და ნაშიმშილარი, მაგრამ ენუგეშებოდა, ნიორი ხომ მაინც არ ვარ, იერუსალიმში წაღებ-წამოღებამ სიმყრალე რომ ვერ ჩამორეცხაო.

ჰოდა, მღვდელი რომ ქადაგებდა, ისიც იქვე ჩაიცუცქებდა და მთელ სათაგვეთს მის სინმინდეში ეჭვი არ ეპარებოდა.

ღამ-ღამობით თაროზე მივინყებულ ძველ ნიგნებს დაუზოგავად ხრავდა და გაუთავებლად ოხრავდა გაუხარებელ ცხოვრებაზე.

ამ უთავბოლო ხვრა-ხვრაში სხვას შეიძლება წერა-კითხვა შემოსნავლებოდა, მაგრამ ეს სხვა ჯიშისა იყო, კერკეტი კაკალივით.

ბევრის მნახველმა თაგვებმა მაინც მოძღვრად დაისვეს, სულ რო არაფერი, უძველესი სახარება აქვს ნახრავიო. მაშ, ასე იტყოდნენ ხოლმე, გონივრული მსჯელობა იცოდნენ მაშინ თაგვებმა. აბა, ბიჭი იყავი და მერე და მერე გაბღენძილ-დაქონიანებულ თაგვზე აუგის თქმა დაგეპირებინა. ჩვენიაო.

მე შენ გეტყვი და მართლები არ იყვნენ, ჰოო, თურმე კაი ბეჯითი ხვრა კი სცოდნია იმ დალოცვილს. ერთი ასოც არ დარჩენია დაუფქვავი. ნმინდად. აბა?

ერთი ძველ-ახალი ამბავი

აკოკრებულმა ცეცხლმა ხან აქედან უტრიალა ახლადწამოჩიტულ თივას, ხან იქიდან. გულს აგურგურებდა, თვალებს აგიზგიზებდა, ბრონეულისფერი და გავარვარებული ბაგეებით კაბის კალთებს კოცნით უწვავდა. თაფლისფერ მკლავებზე შუშხუნების სამაჯურს ასხამდა. ტკაცატკუცით მჭევრმეტყველებდა, ან კი სად დაესწავლა იმ გასაქრობს ეს სატრფიალო შაირები. ცას სნვდებოდა მისი სამიჯნურო ღაღადისი. ძნელი იყო გაძლება.

თივას აურჟოლებდა, აცახცახებდა, გული მისდიოდა, ცეცხლი უფრო გიჟდებოდა, მთელი ვარსკვლავეთის ფერხთით დაყრას ჰპირდებოდა, ოღონდაც ჩემი გახდი, ოღონდაც შემომახვევინე და ჩამიხვიე, სამყაროს დედოფლად გაქცევო.

გაძელიო. აქეთ-იქიდან. უძლებდა, უძლებდა თივა.

თივთიკივით თმა ჰქონდა. არა, შარზე თუ იყავი, დასაწუნსაც გამოუჩხრეკდი. ცეცხლი კი მზეთუნახავად ჰსახავდა, თუმცა ის ბევრისმნახველი გუბე სხვას ებუზღუნებოდა, გატყუებს, თივისა და ცეცხლის სიყვარული ამბადაც არ თქმულაო, ახლა გაიგონო, ჯიუტობდა. თავი ელამაზებოდა, ცეცხლოვანი სიტყვების ყვავილების სურნელით ბრუვდებოდა.

ნათესავ-ახლობლების ჭკუის დარიგება რა მოსატანი იყო ტრფიალების ჯადოსნურ შადრევანთან, ცეცხლთან სიახლოვის შიშს რომ უგრილებდა.

ლეგენდა ხომ მაინც დარჩებაო და გაეხვია ცეცხლის საპატარძლო სამოსელში.

თქვენ კი, ძველი მოსაწყენი ამბავიაო. სხვა რამე ახალს მოჰყევიო.

მჭევრმეტყველი კურდღლის ამბავი

ერთ თავქარიან კურდღელს სადღაც გაეგონა, რომ თევზს თურმე ბევრი საიდუმლო სცოდნია, მაგრამ სანყალს, პირში ჩაგუბებული ნყალი არ აძლევდა ამოთქმის საშუალებას.

მე რაღა მიჭირს, მართალია, არც საიდუმლო რამ ვიცი და არც ჭკუაგონება მიჭრის, მაგრამ, ეს გემრიელი ჰაერი ჰო ოხრადაა, უშრომ-უხნავად ჩამიდის გულგვამში, ბარემ ავდგები და ამოვთქვამო და მოჰყვა და მოჰყვა. ამ მთისას და იმ ბარისას.

თოვლი რომ შავი არ არის, ხომ იცითო, ჰოდა, ამას ახლავე ნყალგამავალი საბუთებით დაგიმტკიცებთო. თქვენ კი გეკადრებათ, მაგრამ მე არ შემშლია, საბუთის ნყალგამავალობა ჩემი მოგონილიაო. „სიტყვის კონაში" ჩავნეროთო. ყურის მგდებელნიც ბევრი იშოვა. მუქთად. აბდაუბდის სანელებლით შეზავებულს ძალიან ეტანებოდნენ. ჩვენ ღმერთმა დაგვი-

ფაროს. იმათ სახელმწიფოში.

რაც მეტ სიშლეგესა და სისულელეს აფრქვევდა, მით უფრო ემატებოდა გულშემატკივარი. საჩვენოსა ლაპარაკობსო. თევზი ხომ არ არიო. იმონმებდნენ ახალი დემოსთენეს დაბეჯითებულს. ის კი, სიტყვით წარამარა ნაბურთაევები თევზი, დარდით დასნეულებულა. ნალმა-უკულმა გიმოწმებსო. ამბის მიმტანთ არ ეზარებოდათ ჭორ-მართლით ვაჭრობა. არც სიმცირეს უჩიოდნენ. თანაც უსაქმობით ჩხვლეტას ხომ არ მოჰყვებოდნენ.

უქმადმეტყველების დიდოსტატი მწვერვალებს იპყრობდა. დუმილი რომ არც ოქრო იყო, არც ვერცხლი, არც რკინა და არც სპილენძი, ეს ციტატებად გავრცელებულიყო სხვადასხვა რჯულის ახალ წიგნებში. აღშფოთებულიყო თევზი. იქაურობა აექაფებინა. თვალებით ამოეღერღა. ჰო, რა, იმას ვეღარა თარგმნიდნენ. კომენტატორობის მაგისტრები. ნაპირამდე ველარ გამოჰქონდათ.

ვაი იმას, ვისაც წყალი აქვს ჩაგუბებულიო. გინდა ოკეანისა, გინდა ზღვისა, გინდა ჩვენი ტალახიანი გუბისაო. პირშიო. ამტკიცებდა. წყალგამავალი საბუთებით. ამეებში ვერ ჩაჭრიდი. ენა არ მექავებაო. ქოთქოთებდა, მე ხომ თევზი არა ვარო... ვაჰ, ჩვენს სათქმელს ამბობსო. რა ენაღვლებოდა. მუქთად ეძლეოდა ყურისმგდებელი.

წინასწარმეტყველი ყვავი

გამურულ ყვავს სადღაც წინასწარმეტყველება ესწავლა და ახლა თავგამოდებით დაყრანტალებდა, ხვალ მზე არ ამოვა, არ ამოვაო, ვაო, ვაო. არაო. მეორე დღეს მზე ისევ ამოვიდა. თქვენო, არ იცითო, ერთი ხვალე, ვითარცა ათასი ხვალეო. რა დააცხრობდა. ისევ წინასწარყრანტალებდა. ხვალეო. ხვალეო. დილას ხომ გათენებას არ აცლიდა და საღამომდე არც თვითონ ისვენებდა, მის საფქვავს ეყარა და ფქვავდა. რა ენაღვლებოდა. საქმედ ეს გაეხადა და ყველას შიშის ზარსა სცემდა.

ასე შიშში ცხოვრობდნენ იმ ქვეყანაში. ყვავს უსმენდნენ _ წინასწარმეტყველებსო.

დიდოსტატობა

ჯერ გარღვეული სინდისი ჩაკერ-ჩააგვირისტე და შენს სახელგანთქმულ მკერაობაზე მერე მელაპარაკეო.

ჯერ გატეხილი სახელი გაამთელე და შენს ოსტატობაზე მერე მელაპარაკეო.

ბუზები

ბუზები სალაშქროდ წავიდნენ.
საგზლად თაფლი წაიღეს.
დამარცხებულ-ჩამოფლეთილი დაბრუნდნენ.
სული ისევ თაფლით მოითქვეს.
ფუტკრების ლანძღვას მოჰყვნენ:
თქვენ რომ არ გელალატათ, გვერდში ამოგვდგომოდით, ხელი გამოგელოთ, ამ დღეში არ ჩავცვივდებოდით, მსოფლიოსაც დავიპყრობდითო.

პატრიოტიზმი

საქათმეში შეკრებილებს ჭრელი ქათამი ქანდარიდან მოძღვრავდა. მართალია, ჩვენი მამალი გიჟია, მაგრამ ეგ რა სათქმელია, მთავარია, რომ ჩვენიაო. ტაშიც უნდა დავუკრათ და ვაქოთ-ვადიდოთო. მერე რაა, რომ ესაო. მერე რაა, რომ ისაო.

გული ეთუთქებოდათ ქათმებს. სხვების გულის გასახეთქადო. ჩვენია და იმიტომო. მეტ ჭკვიანურ საბუთს არც არავინ ითხოვდა და ესეც მოულლელად იმეორებდა.

იქვე ყვინჩილა შეპარულიყო, სულგანაბული უსმენდა ამ ბრძნულ შეკრებილობას და ნატრობდა, ნეტა, მალე გავიზარდო, რომ ჩემი სიგიჟეებისთვის კი არა მლანძღონ და დამსაჯონ, არამედ გვირგვინი დამადგანო.

ძალა და აღმართი

ძალა აღმართს მიადგა. ხვნა დაუწყო.
აღმართი დუმდა და ფიქრობდა.
კარგად ვიცი, რა ვაჟკაცობა ბრძანდები, შენი აღმა ხნული ბევრი მინახავს, მაგრამ იმ ნახნავზე მოწეული მოსავალი კი არაო.

სასამართლოში

ვირები დასხდნენ. თქმა როგორ არ უნდა?! ვირულად.
ლომებიც. ვიღაცას შეიძლება გაუკვირდეს კიდეც. ლომურად.
მგლებიც ჩამოყუნცდნენ. ყველამ არ იცის. მგლურად.
ნაფიცი მსაჯულები დაირქვეს.
ვინ შეედავებოდა?!
მაიმუნები ვერ ისვენებდნენ. მოწმეებად იყვნენ მოწვეული.

ხან აღმა ეკიდნენ და ხან _ დაღმა.
თავდაყირა თქმულ სიმართლესაც დაეჯერებაო.
მოსამართლე ამბობდა.
მაიმუნიაო, გაიფიქრებდი. ვერ იტყოდი.
ვისა სჯიდნენ, რასა სჯიდნენ, ეგ მე არ ვიცი.

ორი მეფე

ნაგვის გროვაზე ორი გაქუცული კატა შემომჯდარიყო.
შავი და თეთრი.
ყველა როდი კადრულობდა.
ესენი ისხდნენ.
თაგვი ქვემოდან ყურს უგდებდა.
ჩემო მეფეო _ შავი ეკრუტუნებოდა თეთრს. ჩემო მეფეო _ ეპასუხეკ-რუტუნებოდა თეთრი.
თაგვი ყურებს არ უჯერებდა.
მთვარე ეკიდა რა, თავისთვის. ფეხებზე ეკიდა...
ბედს ატყუებენ თუ მეო. თაგვი.

უბედური თაგვი

კატა ყურის ფხანას მოჰყვა.
თაგვს ეგონა, დაყრუებულაო. უხაროდა.
ყურგამოწმენდილმა კატამ თაგვის ფიქრიც გაიგონა.
მერე?
იმ დღეს კატის ოჯახში კაი სადილი ჭამეს.

თაგვების სიბრძნის კონიდან

* * *

კატის სიახლოვეს, ხვალ რა ჩავიცვა, იმაზე ნუ იფიქრებო.

* * *

გინდა განგაში ატეხილა და გინდა კატას მიაუ დაუძახებიაო.

* * *

კატას თუ გადაეყრები, აფიქრებინე, ჩემი ეშინიაო.

მელას ოინი

მელას ისე მოეხერხებინა, ორი გალია ეშოვა. ერთში ორი ქრელი დედალი ეჯდა. სახვალიოდ. მეორეში თუთიყუში _ გასართობად. ზეგისთვისაც გამოადგებოდა. ქათმები კრიახობდნენ. მოტაცება უხაროდათ. თუთიყუშს ბევრი ენახა და გაეგონა. დარდისგან ჯერჯერობით დუმდა. მელა ქათმებს შეჰყურებდა და მათი მსუქანი ბარკლების ცქერით ტკბებოდა. კეკელა ქათმები ერთმანეთს ეკინკლავებოდნენ, გვერდით ჩაიწია, ხელს მიშლი, სუფთა ჰაერი მასუნთქეო. თუთიყუში თარგმნიდა, ეშმაკმა უწყის, ყველა ენა ასე ზედმინევნით სად და როგორ შეესწავლა. მელამ ტაში შემოჰკრა. იმათ მამბო იცეკვეს. მოტაცება უხაროდათ. კეკლუცობდნენ.

მეორე დღეს თუთიყუში თავისსავე ნალაპარაკევს უთარგმნიდა მელას.

ასე იყო.

კაცდაკარგული სინდისი

ყოველმხრივ შემკული და ლამის უნაკლო, დარდისგან აღარ იყო სინდისი. კაცი დაეკარგა. ან ავლილი, ან ჩავლილი, ხომ არ გინახავთო. როგორ არაო. ხეებმა. ავლილიც გვინახავს, ჩავლილიცო.

ალბათ, იმასაც ჩემსავით გული სტკივაო.

აბა, როგორ არაო. შენს ნატერფალს თუ სადმე შენიშნავს, დაოთხილი შორდებაო.

ნეტავი შენ, რას მოსთქვამო.

აბა, უკაცო სინდისი სად გაგონილაო.

გუშინაც ვნახე, საწყალიო, _ მუხა ჩლიფინებდა. _ სოფლის თავში იჯდა და ამვლელ-ჩამომვლელს ემუდარებოდა, მაპოვნინეთო.

ნეტავი იმასაო. შრიალებდნენ ხეები. ისინი უკაცოდაც ხარობდნენ.

ნუგეში

დათვს კაცი ლაჯებში მოემწყვდია და ბუბნიდა.

ამხანაგი კაცისა შორიდან ამხნევებდა:

მჯობის მჯობი არ დაილევაო.

დიდი ნუგეში იყო. ამხანაგობის დასტური.

გლოვა

ვაი და ვუიო. ფრთებს იგლეჯდნენ ფარშევანგები. იმათი ფერადი ბუმბულებით თამაშობდნენ ქარის შვილიშვილები.

ვაი და ვუიო. ტყავს იგლეჯდნენ აფთრები. იმათ ნაგლეჯს ჭიანჭველები ფარდაგებად იფენდნენ.

ვაი და ვუიო _ იყო ენით აუწერელი გლოვა და ზრიალი.

თხუნელას სორომდე მიეღნია ექოს. ფანჯრები ჩაემსხვრია. რა მოხდაო, წრუწუნას დაეკითხა. ნაცარი გამოექექა საიდანღაც და თავზე იყრიდა.

რაღა რა მოხდა, ლომს აივანზე რომ ნალოლიავები ქოთნის ყვავილი უხაროდა, გაუხმაო. ვაი და ვუიო.

ამ დროს ორლობეში სამცხოველიანი პროცესია გამოჩნდა. კურდღელს მამა მოჰკვდომოდა და მიასვენებდა. ამათაც ახლა მოუნდათო. უკმაყოფილო იყო წრუწუნა.

მზიანეთში თვალი თითქოს უკეთესად უნდა უჭრიდეთო, თავისთვისა ბჭობდა თხუნელა. ყვავილი გახმობიაო!? საყოველთაო გლოვაო?! ჩახლართულ გორგალს უფრო იოლად გამოვხსნიო.

თავი ისევ თხრილში შერგო და მიწისქვეშა ბაღის ლაბირინთში გაუჩინარდა.

მაძღარნი

ამ ჩვენს მინდვრის თაგვს, ბევრი ეარა თუ ცოტა, ამ ხეტიალში, საქმე მაინც არ ჰქონდა-რა, ერთ გახურებულ თონეს მისდგომოდა. შიოდა.

იმ თონეს ერთი ჯანლონიანი ჯეელიც მიჰყუდებოდა. იმასაც შიოდა.

ერთიც ნაჭამი იყო და მეორეც.

თაგვს პურის სურნელი მოშიებოდა და გატრუნული ხარბადა ძღებოდა.

კაცი კიდევ _ თონეში ჩაყუდებული აბრდღვიალებული გოგოს უცებ-გამომკრთალი ბარძაყებით.

ვინ დაძრახავდა.

ერთი კაცი იყო და მეორე თაგვი.

გვერდიგვერდ ისხდნენ და ერთმანეთისა არა იცოდნენ რა.

თონისთვის და იმის ახლადგამომცხვარი პურის სურნელისთვის კი სულერთი იყო იმათი იქ ჯდომაცა და ძღომაც.

სამოთხეში

გაშლილი ცაცხვის ჩრდილში სამი ბერი მიმჯდარიყო.

კრიალოსანს მარცელავდნენ.

დუმდნენ.

მომლოდინე მზერა აღმოსავლეთის კარისთვის მიებჯინათ.

ცეცხლისმახვილიანი ქერუბიმები თვლემდნენ.

არც საღამო იყო, არც დილა.
დრო იდგა.
გრილი ნიავი ანცობდა.
_ჯერ არ ჩანან, _ვერცხლმა გაიწკრიალა ბერის ხმაში.
_მოვლენ, _ ნათქვამში სპილენძი ჩაიღვარა.
_ვილოცოთ, _ ოქროთი დაიფერა მესამე ბერის ხმა.
რძისა და თაფლის მდინარეები დიოდა.
მონყენილები იყვნენ.

ქოლგა

წვიმა შხაპუნობდა.
დაუზოგავად ლუმპავდა ყველაფერს.
ქოლგა იცინოდა.
აი, ასეთ წვიმაში მნახეთ, ვინა ვარო.

ქარის დამჭერნი

საქმე როგორ არ ჰქონდათ.
აფრებს ბერავდნენ მინდორში.
არც ზღვა იყო სადმე და არც გემი.
ქარს ვიჭერთო.
მერეო?
რაღა მერეო?
სახელს ვშოულობთო.
ეგ როგორო?
ქარის დამჭერი დაგიძახონ და მერე იძიონ, რა და როგორაო.

სახელოვანი ზღარბი

სადაც უნდა ყოფილიყო, ხმას არ ამოიღებდა, მაგრამ ურეპლიკოდ არ წამოვიდოდა.
კვალს ტოვებდა.
მორეპლიკე ზღარბიო.
ალღოიანი იყო.
სახელი გაუვარდა.
მის თავიდან ბოლომდე მოსმენას არავინ ზარობდა.
სხვებს ეკითხათ.
ამას თავისი გზა-კვალი გაეკაფა.

ირმების ადათი

_რა ჯიშიანნი, ნაკვთიანნი არიან, ვაჰ, ჩვენ არ გვგვანანო,_ბებერი ირმის ხმაში სიხარული ენთო.

_მაშ, მაშო. ეს, დალოცვილი ბუნებაც ძველებურად გვავსებს ნოყიერი ბალახითო.

_ჰოო. ჰოოო.

_რა, ჰოო, ჰოოო?

_რა ვიცი, აბა, რამდენი ხანია, ბალახი არავის მოუწვდიაო.

_აბა, შენა ხარო. ბალახის მეტი რა არიო, კარგად მიმოავლე ეგ დაშრეტილი თვალებიო.

_თვალის ჩინს როდი ვუჩივი. მე სხვა სადარდებელი მაქვსო. ადათიო.

_შენ რომ ყური გიგდოთ, არქაიზმების ლექსიკონში უნდა ვიქექოთო.

მეხუთე მცნების აღმსრულებელი

ყვავს მშობლები დაჰბერებოდა. უვლიდა და დაჰკანკალებდა. არც არაფერსა ჩიოდა.

მეზობელი ყორნები და სვავები, არწივები თუ სხვა ჯურის ფრინველნი შენატროდნენ ამის ბებრებს. თვითონაც კარგად მოფანფალებულნი.

კი, შვილები ამათაც ჰყავდათ, ქება-დიდებით გაცვეთილნი. ყოველი მცნების გულმოდგინედ აღმსრულებელნი.

აბა, როგორ?! დასხდებოდნენ. იმ ბეჯითი ყვავის გასაგონად ქილიკობდნენ. ცხვარი დღეს თუ ხვალ ნეტავ ვის გამოებმება ფეხზეო. აბა, ვისი ჯერიაო. ნეტავიო. ჩემი, შენი თუ...

მე ჩემს ბებრებს რიგში არ ვაყენებო, _ თავისას შემოაწევდა ყვავი.

არც მცნებათა სათვალავს დაგიდევდათ დიდად.

ჭკვიანი დათვი

ბევრი იძინა თუ ცოტა, დათვს გამოელვიძა.

ამ ხანგრძლივ ძილსა და სიზმრებში ხორცი კარგად გაჰფუებოდა.

ეგონა, ჭკუაც.

ხეებს შეხედა.

რა სულელები არიან, ზამთარში სამოსს იხდიან, შიშვლდებიან, ზაფხულში კიდევ ყელამდე იფუთნებიანო.

მოგზაური ძიანძველა

ნავალ, გავივლ-გამოვივლი, ქვეყნიერებას ვნახავო, გაიფიქრა ახალგამოღვიძებულმა ძიანძველამ და სამოგზაუროდ გაემართა.

დიდი ხლაფორთი არ დასჭირვებია.

აქეთ მიდგა, წყალს წაანდა, იქით _ იქაც წყალი დახვდა. თანაც, ავად იქოჩრებოდნენ ტალღები. ეს რა პატარა ყოფილა სამყაროო. ქადრის ფოთოლზე იჯდა. ფოთოლი მდინარეს მიჰქონდა. ახლა, წესითა და რიგით, დროა, მოგზაურობის აღწერას შევუდგეო. ისეთი აღმაფრენა იგრძნო, წინ რა დაუდგებოდა?!

მსხვერპლი

ერთი თხა იყო. კეთილშობილი.

დაბალ მატერიებზე ლაპარაკი არ უყვარდა, ამიტომ სულ მაღლა-მაღლა იხედებოდა.

მგელი თავს იმართლებდა, მე რა, არც ავი მათქმევინა, არც კარგი და ასე თავისსავე ლაპარაკ-ლაპარაკში ისე შემომეჭამა, არც გაუგიაო.

მთავარი წიგნი

ადრე სასახლე ეთქმოდა, ახლა მიტოვებულ-გაჩანაგებული იყო, ობობა და იმისი ოჯახობა მაინც არა სწუნობდა. აგერ, უკვე მერამდენე თაობა იზრდებოდა. მათ შორის, ყველაზე ხნიერს ყოველი კუთხე-კუნჭული გაზომილ-დაქსაქსული ჰქონდა. ჰოდა, სწორედ იმან გადაწყვიტა, თავისი ცხოვრება აღეწერა წვრილად და შეულამაზებლად.

აღარ დააყოვნა, ვაითუ მოვკვდე და უმატეანოდ დარჩეს ჩემი გვარჯილაგიო.

დაჯდა. დღე და ღამე გაასწორა. აღუწერავი არ დარჩენია არაფერი: დამტვრეული ჯამ-ჭურჭლით დაწყებული და დაფხრეწილ-დამტვერიანებული ხალიჩებით დამთავრებული.

დაასრულა. მოეწონა.

ძვირფას ყდაში ჩასვა და გამოსაჩენ ადგილას შემოდო. ვალი მოხდილი ჰქონდა. ვისა თუ რისა, ამას მნიშვნელობა დაჰკარგვოდა. ობობებს რადგან სხვა მსგავსი არაფერი ჰქონდათ, ეს მთავარ ნიგნად გამოაცხადეს.

მართალია წამკითხველი ჯერ არ ჩანდა.

ნიშანს ელოდნენ.

ყველაზე მდიდარი

ყველაზე მდიდარი ლექსიკა ვისა აქვსო. ძიობდნენ.

ქარსო.

რაც მაგას ჩვენგან მუქთად გატანებული სიტყვები აქვს ნაგროვები, იმდენი ჩემს ჯანს შველაო,_ჩიფჩიფებდა მუხა.

კაი ხნის იყო, დაეჯერებოდა.

უსკამო პრეზიდენტი

იმ დღეს უცნაური რამ მოხდა აქლემთა ქვეყანაში. მსხვილ თუ წვრილფეხა ჩინოსნებს თავიანთი სკამები ადგილზე აღარ დახვდათ.

დაღონდნენ.

უსკამოდ ცხოვრებას არ იყვნენ ჩვეულნი.

მეორედ მოსვლა უარესი რით იქნებოდა? შეიყარნენ წესრიგის დამცველნი. ხან ასე განსაჯეს, ხან ისე, ვერაფერი დაასკვნეს სანუგეშო. რა ექნათ, ცნობილი მკითხავი და პოლიტიკურ მოვლენათა წინასწარმეტყველი დაიხმარეს. იმან ერთ ბნელ ღამეს უსინათლო დარბაზში შეყარა ყველანი. სკამები მანდ დგას, შედით და მოხერხებულად მოეწყვეთო. თქვენი სკამი თვითონვე მოგერგებათო.

ათასი სხვა ვინმეც შეძვრა, ზედახორა დადგა.

ვინ იტყოდა უარს მუქთად სკამის შოვნაზე.

მალე გამოიძურწა ბევრი.

ეტყობა, სათავისოს ვერ მიაგნეს.

როგორც იქნა, გათენდა ამ ვაი-ვაგლახში.

ყველა იჯდა, მაგრამ მაყურებლებს პირი დარჩათ ღია.

მინისტრები უბრალო ჩალის სკამებზე ისხდნენ, მაღალზურგიან, რბილ და მოხერხებულ სავარძლებში კი მათხოვრები და სხვადასხვა ჯურის უსაქმურნი მოკალათებულიყვნენ. პრეზიდენტის სკამი არსად ჩანდა და ფეხზე იდგა სანყალი.

რას იზამდნენ. ყველა ბედსა და თავის სკამს შეურიგდა.

ძაღლი ისევ ისე ყეფდა და და ქარავანიც ძველებურად აუმღვრევლად მიირწეოდა.

ერთი ეგ იყო. ფეხდგომელა პრეზიდენტი ჰყავდათ. იმის სკამის ასავალ-დასავალი დღემდე ვერ გაურკვევიათ.

ნაგვის ყვავილები

ნაგვის გროვაზე ამოვიდნენ. გვერდიგვერდ.

გადაყრილი ქოთნებიდან რა ძალამ ამოახეთქინა ამ უცხოფოთლიან მცენარეებს, ვერავინ ახსნიდა. არც უცდიათ, ნაგვის ყვავილები შეარქვეს. უზარმაზარი ალისფერი მომნუსხველი გვირგვინები მზის ამოსელისას იშლებოდა და საღამოს იხურებოდა.

ნაგვის ყვავილებიო _ გადიგამოდიოდა ნაჩურჩულევი.

ერთი დარდობდა, მორცხვობდა, სახელი ეხამუშებოდა.

მეორე ამშვიდებდა. ზოგიერთის ამრეზილ მზერას აინუნში არ აგდებდა.

სახელს რა ჭკუა აქვს, მთავარია, შენც ხარობ და სხვასაც ახარებო.

ერთი მალე დაჭკნა. მეორე დღესაც ყვავის.

ფერების დავა

დასხდნენ ფერები.

განხეთქილების ვაშლი ვინ და როდის შემოუგორათ, ვერავინ გაარკვევდა.

ხალხი ჩიოდა. ეს გაუფერადებელი სამყარო როდემდე ვითმინოთო.

შემრიგებელი არსაით ჩანდა.

ერთმანეთს პირველობას ედავებოდნენ.

მეო, ყელყელაობდა წითელი, ვახალისებ ქვეყნიერებას, უჩემოდ ზეიმებსა და დღესასწაულებს რა ფასი ექნებოდაო.

კაცისკვლასაც შენ დაჰყვებიო, _ საბუთებს უბათილებდნენ.

შავმა თქვა, მე რომ დასაწუნი ვიყო, პოეტები არ შემიყვარებდნენო.

მწვანემ, ბუნებას ჩემი სამოსი უხდება ყველაზე მეტადო.

ლურჯმა, აბა, ცას უჩემოდ ვინღა ახედავდაო.

თეთრმა, უმაკოება და მე განუყრელნი ვართო.

იისფერმა, იდუმალების დედოფალი ვარო.

ყვითელმა, მზის სიკაშკაშე ჩემი მოგონილიაო.

ნარინჯისფერი ფორთოხლებს იმოწმებდა.

სად იყო და სად არა, ცისარტყელა გამოჩნდა.

მოეწონათ. თვალი ვერ მოსწყვიტეს და მის მშვენიერ ხალიჩაზე საკუთარ თავს დაუწყეს ძებნა.

მე თქვენი თანხმობის ნაყოფი ვარ, მიშველეთ, გადამარჩინეთო.

ხომ ხედავთ, ცალ-ცალკე ნაყოფს ვერ ისხამთ, შეერთდებით და რასაც იქმთ, მაგის დამდასტურებელი მრავლად მოიძებნებაო.

შერიგდნენ და სამყაროც გადაურჩა გაუფერადებლობას.

ჭიანჭველების ქორწილი

ჭიანჭველები ქორწილს ეპირებოდნენ.
დიდ ამბავში იყვნენ. სტუმართა სიას ადგენდნენ.
ერთმა მუზმუზელამ აიჩემა, ლომი დავპატიჟოთ, ნადირთა მეფეაო.
ნათესავად რომ არ გვერგებაო. რომელი ნადირები ჩვენა ვართო.
აბა, ისხედით და ყველა ბედოვლათს თავზე ფეხი დაადგმევინეთო.
ეს ჭიანჭველა ზანზიბარში იყო ნამყოფი, ამიტომაც გასდიოდა. უსმენდნენ.
მოპატიჟეთა ჯარი გაგზავნეს.
ყურში ჩაჰკიოდა ერთი სახელგანთქმული ბანი.
რაო, რაო?! ჩემი სტუმრობა დიდი ხარჯიაო.
რა სალაპარაკოაო.
არა, მე სხვა რამესა ვგულისხმობო.
რაც გინდა იგულისხმეთ, ყველაფრისთვის მზადა ვართ. უშენოდ ჩვენს ლხინს ფასი არ ექნებაო.
ისეთი სუფრა გააწყვეს ჭიანჭველებმა, მარიაჭიას რძეც არ აკლდა.
დათქმულ დროსა და დათქმულ ადგილას ლომიც მობრძანდა.
ერთი გაიარ-გამოიარა.
ვერაფერი დაინახა: მეფე იყო, თავი მაღლა ეჭირა. ეტიკეტს იცავდა.
როგორ გავბრიყვდი და წამოვედიო.
იმ ჭიანჭველების ქორწილის მოამბე კი დღემდე არ გამოჩენილა.

ახალი მოსამართლე

ჭკუანაღრძობი არ ეთქმოდა, მაგრამ ვერც ჭკუათმყოფელობას შეატყობდი, თუმცა მრავალ ქვეყანაში ყოფილა ნასწავლ-ნამყოფი.
ამის საბუთები კედელზე ჰქონდა გაკრული ფერწერული ტილოებივით.
ვითომ შედევრები რომ გაეკრა, რეპროდუქციები, რა თქმა უნდა, კაცი თვალს მაინც დაალევინებდა წყალს, რა მოხდებოდა?
ასე ფიქრობდა ერთი გულუბრყვილო, განათლება სამშობლოში მიელო და აბა, მის აზრსა და შეხედულებას ვინ დააფასებდა.
მოცლილი პატივისმცემელნი კი არ აკლდნენ.
ამას არა. იმას, ახალ მოსამართლედ რომ დაენიშნათ.

ძველმოქმედება

ხვალ ჰაერი ძირითადად მზის ხარჯზე გათბებაო.
კოხტა გოგო იყო, ვარსკვლავებს არ ეთამაშებოდა, მაგრამ ვერაფერს დაუწუნებდი.

ამინდის პროგნოზის გამოცხადების უნივერსიტეტი წარმატებით დაემთავრებინა.

გამოთქმაზე ეტყობოდა უზადო პროფესიონალიზმი.

ნეტა, სხვა დროს რის ხარჯზე თბება ეს დალოცვილი ჰაერიო. ტელევიზორს თვალს ვერ სწყვეტდა ყურშა.

პატრონს გაოცება არ ეტყობოდა.

ამანაც აღარ შეიმჩნია.

ვერც ურიგო რამ შეჰკადრა, თუნდაც ფიქრებში.

უმადურობას ვერ დასწამებდი, კარგად იცოდა, თვითონ ვის ხარჯზეც თბებოდა.

ხანმოკლე წუთისოფელი

დასძარი კაცო, ეს შენი ურემიო.

შევწუხდითო.

ნეტავი სად გეჩქარებათ, წუთისოფელი ისედაც მოკლეაო.

ვაჰ, ეს რა კარგად თქვაო. აღტაცების ჩქერები დაედინათ სახეებზე.

ერთი ვერ მოხიბლულიყო მაინცდამაინც.

წუთისოფელი კი მოკლეა, მაგრამ განა ამ ურემში უნდა გავატაროთო.

არისტოკრატი

ქარვის კრიალოსანი არ ეჭირა, ისე ართობდა ფიქრებს, ქალი რომ შევიდა. გზა აბნეოდა პენსიის ძებნაში. ერთი ახედ-დახედა და მაგის არაფერი გამეგებაო.

ფიქრების კარგი გართობა იცოდა.

არისტოკრატობას ჩემულობდა. სიგელ-გუჯრები ჰქონდა. არავინა სთხოვდა დადასტურებას, მაგრამ ამას როგორ დამალავდა. კედელზე ჰქონდა თვალსაჩინო ადგილას დაკიდებული. მიმსველელ-მომსველელის თვალს რომ არ გამოჰპარვოდა და ეკითხა, ჩასძიებოდა. ამასაც. პირზე წყალმომდგარს ძირი გაეგდო ქებით მამა-პაპისთვის. თვითონაც ხომ ამის მიხედვით უნდა შეფასებულიყო.

კარგი განძი იყო. გენეალოგიურ რუკას სახარებასავით შლიდა.

წასაკითხი რა იყო?! ყოველ ჯერზე გულდასმით კი ჩაჰკირკიტებდა.

არისტოკრატიაო. ამბობდნენ.

დემოკრატიის ხიბლი

პინგვინებმა კარდაკარ ჩამოიარეს.

მოედანი გაივსო. სიხარული გადიოდა და გამოდიოდა. ერთად უხაროდათ.

ცალ-ცალკე რომ გეკითხათ, ვერ აგიხსნიდნენ მიზეზს.

ან კი სად იყო მკითხველი.

ყველა ვართო? არა, ორიოდე გვაკლიაო.

ალბათ, ავად იქნებიანო. კი, კიო. არა, არაო, აზრი ორად გაიყო.

მთავარმა, დასნეულებულან, სამწუხაროაო.

არა, განსხვავებული აზრი აქვთო, ქარმა დაუკითხავად ააფრიალა ვიღაცის ნაჩურჩულევი.

მახვილი ყური ჰქონდა მთავარს.

ხალხი ჩვენ ვართ. ბევრნი ვართ. აბა, სიმართლე რას ნიშნავსო? როცა ხალხი აღიარებსო. ხალხი კი სიმრავლეაო.

ტაში დასცხეს, ღრუბლები დაფრთხნენ ცაზე.

ჩვენი ძალაო. ჩვენი კუნთებიო. ჩვენი ნებაო.

მოსწონდათ. ხალხსა ნებავსო.

ისინიო, ისხდნენ თბილ სოროებში, აბა, ახლა განსხვავებული აზრის ქონება სნეულებაა, მაშ, რა დარდუბალაო.

მჭევრმეტყველების ხელოვნება არ სჭირდებოდა. გაუგებარი რა იყო? გულები უცემდათ. აბა, ისინი რა სახსენებელი იყვნენ.

ბევრნი იყვნენ, დაეჯერებოდათ.

და სანამ დაიშლებოდნენ, ჭეშმარიტება საბოლოოდ რომ დაებეჭდათ, ბარემ განტევების ვაცობანაც ითამაშეს.

ეშმაკის ათრეული

ორნი იყვნენ.

შეღონდნენ. მესამე რომ გამოჩნდა, აზრი დაჰკარგვოდა საქმეს.

გუშინ ბევრი დავლიე, ეშმაკმა ამათრიაო.

წყალგაუვალი საბუთი იყო.

ვერ დაარღვევდი.

არც არავის უცდია.

ისევ ყურშა

გეპატიჟებითო, კიდევ და კიდევ გეპატიჟებითო.

ფესტივალზეო ამისა და ამისაო.

ჩამოვლენო ესენი და სხვანიო, სხვებზე უფრო უკეთესებიო.

მაშ, გეპატიჟებითო.

მაგაში გადასაყრელი ფული სადა მაქვსო, არადა, პატრონს ჯაზი უყვარდა.

იცოდა ჭკვიანმა ყურშამ და ფიქრობდა.

ისევ თავისთვის.

ხმამაღლა გამხელისა ერიდებოდა, კარგად იყო აღზრდილი.

პატრონისასაც თვითონ ფიქრობდა, რაღა დაპატიჟებაა, თუ ფულს გადავიხდიო.

ჰოოო. და კიდეე. თუ ფულს გადავიხდი, ხომ ისედაც დაპატიჟებული ვიქნებიო.

ასე ფართიფურთობდა ძაღლი.

ის მაინცა თქვან, გიწვევთო.

გიწვევთო თუ გეპატიჟებითო. რომელი სჯობიაო?!

მოცლილი იყო ყურშა.

ᲩᲮᲘᲙᲕᲔᲑᲘᲡ ᲜᲐᲛᲚᲔᲠᲘ

ჩხიკვებმა გალობა შეისწავლეს.

ჩვენს საქმეს მოუხდებაო.

რა საქმე იყო, იმათ გარდა, არავინ იცოდა.

ერთი ეგ იყო, ბულბულებს ემეზობლებოდნენ.

ხმა და სმენა რა მოსატანიაო.

არც მოჰქონდათ.

მწყრები ხომ არა ვართ, ჩვენი გვარის ხის გარდა, არაფერზე შემოვსხდეთო და, შესხდნენ.

ცხრა მცენება ასე თუ ისე გადაელახათ.

ამ მეათეს რატომ ვერაფერს უხერხებდნენ, ვერა ხვდებოდნენ.

ᲡᲘᲛᲨᲕᲘᲓᲔ

შეშინებული ხალხი გარბოდა.

საით, არავინ იცოდა.

შიში მიერეკებოდა.

ტყე ანუგეშებდათ.

იქ ბერი განმარტოებულიყო. იცოდნენ.

წყაროზე გამოსულიყო განდეგილი და კოკას ავსებდა.

არ გაგიგია, რა მოხდაო. აღშფოთება და შეშინება თანაბრად გაისმოდა ხმაში.

რა დროს პირის ბანააო.

ეს საიდანლა მოიტანეს.

ბერი ყრუ-მუნჯი იყო. ამათ არ იცოდნენ.

მშვიდად შემოხედა იმან.

ნელა აიღო კოკა ხელში და აღმართს აუყვა.
ანაფორას მსუბუქი ნიავი უფრიალებადა.
ერთბაშად ყველა დამშვიდდა.
სად გავრბივართ, კურდღლებივითო.
შემოტრიალდნენ და საიდანაც გამოიქცნენ, პირი იქით ქნეს.
ბერი სენაკში იჯდა და ანკარა წყაროს ეწაფებოდა.

ზრდილობის გაკვეთილი

ყველა იჯდა.
კმაყოფილი არ ეთქმოდათ.
ჰა და ჰა უნდა დაძრულიყო, რაც იყო.
სწორედ ამ დროს კარი ოხვრა-ვიშვიშით გააღო ბებერმა კუმ. ფეხი მოსტეხოდა, ძლივს ამობობღდა და უმნეოდ მიმოიხედა.
გრძელი გზა ჰქონდა.
ყველამ ზევით აიხედა, ცის გაჩხრეკა დაიწყო, ბედად მოკრიალებულ ცარგვალზე ერთი ღრუბელიც არ ჩანდა.
გამოჩნდებიანო. ეიმედებოდათ.
ასე ერთი ფიქრით რამ შეაკავშირათ, ვერავინ ახსნიდა.
კუ იდგა ცალ ფეხზე, მეორე სტკიოდა.
კარგი ჯანსაღი სხეულები მკვიდრად ელაგა.
მაღალ მატერიებზე ფიქრის საღერღელი აშლოდათ.
აბა, ამათ მომავლის რატომ უნდა შინებოდათ?

ჩალის სავლები უიღბლოთათვის

აქეთ ეცა, იქით ეცა.
ეს ისე, სალაპარაკოდ, თორემ, იჯდა და ჩიოდა.
ამაში კარგად განაფულიყო.
ბევრი იფიქრა თუ ცოტა, ექიმთან წავიდა.
იმან ერთი ახედ-ჩახედა ისეთი მზერით, ამას ჩემი ნებით გახდა მერ-ჩიაო, ფიქრობდა.
რაო, რა მჭირსო.
ისეთი არაფერიო.
მეშველებაო? დააიმედა, შენზე უარესებს შევხვედრივარო.
დიდი ნუგეში იყო.
ჩალა გამოუნერა პირში სავლებად.
ამის შემდეგ მიზეზი ჰქონდა.
ექიმისგან დადასტურებული.
პირში ჩალაგამოვლებული დადიოდა.

ᲡᲔᲮᲜᲘᲔᲑᲘ

თომა არ ერქვა, დედა ეძახდა, იმასავით ურწმუნო ხარო.
ლუკა ეწოდებინა მამამისს.
ვისთვის რა უნდა ეხარებინა, ეგ იყო, წვიმად მოსელას ისიც ნატრობდა.
ლირიკულ გუნებაზე როცა ბრძანდებოდა.
ისე, იყო, რა.
სეხნიები კარგი ჰყავდა. წარამარა ახსენებდა. ამ ორს გამოარჩევდა.
გულის სილრმეში არ იხედებოდა, სიბნელისა ეშინოდა ბავშვობიდან.
ისე კი, ვინ იყო, რა იყო, ნეტა ვის ასლად ჩაეფიქრებინა შემოქმედს?
მინაზე ისე გაემრუდებინათ დაგეგმილი, კაციშვილი ვერ გაარჩევდა.

ᲒᲐᲫᲕᲐᲕᲔᲑᲘᲡ ᲮᲔᲚᲝᲑᲐ

იჯდა და ქვას წყალს ადენდა.
ჰა და ჰა, სამოთხის კარი გამელებაო.
ოდესღაც თარჯიმნად გონება ესვა, მაგრამ ამის ყურებაში სიქა გასცლოდა და გადაკარგულიყო.
ჯანდაბამდის გზა ჰქონიაო.
გვერდით ჩაუარა სხვამ.
მეზობელი ოსტატი იყო, ქვების დასაკოდად მიდიოდა.
ამან თვალი მონყალედ გააყოლა.
ნეტავი იმ ქვებს რა თავში იხლისო.
ამის ხელში შებეზრებული ქვა კი თავისას ჩიოდა: გამანყალა და ეგ არიო.
ერთი შორეული ქვას კი მოთმინება ეკარგებოდა ხანდახან: ეაჰ, წარამარა მახსენებს, მაგრამ რად გინდა, ცარიელ გულში მაინც ვერსად მომიძებნა ადგილიო.
უსაშველოდ წუხდა.
ეს ერთი კარგი ნიგნის ქვა იყო, თავკიდურის სახელით იცნობდნენ.

ᲒᲐᲜᲡᲐᲪᲕᲘᲤᲠᲔᲑᲔᲚᲘ ᲡᲐᲜᲐᲮᲐᲝᲑᲐ

მამის დანატოვარს ნირვა გამოუყვანა და დარჩა ასე, გულხელდაკრეფილი.
საბედისწერო ნამი დასდგომოდა.
აქეთ მოდგა, იქით მიდგა და სანახაობის მონყობა გადაწყვიტა.
გაეგონა, ამ გზით გამდიდრება შეიძლებაო.
ჩაუჯდა. ტვინი აიქავა.

რეკლამა დაატრიალა. ხალხი შეჰყარა.

ძველი ჯამბაზები გამოიყვანა, აცინა და ახარხარა, ცრემლები სდიოდათ.

იმას აღარავინ ფიქრობდა, რეკლამით რას დაჰპირებოდნენ.

ყველა ბედნიერი და კმაყოფილი იყო.

ერთი ძილდამფრთხალი ჭოტი იყო მხოლოდ გულმოსული და გაკვირვებული, ამ განსაცვიფრებელი სანახაობისას ვერაფერს მიმხვდარიყო.

სიტყვებით ვარ(ჯიში)

წერდა ხან ასე, ხან ისე. მანასესავით.

გამოთქმაში ოსტატდებოდა.

ახლაც სამი სიტყვა აიღო: ზურმუხტი, სიკვდილი, მეწამული.

ესეც თამაში იყო.

მერე შეიძლებოდა ორიგინალურობისთვის ტაშისთვისაც გამოეკრა ხელი.

ახლა მთავარი იყო კომბინაციები.

სიტყვა კი მარგალიტი იყო. ამაში ყველა შეთანხმებულიყო. წინაპარიცა და შთამომავალიც.

თამაში იყო ყალბი.

ვილაცამ პირიქით თქვა.

ჰო. პირველი კომბინაცია ზურმუხტისფერი სიკვდილი. კარგი იყო. ერთ-ორ ზმნასაც მიაბამდი გასაწევად და ფეხის ასადგმელად. მერე თვითონ გაუყვებოდა გზა-შარას.

მენამული ზურმუხტი _ ამას აღტაცება ვერსად გაექცეოდა. ზურმუხტი მნვანე იყო. მეწამული _ წითელი. შერეული ფერები.

აზრი რა? ეგ ისეთი რამ იყო, უსიტყვოდაც ჩნდებოდა. მით უმეტეს, სიტყვათა სიახლოვეს.

ჯერ იყო სიტყვა, მერე აზრი.

არც მეწამული სიკვდილი იქნებოდა ურიგო.

მერე სხვა სიტყვებს გაათამაშებდა.

მადლიანი ენა უშურველობაში გამოეცადა.

უწყინარი თმაში იყო.

ჯიშიანობის დასტური.

ვარ ჯიში I, ვარ ჯიში II, ვარ ჯიში III....

ასე ვარჯიშობდა და პოეტობას იმტკიცებდა.

მაღაზია

ერთ ღრუბლიან დღეს რუსთაველზე ხეტიალისას მოსალოდნელად წამოწვიმა და გაღებულ კარში დურთა თავი.

მაღაზია აღმოჩნდა.

დახლებზე უძველესი წიგნები ელაგა, მკითხველზე მოგონებები რომ გახუნებოდათ.

გამყიდველი მოდილიანის გოგონას ჰგავდა თვალებით. ღიმილი კი ყოველად მიწიერი ჰქონდა, ვითარებისა და ადგილის შესაფერისი.

ერთი წიგნი გადაშალა, მარტო ყდა იყო, მეორე, მესამე.

აბა, გაკვირვებას როგორ გამკლავებოდა.

შიგ ჩარჩენილ ურუანტელებს ვყიდითო.

აბა, როგორ მიმხვდარიყო, ტყუოდა თუ სიმართლეს ამბობდა, ის ხომ მოდილიანის ნახატს ჰგავდა თვალებით.

თქვენ რის ურუანტელი გნებავთო.

გახსენება გაუჭირდა.

ნეტავი ჩვენს დროში წიგნის ურუანტელებით ვიღა ცხოვრობსო.

განა მეცო. მკითხველად მოჰქონდა თავი.

ეტყობა ურუანტელის განცდა დაუკითხავად შემოსცვეთოდა.

ვინმე თუ ყიდულობს რამესო.

როგორ არა, ენების ურუანტელს მუშტარი არ ელევაო.

მე, მეო... წაუკითხავად როგორ უნდა ვიგრძნოო.

ძველი ნაკითხული თუ არ წაგშლია, ის მოგგვრის სასურველ ურუანტელსო. ოღონდ, სათანადო ორგანო თუ არ გადაგგვარებიათო. რაო?

თუ თანახმა იქნებით, შეგამონმებთ, უახლესი მონყობილობა გვაქვსო.

არა, არაო, სხვა დროს შემოვივლიო და გარეთ გამოვარდა გამოსროლილივით.

წვიმას გადაეღო. ცაზე ცისარტყელა მშვენიერ შარფს მიაფრიალებდა.

ურუანტელი აკლდა, აფსუს, რატომ არ ვიყიდეო და უკან შეტრიალება გადანყვიტა.

სადღა იყო.

ის მაღაზია წვიმის წვეთებთან ერთად ორთქლდებოდა და თვალი მიადევნა გამქრალ სილუეტს, ჰორიზონტზე ღრუბლის ფთილასავით რომ იფანტებოდა.

ყურშას ენისგასატეხებიდან

ხანდახან ყურშა, პატრონი რომ ტელევიზორს გამოურთავდა, ასეც ერთობოდა.

ისევ ეკრანიდან გამომსხლტარი მუხანათურ-დამპყრობლური სიტყვებით.

მაინც რა ძალა ჰქონდათ, სიზმრამდე მიჰყვებოდნენ და კოშმარდებოდნენ.

ახლა ამ სიტყვებზე შურს იძიებდა და ასე აპამპულებდა, ერთობოდა

რა, სათავისოდ:

ცივილიზაცია გაცივილიზაციებულა, საცივილიზაციეში ჩაცივილიზაციებულა.

ერთი საცივი იყო, რის შესახებაც რამე გაეგებოდა.

დამიხედეთ ერთი, რა, საკმარისი არ იყო თუ?!

გლობალიზაცია გაგლობალიზაციებულა, საგლობალიზაციეში ჩაგლობალიზაციებულა.

ამაში გარკვევას ერთი უნივერსიტეტი რომ სჭირდებოდა, იცოდა, თავის ტკივილს უფრთხოდა.

გონიერი არსება იყო, აბა, კაცს ისე როგორ დაუმეგობრდებოდა.

კულტურა გაკულტურებულა, საკულტურეში ჩაკულტურებულა.

ერთ ჩაკულტურებულს თვითონაც იცნობდა.

აბა, პატრონზე აუგს როგორ დააცდენინებდი.

ჯიუტი

თავისი მრწამსი ჰქონდა. სხვები რას ეჩრებოდნენ, ვერ გაეგო.

მკვდრეთით აღდგომას არ მოელოდა. რაში სჭირდებოდა, თავისი ცოდვა-მადლის უშეღავათო აწონა-გაზომვისთვის ეცქირა. სანახაობა აქაც არ აკლდა.

ცხოვრებას სამერმისოდ არ დებდა.

ახლა და აქვე ერჩია.

არ ენანებოდა, დრო რომ თავქუდმოგლეჯილი გარბოდა.

ჯანდაბამდე გზა ჰქონია, კისერმოტეხილიც მაგიტომ არისო.

ტერფები არ ექავებოდა ცვრიანი ბალახის მონატრებით.

თავისი სურვილების გამოქვაბულში იჯდა, ჰაერში კი არ ეკიდა.

ინტიმურ ვახშმებს აფასებდა.

ფაქიზი სული ჰქონდა, არ სჭირდებოდა სხვათა დასტური.

ამ მრწამსის მიხედვით ხომ საკუთარი თავის შემოქმედიც თვითონვე ბრაძანდებოდა.

კმაყოფილებას დამეგობრებოდა და სხვათა ცხონებისგან მოქანცული მამამისი არ ადარდებდა.

სურვილების სასაფლაო

იმ წელს დიდი სიკვდილიანობა იყო.

გაიზარდა და გაივსო სასაფლაო.

მიმსვლელ-მნახველი არ აკლდა.

ისიც იქ იყო. ამ კვირაში უკვე მეოთხე სურვილსა კრძალავდა.

ძველი გარდაცვლილებისთვის ყვავილები აჰქონდა.

ცხოვრებაც ეს იყო.

სურვილების სასაფლაოს მონახულება.

ძარაგმულები

* * *

ხილი მწიფე სჯობს და შეძახილი მკვახეო.

* * *

ეშმაკები ანგელოზებს ემტერებიანო. მშვიდად იყო ყაჩაღი.

* * *

ფარშევანგთან ერთად სარკეში ჩახედვას მოერიდეო.

* * *

ლომის ბუნაგში ლექსებს არ კითხულობენო.

* * *

კატა და ძაღლი პატრონის ოჯახში მეგობრობენო.

* * *

სურვილები რომ დაგემშვიდობებიან, მათ სიავკარგეს მაშინ მიხვდებიო.

* * *

უპატრონო საყდრის პატრონობა არც ეშმაკებს ეპიტნავებათო.

* * *

გველს ხვრელიდან კი ამოიყვან ტკბილი ენით, მაგრამ ამხანაგობას ნუ ეცდებიო

* * *

კატა კაცთან არასოდეს წაიტრაბახებს, ვეფხვი ჩემი ბიძაშვილიაო.

* * *

ქარი სადმე თუ გინახავსო.
არა, მაგრამ, ვიცი თავქარიანიაო.

* * *

გრიგალმა თქვა: ჩემი სინაზის ამბავი გიორგი ლიონიძეს ჰკითხეთო.

* * *

ღრუბელთა ხვევნა-კოცნა ცრემლისღვრით მთავრდებაო.

* * *

თოვლი ჩიოდა: გალაკტიონის შემყურემ, მე თვითონაც აღარ ვიცი, რა ფერისა ვარო.

* * *

შაირს უთქვამს, ჩემი საზომი რუსთაველიაო.

* * *

ნაცარქექიამ შემოუძახა ქართველს: რაღა ნაცრის ქექვაში მებაძებიო.

* * *

მარიაჭიასთვის მიცემული პირობაც მოგეკითხებაო.

* * *

ქარიშხალს თმაგაჩეჩილი ქალიშვილები ჰყავსო.

* * *

ოაზისის ფასს უდაბნოში არ კითხულობენო.

* * *

ერთადერთი კონა ვიცი, არასოდეს დაჭკნებაო.
რომელიო?
ქართველებმა იციანო.

* * *

სად იყო და სად არაო...
სადაც გინდა ყოფილიყო, კატა, თაგვის ასავალ-დასავლის ფიქრს ეჭმევინებოდაო.

* * *

თვალი რეკლამით ძღებოდა, კუჭი მაინც ჭკუასთან საჩივლელად გარბოდაო.

* * *

ბულბულმა თქვა, სანამ ხმა არ ჩამიწყდა, ვერ მივხვდი, ვის ვუყვარდი და ვისა ვძულდიო.

* * *

ობობამ თავის ოსტატობაზე იმდენი იბაქიბუქა, ბოლოს თავისსავე დაქსელილს ვეღარ გამოეხსნა. იხტიბარს მაინც არ იტეხდა, პარიზული მოდის სამოსი მაცვიაო.

* * *

პინგვინები კაცებს შეერიენენ, სხვა თუ არაფერი, გამორჩეულებს მაინც დაგვიძახებენო.

* * *

კაცი ჯოჯოხეთში იჯდა და ჩაუდენელ ცოდვებზე ოხრავდა.

* * *

კოდალას ნისკარტის მოცვეთას ტყე არა დარდობსო.

* * *

გაპამპულებულ სიმართლეს არავინ ესარჩლებოდა.
ჰო ვაფრთხილებდით, რაც მოგივა, შენი თავითაო.

* * *

თავდაჯერებულობის ბუდეში ისხდნენ. არა სციოდათ. ბუდე მშობლებს ეანდერძებინათ.

* * *

გათანგულიყო, სიცხით არა. თუნგების ზიდვით.

* * *

იხტიბარს არ იტეხდა, აქაოდა თაგვებმა მაინდამაინც ჩემი ჯიბე შეარჩიეს სათამაშოდო.

* * *

დედის კალთას გამოკერებულმა კნუტმა კნავილი კი ისწავლა, მაგრამ თაგვის ჭერა _ ვერაო.

* * *

კამკამა წყარო სარკედაც კარგია და სულის მოსაბრუნებლადაცო.

2008 წლის ზაფხული

რადიოპიესები

ფლამინგოები ჯოჯოხეთში

მოქმედი პირნი:
მედეა
სანდრო
ქალი
ხმები: სერაფიტი, ელენე, მედეა
მუსიკა

მუსიკა.

მედეა: მთელი დღე ლექსებში... ვერავინ მიშველის, თუ თავში შემოვლენ შეშლილი ლექსები, წყურვილსაც მოვიკლავ კამკამა ლექსიდან... ვინ მოვა ლექსიდან... მუსიკა, რომელიც კვლავ ლექსში ნამიყვანს... ჩვენ ლექსში შევხვდებით და ისევ ყოველი... და თვითონ სამყარო იშვება თავიდან...

მუსიკა

მედეა: მახსოვს სიმსუბუქე დამჭკნარი ფოთლისა, ნიავმა დაჰბერა და მოვწყდი ტოტს, რომელსაც სიცივისგან შეაკანკალა. შემოდგომა... დიდი ხანია შემოდგა ჩემს სხეულში, შე... შენ... მინაზე ბევრი ფოთოლი ყრია... ფერები ხრწნისა, ფერები კვდომისა... სილამაზე გარდაცვალებისა... მე შევიცვალე... მახსოვს სარკმელში მთვარის პროფილი და ხმა შორიდან...

ისმის მუსიკის ხმა...

სანდრო: მედეა, მოგწონს? შენზე ვფიქრობდი ამის ხატვისას...

მედეა: ჩემზე? სიზმარში მგონია თავი. სად ნახე ასეთი მშვენიერი ვარდისფერი და ცისფერი ფლამინგოები...

სანდრო: შენს მზერაში... დიდი ხანია გიცნობ, მაგრამ ახლა აღმოგაჩინე. სიტყვები, რომელი სიტყვები გითხრა, გაცვეთილი, უფერო სიტყვები... უშენოდ... ეს ფლამინგოები... დაიხოცებიან. გესმის? უშენოდ ცარიელია ჩემი სიცოცხლე _ როგორც გამხმარი ხეები ზამთარში, რომელთაც აღარასოდეს ენვევათ გაზაფხული...

მედეა: რა დიდებულია! შენი ბაგეებიდან სიტყვები ისე ცვივა, როგორც ატმის რტოდან ყვავილები ნიავის დაბერვისას. ეს ყელაფერი შენ მოიგონე... არ არსებობენ ასეთი ვარდისფერი და ცისფერი ფლამინგოები... ჩვენც ერთად... მხოლოდ... მხოლოდ ამ ტილოზე _ როგორც ეს ფრინველები _ არც ცაზე, არც მინაზე, არსად! არ არის ამ უსასრულო სამყაროში ერთი პანანკინტელა ადგილი, სადაც ჩვენ _ როგორც ეს ფლამინგოები _ ვარდისფერი და ცისფერი _ ერთად...

სანდრო: მედეა...

ისმის მუსიკის ხმა.

მედეა: ახლა, როდესაც ასეთი ცხადი და გამჭვირვალეა მთელი სამყარო, გახსნილი და ამოხსნილი... მე ვდუმვარ და ჩემი სხეული _ ლურჯი მარმარილოსავით ჩუმი და ცივი.. თეთრ ქრიზანთემებში, შინდისფერ მიხაკებსა და პირისფერ ვარდის კოკრებში ჩაფლული... რამდენი ყვავილი... რა უხვად მოტანილი... ლამაზად დაწნული კალათები ნორჩი იებითაა სავსე... მე დიდი ხანია უნდა ნავსულიყავი... ცრემლები... მეფრქვევა მდუღარე ცრემლები და წუხს ჩემი სული...

ისმის მუსიკის ხმა...

სერაფიტი: მე ვარ სერაფიტი, ასული ზევახისა... ცისფერი თვალებითა და ოქროსფერი თმებით... ვიყავი... თუ... იყო და არა იყო რა... ცრემლების ზღვაში ჩემი სული, როგორც გედი... უმტკერო და დაულაქავი... მერე მზის სხივს გავყევი... ღალატი...ახლა როგორც უგემოვნოდ შერჩეული Fფერი ტილოზე... მაშინ, ეკალი ულმობელი უეცრად უებრო ვარდის მიწედენისას და ხელისგული დასერილი სისხლის წვრილი ნაკადულებით...

ისმის მუსიკის ხმა...

მედეა: იმ კაცს ხედავ, სანდრო, რაც ჩვენ აქ ვსხედვართ, ერთი-ორჯერ უკვე ჩაიარა...

სანდრო: მერე რა მოხდა... ხალხს რა დალევს ამ ბაღში...

მედეა: ასე მგონია, ეს დამშრალი შადრევნები... მაგან დააშრო... თანაც, ლურჯი წინდები, დაინახე? ლურჯი წინდები ეცვა...

სანდრო: რა ფერისაც უნდა სცმოდა... მედეა... არავინ და არაფერი არ არსეობს ახლა შენ გარდა და მე ვერაფერს ვხედავ... შენს თმებს შროშანის სურნელი აქვს...

მედეა: რა ლამაზი თითები გაქვს, ჩამოთლილი, თან რა ნაზი... ეს რა ხაზია ასეთი ლურჯი... მაჯაზე რა გაქვს? გაგეკანრა?

სანდრო: ეს? არაფერი.. ისე, საოცარია, მინდოდა მეამბნა და სულ მავიწყდებოდა... ამას წინათ სიზმარში ერთ უცნაურ კაცს დავუმეგობრდი, წარმოგიდგენია? ძმად გავიფიცეთ, შევასრულეთ ძველებური რიტუალი... წარმომიდგინე თავით ფეხამდე იარაღში ჩამჯდარი... ხმლები და თოფები გავცვალეთ... მერე მაჯები გადავისერეთ...

მედეა: სიზმარში? შენ კი გატყვია ასე ცხადად.

სანდრო: ჰო, ხდება ხოლმე... ალბათ, მალე გაქრება კიდეც...

მედეა: სიზმარში? მეტი არაფერი? მხოლოდ გაიფიცეთ და მეტი არაფერი? პირობაც ხომ არ მიგიცია რამე?

სანდრო: პირობა? არა, რა პირობა უნდა მიმეცა?

მედეა: ისე, გეხუმრები... შეხედე... ხედავ იმ ჩიტს? რამდენი ხანია ზის ტოტზე და ჩვენ გვიყურებს... ნეტავი ამ ჩიტს თუ გავახსენდებით მე და შენ ... ეს დღე... ეს შაბათი...

ისმის მუსიკა...

კაცის ხმა: შაბათი... უფალი ისვენებდა... მის ხელებს ეტყობოდა თიხის კვალი... მეექვსე დღე ყველაზე მძიმე და ყველაზე ძვირფასი... ედემში ერთად იშვებდნენ ორნი... და უნაკლო გახდა სამყარო... მშვენიერი და სრულყოფილი...

სხვა ხმა: „რამეთუ ვიხილენ მე ცანი, ქმნულნი თითთა შენთანი, მთოვარე და ვარსკვლავები, რომელნი შენ დააფუძნენ..."

ისმის მუსიკის ხმა...

რადიოს დიქტორის ხმა: ამ ბოლო დროს ძალიან ბევრს ლაპარაკობენ მხატვარ სანდრო მინდელის შესახებ. გასაოცარი რამ ხდება. ამ ერთ ჩვეულებრივ მხატვარზე დღეს მთელი მსოფლიო ალაპარაკდა... განსაკუთრებული აღიარება მოიპოვა მოიპოვა ტილომ „ფლამინგოები ჯოჯოხეთში"...

რადიოს დიქტორის ხმა: დღეს ლონდონში გაიხსნა ქართველი მხატვრის, სანდრო მინდელის პერსონალური გამოფენა. მის სტილში არის რაღაც დემონური... რაღაც არაადამიანური ენერგია იფრქვევა მისი ზოგიერთი ნახატიდან, მაგალითად, ფლამინგოები...

მუსიკა.

მედეა: დიდ ხანს მიხმობდი ხარბი ბარათებით, ხატავდი სივრცეში ხავერდის ქარავანს... მერე სველ დუმილში გახსენი გასამხელი... მოხვედი თებერვლის უმტვერო თოვლი... მახსოვს... აკლდამაში ფარული ჯვრისწერა, თითქმის არყოფილი. სამარადისო ფიცი და ბროლი დამსხვრული ქათქათა ფიქრებად... გაცრეცილ ბაგეზე ენძელებს ვკოცნიდი... თებერვლის თოვლი... დაფანტული ფორთოხლები თეთრ სარეცელზე. ცხელი ტბორი ნარინჯისა, ყვითელი ღამე... მზე დატეხილი ოქროს თითებით დაეძებდა დაკარგულ სარკეს... და დნებოდა თოვლის სტრიქონი... თვს არ განებებს უცხო ხილვა და დავიწყების ნეტარებიდან გამოხმობილს შეგაფეთებს სიზმარს იმავეს... მღვრიე ბურუსში მოჩანს ტილო: ნატურმორტი: ლურჯი ცხედარი თოვლის მკლავებში და ფორთოხლები.

ისმის მუსიკის ხმა.

ქალი: რა დაგემართა, დაწყნარდი, რა მოხდა....

მედეა: ყველაფერი ტყუილი იყო... ტყუილი... არ მინდა ტირილი, მაგრამ რაღაც ჩემში, ჩემზე ძლიერი არ მაძლევს ნებას...

ქალი: მადლობა ღმერთს, რომ ყველაფერი ასე დამთავრდა, ხომ შეიძლებოდა უარესადაც...

მედეა: ღმერთო, მაპატიე... დამავიწყე იმისი შეშინებული მზერა და ყალბი ღიმილის ნიღაბი...

ქალი: როცა ირგვლივ ამდენი პრობლემაა... გეგონება, ცაში ცხოვრობდე....

მედეა: ჰო, დიდ მინდორში უამრავი ყაყაჩო როდესაც ყვავის, ვერავინ ამჩნევს ერთი დამჭკნარი ყვავილის ტკივილს... მოცელეს ბალახი... არავის ახსოვდა ყაყაჩო უებრო... და ახლა ტკივილი... კივილი მოკანკალე მიაქვს ქარს ყვავილის მოკვეთილ ტანიდან...

ქალი: ღირს კი? დაფიქრდი, რისი გულისთვის... მერე რა მოხდა, ერთი პატარა სიყვარულისთვის... სულელი ქალი... უამრავი სისულელე... კაციც, რამდენიც გინდა... თანაც იმდენად სულელნი, რომ სიყვარულისთვის თავის მკვლელნი...

მედეა: ღირებულება? ვინ აწონავს ან ვინ გაზომავს... მთელი სიცოცხლე სასაფლაო ატარო გულით...

ქალი: გაფერმკრთალდება ტკივილიც, ტანჯვაც... არ არსებობს ჭრილობები მოუშეშებელი... მხოლოდ დააცადე... დროს, მის მეუფებას, რომელსაც მორჩილებს ყველაფერი, თვითონ მეფენიც...

ისმის ნვიმის ხმა:

მედეა: როგორ ნვიმს... მანვიმე თავშიც, კეთილო ნვიმავ, და ჩამომირეცხე, გადაშალე ყველაფერი... აღარაფერი აღარ მინდა მახსოვდეს... აღარაფერი... დამავიწყე... დამავიწყე... სიტყვები... სიტყვები.... ისეთი ლამაზები, როგორც მწიფე ეაშლები ფერად ფოთლებსა და ბალახებზე...

ისმის მუსიკა...

კაცი: „ამაოა მთლად ცხოვრება, დრტვინვის წუთისოფელია,
ნადი, ნადი მონასტერში, მონასტერში, ოფელია...".

ისმის მუსიკის ხმა...

მედეა: სველია მინა, მაგრამ სიცივე აღარ აკრთობს ჩემს გაფითრებულ სხეულს... ტანზე მეფრქვევა მოხუცი ქალის ცხელი ცრემლები, მაგრამ სითბო აღარასოდეს ააჩქროლებს სისხლს და მისი ძლიერი მოქცევები აღარ შესძრავენ გულს, რომელიც ახლა ისე დუმს, თითქოს არასდროს არ შემკრთალა... რა სიგრილეა...

ისმის საფლავში მინის ჩაყრის ხმა...

მედეა: აღმა მივფრინავ... ეს არ არის დამშვიდობება, ეს არ არის წუხილი, ეს.არ არის სიხარული, ამ გრძნობას სიტყვით ვერ გამოთქვამს...

ილოცეთ ჩემთვის... სიყვარულისთვის... სჯობს, არ იშვას, თუ სასიკვდილოდ არის განნირული... მაგრამ ფურცლები... ჩემი ცხოვრება ნიგნის შროშანებიანი ფურცლები...

მუსიკა... ხმაური...

გაურკვეველი ხმები: თავისმკვლელებს საერთო სასაფლაოზე არ ასაფლავებენ... უდიდესი ცოდვაა, მიუტევებელი... ლოცვაც კი აკრძალულია მათთვის...მხოლოდ ნელინადშიერთხელ შეიძლება მათთვის სანთლის დანთება...

ისმის მუსიკა... შეენაცვლება სვა ხმა: კაცის ღრიალი... ქვების გადაგორების ხმა, მტვრევა და ტოტების ლანალუნი... კაცი გამოსცემს არაადამიანურ ხმებს, ეშმაკეულია... უცებ სიწყნარე ჩამოვარდება... კაცს აჩქარებული სუნთქვა დაუმშვიდდება...შემოიჭრება ღვთაებრივი მუსიკა და გაისმის მშვიდი ხმაიესოსი_დამშვიდდი... ისმის კაცის მუხლებზე დაცემის ხმა, ისევ აღელდება და იყვირებს:

კაცი: რა გინდა ჩემგან, ძეო, უზენაესო ღვთისა? ნუ მტანჯავ, გამეცალე...

იესო: გადი ამ კაცისაგან, არანმინდა სულო... მითხარი რა არის შენი სახელი?

კაცი: ლეგიონია ჩემი სახელი, რადგან ბევრნი ვართ...

მძაფრი მუსიკა...

მედეა: ბევრნი... მაინც რამდენი? მე და სხვები და ყველანი ერთად ერთ სხეულში, რომელიც ჩემია.. „ტაძარნი ხართ ღმრთისანი და სული წმინდა დამკვიდრებულ არს თქვენს შორის..." ჩემში კიდევ სხვა... ის, წმინდა და ნათელი, სად? რომელ კუნჭულში? აქ ყველგან სხვები... სხვები და მე... განრისხებული, დაცემული, ეჭვიანი, უსასოო, ლეგიონი...

მუსიკა...

მედეა: სიტყვები... დატეხილი ტოტების ტკივილი... ამ ტოტში კვირტების მოთქმა და ტირილი, რომლებიც ელოდნენ გაზაფხულს... ელოდნენ.... სურვილი ყვავილობის და იასამნობის ცრემლებში გაწყალდა.... საწყალი ქარია, რომელმაც უწყალოდ დატეხა ტოტები... და მერე წავიდა... მიხვდება ოდესმე... რა საბრალოა და მიტოვებული... სიტყვები... არ მითხრა... მოკვდება, თუ იტყვი... მაგრამ ის... სიკვდილი... როგორი კარგია, როდესაც ჰყვებიან მასზე იმ ლურჯი და ფერადი სიტყვებით...

ისმის მუსიკა...

მედეა: ბნელი და გრძელი ტალანია... ვიღაც მეხება, სიბნელე არ მიშლის და გარკვევით ვხედავ... ჩემ წინ ქალია... საიდანღაც მეცნობა... ჰო... საიდან... საიდან....მე... მე ვარ? მე ვარ, როგორი განრისხებული, როგორც შურისმაძიებელი ერინია... ხელი ჩამჭიდა და თითქოს შეევერწყი... დიდ დარბაზში მოწმედ ვარ გამოცხადებული... მეკითხებიან... მე ტყუილს არ ვამბობ, მაგრამ არც მართალს ვამბობ... მე გულგრილი ვარ... დარბაზი ქრება... ახლა სხვაგან ვარ... მედეა... შეშლილი სახე გაქვს... მოიცადე, დაწყნარდი... საკმარისია... შენი მეტოქე საშინლად დამახინჯებული შენს ძვირფას საჩუქარში უკვე დაიფერფლა... ისიც... ხორცს იგლეჯს სიმწრისაგან... მაგრამ გწყურია... კიდევ მეტი.. რაღაც საზარი... დამალეთ დანა... არავინა ხართ სულიერი? გადაელობეთ... ხელები გაუკავეთ... ბავშვები... ჯერ კიდევ დროა... წამით შეყოვნებისას ვიღაცამ უნდა დაასწროს, რომ ხელი არ გაუსისხლიანდეს...

(ისმის ქალის საზრელი კივილი)

უცხო ხმა: შურისძიების ბედნიერება იგრძენი განა? თუ... ცოცხლად ძელზე გასმის ტკივილი...

ისმის მუსიკის ხმა.

მედეა: ისევ სიბნელე. ნეტავ ამ წყვდიადს ექნება ბოლო? რაღაც ოქროსფერი გამოჩნდა წინ... მივაღწევ იქამდე? თითქოს ტალახში მივაბიჯებ...

ისმის მუსიკა...

მოხუცი: ეჰ, ბოლო არ უჩანს ამ ომს... რა სიშლეგეა... ომები მახსოვს,

მაგრამ ასეთი გაუთავებელი.... თანაც, ვიღაც ნათრევი დედაკაცისთვის...

სხვა მოხუცი: ჰო, ჩვენს კაცებს ტვინი გამოელიათ, ქალაქი ლამის არის დაიქცეს, შიმშილსა და სიღატაკეს ვეღარ ვუმკლავდებით...

მოხუცი: შეხედეთ, მეჩვენება, თუ... ჩემმა ბებერმა გულმაც იგრძნო რაღაცა შფოთი... ნუთუ ეს ის ქალია, მშვენიერი ელენე...

სხვა მოხუცი: დიახ, ბატონო, თვითონ ეგ გახლავთ მიზეზი...

მოხუცი: ო, ახლა მესმის... ყველაფერი გავიგე ახლა... სულ მარტივი ხდება ხოლმე სიბრძნე, როდესაც პირისპირ უჭვრეტ...

ისმის მუსიკა:

მედეა: მიმაქვს ნელსაცხებელი, წუხელ მთელი ღამე ალოეს ვსრესდი, შევურიე ზეთისხილის ზეთი და მუშკი, მერე დავდექი ლოცვად მღვიძარი და ფსალმუნები ნარვთქვი მოუღლელად... ახლა დილაა... ჩემი მოძღვარი იქ აკლდამაში მარტოა ახლა და დადუმებულ ბაგეთაგან აღარ იფრქვევა სიტყვები, რომელთა ძალითაც წყნარდებოდა ქარიშხალი და მადლი აღიძვროდა... მაგრამ... ნელსაცხებლის ჭურჭელი მემსხვრევა გზაში... (ისმის ქვითინი).

ჯერ დრამატული მუსიკა. შემდეგ მხიარული ხმები შემოიჭრება. საზეიმო მუსიკა... კარიბჭის ჩაკეტვის ხმა.

მედეა: ნუ ჩაკეტავთ, მომიცადეთ... ჩემი ბრალი არ არის, რომ დამაგვიანდა... მაშ, ვისი ბრალია? უგუნურო ქალწულო, თითქმის ბრიყვო... ახლა დაჯექი და იგლოვე შენი უგუნურება... განა არ იცოდი, რომ კანდელში სულ ცოტა ზეთიღა გქონდა. რად არ მიბრუნდი თავის დროზე, რად არ იფხიზლე... დაგავიწყდა სიშორე გზისა? შუაღამისას მოვიდა სიძე... ახლა ქორწილში სხვანი იშვებენ და ნეტარებენ...

ისმის მუსიკა...

მედეა: აი, გათავდა ბნელი ტალანი, აქ მრავალს შევხვდი და მათ შორის ბევრი ვიცანი... მე დაშლილი... მე-სულ სხვადასხვა... როგორც ლეგიონი.... ყველა მსგავსი და მაინც სხვადასხვა... ზოგი, თითქმის უცნობი, მაგრამ მაინც მე... მათ შორის ჭარბობდნენ მოუთმენელნი, ჯიუტნი, ფიცხნი, მშიშარანი, უგუნურნი, ამაყნი...

ახლა ბრწყინვალე შუქში ვეხვევი... მოჩანს ის მაღალ სხივოსან ტახტზე... დავეცემი მის ფერხთით მორჩილად, თაყვანს ვცემ, ყველაფერს მოვინანიებ და ვიტყვი სიმართლეს... აღარ მექნება აღარაფერი დამალული და და დაფარული... უარვყოფ ჩემს თავს მხოლოდ მისი სიყვარულისთვის... მაგრამ სული ვარ და აღარ ძალმიძს არც დაჩოქება, არც სინანული... ახლა მე მხოლოდ ტკივილის გზნება შემიძლია ან სიხარულის... ერთიცა და მეორეც ახლა არის დაუსრულებელი და უცვალებელი... ვიცი, მიმელის კუპრში ქშენანი... და უკვე მტკივა... მტკივა...

ისმის მუსიკა... კვნესა... გლოვა...

ქალი: შენ რა, მთელი ღამე არ დაგიძინია? ეს რა არის? ისევ ნერდი?

მედეა: ჰო, ვნერდი...

ქალი: გამოდი, ცეცხლი შევანთე, არ გაიყინე? გათბი....

მედეა: ვნერდი... ის, რაც ასეთი კაშკაშა იყო ღამით, ვხედავ, დღემ როგორ გააფერმკრთალა... ნაკითხვაც არ მინდა... არ ვარგა... ეს არ არის ნამდვილი ტანჯვა, ეს არ არის ნამდვილი სიკვდილი... ნამდვილი...

ისმის მუსიკა.

ქალი: ისევ ცეცხლში ჩაყარე ნაწერები? ვერ გამიგია, მაშ, რაღად წერდი?

მედეა: როგორ გითხრა? ღამემ და ვარსკვლავებმა წაიკითხეს... ცუდი წამკითხველები არიან? ჰოდა, მე მგონი.... შეხედე, რა ლამაზად იწვებიან ფურცლები, საიდან ჩნდება ეს ფერადი ალები? მე კი რომ ვუყურებ, იცი, რა მახსენდება? ჰო... ვარდისფერი და ცისფერი ფლამინგოები ჯოჯოხეთში...

1997

საუზმე ბელურებისთვის

ელენე_ახალგაზრდა ქალი
დედა_60 წელს გადაცილებული ქალი
მარი
გოგი_ახალგაზრდა კაცი
ლეო

დედა: იქნებ ამ საღამოს მაინც დარჩენილიყავი, შვილო, წელიწადზე მეტია, სახლში არ გაგითეია.

ელენე: არ შემიძლია, ხომ გითხარი, ვერ დავრჩები-მეთქი, ამ საღამოსვე უნდა წავიდე.

დედა: თანაც ასე გვიან. ასეთ ამინდში.

ელენე: ხედავ? ცისარტყელა გამოჩნდა.

დედა: ლამაზია.

ელენე: კი, ლამაზია, თანაც საღამოს გაჩენილი ცისარტყელა იმას ნიშნავს, რომ კარგი ამინდი იქნება.

დედა: ეს როდისღა ისწავლე. ამინდს არასოდეს აკვირდებოდი.

ელენე: დედა, მონასტერში, რომ იცოდე, ყველაზე უფრო მეტად დაკვირვება ვისწავლე და არა მხოლოდ ამინდზე. თუმცა, არც ეს არის ურიგო. აი, მაგალითად, დილას რომ დაინახავ ცაზე გაშლილ ცისარტყელას, იცოდე, საღამოთი აუცილებლად იწვიმებს. თუ რამდენიმე ცისარტყელა გაიშალა,... ხომ წარმოგიდგენია, რა ზღაპრული იქნება.

დედა: კი, მინახავს, ბავსვობაში. მახსოვს, მისკენ რომ გავრბოდით

ქვეშ გასაძრომად და ბიჭად გადასაქცევად.

ელენე: ჰო, ეგ მეც გამიგია. უფრო ზუსტად, წამიკითხავს. ჩემს დროს ბავშვები მასეთ რაღაცებზე უკვე აღარ ოცნებობდნენ. ჰოდა, რომ იცოდე, ყველაფერს აქვს მნიშვნელობა. განურჩევლად იმისა, დიდია თუ პატარა. მნიშვნელოვანი თუ უმნიშვნელო. შეხედავ ცისარტყელას, შვიდი ფერია, ისე შვიდ ფერს ვერც გამოარჩევ: ნარინჯისფერი, მელნისფერი, ნითელი, ყვითელი_ესენი კარგად ჩანს ხოლმე. მაგრამ კარგად თუ დააკვირდი, შვიდივეს შენიშნავ. ყველაფერი რაღაცას ამბობს. მაგალითად, ყვითელი თუ კაშკაშებს და ცისფერი ფერმკრთალია, მალე გამოიდარებს. თუ მწვანე ყველა ფერზე მუქია, დიდი ნვიმა იქნება. თავსხმა. იქ მე ბევრი რამ ვისნავლე, დედა.

დედა: ცოდნა არც ისე გაკლდა.

ელენე: არა, დედა, ეს სულ სხვა ცოდნაა. როგორ გითხრა, ბუნებასთან ლაპარაკი აქამდე მხოლოდ მითი მეგონა. ახლა სულ სხვანაირადაა. მე ვხედები, რომ ბუნება მართლა გველაპარაკება, თანაც, სულ მუდამ, ყოველ ნუთს. სამწუხაროდ, რაც დრო გადის, მით უფრო აღარ გვესმის მისი არაფერი.

დედა: ამინდზე კიდევ იცი რამე?

ელენე: ჰო. მართალი გითხრა, იქ რომ დედებმა იციან, მე ჯერ იმის მეათასედიც არ ვიცი. ღამის პეპელა, მაგალითად, შინ რომ შემოგიფრინდება, ფანჯრები მაგრად დაკეტე, ცივი ქარი იქნება. ხედავ? პეპელა ტყუილად კი არ Eმოდის შენთან. ამბავი მოაქვს. შენ კი თრთი და ცახცახებ. მის გაგდებას ლამობ.

დედა: შენ რა, შავი პეპლებისა და ხოჭოების აღარ გეშინია?

ელენე: შენ ნარმოიდგინე, არა, ის კი არადა, ბუზი რომ ბუზია, იმასთანაც შეიძლება „მეგობრობა". დააკვირდი, თუ დილას ადრე გაიღვიძებენ და ზუზუნს მორთავენ, კარგი ამინდი იქნება. ამის შემდეგ, რა თქმა უნდა, ბუზებს ლმობიერად მოეპყრობი. თუ მშვიდად და უძრაველ თვლემენ კედლებზე, იცოდე, ნესტი იქნება.

დედა: კარგი ერთი, ნუ მაცინებ. ეს ბუზები რაღა მოსატანი იყო. ვერ ვიტან. ამ ჭიანჭველებმაც მომაბეზრეს თავი. ვერაფრით ვერ მოვიშორე.

ელენე: ჰო, ჭიანჭველებზე გითხრა? ჭიანჭველების ბუდე ხომ არ შეგინიშნავს სადმე? თუ ბუდის შესასვლელები ღიაა და თვითონაც თამამად და ანგარიშიანად მიდი-მოდიან, ხელს ნუ შეუშლი, კარგი ამინდის ამბავს გატყობინებენ.

დედა: იქ, ალბათ, ჭიანჭველებიც სხვანაირები იქნებიან, ასეთია აბეზარნი კი არა. თანაც, ამინდის ცვალებადობის ცოდნას რა აზრი აქვს ჩვენს დროში, ეგ მაშინ იყო მნიშვნელოვანი, კაცი რომ ხნავდა და თესავდა....იქნებ დღეს დარჩენილიყავი, დედიკო...

ელენე: მაპატიე, უნდა წავიდე, შენ არ იდარდო, მიყვარხარ, მახსოვხარ, სულ გვერდით ხომ არ უნდა გყავდე, რა საჭიროა...

დედა: როცა შინ არ ხარ, ვერ ვისვენებ, რა ვქნა არ ვიცი, სულ საფრთხე

მელანდება, მაგრამ რაკი არ იშლი, როგორც შენ გინდა, შვილო. ამ წიგნებს ყველას წაიღებ?

ელენე: ჰო, ესენი ამოვარჩიე, მირჩევნია, იქ მქონდეს.

დედა: თავს გაუფრთხილდი, შვილო.

ელენე: აი, შენც გიტოვებ „ლოცვებს". დილა_საღამოს წაიკითხე ხოლმე.

დედა: კი, რა თქმა უნდა. მასე ღვთის პირიდან გადავარდნილი კი ნუ გგონივარ. მამაშენის გადამკიდე ეკლესიაში ვეღარ მივდივარ, მაგრამ ლოცვებს ყოველთვის ვამბობ. ბაბოშენი არ დადიოდა ტაძარში, ან ხომ იცი, რა დრო იყო მაშინ, მაგრამ, ხომ გახსოვს, ძილის წინ როგორ ლოცულობდა, ღმერთო, ჯერ სხვებს მიხედე და უშველე, მერე_ჩემებსო. მეც ამას ვიმეორებ ხოლმე ხშირად.

ელენე: ეგ საკმარისი არ არის.

დედა: ვიცი, შვილო, ვიცი. მამაშენს არ დაელოდები? ვინ იცის, სად არის. ამ ბოლო დროს სულ ნავიდა ხელიდან. საშინლად სვამს. იქნებ დალაპარაკებოდი.

ელენე: გაანებე თავი. მაინც ვერაფერს უშველი. მაგის ბედი ეგ ყოფილა. ყველას თავისი გზა აქვს.

დედა: მამაშენია, ბოლოსდაბოლოს.

ელენე: კარგი რა, დედა. მე არც ნებითა სისხლითა, არც ნებითა ხორცითა და არც ნებითა მამისა არ ვშობილვარ. მერე იტყვი, შენთან ლაპარაკი არ შეიძლებაო. ნებითა ღვთისათა ასეთი ვარ და ამას არაფერი ეშველება.

დედა: მასე ნუ მელაპარაკები. ვაი, შენს დედას, ჩემი გაჩენის დრე კი დაინვას. იმ ამბის მერე გახდი ასეთი. მონასტერშიც მას მერე წახვედი.

ელენე: ეგ საბაბი იყო და მეტი არაფერი. რა, უკეთესი გზა არსებობს, შენი აზრით, ამ ცხოვრებაში?

დედა: ჰო, კარგი, საჩხუბრად კი არ მითქვამს. მე მხოლოდ ის მინდა, შენ იყო კარგად, მეტი არაფერი. ცოტა ხანს წამონექი, დაისვენე.

ელენე: მეშინია, არ ჩამეძინოს.

დედა: თუ გინდა, ყავას მოგიდულებ, რძიანს, შენ რომ გიყვარს.

ელენე: დღეს პარასკევია, დაგავიწყდა? თაფლი გვაქვს?

დედა: როგორ არა.

ელენე: ჰოდა, თაფლიანი ყავა მინდა, თუ არ შეწუხდები.

დედა: კი, დედა, მაგრამ, დამიჯერე, იქნებ ცოტა ხანს წამონვე, ძალიან დაღლილი ჩანხარ. ნუ გეშინია, ნახევარ საათში გაგაღვიძებ, ყავაც მერე დალიე, თუ გადაიფიქრე?

ელენე: თუ დამახსოვრებული გექნება, მერე დავლევ.

დედა: რა დამახსოვრებული? ეგ რა, გამოცანაა?

ელენე: არა, ახლახან ნავიკითხე ერთ ჟურნალში საოცარი რამ. შთაბეჭდილებაში ჩამრჩა. ტონინო გუერა ხომ იცი? იმისი ნოველაა. ის და ვიტორიო დე სიკა... გახსოვს ვიტორიო დე სიკა?

დედა: არა, შვილო, არც ერთი სახელი არ მახსოვს...

ელენე: ფილმი ხომ გახსოვს „ქორწინება იტალიურად"? ერთი ამ ფილმის სცენარისტია, მეორე_რეჟისორი. გაინტერესებს, რომ მოგივყვე?

დედა: კი, დედა. როგორ არა.

ელენე: ჰოდა, ერთხელ ესენი ნეაპოლში შესულან ბარში. შეუმჩნეევიათ, რომ ზოგიერთი შემოსული ყავას ძალიან უცნაურად უკვეთდა. მაგალითად, ერთი ეტყოდა, სამი ყავა მომიდულე, ერთი ჩემთვის, ორი_ დაიმახსოვრეო. ასე რამდენჯერმე გამეორებულა. მერე ორნი შესულან, იმათაც მოუთხოვიათ, ორი ჩვენთვის, სამი დაიმახსოვრეო.

დედა: მერე?

ელენე: მერე ის, რომ მოგვიანებით შემოვიდა მათხოვარი, უფრო სწორედ, კარში ოდნავ შემოყო გაბურძგნილი თავი და ბარმენს მორიდებით ჰკითხა, არის რამე დამახსოვრებულიო? მერე... ხომ მიხვდი?

დედა: მივხვდი, შვილო, მივხვდი. ნამდვილი მონყალებაც ეგ არის, ალბათ.

ელენე: ჰოდა, შენც თუ გაქვს ჩემთვის დამახსოვრებული, იმას დავლევ.

ისმის ნელი მუსიკა.

დედა: გოგომ დაგირეკა, მოგიკითხა.

ელენე: მერე, შენ რა უთხარი, შინ არისო?

დედა: ტყუილს ხომ ვერ ვეტყოდი?

ელენე: კარგი, რა, დედა, ხომ იცი, რომ არავისი ნახვა არ მინდა?

დედა: გოგი სხვაა. ნუ უყურებ ასეთი სიძულვილით. ეგ არაფერშია დამნაშავე. გაიგე ერთხელ და სამუდამოდ.

ელენე: იცოდე, თუ ახლა მოვიდა, შინ არ ვარ.

წყნარი მუსიკა.

ისმის ზარის ხმა.

დედა: მგონი, მოვიდა კიდეც. სირცხვილია. იცის, რომ შინ ხარ.

ელენე: კარგი, კარგი.

გოგი: გამარჯობათ!

დედა: როგორ ხარ, შვილო, რამდენი ხანია, არ მინახიხარ. შეცვლილხარ. ძალიან გამხდარხარ. ყავას მოგიდულებ.

გოგი: გმადლობტ. ნუ შეწუხდებით. ელენე, ასე უნდა დაგვიეინყო? რა ხდება მონასტერში?

ელენე: არაფერი განსაკუთრებული.

გოგი: ვიცი, რომ გამირბიხარ და, საერთოდაც, მე მგონი, ყველაფერს გაურბიხარ. მონასტერი კარგი სამალავია?

ელენე: არავის არ გავურბივარ.

გოგი: უნდა ვილაპარაკოთ. არ შემიძლია ასე ცხოვრება. ვიცი, რომ გძულვარ, მაგრამ რატომ, არ მესმის... შენ არა გიშავს... ხარ შენთვის, წყნარად, მშვიდად.

დედა: ელენე, შენთან სტუმარია. მობრძანდით.

გოგი: სტუმრები დაიბარე? მერე, მე რაღას მინვევდი?

ელენე: მე არ მომიწვევიხარ.

გოგი: როგორ? გუშინ დამირეკეს შენი სახელით. ღამე არ მიძინია. დღე, როგორც იქნა, ჩავათავე და შენ კი, თურმე, არ მოგიწვევივარ.

ლეო: გამარჯობათ. მაპატიეთ, საუბარში რომ უნდა შთაგეჭრათ, მე მოგიწვიეთ.

ელენე: ლეო, აქ საიდან გაჩნდი?

ლეო: აქეთ ვიყავი რაღაც საქმეზე და შემოგიარე.

გოგი: რა ხდება, გამაგებინეთ.

ელენე: გაიცანით ერთმანეთი, ლეო ბერია, ეს კი ჩემი...

გოგი: მეგობარი გახლავართ, ძველი, სკოლის დროინდელი... თქვენ?

ელენე: ლეო მონასტერში გავიცანი.

გოგი: ააა, გასაგებია.

ელენე: რა არის გასაგები?

გოგი: ისე, რაღაც ნაცნობი სახე გაქვთ. გვარს ხომ ვერ მეტყოდით?

ლეო: სიხარულით: ცაიფერი გახლავართ. გაგიკვირდათ, არა? ძველი ბერძნული გვარია. ჩემი წინაპრები, ხომ გახსოვთ, ბერძენი თაღლითები, ოქროს საწმისის მოსაპარად რომ ჩამოვიდნენ, ჩემი უშუალო წინაპარი არგოს ერთ-ერთი მამაცი მეზღვაური იყო. აქ ვიღაც მზეთუნახავი შეირთო და დარჩა და დარჩა.

გოგი: ღრმა ფესვები გქონიათ.

ელენე: აქ რა, სალაზღანდაროდ მოხვედი?

გოგი: რატომ ბრაზობ? მე წავალ.

ლეო: არა, ნუ წახვალთ. ელენეს მეგობრებთან შეხვედრა ჩემთვის ძალიან სასიამოვნოა.

ელენე: აკი, სალაპარაკოდ მოვედიო.

გოგი: სხვისი თანდასწრებით სალაპარაკო არაფერი მაქვს.

ელენე: ლეო სხვა არ არის და საერთოდაც, შეგიძლია, მეგობრად აღარ ჩამთვალო. ლეომ ყველაფერი იცის.

გოგი: რა ყველაფერი?

ლეო: ნუ გერიდებათ. გულიდან ამოიღეთ ყველაფერი... ფერისა და სუნის განურჩევლად. შინაარსზე აღარაფერს ვამბობ. ეკალი თუ ეკლის გვირგვინები საჭირო არ არის. ტანჯვა. რომელიც სულს ვნებს, უმაქნისია...

გოგი: თავი გამანებე, თუ ძმა ხარ. ელენე, ჩემო კარგო, მონასტერში თითქოს მეგობართაგან განსარიდებლად წახვედი, არა?

ელენე: სად რისთვის წავედი, შენი საქმე არ არის.

ლეო: მოდით, სხვა თემაზე გადავიდეთ. ეს ვისი ნახატებია? აი, ეს, მაგალითად, ჰო, მშვენიერია, მაგრამ სიღრმე აკლია. მხატვარი სულს არ იცნობს. ფერებიც ძალიან.... ძალიან... ჰო, მქრქალია. ამის დამხატავი გაუნონასწორებელი ადამიანია, მაგრამ თავდაჯერებული.

გოგი: ეგ ჩემი ნახატია და თქვენი აზრი საერთოდ არ მაინტერესებს.

ლეო: გასაგებია. ისე, ცუდი არ არის, მეც ვხატავდი, ბავშვობაში და

მერეც... ჩემი გამოფენა პარიზში... გატყობთ, მართლა არ გაინტერესებთ. კარგი. ეს ნახატები სულ თქვენი შექმნილია, ანუ ნახელავია?

ელენე: ჰო, მაგისია. გვაჩუქა. უფრო ზუსტად, ანას აჩუქა.

ლეო: ამ ლევიათანს რატომა ქვს ასეთი ლამაზი სახე?

ელენე: ლამაზი? მე, პირიქით, საშინლად მეჩვენება. პირდაპირ ვერ შემიხედავს.

ლეო: არა, შეხედე. საგანგებოდ რა ლამაზად აქვს დახატული ფართოდ გახელილი მწვანე თვალები.

გოგი: ურჩხულია, ხალხო, წმინდანი ხომ არა?

ლეო: ურჩხულები მიმზიდველნი არიან, არა?

გოგი: მაგით რა გინდა, თქვა?

ლეო: არა, არაფერი. ამ მზისქვეშეთში ხომ მონიჭებული მაქვს ჩემი აზრის გამოთქმის უფლება.

გოგი: ჰო, რა თქმა უნდა, ბრძანეთ.

ლეო: არ გაგიკვირდეთ. არტკრიტიკოსობდი ერთხანს და ნახატზე კომენტარი ჩემი ცუდი ჩვევაა.

გოგი: გისმენთ, ბატონო.

ლეო: ეს ორფეოსია, არა? სიმებად ადამიანთა სხეულები ვაგიბამს. ამაზრზენად ნატურალისტურია. ვიცი, რომ მისი ქნარის სიმები გარდაცვლილი მგოსნების ძარღვებით იყო გაკეთებული, მაგრამ ასე დახატვა კოშმარია და მეტი არაფერი.

ელენე: მეც ასე ვფიქრობ.

ლეო: შენ, როგორც ჩანს, ანტიკური მითებით ხარ გატაცებული.

ელენე: ჰო, გოგი წარმართია, ოლონდ, მონათლული წარმართი. თან გულზე ჯვარი ჰკიდია და ეკლესიაშიც შედი-გამოდის, რა თქმა უნდა, როცა სხვა საქმე არა აქვს, როცა მოცლილია.

გოგი: ჩემი რწმენა ჩემი საქმეა და, საერთოდაც, თავი დამანებეთ, ნავედი.

ელენე: არა, რატომ უნდა წახვიდე? რა გეწყინა? რა ბავშვურად იქცევი?!

ლეო: ვინ არის ეს ჩონჩხივით კაცი? თანაც ოქროებში ჩამჯდარი. ისე, ოქროები კარგად დაგიხატავს, მართლაც, ბრწყინავენ.

ელენე: მეფე მიდასია, ფრიგიის მეფე, როგორ არ გახსოვს?

ლეო: მე ნელ-ნელა ვშლი ჩემი თავიდან ყველაფერს, რაც წარმართობასთანაა დაკავშირებული. შენ?

ელენე: მე ჯერჯერობით თავი სავსე მაქვს ასეთი ხარახურით.

გოგი: რა არეულად ლაპარაკობთ. რა, ანტიკური კულტურა ხარახურაა?

ელენე: მაგ თემაზე ლაპარაკსა და კამათს არ ვაპირებთ.

ლეო: ჰო, რა მითხარი, მეფე მიდასიო? მერე, რატომ არის ასეთი გამხდარი?

ელენე: რასაც ხელს შეახებდა, ყველაფერი ოქროდ იქცეოდა და ახლა

შენ მიხვდი, რატომ არის ასეთი გამხდარი. არ გაგახსენდა? საჭმელიც შეხებისთანავე ოქროდ იქცეოდა.

ლეო: აი, მესმის უბედურება.

ელენე: აი, ნახე. მოტყუებული არიადნე. მართალი გითხრა, ეს ნახატი ძალიან მომწონს. უმშვენიერესი ასული კრეტის უმდიდრესი მეფე მინოსისა, კუნძულის უპირველესი ქალწული უმადურ თეზევსს დაეხმარა ლაბირინთიდან თავდახსნაში და, სამაგიეროდ, რა მიიღო? ღალატი. ჩვენი ძვირფასი გმირი გაიქცა და სატრფო მიატოვა.

ლეო: ნახე, ეს სიუჟეტიც კარგია, არა? ეს ხომ სელენეა. ხედავ, ჩემი მეხსიერების ბნელ კუნჭულებში ჩაყრილი მოგონებები გამოცოცხლდნენ. სელენე მიყვარს_მთვარის ქალღმერთი. საერთოდაც, ღამე მიყვარს. ქალი ყოველთვის ქალია და უფრო მეტად ქალია, როცა ქალღმერთია. მან მარადიული ძილი მოჰგვარა თავის სატრფოს _ ენდიმიონს, რათა მას ველარ მიეტოვებინა. სამუდამო ძილი. გესმით? ეს დიდებულია.

ელენე: ანამ კი ვერ დააძინა ჩვენი ძვირფასი გოგი. ქალღმერთი არ იყო და იმიტომ. თუმცა, სელენეს მგონი ანას სახეა ქვს, არა? ეს კი, როგორც ჭეშმარიტ რაინდს შეეფერება, გაიქცა. თეზევსს შენი სახე დაუხატე, არა? ეს აქამდე რატომ ვერ შეენიშნე? ნამდვილი წინასწარმეტყველი მხატვარია.

გოგი: ჩვენს სიყვარულზე ასე ნუ ქილიკობ. იცი, როგორ მიყვარდა.

ელენე: მაგრამ არა ისე, რომ დაგეცვა.

გოგი: შენ რა გგონია? მე შენზე ნაკლებ ვიტანჯები? მეც ხომ დავკარგე? მთელი ჩემი მომავალი მასთან იყო დაკავშირებული?

ელენე: ვიტანჯებიო... რომელი მომავალი? შენ ხომ მკვლელი ხარ? იქნებ ისიც უარყო, რომ ადამიანები გყავს მოკლული?

გოგი: ვიცი, საითაც უმიზნებ. მე მტერსა ვკლავდი. ეს სულ სხვა რამეა.

ელენე: ეს ერთი და იგივეა. რა მტერი? კაცმა არ იცის, ვინ მტერი იყო და ვინ მოყვარე...

ლეო: ელენე მართალია.

გოგი: შენ რა, იქ იყავი?

ლეო: იქ რა მინდოდა. მე ჩემი საქმე მქონდა.

ელენე: ლეო მასეთი არ არის.

გოგი: როგორი მასეთი?

ელენე: როგორი და ღვთისპირიდან გადავარდნილი.

ლეო: სარეველა.

გოგი: ვინ არის ეს შეშლილი?

ელენე: ნესიერად ილაპარაკე.

გოგი: რა უფლება აქვს, რომ ასე მელაპარაკოს. უნახავს თუ რა, იცის თუ არა, რას ნიშნავს ომი?

ელენე: შენ თუ გინახავს, დიდი არაფერი შეგმატებია, უფრო პირიქითაა.

გოგი: მორჩი ქილიკს. კარგად იცი, რაც მინახავს... ჩალას რომ ცეცხლი წაეკიდა, ის იქ ინვა, რაღაც აფეთქდა და უცებ მოეკიდა, ასანთის ღეროებივით წამში აბრიალდა. მე მივაწვინე დაჭრილი, რბილად, მოფარებულად. ჩალა წავაყარე ნატყვიარ მუცელზე. მერე გამოვხოხდი ტყვიების ნვიმაში, ბიჭებამდე უნდა მიმეღწია როგორმე. სწორედ ამ დროს მარჯვენა ნვიეში რაღაც საშინელი ტკივილი მეძგერა, თვალი რომ გავახილე, იმ მხარეს დიდი კოცონი დავინახე. თავს მინას ვურტყამდი, განძრევა არ შემეძლო. ყვირილი მესმოდა, მიშველეო, ხელებს მინედიდა. ცეცხლის ალში ვხედავდი მის ხელებს, რომლებიც უცნაურად წაგრძელებულიყვნენ ცისკენ. ეს ხელები, ღმერთო ჩემო, ეს ხელებია ჩემი სასჯელი...

ლეო: აი, მაგას შესანიშნავად დახატავდი.

ელენე: ჰო, ლეო, თავი გაანებე... რაც მართალია, მართალია, განცდები ღრმა და შთამბეჭდავი აქვს.

გოგი: ის ყველაფერი შემთხვევით მოხდა.

ელენე: შემთხვევით არაფერი არ ხდება. მანქანის საჭესთან შენ იჯექი მთვრალი, ვინ იცის, რით, იქნებ სისხლითაც.

გოგი: რა უნდოდა, რატომ ჩამოვიდა?

ელენე: შენი ხსნა უნდოდა, შენ კი...

გოგი: იქაურობას გამოვარიდე....

ლეო: დამნაშავე ხარ და უნდა ზღო...

გოგი: მე წავედი.

ელენე: არსადაც არ წახვალ.

გოგი: კარგი, დავრჩები და თქვენს ქადაგებებს მორჩილად მოვისმენ.

ელენე: ქადაგებას კი არა, ბრალდებებს.

გოგი: რაო, მონასტერში ახალი თამაში ისწავლე? გემორჩილები. იყოს ნება შენი. ლეო, ალბათ, მოსამართლე იქნება.

ელენე: სხვათა შორის, ლეოს იურიდიული აქვს დამთავრებული და ერთხანს მოსამართლედაც უმუშავია.

გოგი: დიახ. პრაქტიკა ბევრს ნიშნავს.

ელენე: შენ ანას ატყუებდი.

ლეო: შენ ის მოხიბლე, მოაჯადოვე.

ელენე: შენ მკვლელი ხარ.

გოგი: ეგ ბრალდება ხომ წელან უკვე წამომიყენე.

ელენე: თანაც უსასატიკესი. შენ ხომ საკუთარი შვილი გაიმეტე.

გოგი: ეს უკვე მეტისმეტია. არავითარი ბავშვი მე არ მყოლია.

ელენე: ანა ფეხმძიმედ იყო და შენთანაც სნორედ მაგის სათქმელად ჩამოვიდა.

გოგი: ტყუი!

ელენე: ვიცოდი, რომ არ დამიჯერებდი. აი, ანალიზის დასკვნა, ნახე, წაიკითხე.

გოგი: თავიდან მომაშორე ეს უაზრო ქაღალდები!

ელენე: უაზრო? ეს შენი არარაობის დამადასტურებელი საბუთია!

ლეო: შეგიძლია, თავი რითიმე იმართლო?

გოგი: რატომ არ მითხრა?

ელენე: ღირსი არ იყავი. არ დაიშალა და მაინც წამოვიდა.

გოგი: მოიცა, მოიცა, შენ ალბათ ნინააღმდეგი იქნებოდი მაგ ბავშვისა...

ელენე: ახლა ეგ არ არის განსასჯელი.

გოგი: რატომ ქალბატონო? შენ ანასი გშურდა...

ელენე: მშურდა? ჩემი დისა? რას მიედ-მოედები?

გოგი: დიახ. მე ხომ ანა ვარჩიე.

ელენე: გამომიხვედი, რა, შენც პარისი. შენი მონონება როგორ შემეძლო?

გოგი: შენ ხელს გვიშლიდი, როგორც შეგეძლო.... ანამ მითხრა...

ელენე: ანას სახელს ნუ ახსენებ...

გოგი: ჰო, არა? შენ, პირველ რიგში, ანა შეგძულდა...

ელენე: რა უფლებით მადანაშაულებ...

გოგი: ანამ ისიც მითხრა, რომ შენ...

ელენე: რა მე?

გოგი: რომ შენ კინაღამ თავი მოიკალი. იცი, რისი გულისთვისაც...

ელენე: რეებს როშავ? ყოველთვის არარაობა იყავი. შენი უნიჭო ნახატები ნადღაბნებია და მეტი არაფერი. ნორმალურად ფუნჯის მოსმაც არ შეგიძლია.

გოგი: ადრე მოგწონდა.

ელენე: ანას გულისთვის...

მუსიკა

მარი: გამარჯობათ! მაპატიეთ, რომ შემოვიჭერი. ელენე, რა დაგემართა?

ელენე: მარი, აქ საიდან გაჩნდი? რატომ მოხვედი?

მარი: ვიგრძენი, რომ გჭირდებოდი, ხომ დამპირდი...

ელენე: არ შემიძლია, არ შემიძლია პატიება. უნდა მოკვდეს, ლეო, მიშველე.

მარი: ლეო? აქაც შემოაღწია? თავს არ განებებს.

ელენე: ერთადერთია, ვინც თანამიგრძნობს.

მარი: დაიღუპები!

ელენე: ისედაც დაღუპული ვარ.

მარი: ერთმანეთს უნდა აპატიოთ.

ელენე: მე მაგან რა უნდა მაპატიოს.

მარი: შენ ნუ განსჯი. იმან იცის. შენი ცრემლები სინანულისა უნდა იყოს და არა სიძულვილისა.

ლეო: ცრემლები? განა განირჩევა ერთმანეთისაგან შინაარსით? მარილიანი წყალია და მეტი არაფერი.

მარი: ცრემლები გაიხსენე. ქრისტეს ცრემლები ლაზარესთვის. ხომ

გაგახსენდა? და ცრემლოოდა იესოცა. შენშივეა მკვდარი ლაზარე. შენმა ცრემლებმა უნდა გაალღოს მისი გაყინული გული და წამოაყენოს ის... შენვე... რომელიც სხვაა, შენი სხვაა, შენი მოყვარე... შენში ლაზარეს აღდგენის გარეშე სამყარო შენთვის ჩაკეტილი და უცხო დარჩება. შენც მარტოობისთვის გაინირები...

ელენე: მარტოობის არ მეშინია.

მარი: არა, მე მაგ მარტოობას არა ვგულისხმობ. მარტოობა სხვათაგან იქნებ სულსაც რგებდეს ხშირად, მაგრამ მარტოობა საკუთარ თავთან _ ჯოჯოხეთია, დაღუპვაა. მხოლოდ სინანულის ცრემლებს შეუძლია გაანათოს გზა სიძულვილის მიერ დახშული ნიაღისა...

ლეო: ცრემლებიცა განიყოფებიან. ეს აუცილებლად უნდა ჩაეწერა სულხან-საბას თავის ლექსიკონში. ჰო, რომ ჩაეწერა, ალბათ ასეთი ქნებოდა: ცრემლებიცა განიყოფებიან: გულისანი, სულისანი, ცისანი, მინისანი, ხეთა და მხეცთა... ჰო, განა ისინიც არ ტირიან? და ასე დაუსრულებლად.

მარი: შენი გული უცრემლებოდ გვალვისაგან დახრუკულ მინას დაემსგავსება, სადაც ვერანაირი თესლი ვერ იხარებს... ლეო, სადაც მე ვარ, იქ შენი ადგილი არ არის, იქნებ დაგვტოვო...

ლეო: ჯერ ჩემი საქმე არ დამისრულებია.

მარი: აპატიე და გადარჩები.

ლეო: არა, არ დაუჯერო.

მარი: „ჩემი არს შურისგება და მე მივაგო". პავლე მოციქული დაგავიწყდა?

ელენე: არ შემიძლია. არარაობა ვარ. არავინ. რისთვის? რატომ? აზრი, ნამცეცისოდენა აზრიც რომ ჰქონდეს ჩემს არსებობას.

მარი: უფალმა იცის.

ელენე: არ მშველის, არა. მე თვითონ მინდა, ვიცოდე.

მარი: შენ დილდილობით...

ლეო: უნდა დაუმტკიცო თავს, რომ რაღაც შეგიძლია. შენი არსებობის ღირებულება უნდა დაამტკიცო. გაბედულება გაკლია. არადა, ხომ იცი, გაბედულება ბედს ნიშნავს და ბედნიერებას. ხომ გინდა ბედნიერება?

ელენე: მე სიცოცხლე მინდა, ოღონდ გამაგებინეთ, რისთვის, რატომ?

მარი: შენ დილდილობით...

ელენე: ჰო, დილდილობით ვკითხულობ ლოცვებს, ხშირად მუხლმოყრილი, მაგრამ არ მშველის, სულ ანაზე ვფიქრობ...

ლეო: ასე იქნება სამუდამოდ, ჯოჯოხეთი გაუნელებელი.

მარი: შენ დილდილობით... პურის ნამცეცებს უყრი ბელურებს....

ელენე: ბელურები... (ოდნავ ქვითინებს)

მარი: ისინი ხვალეც შემოსხდებიან შენი სენაკის ვიწრო რაფაზე...

ელენე: ბელურები...

მარი: შენ მათ სჭირდები...

ელენე: ბელურები...

ლეო: სავარძელთან ახლოს, კედლის თაროზე უზარმაზარი ვაზა რომ დგას, ვისი ნახელავია?

გოგი: ვაი...(მსხვრევის ხმა)

ლეო: სისხლი... ნითელი საღებავივით.

მარი: მოშორდი, მოერიდე... ჯვარი გადასნერე, ელენე, ჯვარი, ლეო დაგღუპავს.

ელენე: ღვთისმშობელო ქალწულო, გიხაროდენ, მიმადლებულო მარიამ, უფალი შენთანა, კურთხეულ ხარ შენ დედათა შორის და კურთხეულ არს ნაყოფი მუცლისა შენისა, რამეთუ მაცხოვარი გვიშეე სულთა ჩვენთა... (ქვითინებს)

მარი: დამშვიდდი...

ელენე: მოკვდა? მოვკალი? არ მინდოდა... შენ ხომ გჯერა, მარი, რომ არ მინდოდა...

მარი: შუბლზე დაადე ხელი, სისხლი მოსწმინდე... ცოცხალია....

ელენე: ანა სად არის?

ლეო: ჯოჯოხეთშია... ინვის ნელ ცეცხლზე....

მარი: შენი ლოცვები იმ ცეცხლს გაანელებენ... შენ ამ სალამოს...

ელენე: გადავივიწყე. თითქოს სულ მასზე ვფიქრობ და გადავივიწყე. მის სულს მხოლოდ ლოცვა სჭირდება, მე კი სისხლიანი მსხვერპლი მოვინდომე.

მარი: გოგის მიხედე...

ლეო: არ მიეკარო, დაიცალოს სისხლისგან... ღირსია, მოკვდეს.

გოგი: (ჩურჩულით) ანას სიკვდილი ჩემი ბრალი არ არის, მაგრამ მაპატიე, მაპატიე, ელენე...

ელენე: (ქვითინებს)

მუსიკა

დედა: გაიღვიძე, გაიღვიძე, შვილო, რა დაგემართა?

ელენე: დედა...

დედა: აქა ვარ, შვილო, რა დაგემართა?

ელენე: დედა, ღმერთო... ჩამეძინა...

დედა: ჰო, დედა, ისე ღრმად ჩაგეძინა, რომ ვეღარ გაგაღვიძე... მაპატიე, დღეს ალბათ, დარჩენა მოგინევს...

ელენე: სხვა რა გზა მაქვს, მაგრამ ბელურები?

დედა: რა ბელურები? ჰო, ნახე, სულ დამავიწყდა, მეთქვა. ამას წინათ ეს სურათი გოგიმ მოგიტანა საჩუქრად. შენ დაგხატა. აი, ეს მონაზონი, ქვაზე რომ ზის თავდახრილი, შენ ხარ, ამ ქვის ქვეშ ანაა, ტოტზე კი უამრავი ბელურა ზის...

მუსიკა...

2002 წ.

პარალელური ხაზები

მოქმედი პირნი:

ქალი
კაცი
ტელეფონოს ზარის ხმა

ქალი: დიახ. გისმენთ.
კაცი: გამარჯობა, ევა.
ქალი: გაგიმარჯოს, რომელი ხარ?
კაცი: ადამი.
ქალი: სხვაგან მოხვდით.
კაცი: ისევ მე ვარ, ევა, გთხოვ, არ გამითიშო.
ქალი:ვინ შენ? ვინ ხარ?
კაცი: ადამი. ალბათ, აღარ გახსოვარ.
ქალი:თქვენთვის არ მცალია. აღარ დარეკოთ.
კაცი: რატომ არ იღებ ყურმილს?
ქალი:არანაირ ადამს არ ვიცნობ, რაღაც გაცვეთილი ხუმრობაა. თანაც, სიმართლე გითხრა, ევა არა მქვია.
კაცი: რატომ თავიდანვე არ თქვი. თუმცა, რა მნიშვნელობა აქვს, ხმაზე გეტყობა, რომ ბედნიერებამ გვერდით ჩაგიარა.
ქალი:ახსნა_განმარტებას არ ვაპირებ და არც სალაყბოდ არა მცალია.
კაცი: არც მე. როგორ ბრძანდები, მართლა ვეღარ მცნობ თუ ასე შეუბრალებლად დაივიწყე ძველი მეგობრები? ვთქვათ, ლევანი ვარ.
ქალი:კი, ერთ ლევანს ვიცნობდი ოდესღაც, მაგრამ სხვა განზომილებაში. შენ რომელი ლევანი ხარ?
კაცი: სწორედ ის. იმ მისტიკური განზომილებიდან, ადამიანები ოცნებას რომ ეძახიან. ვიცი, მიცანი, რატომ გაჩუმდი? ჩემი ხმა დაგავიწყდა? ნუ გეშინია, შენს შეწუხებას არ ვაპირებ, უბრალოდ, ამას წინათ შენი ერთი ძველი წერილი ვიპოვე შემთხვევით ძველ ქაღალდებში და გამახსენდი. გესმის? გამახსენდი, ყველაფერი გამახსენდა, თითქოს დრო ნაღმა დატრიალდა. ხმას რატომ არ იღებ?
ქალი:არ ვიცი, რა ვთქვა, ყველაფერი დავივიწყე. არც ის წერილი არ მახსოვს და საერთოდ, რა საჭიროა ახლა ამის გახსენება.
კაცი: მე მჭირდება, თანაც ძალიან, გთხოვ მომისმინე. გახსოვს?
ქალი:რა?
კაცი: რა ვიცი, მე ყველაფერი მახსოვს. მარტო ხარ?
ქალი:არავისი საქმე არ არის ჩემი მარტოობა.
კაცი: ესე იგი, მარტო ხარ. რატომ?

ქალი:ყველამ მიმატოვა ან პირიქით. და საერთოდ, ყველა მარტო არაა?

კაცი: არა. მე, მაგალითად, მოგონებებთან ერთად ვცხოვრობ, ძალიანაც რომ მინდოდეს, თავს ვერ დავაღწევ.

ქალი:რატომ რეკავ?

კაცი: რატომ? მოგიკითხე, შენ ჩემი ერთი მოგონება ხარ და თავს არ მანებებ. თანაც, არ შეიძლება, ძველი მეგობრები შეხვდნენ ერთმანეთს?

ქალი:რაღაც ქარაგმებით ლაპარაკობ, რა გინდა?

კაცი: არაფერი, ნუ შეშინდი, თბილისში არა ვარ.

ქალი:აბა, საიდან მელაპარაკები?

კაცი: იუპიტერიდან.

ქალი:ძალიან ახლოს და გარკვევით მესმის შენი ხმა. ესე იგი, იუპიტერიდან.

კაცი: მგონი, არ გჯერა.

ქალი: რა უნდა მჯეროდეს.

კაცი: მე რომ ვარ და გელაპარაკები.

ქალი: მჯერა, მაგრამ რა გითხრა, იმდენი ხანი გავიდა, დაგივიწყე. ფურცლებს გავატანე შენი სახე.

კაცი: ეს როგორ გავიგო?

ქალი: როგორც გინდა.

კაცი: ვხვდები, ალბათ, დამხატე, რაღაც საშინელი.

ქალი: არა, პირიქით. ხეს ჰგავხარ, გამხმარს. ზეზეურად დგახარ გამხმარი.

კაცი: ხეები ზეზეურად კვდებიან, არა? გიორგი რა იქნა?

ქალი:არ გაგიგია?

კაცი: რა უნდა გამეგო?

ქალი: აღარ არის. რატომ გაჩუმდი. არ გჯერა?

კაცი: რაღაც ისეთი ხმით ამბობ, თითქოს ადამიანზე კი არა, რაიმე ნივთზე ლაპარაკობდე.

ქალი: როგორი ხმით? შენ ჩემზე კარგად გეცოდინება, რაც მოხდა.

კაცი: ისიც ქაღალდებს ხომ არ გაატანე?

ქალი: მიხვედრილობა არ გაკლია, ნამდვილი ადამისაგან განსხვავებით.

კაცი: დაწერე რამე? ის ხომ არა? მახსენდება, ამ რამდენიმე წლის წინათ, შენი ნათარგმნი, ესპანურიდან, მოთხრობა, სადღაც წავიკითხე, ძალიან რომ ჰგავდა ჩვენს ამბავს, მართალი გითხრა, მომეწონა, ესე იგი, კი არ თარგმნე, შენ დაწერე, რაღაც უცნაური სახელ_გვარი ჰქონდა ავტორს, გამახსენე.

ქალი: რა საჭიროა, ახლა, ხომ იცი, რაც მოხდა.

კაცი: თავი მოიკლა? როგორც იმ _მენდესმა თუ რა ერქვა?

ქალი: არ მინდა ამაზე ლაპარაკი.

კაცი: მაპატიე. ღმერთო ჩემო, გამაგიჟებ, ის მოთხრობა, მე უნდა წამეკითხა, იმიტომ დაწერე, ვერ მიეხვდი, რა საჭირო იყო ეს გამოცანა და მიხვეულ_მოხვეული გზები. ის მოთხრობა, მახსენდება წვრილმანები... სრულიად შემთხვევით ჩამივარდა ხელში ის ჟურნალი, ვიღაცასთან ენახე. ძალიან კი იმოქმედა, რას ნარმოვიდგენდი. რატომ მოიქეცი ასე? ბავშვი სად არის?

ქალი:რომელი ბავშვი?

კაცი: მოთხრობაში რომაა. სიმონეს შვილი.

ქალი:ძალიან გთხოვ, თავი გამანებე, რა მოთხრობა, რეებს იგონებ, ახლა იქნებ, სიმონესთანაც გააიგივო თავი, ადამობას ძლივს აუდიხარ.

კაცი: არა, მომისმინე!

ქალი:დავიღალე, გასაგებია, ვინც ხარ, რატომაც ხარ და ასე შემდეგ. დარჩი რა, იმ შენს განზომილებაში და მე თავი დამანებე.

კაცი: მომისმინე, ის ხომ ჩემი ბავშვიცაა, ეოგონაა, შენ გგავს? თუ ბიჭი?

ქალი:აღარ მოგისმენ. არ შემიძლია ამდენი სისულელის მოსმენა.

კაცი: მე კი მქონდა ეჭვი, მაგრამ არ მეგონა, თუ ამას ჩაიდენდი.

ქალი:არაფერი ჩამიდენია, და საერთოდ, რა უფლებით მელაპარაკები ასე, ამდენი ხნის შემდეგ...

კაცი: დროს არავითარი მნიშვნელობა არა აქვს.

ქალი:როგორ არა აქვს. დრო წავიდა და თან წაიღო ყველაფერი.

კაცი: :ყველაფერი? მე არაფერი გამიტანებია დროისთვის.

ქალი:მაშ, რატომ დაიკარგე?

კაცი: :განა შენ ასე არ გსურდა? შენი წერილი, რომელიც ახლახან ენახე, შენი ხელნაწერი.

ქალი:არავითარი წერილი არასოდეს არ დამიწერია.

კაცი: :სადაც სასონარკვეთილი მთხოვდი, რომ გავმქრალიყავი შენი ცხოვრებიდან, რომ ახალ ცხოვრებას იწყებდი, რომ გიორგის მიყვებოდი, რომ ძველი ცოდვა უკვე მოშორებული გქონდა.

ქალი:რეებს ბოდავ?

კაცი: აგერ მაქვს წერილი, მწერდი, რომ..... ჰო, რაღაც საზიზღრობები გიწერია შენს თავზე, რომ საშინლად მატყუებდი, გძულდი და ამგვარები.

ქალი:როგორ დაიჯერე?

კაცი: რა მექნა. ბოლო დროს სულ ეჩხუბობდით. რატომ?

ქალი:არ ვიცი.

კაცი: არადა, გახსოვს?

ქალი:არაფერი არ მახსოვს.

კაცი: წარმოუდგენელია, მე ხომ შენ გიცნობ, ვერ დაივიწყებდი. მე კი მახსოვს, თანაც ძალიან ცხადად და გარკვევით, რაც დრო გადის, მით უფრო მენმინდება მეხსიერება, ისეთი რაღაცეები მახსენდება... გახსოვს, ზურგებით მიყრდნობილნი რომ ვისხედით ნინონმინდის ეზოში. რა კარგი

დღე იყო... მზის ჩასვლას გავცქეროდით, ახლაც ვგრძნობ იმ სითბოს, შენი ზურგიდან რომ იღვრებოდა ჩემში. ისეთი ნეტარება აღარასოდეს განმიცდია.

_ეს ალბათ სამოთხის მოგონებაა, თანაც არასოდეს გითქვამს...

კაცი: ჰო, ალბათ სამოთხეში ვიყავით და არ ვიცოდით. მაშინ ამის გამოთქმაც კი არ შემეძლო. მერე მივხვდი და სახელიც დავარქვი. ახლა კიდევ რომ შეიძლებოდეს ამის განცდა, მივეყრდნოთ ერთმანეთს ზურგით...

ქალი: რას გაიღებდი?

კაცი: სიცოცხლეს. რა გაცინებს? მე ასე მიღირს. შენ არა?

ქალი: მე სხვა რამ მახსოვს, მაგრამ ახლა არ მინდა ამაზე ლაპარაკი.

კაცი: რატომ, ვილაპარაკოთ, მე ისე მომენატრა შენთან საუბარი. იცი, მივხვდი, რომ ყველაფერი ძვირფასი... ჰო, ყველა ძვირფასი ნუთი შენთან არის დაკავშირებული.

ქალი: მართლა?

კაცი: ჰო, მართლა. გაცვეთილად და პათეტიკურად ჟღერს, მაგრამ სიმართლეა. ხმას რატომ არ იღებ?

ქალი: რა უნდა ვთქვა.

კაცი: კარგი, მე ვილაპარაკებ, შენ მომისმინე, გთხოვ, მომისმინე. ყოველთვის ხომ ასე იყო. გახსოვს, რომ გიკითხავდი, დავიღლებოდი, შენ კი მთხოვდი, ნამიკითხე, ასე მომწონს, ასე მიყვარსო და სხვა რა გზა მქონდა, გემორჩილებოდი, გიკითხავდი. ის ღამე გახსოვს?

ქალი: რომელი?

კაცი: როგორ არ გახსოვს? მე, შენ, ლილი და გიორგი და კიდევ რამდენიმე... შატილში, ვიღაცასთან რომ გავათიეთ ღამე. გახსოვს? მე და შენ შუაღამისას გარეთ, რაღაც ქოხისმაგვარში რომ შევიყუჟეთ, ყველას ეძინა, თბილი, მყუდრო, ზაფხული კი იყო, მაგრამ ღამით საკმაოდ ციოდა. გახსოვს ის უზარმაზარი მთვარე, რაღაც სხვანაირად ახლო რომ იყო, ხელის განვდენაზე. ვარსკვლავებით მოჭედილი ცა, დიდი დათვის თანავარსკვლავედი.

ქალი: მერე?

კაცი: მერე შენ ერთ მხარეს დაწექი, მე მეორეზე. ნამჯა ეყარა. თავბრუდამხვევი სურნელი. მერე მთხოვდი, მიამბე რამეო და მეც ვყვებოდი გაუთავებლად. ჩაგეძინა, ბავშვივით ფშვინავდი. პიჯაკი მოგახურე. ჰო, კიდევ, სიფრთხილისთვის... ახლა მეცინება. რა სულელები ვიყავით. ესეც არ გახსოვს?

ქალი: რა სიფრთხილისთვის, რამე მოხდა?

კაცი: არა, სიფრთხილისთვის ლოცვები წავიკითხეთ, მამაო ჩვენო, ღვთისმშობელო ქალწულო და კიდევ რამდენიმე, რაც ზეპირად ვიცოდით. დილით ადრე შენ გამაღვიძე. არავისთვის გვითქვამს. ჩვენს საიდუმლოდ დარჩა. შენ ხომ არ გითქვამს ვინმესთვის?

ქალი: არა, რაღა დროს მაგეების გახსენებაა?

კაცი: რატომ, იცი, რა ბედნიერი ვარ, როცა იმ ნუთებს ვიხსენებ, შენ-

თან ერთად გატარებულს.

ქალი:რა ისეთი ნუთები ეგ იყო...

კაცი: ცოტა იყო, კი, მაგრამ სხვა ყველაფერი გადასნონა, რა, პირველად ჩემგან ხომ არ გესმის მსგავსი რამ, სულ ამაზე არ მოთქვამენ სახელიანი თუ უსახელო შემოქმედნი?

ქალი:კი, მაგრამ დანერილი და ცოცხლად განცდილი თუ მოსმენილი სხვაა.

კაცი: იცი, კიდევ რა გამახსენდა?

ქალი:არა, არ მაინტერესებს.

კაცი: შენი თაფლიანი ტუჩები.

ქალი:ესეც სამოთხის ერთი ეპიზოდი ხომ არაა?

კაცი: ჰო, თაფლიანი ტუჩები. ველური თაფლი.

ქალი:ველური კარგად ჟღერს.

კაცი: კარგი, კარგი, ნებისმიერი თაფლი ველურია, აბა, რა. ჰო, ტუჩებზე ნაისვი და მეკეკლუცებოდი.

ქალი:გეკეკლუცებოდი არა?!

კაცი: კი, კი, მაშინ გაკოცე პირველად. თაფლი მას შემდეგ შემიყვარდა გიჟივით. თუმცა ახლა... ესეც არავისთვის მითქვამს. შენ? თუმცა იმ მოთხრობაში ენერა, არა, იქ ჟოლოს მურაბა იყო. რატომ შეცვალე?

ქალი:არ ვიცი.

კაცი: რას აიხირე, ეს არ ვიცი, ასე მგონია, ავტომატს ველაპარაკები.

ქალი:იქნებ.

კაცი: რა იქნებ, როგორ შეგიძლია ასე გულგრილად...

ქალი:შენ რა, გგონია, მხოლოდ შენთან დაკავშირებული მოგონებებით უნდა მეცხოვრა? მერე და ვინ ხარ შენ?

კაცი: ჰო, რა თქმა უნდა, არავინ. მერე, წავედი საერთოდ ქვეყნიდან, სხვა ცხოვრებით ვიცხოვრე და ჩამოვედი. რატომ მოიკლა გიორგიმ თავი? ღალატობდი? არა, მაპატიე, ნამომცდა. შენ მხოლოდ ერთხელ, მე მიღალატე.

ქალი:არ მინდა მაგაზე ლაპარაკი.

კაცი: კარგი, კარგი, უკან მიმაქვს, რაც ვთქვი.

ქალი:გიორგის ამბავი გაინტერესებს? გეკითხა ვინმესთვის.

კაცი: შენგან მინდა გავიგო. ალბათ, გიჭირს.

ქალი:ის სხვანაირი იყო. ყველაფერი დავწერე, მოთხრობა ხომ წაიკითხე.

კაცი: იმის მიხედვით, პირიქით, ის გღალატობდა და ეჭვიანობით განამებდა. ასე იყო?

ქალი:ჰო, შენ ყოველთვის ლანდივით იდექი ჩვენ შორის. ის ამას გრძნობდა და ცოფდებოდა.

კაცი: ესე იგი, გახსოვდი? ხომ არ მომესმა? მადლობა ღმერთს, აღიარე, როგორც იქნა.

ქალი:არფერი მიღიარებია. რაც იყო, იყო. მოვრჩეთ ამ თემაზე

ლაპარაკს.

კაცი: დავიჯერო, მართლა მასე მოხდა ყველაფერი? მაგრამ ჩემი გაქრობა რატომ არის სხვანაირად ახსნილი?

ქალი:სად?

კაცი: მოთხრობაში, ველარ გავიგე, მოთხრობა და სინამდვილე ისე ჩაეხლართა ერთმანეთს.

ქალი: როგორ?

კაცი: იქ წერია, თითქოს მე ლიზის ვულალატე, ასე ჰქვია იმ ქალს, შენ რომ გგავს. აღარ მახსოვს. ის სამკუთხედი, კლასიკური, მაგრამ საკუთარ თავზე გამოცდილი, რა თქმა უნდა, მაშინვე გამახსენდა.

ქალი: მერე მაშინ რატომ არ გამოჩნდი?

კაცი: რას მივხვდებოდი.

ქალი:თუმცა რა აზრი ჰქონდა გამოჩენას. მოთხრობა ისედაც გვიან დავწერეთ.

კაცი: რას ჰქვია დავწერეთ? რას გულისხმობ?

ქალი:ორივე ვწერდით.

კაცი: ვინ ორივე?

ქალი: მე და გიორგი და მესამეც. ჰო..

კაცი: ვინ მესამე?

ქალი: ლილი.

კაცი: ლილი?

ქალი: ჰო. რა გაგიკვირდა.

კაცი: ლილიმ იცოდა ჩემ შესახებ ყველაფერი. ის მაგებინებდა შენს ამბებს. ბოლო დროს დაიკარგა. რა დაემართა?

ქალი: ჰო. ისიც ხეს შეასკდა.

კაცი: ლილი და გიორგი? როგორც მოთხრობაში? აკი თავი მოიკლაო?

ქალი: თვითმკვლელობა იყო ეგ, აბა რა...

კაცი: ორნი იყვნენ?

ქალი: ერთად იყვნენ. ის, ის და ის.

კაცი: ვინ ის? ვინ იყო მესამე? მოთხრობაში მხოლოდ ორნი იყვნენ.

ქალი: რას აიხირე ეს მოთხრობა. ბოლოს და ბოლოს ცხოვრებაზე მელაპარაკები თუ მოთხრობაზე? არავინ იყო, გაიგე? არავინ. დავიღალე. სხვა დროს იყოს. მართლა არაფერი გაგიგია?

კაცი: არა, დამიჯერე, სხვა დროს გიამბობ ყველაფერს დაწვრილებით, მართლა არაფერი ვიცი, მხოლოდ რაღაცეები ყურმოკრულად, ვუფრთხოდი თქვენთან დაკავშირებით ვინმესთან ლაპარაკს. მეგონა ამოგშალეთ, მაგრამ... არა, სხვა დროს არა, ახლავე, მითხარი... ლილი ჩემზე არაფერს გიყვებოდა?

ქალი: არასოდეს მიკითხავს. რა ვიცოდი. თვითონაც არაფერი უთქვამს. მგონი უყვარდი.

კაცი: ვის, ლილის?

ქალი: კი. საავადმყოფოში, სულთმობრძავმა გამიმხილა, მემუდარე-

ბოდა, მაპატიეო. მიყვარდაო. გავგიჟდი, რა უნდა გაპატიო, ჩვენ შორის კარგა ხანია დამთავრებული იყო ყველაფერი და რატომ არ უნდა გყვარებოდა_მეთქი. ის ჯერ კიდევ ცოცხალი იყო.

კაცი: ვინ ის? გიორგი.

ქალი:არა, გიორგი მაშინვე...მე ვუყვებოდიო, ჩემი ბრალიაო, ახლა გავუმხილეო, ეშმაკმა დამიმონაო...

კაცი: მერე?

ქალი:საშინლად იტანჯებოდა. მაპატიეო, აიჩემა, ჩემი ბრალიაო. არავინ იცისო, _რაღაცის თქმას აპირებდა, აღარ დასცალდა. ნუ გამახსენებინებ.

კაცი: მერე?

ქალი: რა მერე? რაღაც წერილს ახსენებდა, ხელნაწერსაც.

კაცი: წერილს? ამ წერილს?

ქალი: ეგ რა წერილია?

კაცი: მომისმინე.

ქალი: თავი გამანებე.

კაცი: გთხოვ, თქვენი ხელნაწერები ჰგავდა ერთმანეთს?

ქალი: არ ვიცი, რატომ მეკითხები?

კაცი: იქნებ იმან დაწერა.

ქალი: არ არის საჭირო საკუთარი ცოდვების სხვისთვის აკიდება.

კაცი: არა აქ წერია, რომ...

კაცი: დაივიწყე.

ქალი: ახლა არავითარი მნიშვნელობა არა აქვს.

კაცი: როგორ არა აქვს. მე ჩამოვედი, ყველაფრის გასარკვევად.

ქალი: აზრი არა აქვს.

კაცი: მაპატიე.

ქალი: რა აზრი აქვს. ჰო, მიპატიებია, თუ კი ეს სიტყვა დაგამშვიდებს.

კაცი: ეს რას ნიშნავს? ცარიელ სიტყვას?

ქალი: არაფერს არ ნიშნავს, სიტყვას მნიშვნელობას გარემოება ანიჭებს, და კიდევ, თვალი, გული და სული. ვერ გხედავ, ვერ განგიცდი და ამიტომ სიტყვაც ცარიელია, რამ უნდა აავსოს?

კაცი: ნარმოსახვამ. ნუთუ ასე დაგავიწყდი?

ქალი: ის, ვინც მე მახსოვდა, დროში გადნა თებერვლის თოვლივით.

კაცი: მაშ, მე აღარ ვარსებობ შენთვის?

ქალი: შენ ახლანდელი, არსებობ, როგორც ცარიელი სახელი.

კაცი: შენ არ ხარ ჩემთვის ცარიელი სახელი.

ქალი: ჩვენ ყოველთვის პარალელურ ხაზებს ვგავდით, ძალიან ახლოს გავლებულს, მაგრამ მაინც პარალელურს, რომლებიც არასოდეს, არა, ვერასოდეს გადაკვეთენ ერთმანეთს.

კაცი: გიორგი, ის როგორი ხაზი იყო?

ქალი: ის ხაზი არ იყო. ის კომეტა იყო, ჩაიქროლა, ჩვენი პარალელური ხაზები გადაკვეთა, გადაკვეთის წერტილებში ცეცხლი დაანთო და მერე სადღაც ჩაიმსხვრა. მე მტკივა ის ნაცეცხლარი, შენ არა?

კაცი: არა. მე და ის მეგობრებად დავშორდით. არ გჯერა, არა? ჰო, რა თქმა უნდა, შენ გვაკავშირებდი და საბოლოოდ ის აირჩიე. ასე წერია

მოთხრობაში. იქნებ, ახლა მაინც გამიმხილო, რატომ?

ქალი: აზრი არა აქვს.

კაცი: რას აიხირე, აზრი არა აქვს, აზრი არა აქვს.

ქალი: ლიზიც ქაღალდებს გაჰყვა.

კაცი: ლიზი ხომ მოთხრობის ქალია, ვერ გავიგე?

ქალი:აბა, შენ ნამდვილი გგონივარ, ვერ ხედები? უფრო უარესი, მე ლიზიც კი არა ვარ.

კაცი: როგორც მოთხრობაში, ის მესამე, ლიზიც ხომ მანქანაში იყო და გაურკვეველი დასასრული... ხეს რომ შეასკდა... აბა, შენ ვინ ხარ?

ქალი: უბრალოდ, ევა ვარ, განა ცოტა ევაა ამ ქვეყანაზე, შენ კი ადამი. აღარ დარეკო.

ქალი:არ შემიძლია.

კაცი: იცი რა, გინდა შევხვდეთ?

ქალი:კარგი, ოღონდ აღარ დარეკო.

კაცი: კარგი? როდის და სად მოხვალ?

ქალი: ყოველთვის და ყველგან, ესე იგი, არსად და არასოდეს?

კაცი: ერთად განცდილ სამოთხეს გაფიცებ, სიმართლე მითხარი.

ქალი:კარგი, პირდაპირ გეტყვი, შევხვდებით მოთხრობაში.

კაცი: ევა,

ქალი: სხვაგან მოხვდით.

მუსიკა...

2007 წ.

კედელი

(ფანტასმაგორიული ვნებანი)

ეგონა, თეთრ ფურცელთან მარტო დარჩებოდა თუ არა, გაიხსნებოდა იდუმალების დაბინდული კარიბჭე, მეწამული ღრუბლების ფარდას გადასწევდა უჩინარი ხელი, გადაირბენდნენ გონების მინდვრებს თეთრი ირმები და ფიქრები დალაგდებოდნენ მორჩილ, გახედნილ სტრიქონებად.

ნებაზე მიმყოლი ასოები მწყობრი ლეგიონებივით დაეშვებოდნენ კალმის წვერიდან და დაიპყრობდნენ თეთრ ფურცელთა ქალაქებს....

შორს: ლურჯად ახაერდებული ნყლის ზედაპირზე მისრიალებდა ფერშეუბღალავი გედი და მარტოობის ბნელ წიაღს ბზარავდა სამყაროს ანთებული თვალები...

ახლოს: სიტყვები, მარცვლები, ერთად, ცალკე, ჯგუფად, ბრბოდ.

ყურის ბნელ ნიჟარაში მიძვრებოდნენ წვრილი, ნკრიალა, ბოხი, მეღერი, ხავერდოვანი, მკივანა, მძაფრი, ჩქარი, ნელი ხმები. საკანი გამოამტვრიეს ამბოხებულმა ფიქრებმა და ახლა საფეთქელთა ვინრო ტალანებს აძრწუნებდათ მათი სიშმაგე და სიმრავლე.

ასოები—დაბრეცილი, დალაქული, ხანდახან მახინჯი, იშვიათად ლამაზი.

თვითონაც — სიტყვის ნაგლეჯებსა და ნამცეცებში უიმედოდ ჩაკარგული...

გრძნობათა გადაძახილი, კივილი, ცრემლი, ძებნა, შფოთი.

აი, შეიყარნენ ერთად და ღიმილიანმა განნყობილებამ ჩაიარა ბაგეების ვარდისფერი ხიდი ლამაზი ქალივით.

გაისმა მაღალი, ნატიფი სიმღერა.

მერე საიდანღაც შემოძერა განხეთქილების ავი, უზნეო ასული და ჩამოშვავდა ქვიშის სასახლე, დაბლაგვდა და დაიმსხვრა პორცელანის უსაზესი ძხრები.

ტკივილის გუბეში ჩაცვივდა სულის გაბზარული სურიდან გადმოღვრილი მსხვილი ნვეთები და დაიშალა რგოლებად ცრემლის უმზეოდ გაშლილი უსუნო და უფერო ყვავილები...

ჩქარობდა, სიტყვაშემოსილ განცდებს ეკლებივით იძრობდა ერთიანად დაჩხელეტილი სხეულიდან. ერთი, მეორე, მესამე, დიდი, პატარა, ნვრილი, მსხვილი. ზოგს უკვე ფესვები გაედგა და ყვაოდა ნაცრისფერი კვირტები მოურჩენელი ჭრილობისა.

გრძნობა: კალმით ფურცლიდან ფურცელზე ჭიმაედა შავ თოკებს, ზედ ცეცხლნაკიდებულ სიტყვებს ჰკიდებდა და თვითონ ჯამბაზივით გადი-გამოდიოდა მათ შორის. შემოჰყურებდნენ შეშინებული სტრიქონები ბრიალა თვალებით. გრძნობებმა მიაგნეს აზრთა ნაცნობ რტოებს და დაღლილები ჩამოსხდნენ.

... ულრანი სიღრმე შეშფოთების ბნელი სარკმლიდან გიმზერს დაგეშილ ავაზასავით. მზე ჩაიქცა დიდი ხანია მკვდართა მეწამულ ტბის ფიალაში.

ღამეს ზმანების ზამბახები მოაქვს ნუგეშად.

ო, ვინ უშველის, ვინ აანთებს ჩამცხრალ იალქნებს.

სულს გააჟრჟოლებს დასიცხული ჟამიანივით.

დაჟანგულ წარსულს ცვივა ფერფლი ძველი ტკივილის. ოცნება გდია ბნელ დილეგში, ჟინჟღლავს უამოდ.

ვილაცის კართან უკვე მოდგა მნუხარე ეტლი. ვერვინ ეტყვის უარს ბინდის ამაყ მოციქულს. შიში უხეშად გიტყლაშუნებს სახეში შოლტებს, თვალში ჩარჩენილ ნაპერწკლებს აშთობს. ვერ გამოარღვევს ბაგეს ურჩი ბგერები: რატომ? ირღვევა გულის ცხელი გუმბათი.

მუხლმოდრეკილი ეეედრები მოლოდინის დაღლილ ლანდებს, არ მიგატოვონ...

ადგა, ოთახში გაიარ-გამოიარა.

სარკმელში მოჩანდა ვარსკვლავთა მკლავებში მონებივრე შორეთი. მზერაში სხვა სურათი გაიხირა, დაინახა საკუთარი გული ყვითლად დალორნილი გომბეშოს ხახაში მნიფე შვინდივით ჩადღაბნილი. შუბლზე ხელები შემოიჭდო და შეამაგრა ნახევრად მორღვეული ფიქალი.

წყვდიადმა დაახველა სიჩუმეში.

მერე გამოიკვეთა უცხო სილუეტი. მოდიოდა, არა, მოლივლიეებდა, ხან გაიშლებოდა მთელი ოთახის სივრცეზე, ხან შემცირდებოდა ბუმბულივით.

ხმაც გაიგონა: ნაზი, ტკბილი, დამათრობელი, გაურკვეველი, მოცახცახე...

შეიძლება? ახლა ქალის ფორმა ჰქონდა. თეთრი, გრძელი პერანგი ეცვა გადაღეღილი. ოქროსფერი კულულები ეყარა მხრებზე, თვალები ძირს დაეხარა...

_მობრძანდით!

ქალმა უცებ შემოაბჯინა მზერა, თითქოს კედელზე მიაჭედა. ცივმა ქარმა გაისისინა და არეულ ხმებში გამოიკვეთა:

_მე სიცარიელე ვარ!

დაწინწკლული ციცრები გაჩნდნენ საიდანღაც და აავსეს ოთახი. უცნაურად კაკანებდნენე ლამაზი ფრინველები.

მერე გაქრნენ ქალიც და ციცრებიც. სიჩუმემ ჩამოკიდა ნაცრისფერი ფარდები.

_ეეღარ გხედავ! _ აღმოხდა თავბრუდახვეულს.

_წარმომიდგინე! _თაფლი ჩადნა ენის ნაოჭებში.

_ჰო!

ხოხობი ჩამოჯდა ლერწამზე, გადაიხარა ნაზი წელი ხავერდოვანი რტოსი...

_არა... არა...

ენაზე მსუსხავი სიმწარე იგრძნო.

უზარმაზარი თეთრი ხომალდი ცელქობს ზღვის ტალღებთან, თოლიები ჩქმეტენ ფერდებზე და იცინის გემი, ხან ერთ გვერდს ჩაიყურყუმალავებს წყალში, ხან _ მეორეს.უუძველესი ღვინით დაათვრეს ვეშაპებმა და ახლა აღგზნებულსა და აღტაცებულს შორი სივრცეები ელანდება...

_არა... არა...

მთვარის თვალები: მზერის თვალუწვდენელ დარბაზში ლიელიეებენ უცნობ ფანტასმათა ჩრდილები. ქალწულთა ნამწამებზე ისვენებენ დაღლილი სხივები...

_მორჩი მასხარაობას!

ვიღაცამ ჩაამსხვრია ყინული, რომელზეც იდგა თეთრი, დაულაქავი სივრცით მოჯადოებული და ცივმა ტალღებმა მოქაჩეს ფეხებზე, გამალებით კბენდნენ და მარმარილოს სამარისკენ მიეზიდებოდნენ.

_ძვირფასი წამები ამაოდ დაკარგე!

ვეღარ გრძნობდა სხეულს. ხმა ეკლებივით უსერავდა სახეს.

_სანამ თავს იტყუებდი მშვენიერი, ნეტარების აღმგზნები სურათებით, არამცთუ შენს სამყოფელში, შენს არსებაში შემოვაბიჯე. გაფრთხილებდი, მოვდივარ-მეთქი, ეგება შეგშინებოდა და მომრიდებოდი, გაგეგდე და გაგემათრახებინე, შემბრძოლებოდი... იქნება სიტყვის ყღერადობამ მოგხიბლა? ერთად ხო მარ ვიმღეროთ?

სიცარიელე _ გაცრეცილი ქრიზანთემების უზადო ხიბლი.

აბა, დავინყოთ:

სიცარიელე: სი _ ცა _ რი _ ე _ ლე...

სი _ მაღლიდან, ძალიან მაღლიდან დავეშვათ, ლაჟვარდის გუმბათიდან, ქერუბიმთა და სერაბინთა სამყოფელიდან, თუ გინდა, უფრო მაღლიდანაც, მერე...

ცა _ ეს ცოტა ქვემოთ, უკვე მოვსრიალებთ თავქვე, აქედან უკვე შეიძლება დედამიწის დანახვა, ირხევა მისი ნაცნობი, ჭუჭყიანი სხეული, მერე უფრო ქვემოთ...

რი _ უკვე აქვე ვართ, ახლოს, მობორიალე, წითლად აღუდღუდებულ ღრუბლებთან. ნელა, ნარნარად დაეშვი, ქვასავით ნუ წამოხვალ, ცოტაღა დაგერჩა...

ე _ აქ ცოტა ხანს გავაგრძელოთ, თუ გინდა, ჩაახვიე, გაალამაზე. აქ კიდევ არის ცოტა სუფთა ჰაერი, მერე, მერე, რაც შეიძლება, გააგრძელე. სუნთქვა გიჭირს? გააგრძელე, თორემ ყველაფერი დამთავრდება. აღარ შეგიძლია? ჯანდაბას!

ლე _ და დიდი შავი წერტილი. არც ერთი ნაპერწკალი. სხივის არც ერთი ღერო. აქ არაფერი არ ხარობს. ეს უდაბნოა. შენ? შენ სადღაც ხარ ამ წერტილში შიგნით დაფლული. ეს შენი სამარეა...

_ ღმერთო ჩემო!

კოსმოსი გამოარღვია ვიღაცის ძლიერმა ხელმა და ციცთები ჩამოგრძელდნენ მისი არსებისკენ, როგორც თოკები. თლილ და ბიუკარებელ ყინულსა, რიგორც ბროლის ლანგარზე, იდო მისი მოჭრილი თავი და ცხელი სისხლი ნიოლად იტოტებოდა დამდნარ ღარებში. ხატავდა უჩინარი ხელი მუქი საღებავებით მის დაჩეხილ თავის ქალას სიურრეალისტურ სტილში.

_ო, რა ძვირფასი ჟღერადობაა!

კვლავ ჩაესმოდა უემური სიტყვები, რომლებიც ცვიოდნენ შავი სეტყვასავით. მერე მოირღვა სიცხადის სამანი, დაჭკნა მზერა, ვარდის ყვავილები დაიტაცა ბებერმა ქარმა და ღანვებსა და ბაგეებზე აიკრა საზიზღარი ნიღბის გასაღამაზებლად. დაიმსხვრა სარკმელში მოკამკამე ცისფერი მინანქარი, აიმღვრა პაერის გამჭვირვალე ზვირთები. ფერი დაინთქა უფერობაში. ნერტილებად დაცალკევდა ჰორიზონტი...

სარკმელში როიალის დაფეთებული კლავიშები შემოყარა უცნობმა შორეთმა...

თეთრ ფურცელს კვლავ მოედო მგზნებარება: მუსიკის გრილი ტალღები ამოდ მელამუნებიან, სველი დრუნჩებით ჭრილობებს მილოკავენ. დედდება გაღახსნილი ვენიდან ამოშადრევნებული სისხლი.

თვალებში გუბდება სოსნისფერი ბგერების უფაქიზესი ტბები.... შიგ ლამინორისა და დომაჟორის ნაირფერი ფლამინგოები დაცურავენ...

გონების ჯურღმულებში ნვრილ ნაკადებად შერბიან ვიოლინოს სიმებიდან ასხლეტილი ხმები... როკავენ, ითენთებიან, იბინდებიან, იშლებიან...

ექვის მაჯლაჯუნები და უამურ ფიქრთა ლანდები შეშინებული უჩინარდებიან ჩამქრალი შორეთის უფსკრულში.

სხეულის ყოველი ნაწილი, ჩემი არსების ყოველი ნამცეცი იუღინთება გამოუთქმელი ნეტარებით.... ვირნევი ხმათა თავბრუდამხვევ ტალღებზე და ვიძირები ფლეიტის სურნელოვან სუმბულთა დანისლულ სუნთქვაში...

სული თავისუფალია, ლაღი, როგორც თევზი, ზღვის აბორგებულ უბეში გატყორცნილი, ნებას მიყოლილი.

მწყურია... ვენაფები ჯადოსნურ ბგერათა ნექტარს და მწყურია... გვალვით დასნეულებული ხნულივით ხახადაფჩენილი ვიძირები, ვინთქმები გახელებულ ნაკადებში... მწყურია... კიდევ....კიდევ... მწყურია... მირაკრაკებს სულში მუსიკის წყარო და ყოველი წვეთის მიკარება მაკრთობს, მათრობს თავდავიწყების ურუანტელი. გზნება, ვნება და წამი... სახელი არა აქვს... როცა თვითონაც ერთ ბოკანკალე ბგერად ერთვები ამ აცახცახებულ სივრცეში... არ მინდა გამოფხიზლება... მსურს ვენაფებოდე დაუსრულებლად და მწყუროდეს... მუსიკა... ნამი, როდესაც არ ვნანობ, რომ მოვედი. თვალ, გულ და ყურ გახსნილი დაგბორიალობ დაუსრულებელ ლაბირინთში... ეფანტავ გრძნობათა ფერად ყვავილებს... მიხმობენ აღთქმული მინდვრები, ყაყაჩოთა სიყვარულით გაჯერებული... ეს არის ის? არ ვიცი...

იგრძნო, ეს ერთგვარ მომზადებას ჰგავდა. ახლა უნდა მოხეთქილიყო მთავარი, დიდი, ძლიერი და გულნრფელი. კალმის ნვერს ჩააცქერდა დაკონენებით...

კედლიდან შემოსცქეროდა დაღონებული ღვთისმშობელი. არა, მას არ უმზერდა. სადღაც სიღრმეში ინთქმებოდა მისი შროშანისფერი მზერა, ყრმა მაცხოვარს ეალერსებოდა მალულად. ბავშვის თვალებიდან საპირისპირო მხარეს იფრქვეოდა სინათლე... თიეისფერი ღვარები აესებდნენ და ათბობდნენ სამყაროს. ჯვრის ფორმას იღებდა ორივესგან წამოსულ სხივთა ნაკადების გადაკვეთა... თვითონ სად იყო, რომელ კუთხეში. სინათლის არც ერთი შხეფი არ სნვდებოდა ნუთუ მის არსებას?

მერე ჩამოზვავდნენ კალმის წვერიდან გრძნობები და ფურცელზე აღმოცენდნენ საღამოსფერი ასოები...

ისევ გაპკრა რაღაცამ მწარედ გულში. მერე უცნაურად მოდუნდა, ბუნდოვნად მოეძალა მძაფრი სურვილი, რომელმაც მთელი მისი არსება მოიცვა.

თითქოს სურდა, დაშლილიყო, გაშლილიყო და ნანილ-ნანილ, ნამცეც-ნამცეც გარეულიყო ამ ბალახებსა და მიწაში. პო, სიკვდილის Eშემდეგ... ასე იქნებოდა, მაგრამ არა, მაშინ ხომ ვეღარაფერს იგრძნობდა. არა, სწორედ ახლა სურდა, ამ წამებში. უნდოდა, ეცქირა, როგორ შეისრუტავდნენ თაკარა მზით შეურვებული წვერგამხმარი ბალახის ღეროები მისი სხეულიდან წვრილ ნაკადებად მოწანწკარე ცხელ, ოხშივარავარდნილ სისხლს. როგორ აუყვებოდა მწიფე ალუბლისფერი სითხე ღეროთა კაპილარებს. დაეწაფებოდნენ უსახური ყლორტები მაცოცხლებელ, მათრობელა სასმელს და აიესებოდნენ, გაჯერდებოდნენ.

მერე პაწაწინა კვირტებიდან შემკრთალნი გამოიჭყიტებოდნენ მენამული ყვავილები.. ამის დანახვა სურდა... არა... უკვე ხედავდა თითქმის და მერე.... მისი ხორცით დანაყრებული, ძალმიცემული, ამაყად შემართული კაკლის ხის ფართოდ გაშლილი ტოტებით გახედავდა სამყაროს, გაუხედნავი ულაყის გატაცებით, წყალს ღრუბლის დოქებიდან დალევდა, პაერს მწვერვალების უმწიკვლო მკერდიდან შეისუნთქავდა და მზეს გაუშტერებდა თვალებს, მოუღალავად, აღარ აუბრჭყვიალდებოდნენ მზერაში მომაბეზრებელი რგოლები, მიმოზისფრად აენთებოდა სულში სიხარული.

ღამით კი ვარსკელავთა ღვთაებრივ მუსიკას მიეახლებოდა და თვითონაც აჟღერდებოდა სევდიანი ფაგოტივით... თითქოს იყო და არც იყო... ნეტარებდა მარტოობის თბილ ტალღებს მინდობილი...

დავიწყების ქარს გადაუყარა ყველაფერი. ყველა. ყველა? ისიც? პო. ისიც! მაგრამ ის არ დაივიწყებდა. იქიდანაც, უფსკრულის ბნელი სივრციდანაც, მიცვალებულთა საუფლოდან გამოხედავდა თავისებური, ოდნავ ნაღვლიანი მზერით და...

ეშინოდა... ალბათ, ალაგ-ალაგ უკვე გამოღრღნა მინამ ფიცრის სასახლე, მერე ერთბაშად შეამტვრია მატლის ლაშქარმა მოფანფალებული ზღუდე და დაარბია, იავარქმნა გაყინული სხეული. ნახევრად ჩონჩხად ქცეულა მკლავები, თვალთა ნაცვლად ორი ორმოა...

ელდანაცემივით წამოიჭრა, თითქოს შემზარავმა სურათმა შემოპკრა მათრახი. სწრაფი ნაბიჯით დაუყვა ბილიკს. შორიდან ზარების რეკა შემოესმა... რაღაც ძალამ აიძულა, ხმას მიჰყოლოდა.

ტაძარში თაეჩაღუნული შევიდა. პირჯვარი არ გადაუნერია, არც კარის ანგელოზის ღიმილი დაუნახავს.

მედავითნის ლოცვა მოისმოდა გარკვევით. მალულად შეათვალიერა კედლები. წმინდანები შემოსცქეროდნენ მშვიდად, გულგრილად. გონება დაუბინდა გალობამ.

ეძალებოდნენ მოგონებები... იგერიებდა... შეხვედრები... თბილი, შემთხვევითი... მოწყენილობა, ნაღველი... არ აპყვე, არ გაიხსენო, გადაშალე, აი, ასე...

„...აკურთხებს სული ჩემი უფალსაააა"

მინა და ცა. ისინი სადღაც შუაში.

„...და ყოველი გონება ჩემი სახელსა ნმიდასა მისსაააა".

ბევრ ქალს შეხვედრია. არ დაუშურებია გზნება და ენება. იხარჯებოდა, როგორც შეეძლო. ის? არა, ეს შეხვედრა არ იყო. ეს, უბრალოდ, ჩავლა იყო. პო. ჩაიარა, მეტი არაფერი.

„.....კურთხეულ ხარ, შენ უფალოოოოოო"....

ამ ბოლო დროის ხშირად ფიქრობდა მასზე, რაღაც გაურკვეველად. ის უკვე აღარ იყო. ჰო. ჩიტები უყვარდა. კიდეე? ჩაიარა და მეტი არაფერი, საიდან უნდა იცოდეს. ცდილობდა, მედავითნის სიტყვებისთვის აზრი მიეტანებინა. უქირდა. ფიქრები უსხლტებოდნენ და მისრიალებდნენ საკმეველითა ატალღებული პაერში პატარა ნაფეიბით...

შინ, ალბათ, უკვე ელიან. შიმშილი იგრძნო. ერთბაშად დამშეიდდა.

„.... ნმიდა ხააარ, ნმიდა ხააარ, ნმიდა ხააარ, შენნ ღმერთოოიო" _ იკარგებოდა გონების თაღებში.

ამ ჰაერს სუნთქავდა. ამ გრილ ფილაქანზე იდგა. ამ ფრესკების შესაქმერიდა.... მერე, რა? არაფერი. მაშ, რატომ აკლდა? რატომ? რატომ იტანჯებოდა?

თვალებმა ჯვარზე გაკრული მაცხოვარი მოძებნეს.

პირველი ლურსმანი საზარელი იყო, თითქოს შიგ გულში გაუყარეს. რკინამ ბრჭყიალით ჩალენა მტევნის ნერილი ძელები და გამეტებული ჩაესო ძელს.

მეორეც ძალიან გაუჭირდა, თუმცა ისე ძალუმად აღარ შეუბღავლია ზეცისთვის.

ტკივილმა დაუბინდა გონება.

მესამე ლურსმანი აღარ უგრძვნია.

ზემოდან მოჩანდნენ მინაზე მბობღავი არსებები.

შეეზიზღა? არა, არ იცნობდა ამ გრძნობას თავის არსებაში განცდილს. მხოლოდ სხვათა ბაგეებსა თუ მხერაში ხვდებოდა.

ებრალებოდა? არა, არც ეს ჰქონდა განცდილი.

მაშ, რა? მაშ, რა?

მალე შედეგა სისხლი, აღარ წვეთავდა. ტკივილიც გაყუჩდა.

უყვარდა! როგორ?

უყვარდა! დაუჯერებელია?

უყვარდა! ეს უსულგულო, უაზრო, ხვლიკისგონება, გულისამრევად მახინჯი ბრბო უყვარდა!

კაცმა იგრძნო, რაღაც მეყსეულად შეიცვალა მასში, როგორც რომანსა თუ ლექსში, როგორც სიზმარში, მაგრამ ცხადი იყო, მისი თვალები სხვანაირად აინთნენ, მისმა ყურმა გაიგონა და სულმაც გაიხმიანა.

„.... ყოველი სული აქებდით უფალსა...."

ღვთისმშობელმა თითქოს ბაგეები გახსნა და აკურთხა.

ხედავდა... ხედავდა.... არა, ამის გამოთქმა არ შეეძლო, გააზრებაც უქირდა.

თავდახრილი იდგნენ მლოცველები, თვითონაც მათ შორის იდგა.

ეუცხოვა გულში აღბეჭდილი სასოება, თითქოს გაორდა.

გარეთ გამოვიდა, ეს კი ველარ გაარკვია, ვინ დარჩა ტაძარში, მისი არსების რომელი ნაწილი.

წვიმდა..., მიეალ თუ არა, დაეხატავ. ცისფერი ფონი. შორს, ძალიან შორს, მაღლა კაშკაშა მზე, რომელსაც ერთი სულელი ღრუბელი უყეფს ფინიასავით.

მერე კვირტებდამსკდარი ატმის ტოტი... ალაგ-ალაგ გონებისწამღები თოთო ვარდისფერი ყვავილებით და ჩიტები, უამრავი ჩიტი. ზოგი ტოტზე, ზოგი ჰაერში... ალბათ, ამას ველა დახატავდა, მაგრამ უკვე ჩაესმოდა მათი ჭიკჭიკის, ამ უჩვეულოდ მეღერი მუსიკის გამჭვირვალე, ჭეშმარიტი არსი... მანაც ეს სულ ახლახან შეიგრძნო... „აქებდით...." მოიღვრებოდა ტაძრის გაღებული კარიდან.

წვიმამ მოუხშირა...

სამი წერტილი უდაბნოში მოლანდებული ოაზისივით გამოჩნდა.

ოფლის წვეთები დაასხდნენ კალმის ტანს.

თვითონაც დაიღალა. კარმენის უვერტიურის მოსმენა მოსწყურდა: ცოცხალი, მგზნებარე რიტმები.

ოხრავდა ოთახში ჩაგუბებული ჰაერი. ხმამაღლა სუნოქავდნენ ძილშეპარული ბებერი წიგნები.

...კიდევ, ჰო, კიდევ იყო შიგნით რაღაც, რაც სწორედ რომ სიტყვებს უნდა გამოეტანათ გარეთ და სხვას არაფერს.

ტვინის ტალანებში დაბორიალობდნენ დაწერილ თუ დაუწერელ მოთხრობათა პერსონაჟები, გასასველელს დაეძებდნენ თავგამეტებით. შორიდან შესცქეროდა მათ მომქანცველ ხეტიალს. შეეძლო ნებისმიერ ალაგას ეკრა ხელი და თავისთავად შეიბმებოდა კარი სინათლისკენ. რაღას უცდიდა? სიამოვნებდა ზემოდან ცქერა.

მერე ისევ გასრიალდა კალამი გამოცდილი მეთხილამურესავით ფურცლის ტკიცინა ფერდობზე.

კაცმა თავი ასწია. დაღლილობა იგრძნო. თვალები დახუჭა.

ქუთუთოები კუბოს სახურავებივით გადაეფარა მზერას.

დრო თითქოს სიბნელეში შედედდა.

გამოფხიზლდა. ასოები ირიბად შემოსცქეროდნენ, გამგმირავი ირონიით.

ისევ სამი წერტილი მიუწერა... აქედან სხვათა საფიქრი უსიერი ტყე იწყებოდა. ნაწერს დააშტერდა. ერთბაშად მოხეთქილმა უსუსურობამ შეაძრწუნა.

ნუთუ ეს იყო იმ კოშმარული საათების ნაყოფი?

სიტყვები ჯიუტად მალავდნენ უმთავრესს.

ყოველი წინადადების მიღმა გამოცანა იგრიხებოდა ამაზრზენი ხითხითით.

რას დაეძებდა? რისკენ მიილტვოდა მისი დასნეულებული გონება?

თავის ქალაში იხრწნებოდნენ პლატონისა და ლაო ძის ლპობაშეპარული აზრები.

წარმოსახვა მეძავი ქალივით მიიხმობდა გაცვეთილ ვნებაში ჩასანთქმელად და ჩასაკარგავად.

ნანერი თავიდან ბოლომდე ჩაიკითხა. სიყალბის ალი გიზგიზებდა სტრიქონებში. მისმა ალისფერმა ენებმა ღანვები აუწვა.

შუბლის ძველ ბილიკებზე მაჯლაჯუნებმა გაიშლიგინეს.

იმ ქალზე ფიქრი ელავდა საფეთქელთა სიღრმეში.

რომელი უფრო რეალურია?

ფიზიკური სივრცე _ არაფერი, თითქმის არაფერი... თუ მოლანდებული _ ახლად ნანვიმარ მინდორში ის ლურჯ ღიღილოებს კრეფს.

ქალს ყვავილების კონა უჭირავს და მასზე ფიქრობს.

კაცს სურდა, რომ ასე ყოფილიყო და თავისი დაღლილი სამყაროს თავადი ხომ თვითონ იყო. ჰოდა, ნეტარებდა ამ ტკბილ-მწარე ფიქრების ზღვაში.

სარკმელი გამოაღო, ნიავი მოელამუნა, გრილი თითებით სახეზე მოეფერა.

ისევ დაენისლა მზერა...

შავ, ბლანტ ფონზე აკაციის თეთრი ყვავილები. მძაფრი სურნელით გაეჟღინთა სხეული და ურუანტელმა დაუარა. ახლა ისე აშკარად შეიგრძნო ზღვარი სულსა და ხორცს შორის...

მერე წერილად დაანაკუწა ნაწერი და დიდ ხანს შესცქეროდა ლურჯად ასვეტილ პატარა ალებს, თეთრ ფურცლებს რომ ნთქავდნენ გააფთრებით, პატარა ალები აცამტვერებდნენ ფიქრის დიდ ქალაქებს ისე, რომ თვითონ არაფერი უწყოდნენ ამის შესახებ.

ისევ იქით გაიხედა... გიშრის წყვდიადი და აკაციის მოკიაფე ყვავილები. წვრილ-წვრილი გვირგინებით შეტბორილი მძიმე და იმავე დროს ჰაეროვანი მტევნები.

მნიფე სუნი და კიდევ რაღაც _ უსუნო და უსხეულო, რომელიც გათავისუფლებას ლამობდა მისი სხეულიდან.

გონებისდამბინდავი გზნება შემოენთო. გრძნობდა, თუ არ მიპყვებოდა უეცრად აღძრულ სურვილს, ახლავე არ ჩაეშვებოდა იმ გამოუცნობი ნეტარების უფსკრულში, მერე... მერე.... მერე ისევ ჩვეულებრივად იქნებოდა ყველაფერი.

მიპყვა ნელა... ჯერ მარჯვენა მაჯა, მერე მარცხენა... ოდნავ შეაკრთო ტკივილმა... სისხლი წვრილ ზოლებად იტოტებოდა წყალში და მეწამულად ფერავდა.

დუმფარები ირნეოდნენ. დიდი, თეთრი ყვავილები. ლამაზი, მსუქანე რტოები, სლიპინა, გრძელი, მოქნილი ყუნწით, ხალიჩასავით გაშლილი ფოთლებით. საქორწინო სპეტაკი სამოსით მორთული ქალწულები. ყვავილთა გულისსამღებად დახვეწილი გვირგვინები. უნაკლო, უზადოდ გამოძერწილი ფურცლები ნელა ირნეოდნენ, ამაყად, მიუკარებლად.

მერე შეცურდნენ წითელი, ჭრელი გველები მომწვანო-მოცისფრო, კრიალა წყალში, ააჩქროლეს, აადგაფუნეს მთელემარე ზედაპირი.

შეკრთდნენ დუმფარები, შეაცახცახათ. გველებმა წრე შეკრეს. თავაღერილნი შხამიან ნესტრებს ასარსალებდნენ და გარს ერტყმოდნენ ყვავილებს, რომელნიც შიშისგან ერთად შეჯგუფულიყვნენ. მენამულისფრად გადაიღება ცისფერი. არ ჩქარობდნენ წყეულები. თითქოს რაღაც რიტუალურ ცეკვას ასრულებდნენ. ნამოსნეევდნენ აბრჭყვიალებულ ტანებს, აღიმართებოდნენ და გაშეშდებოდნენ სვეტებივით. მერე უცნაურად დატრიალდებოდნენ და ჩაეხვეოდნენ ერთმანეთს, ისევ გაქვავდებოდნენ, მერე ატოკდებოდნენ და ინყებდნენ როკვას.

დამსხვრეულ სიჩუმეში გახშირდა მათი სუნთქვა. თვალებში ჩააშტერდნენ დუმფარებს, მერე თეთე გვირგვინებს დასწვდნენ და დაშხამვა დაუწყეს. ნელა, მდორედ, თითქოს ნეტარებას იხანგრძლივებდნენ.

უმანკო სითეთრეს შეერია დამპალი შინდისფერი. წყალი შემოდგომის დამჭკნარი ფერებით შეიმოსა. მუნუკებივით ამოიზარდნენ ყაობისფერი ბუმტები, მერე დასკდნენ და წამოვიდა მყრალი ბალღამი... გველებმა ზეიმით გადაიშლიგინეს გადათელილ ყვავილებზე და გაუჩინარდნენ...

დახოცილი ფრინველებივით ეყარნენ დუმფარები.

მერე დაფლეთილ ფურცლებში რაღაც შეინძრა, პანანინა ყელი გამოსჩნდა თოთო რტოსი. ნელა ნამოიმართა, ნაზად. არ იცოდა, ვინ იყო, სად იყო, რისთვის იყო და რატომ, სურვილი ზრდიდა და ამოძრავებდა_მზისკენ... მეტი არაფერი.

მაღლა ცა იყო ზამბახებიანი მინდორივით.

უჩინარმა ხელმა ნარინჯისფერი დაამატა მზის დსიკოს.

თეთრად ელვარებდა ღეროზე გასაშლელად გამზადებული კვირტი.

მერე უცებ გაიშალა, მოსწყდა ყვავილი რტოს და გაფრინდა...

კაცმა იგრძნო, რომ რაღაც იყო ამ ყვავილში მისი, მაგრამ რა? პო. სტკიოდა გველების სასტიკი ნაკბენები, იტანჯებოდა... ის კი, მისი არსების დაულაქავი და შეურყვნელი ნაწილი, პო, სული, მზისკენ მიინევდა, მაგრამ თვითონ აქ იყო.... სინანულმა შესძრა....

კალამი გაუვარდა ხელიდან. მერე დაბზრიალდნენ ფურცლები ოთახში და გაღებულ სარკმელში გაფრინდნენ მწკრივად დანყობილი წეროებივით...

უცებ ცისფერი ლანდი შენიშნა სიფრიფანა, გამჭვირვალე ფროებით. გულმა უგზნო, მფარველი ანგელოზი იყო. ხელები გაინვდინა და მიიხმო... ხმის სამოსში ვერ ეტეოდა ადულებული ვედრება.

მომიახლოედი, ღიაა ჩემი გულის კარი... პაერში აიტალღა ცისფერი ზვირთები. ეს ლოცვის ჩიტები აეღურტულდნენ ჩემი არსების გალიაში. ბაგეებზე საცაა ის

კვირტებიც გაიშლებიან...

მსურს მოგიახლოვდე, მაგრამ კედელი მიშლის.

რისთვის აღგიმართავს ამ სისქე კედელი? რისთვის?

მეძახოდი. მესმოდა შენი თავგანწირული კივილი.

შენმა ცრემლებმა ნაკადულები აადიდა,

შენმა სინანულმა ცოდვის ყინული გაალღო.

შენმა აღსარებამ გრძნობათა მღვრიე ტბა გაანკარა.

მაშ, ეს კედელი რატომღა აღგიმართავს?

კედელი? მე არ აღმიმართავს. მე ვერ ვხედავ კედელს.

როგორ ვერ ხედავ? აი, ჩემი ფაქიზი ფრთები როგორ დაისვარა მასთან მიკარებისას, როგორ დაიკაწრა. კედელზე უხსენებელი მიიკლაკნება, ქერცლი უბზინავს, სისინებს, გესლს ანთხევს. აი, შხამის წვეთი ჩემს კვართსაც მოეცხო. ოჰ, ოჰ, სხვა უწმინდურნიც უხვად ყოფილან.

ილაქება ჩემი მზერა.

ნუთუ შეეცდი, როცა შენკენ გამოვფრინდი, არ შეეეპუე ქარსა და წვიმას, მეხსა და სეტყვას. მალამო მოგიტანე ჭრილობებისთვის, ღვთისმშობლის უწმინდესი ხელით შეზავებული, შიგ მწიფე მტევანთა მაცოცხლებელი წვენია შერეული და უკიდეგანო ხოდაბუნების ოქროს მარცვლები. მიწისა და ზეცის მადლით ავსებული ფიალაც თან მაქვს, მაგრამ კედელი...

იქნებ მომესმა ძახილი, მომატყუა სივრცის სიშორემ, ნუთუ სხვა გულის წიაღიდან მოდიოდა ვედრება, მიშველეო. სხვას სწყუროდა, ნუთუ, ზეცის სინათლე...

ნუ მიმატოვებ, ანგელოზო, შენი უნათლეს სულის ჭირიმე, ნუ მიმატოვებ, მო, მომეახლე და ქანცმილეულ ჩემი რწმენის რტოებს მოასხურე სიცოცხლის წვეთები, თორემ ტკივილებს ველარ გავუძლებ და ჩავინთქმები გრძნობათა უფერო უფსრულში. ნუ მიმატოვებ, გეევედრები...

აღარც ხმა მესმის, თითქოს ბაგენი რაღაცას მეტყველებენ, მაგრამ რას, ვინ იცის. ის რაღაც ეგებ სულაც წყევლაა ან ბოროტი, ბილწი ხმა უკეთურებისა. ო, ეს კედელი, აღმართული მტკიცე რვალივით. მე არ ძალმიძს მისი დანგრევა.

ვხედავ, თანდათან როგორ სქელდება, როგორ მუქდება. ჩემს გამჭოლ მზერას ეგებება მღვრიე ბურუსი. ო, საბრალო, ადამის ძეო, განა ძნელია მოსწყვიტო მზერა გარეთ გასროლილი და სულს ჩახედო, თუმცა შეიძლება შეგაკრთოს მისმა სიღრმემ და ქიმერების შემოფეთებამ, მაგრამ იქ, ვინძლო, ვარსკვლავიც იყოს. ცრემლებში დაალტე გული და გადანმინდე შავი ლაქები, სხვა მნათობებიც გამოჩნდებიან და აიესები ვარსკვლავებით ზეცის თაღივით... ო, ეს კედელი...

დაეეძებ სიტყვებს, როგორც ტალღებს აქაფებულ ზღვაში და ვერ ვპოულობ. ჯობს, დავდუმდე, მაგრამ კედელი, რატომ ვერ ვხედავ, ეშმაკის აღმართულს, რომელმაც შემოსაზღვრა ჩემი არსება, დამატყვევა.

ოჰ, მიმატოვა,,, ნუთუ ლანდი და ზმანება იყო ეს ყველაფერი. ჰოი, ჩემო ბილწო გულისთქმანო, ჩამომეცალეთ, ნაიღეთ ჩემი ხორცის ნაფლეთები, სისხლის წვეთები, ყველაფერი... დამტოვეთ მარტო ჩემს გვემულ სულთან... მსურს დავუჩოქო და შეევედრო: არ მაპატიოს ეს კედელი. ჰო, მე ვაშენებდი მას დიდი ხანია გულმოდგინედ. რისთვის?

ვერ ვიტყვი.

თქვი!

ჰო, შესაძლოა, შემდეგ ზედ აბობღება მომსურვებდა და ზემოდან ამაყად გადმოხედვა. ან კიდევ... ჰო, იქნებ იმ თვალთა მზერას მსურდა მოვფარებოდი, დაძა-

ხებისას ბუჩქიდან აღარ გამომეხედა, რომ არ ეკითხა, საიდან იცი, რომ ბიშველი ხარ? ერთი ხელით კედლისთვის ჭუჭყიან ტალახსა ეზელდი, შიგ შმაგ სურვილებს ვრთავდი სიმაგრისათვის, მერე ფერადი გრძნობებით ვრთავდი. თავს ვიტყუებდი, მომჩვენებოდა უფრო ლამაზი... და ასე დიდ ხანს...

მეორე ხელით კი, მაგონდებოდა და მხიბლავდა რა ფრესკაზე ნანახი წმინდანი, ვედრებით ზემოთ შევმართავდი და შველას ვითხოვდი. რისთვის?

ნახევარი არსებისთვის. არც აქეთ და არც იქით.

და აი, კედელიც, ნელა-ნელა იკვეთება მისი კონტურები. ვხედავ, ნეტავი დავბრმავებულიყავი. ურჩხულის ქერცლი და მყრალი სუნი და ამაზრზენი ასარეკლი ჩემი თავისა უხსენებლის თვალის გუგაში...

მამლები ალისფერ სიზმრებში ყიოდნენ.

ვარდისფერმკლავება აისს ჯერ ისევ ეძინა მთების თბილ უბეში.

უცხო მეტაფორები შემოყარა სარკმელში აშარმა ღამემ.

ქათქათა ფურცელზე აისეეტა მისი ბნელი სილუეტი.

1988

სანჩო პანსას დღიურიდან

ფრაგმენტი ხელნაწერიდან, რომელშიც მოთხრობილია ერთი საარაკო მოგზაურობისა და სერობის შესახებ

ჩემო წარჩინებულო ან იქნებ მდაბიო მკითხველო... _ ასე იწყება ის ხელთქმნილი მანუსკრიპტი, რომელიც ახლახან ესპანეთის ნაციონალური ბიბლიოთეკის არქივში აღმოაჩინეს. სულ ნარჩევმა, დედამიწის ზურგზე არსებულ ყველა ხელნანერნახულმა მათუსალა-ექსპერტებმა ჯახირწვალებით ხანდაუხანებლად დაადგინეს, რომ გაუფერულებულ, თითქმის გაცამტვერებულ ხელნაწერებს შორის, ორი, რომლებიც შედარებით გარკვეულად იკითხება, არაბულ ენასა და კასტილიურ დიალექტზეა დაწერილი. არაბული ორიგინალი უნდა იყოს და კასტილიური _ თარგმანი. ორივე სასწრაფოდ განათავსეს ინტერნეტში და გვარიანი მნახველიც მიიზიდეს.

არაბული ხელნაწერის ავტორი გახლავთ წიგნიერ-განათლებულ-მოწყენილი მკითხველისთვის კარგად ცნობილი სიდ ჰამეტ ბენენხელი. ეს ის თავხედი სიდია, რომელმაც ტორდელიასში მეორე „დონ-კიხოტი" დაწერა და პირველის ავტორს, ყველაზე მშვიდსა და თვინიერ კაცს, ბებერი, შურიანი და ცალხელა უწოდა. როგორც გახსოვთ, შედეგრის ეტორმა, ვინც შეძლო სრულყოფილი ნიჭის წყალობით, კეთილი ალონსო კიხანო მოგზაურ, მჭვუნვარე სახის რაინდად _ დონ კიხოტ ლამანჩელად ექცია და მისი საგმირო საქმეები აღენერა, საკადრისად უპასუხა შეურაცხმყოფელ პლაგიატორს, თუმცა არც ბრიყვი უწოდებია მისთვის და არც ვირი, მახვილგონივრულად მიანიშნა, „წიგნებს ჭაღარით კი არა, ნიჭით წერენო" და კიდევ ის... ჰო... „ყველაზე დიდი ცდუნება ის გახლავთ, ადამიანს აფიქრებინო, წიგნის შეთხზვაც შეუძლია და მისი გამოქვეყნებაც, რისი წყალო-

ბითაც იმდენსავე დიდებას მოიხვეჭს, რამდენსაც ფულს და იმდენსავე ფულს, რამდენსაც დიდებას" და კიდევ მრავალი ამგვარი კეთილადსასმენი, მხიარული და ხუმარა კილოთი შეუთვალა და ოინბაზი, უსახელობით დამშეული მიმომწერალი ყუათიანი სიტყვებით დააპურა, რაც, სიმართლე რომ ითქვას, ლაზათიანი სილის განვნას უფრო ჰგავდა.

ჰო... ცოტა კი გადავუხვიე, მაგრამ რა გვეჩქარება, სიკვდილი ყოველთვის დაგვიცდის. ის ერთადერთია, რომელსაც მოლოდინი არ ბეზრდება. ერთი სიტყვით, უნიკალური ხელნაწერები გახლავთ სიდის მეორე „დონ კიხოტიდან" თავის დროზე ამოგლეჯილი და დაკარგული ფურცლები, რომლებზეც სანჩო პანსა აღწერდა ერთ უჩვეულო მოგზაურობას ზღაპრულ სარაინდო ქვეყანაში. ხელნაწერი კი იმ უხეირო სიდის დაწერილია, მაგრამ თვით ამბავი კი სანჩო პანსას _ მოთხრობილი, როგორც ჩამწერი ამტკიცებს, ამ დოკუმენტურ მონათხრობში კაი გვარიანი თანხაც გამოუძალავს ზარმაც სანჩოს და მუქთად უშოვია ორიოდე თვის სარჩო.

სამოგზაურო ქვეყანა კი საქართველოა. მეცნიერებმა იფიქრეს, იქნებ ბასკეთი უნდოდა ეთქვა სანჩოს და ტვინარეულმა ქვეყნებიც აურიაო, მაგრამ არაფერია სადავო, სანჩო ნამდვილად საქართველოს, იბერიას გულისხმობდა, რადგან მის შესამკობად ხელნაწერში გამოყენებულია ისეთი საჩვენებელ-საზეიმო და მარად უცვეთი ფრაზები, როგორებიცაა: ამქვეყნიური სამოთხე, ობოლი მარგალიტი, ყველაზე გამჭრიახი და ყველაზე ლამაზების ქვეყანა და სხვა ამგვარები, თუმცა, ჩვენდა სანყენად, რაც უთუოდ ნაყალბევი და შემდგომი დროის ჩანამატი უნდა გახლდეთ, აღნიშნულია, რომ საქართველო ლაქლაქა ზარმაცების, ტრაბახა მუცელღმერთების, უსირცხვილო შურიანების, უგონო მოღალატეებისა და ნამუსგარეცხილი გაუტანლების, თავის ჯამს მაცქერალი ხალხის ადგილსამყოფელია. აბა, რა გასაკვირია, გაუთლელი და გაუნათლებელი საჭურველმტვირთველისგან ასეთი ყოვლად დაუჯერებელი სისულელეების როშვა.

ამ ხელნაწერს საერთოდ არ მივაქცევდით ყურადღებას, ბოლოს და ბოლოს, ჯერ ხომ უნდა ითარგმნოს რიგიანად (აქ ჯერხნობით ჩემი უბადრუკი თარგმანია შემოთავაზებული, თანაც ნაწილი), მაგრამ, როგორც ვატყობ, საქვეყნოდ გაუხმაურებულ მოვლენაზე გესაუბრებით და ეს სიმხნევეს მმატებს.

ხელნაწერი ფრაგმენტებია და გაურკვეველია, სანჩო და მისი გონივრულად ჭკუანაღრძობი პატრონი როდის და როგორ უნდა მოხვედრილიყვნენ საქართველოში. მე მაქვს ჩემი ვერსია. იმ ძვირფას დასანვავ ბიბლიოთეკაში, დონ კიხოტს სარაინდო რომანებით რომ ჰქონდა გამოტენილი, ერთი (ან რამდენიმე) ქართული სარაინდო რომანიც ექნებოდა. ჰოდა, შეაღებდნენენ იმ წიგნის კარს (მე შენ გეტყვი, გაუჭირდებოდათ) და ჰაიდა, უმოკლესი და უხიფათო გზით ჩამოაღწევდნენ ჩვენს მრავალფერიან სტუმართმოყვარე სამშობლოში (ხშირად მტერი და მოყვარე რომ ვერ გაურჩევია, თუმცა ჭკუის ნაკლებობას ვერავინ დასწამებს).

სანჩო პანსას აზრის აღებ-მიცების სიღატაკესა და მისი ჭკუის სიმოკლეს რა ვუთხრა, თორემ. ახლა ამ უსარგებლო, ქართულ სამზარეულოსა და ათასგვარ ხაბაკხუბაკის აღნერით გაძეძგილი ეს ორიოდე ქეციანი ხელნანერის ფრაგმენტი კი არა, მთელი წიგნი უნდა გვქონოდა ჩვენი დიდებული და საბრალო ქვეყნის ენითაღუწერელ და ფასდაუდებელ კულტურაზე, მაგარამ რაც არის, იმას უნდა დავჯერდეთ.

სანჩოს ჩვენებური ანდაზები მოსნონებია და დაუმახსოვრებია, ისედაც ხომ სულ ანდაზებით ორატორობდა და ამის მერე სულ შეიკლავდა თავის ისედაც უცნაურად, გონიერი სიშლეგით დამთხვეულ პატრონს. მსოფლიოში უერთგულესი საჭურველმტვირთველის განსჯა-გონების არეულ-დარეულობის კვალობაზე, ხელნანერიდან, ასე თუ ისე, შეიძლება აზრის გამოტანა. ერთგან სანჩო შენიშნავს: აქ ისე მღერიან, თითქოს უკვდავები იყვნენო. ეს მახვილგონივრული გამონათქვამი თანაბრად შეიძლება მიენეროს როგორც ენაკვიმატ სანჩოს, ასევე, ხშირად ბრძნად მღაღადებელ მოგზაურ რაინდსაც.

სანჩოს თქმით, საქართველო უკეთილშობილეს რაინდთა ქვეყანაა და აქ ერთ დიდ სერობაზე ერთად იხილა კაცობრიობის უპირველესი რაინდები (ჩვენდა სასიხარულოდ, სანჩო ქართველ რაინდებსაც ასახელებს): ამირან დარეჯანის ძე, ტარიელი, ავთანდილი, ფრიდონი გვრდიგვერდ მსხდარან კალაინოსთან, როლანდთან, ლომთა რაინდებთან: ლუსიდანერ თესალიელთან, დონ კლასიდეო ესპანელთან და ამადის გალელთან, პალმერინ ზეთისხილისმჭამელთან, პარციფალთან, ლოენგრინთან და სხვა მრავალ ცნობილ რაინდთან ერთად. როგორც ჩანს, ეს ყოფილა არნახული მისტიკური სერობა. ამ საიდუმლო შეხვედრისთვის რატომ მაინცდამაინც საქართველო აურჩევიათ ყველა დროის უკეთილშობილეს რაინდებს, ამაზე სანჩო ამჯერად თავაზიანად დუმს და თავის არამკითხე ენას სანდო კლიტეს ადებს და მეცნიერებსაც ახალ თავშესაქცევს სთავაზობს.

სანჩოსთვის თაებრუ დაუხვევია ქართულ ღვინოებსა და სადღეგრძელოებს.. სათანადოდ აღგინერთ ყოველივესო. სამწუხაროდ, ბევრი ჩანანერი დაკარგულა, შემორჩენილი ფრაგმენტებიდან კი ვიგებთ, სანჩო როგორ გაიპარა სნორუპოვარ რაინდთა სუფრიდან (ისე, ნესით იმ სუფრაზე არც უნდა მჯდარიყო) და თავი სამზარეულოს შეაფარა. მზარეული ყოფილა სახელგანთქმული გემოთმოყვარე თავადის (მისი სახელი, სამწუხაროდ არ არის მოხსენებული), პირადი მზარეული, შეუდარებელი ოსტატი თავისი საქმისა. თვით თავადსაც კი სდომებია გულით და სულით ამ საარაკო სუფრის სტუმრობა, მაგრამ რაინდობის ღირსების უქონლობას შეუშლია ხელი. ეგ რაინდობაა თუ რაღაც ოხრობაა, რად მინდა, მაგრამ უარს როგორ გეტყვით, ნაიყვანეთ ჩემი მზარეული და მიხვდებით, რა ჯობია, კლდე-ღრეში ნანნალ-ხეტიალი იმ ჩამომხმარი დონ-კიხოტივით, თუ მამაპაპური ლაზათიანი კოტრიალი ტახტზე კაი მსუქანი სადილის შემდეგ. მე თუ რაინდობა არა მაქვს, რა, კუჭი მაქვს ცარიელი თუ მნყურიაო. რა ვიცი, აბა, სწორედ ასე უთქვამს, მატყუარა სანჩოს თუ დაეჯერება. ისე,

აღტაცებული კია მისით, ჩემი კუჭისმიერი ძმაო, სწორედ ასე გულისამაჩუყებლად მოიხსენიებს.

ერთი სიტყვით, სანჩო ამ მზარეულისა და მისი პატრონის ჭამა-სმის ფილოსოფიით ღრმად მოხიბლულა და პირველი გაკვეთილებიც მიუღია. აქვე შეუცვლია ოცნება, კუნძულის გუბერნატორობას სრულიად ესპანეთის პირველი მზარეულის ტიტული მირჩევნიაო, ან უფრო უკეთესი, მზარეულ რაინდთა ორდენს ჩამოვაყალიბებო. აღასრულა თუ არა ეს კეთილშობილური დაქადნება, ჩვენთვის ცნობილი არ არის, თუმცა, როგორც წიგნიერ მკითხველს მოეხსენება, გუბერნატორობას კი გამოჰკრა ხელი ოინბაზი მწვანემოსასხამიანი რაინდის ნყალობით.

შემდეგ ფრაგმენტებში კი აღნერილია სანჩოს მონაწილეობა ქართული სამზარეულოს უწმინდეს რიტუალებში. ისე, თუ კარგად ნასვამ-ნაჭამი არ ბრძანდებით, ამ ფრაგმენტის ნაკითხვას არ გირჩევთ. აი, ეს ზუსტი თარგმანიც. ეჭვით შეპყრობილებს კი დედნის ხილვაც შეუძლიათ ყოვლის დამტევ ინტერნეტში.

....ქათქათა ფქვილში ამოვლებული, ჩემი მარისანჩას თავსაკრავივით დანინწკლული კალმახები, წვეთებს რომ ისროდა და შიშხინებდა, ისეთ ზეთში ლაზათიანად შევბრანეთ. მერე ნვრილად დაჭრილი ხახვი ცალკე ქვაბში ნელ ცეცხლზე ვშუშეთ, თეთრი ღვინო ჩავამატეთ, სურნელოვანი ბრდღვიალა ლიმონი ჩავაწურეთ და სანამ ეს გამაბრუებელი ნაზავი ხუფდახურული დუღდებოდა, თავბრუდამხვევი სუნისგან კინაღამ გონება დავკარგე.

მერე ნყალში ფქვილი ჩავალესეთ, ფქვილშივე ამოვლებული კალმახები ისევ ქვაბში ჩავაბრძანეთ და ჰაი, დედასა, ისევ ნელ ცეცხლზე შემოვდგით. რომ გამზადდა, უზარმაზარ ლანგარზე კოხტად დავაწყეთ, ნვენი მიმოვუსხით, ნვრილად დაჭრილი ქინძითა და ოხრახუშით გადავამწვანეთ და სუფრისკენ გავუყენეთ.

... იქვე, ქვაბში ერბო შიშხინებდა, ჰე, რას უდგახართო, ბზრიალებდა ჩემი კუჭისმიერი ძმა, სახელად მიხო, სტაფილო, ხახვი, ოხრახუში, შავი პილპილი და დაფნა ჩამამატებინა. ჰო, მანამდე კაი მსუქანი დედალი გამოსცემდა ანითლებულ_აღუდღუდებული, ერბოში მოშიშხინე გვერდებიდან ენით აღუწერელ სურნელს. ნყალი აღარ მიმაკარებინა, ქათამი თავის ორთქლში უნდა დაბუღდესო. მერე ამ ნახარშ ნვენში შაქართან ერთად ოდნავ მონეული ჭანჭური ჩავთუთქეთ, ლიმონიც ჩავაწურეთ და ვადუღეთ...

...ჩემს პატრონს არტალა უყვარსო. არ იციო? როგორ, კაცოოო? ქვეყანა შემოგივლია და არტალისა რაფერი გაგიგიაო? რაინდობა შეურცხვეს შენს პატრონს, შენ კი ეგ შენი ნაქები საჭურველმტვირთველობაო, თუ რაც არის, ენა მემტვრევა მაგის გამოთქმაზე. ცოტა იოლ თანამდებობას ვერსად გამოჰკარ ხელი შენისთანა საზრიანმა ჯეელმაო? მერე დამიწყო სნავლება. ჩემსავით ნყლიანი და ბარაქიანი ლაპარაკი კი იცოდა.

მერე, კაი ძროხის კანჭი ხომ მოგეპოვებათ თქვენშიო, აიღე და

თავდახურულ ჭურჭელში ხარშე ისე, რომ ქაფის მოხდა არ დაგავინყღესო. მთელ-მთელი კბილი ნიორიც მიულამაზე, ნიახური ძირიანად ჩაყარე და ჩახარშვამდე თუთქე ხორციო, მერე ნვენი შეკაზმე დანაყილი ნივრითა და ნიახურით და თუ კაი ბიჭი ხარ, მერე არტალაგემოგასინჯულმა მელაპარაკეო. გემოს გასინჯვას რას გამოვაკლდებოდი და ვუსინჯე და ვუსინჯე გემო რას აღარ...

...გემო გავუსინჯე როჭოს რბილსა და სასიამოვნო ხორცს, ხოხბის თეთრსა და მსუქან ბარკლებს დამშეულივით დავაცხერი. კაკბის გემრიელი მწვანე მკერდიც (მწვანე იმიტომ, რომ ნაძვის ნინვებით იკვებება თურმე) გეახელით. მწყერის არომატული, ოდნავ მოშავო ბარკლისძირებიც დავაგემოვნე, ირმის მწვადებსაც დავდე ფასი, მოკლედ, დროზე რომ არ ნამოვსულიყავით, მთელი საქართველო შემომეჭმებოდა.

... ჰაი, დედასა, ჩემი ცოლი ტერესა პანსა მხედავდეს მაინც, უაზრო ნანნალს ხო აღარ დამაბრალებდა. ნახატია თუ ნამდვილი მთა-ველებია, ყურებით ვერა ვძღები. ჩემი ვირიც რო დინჯად და მადიანად შეუყვა მსუქან მდელოს! ჰოდა, იმას ვამბობდი, ამ დროს, მწყემსები გამოჩნდნენ, სულ გადაათეთრა ცხვარმა იქაურობა, გეგონებოდა, თოვლი მოსულაო. ისე ხო არ ჩაგვივლიდნენ, გამოვეცნაურეთ. ჩვენი ვინაობა რომ გაიგეს, გადაირივნენ, დაგელოცეს, ჰო, საკვირველი ის იყო, რომ ესპანურად გველაპარაკნენ, მართალია, მთლად გამართულად ვერა, მაგრამ მაინც. კაცო, ჩვენო, მწყემსობაში რაცა ვართ, გადაგვავინყდა, თორე ქართველები, ბევრნი ისე ვლაპარაკობთ ესპანურად, ჰო, კასტილიურზე, თქვენებურებისგან ვერ გაგვარჩევთო.

მერე მიგვიპატიჟეს, ისე როგორ გაგიშვებთ, მოხევური ყაურმა არ გაგასინჯოთო.

ამ ტიალ მინდორსა და ტყე-ღრეში მაგას როგორ მოახერხებთ-მეთქი, მაგარამ ჩემი ეჭვი მალე გააბათილეს.

ჯადოქრები არიან ეს ქართველები, აბა, რა, ისე მომაჯადოვეს, რომ ყველაფერი მართალი მეგონა.

ერთი მსუქანი ცხვარი დაკლეს, ბალიშებივით რომ ეკიდა დუმები და ძლივს დაათრევდა. იქვე, ჩემ თვალნინ გაატყავეს, გამოშიგნეს, მერე ოსტატურად აქნეს ნვრილად, მარილი მოაყარეს და... ქვაბი სად უნდა იშოვოთ-მეთქი, გაოცება ჯერ არ დამესრულებინა, რომ ქვაბი რად უნდა, აი, ორმო და მისი ჯანიო.

მიწა ამოთხარეს და შიგ ცეცხლი დაანთეს, კარგად რომ ჩანაკვერცხლდა, ადგნენ და დაკუნული ხორცი სულ ერთიანად იმ თავისსავე ტყავში ჩაყარეს, კარგად მოუკრეს პირი და იმ ჩანაკვერცხებულ ორმოში ჩაუძახეს. რას შვრებით-მეთქი, მენანებოდა გასაფუჭებლად. მოითმინე, სულსხრაფობა ამ საქმეს არ უხდებაო. ორმოს ზემოდან ცხელი ნაცარი და ნაკვერჩხალი მიაყარეს, მერე მშვიდად დასხდნენ და დაუწყეს ლოდინი. ჩემი პატრონი ამ საქმეს უკვე შესდგომოდა. სადღაც ჩრდილი ეპოვნა და მინოლილი თვლემდა, მომავალ სამოგზაურო გეგმებს აწყობდა. წუხდა ამ

ქვეყანაში ჩემ ტოლსა და სნორ ბოროტს ვერ გადავეყარე და უსაქმურობამ დამღალაო.

ბევრი ვილაპარაკეთ ამ მთისა და იმ ბარისა. ამასობაში იმ ორმოდან ისეთი სუნი დაიძრა, ჩემს დაუწუნებელ ლექსიკონში იმის გამომხატველი სიტყვა ვერ ვიშოვე. ნერწყვმა უსირცხვილოდ დამიწყო დენა და კუჭმა _ ყვირილი. აი, მაშინ კი ამოთხარეს ის ყაურმა და თავის ხორციან-ნვნიანად ჩამოგვირიგეს ჯამებით. იფ, რა იყო, იმის შემდეგ ისეთი არაფერი ჩასულა ამ ჩემს მრავალნახულ კუჭში.

ამის შემდეგ ხელნაწერში დიდი გაურკვევლობაა. ეტყობა ამ ამბების გახსენებისას სულ დაებინდა გონება ამ ჩვენს უწყინარ სანჩოს და ენაც აერია. აი, რა და როგორ წერია ხელნაწერში: (არანაირი სასვენი ნიშანი აქ აღარ გხვდება, ეტყობა, ჩამწერმაც ვითომ იეშმაკა, ექსპრესიულობას შევმატებო):

...ვარიის ჩიხირთმა ცხვრისა და ძროხის ბოზბაში იფ იფ საწებლები ნიგვზისა და მდოგვისა დამარილებული კიტრისა და ქლიავისა ოოო ოოო ალუბლის საწებელა შემწვარ შველზე მიტანებული ჭამა ქონებაზე ჰკიდიაო რძე რომ გასდის, ისეთი სულგუნი და ჭყინტი ახალი ლობიო ერბოკვერცხითა და ნიგვზით ვაჰ ვაჰ ფლავი ყაურმით და შილაფლავი ხო ხო ხო ძროხის ხაშლამა კარგი რა ადამიანები არა ხართ შემიბრალეთ ქიშმიშით გატენილი დედალი ძროხის ბეჭი ცივად გადამარჩინეთ შემწვარი ბარკალი კარგად ნასუქი ბურვაკისა მოხრაკული ნინილები მტრედის ტაბაკა ვაი ვაი ათასნაირი ჩახოხბილი ტოროლა საწებლით კაკბები კომბოსტოს მწნილით სადაც მიხვალ იქაური ქუდი დაიხურეო შემწვარი ჩხართვები ძროხისა და ირმის ბასტურმები რაც მოგივა დავითაო ყველა შენი თავითაო სუკის მწვადები და სალათები წიწმატისა და კვინცხისა წითელი და თეთრი ბრონეულები ორაგული ნვენით ლოქო ცივად ასჯერ შეხედე ერთხელ შეჭამეო ახალი თევზი ნიგვზითა და ძმრით მოხარშული ხიზილალა სად მიეთრეოდი რომ მიეთრეოდო დაგდებულიყავი შინა და გამხმარი პური გელოღნაო ზედაც მრგვალთავიანი წითელი ხახვი მიგეყოლებინაო კიბორჩხალები შემწვარი ზუთხი ცივად მერე ღვეზელები მადა ჭამაში მოდისო სახელდახელო შანთრაქი და ყიყლიყო ფაფები რძის კორკოტი და ხავიწი აღარ მინდა დამეხსენით დამმარხეთ ღვინის ტიკჭორაში მწვადები თავთით დამიწყეთ ცულისპირას შეჭამანდი სატაცური მშრალად სამარხვო მწვანილის შეჭამანდი შემწვარი ნიყვები ღანძილი და ჭინჭარი ხაჭაპურები ჯონჯოლი და ტარხუნა ინდაურის სუკი ალუბლის წვენით ხბოს თუ გოჭის თავი ჭანჭურის საწებლით ნეტავი რა მეანდაზება ხაბიზგინები ვეღარ ვსუნთქავ და საცივი ვაი სადაურსა სად წაიყვანო...

ხელნაწერი აქ წყდება. არადა, რა თავდავიწყებაში იყო ჩვენი კეთილი სანჩო. ეს რა დავიდარაბა ატეხა, რა ცეცხლი დაანთო. ნაღდი პოსტმოდერნისტული ტექსტია. რა გამოდის, პოსტმოდერნიზმის მამამთავარი სანჩო ყოფილა, ეს რომ სცოდნოდა, რას გაიხარებდა, მამამთავრობით, რაღა თქმა უნდა.

როგორც თავში მოგახსენეთ, ეს მადისაღმძვრელი ტექსტი დედანში უფრო მაგარია. მისამართს როგორ დაგზარდებით. http://www.espana.com/Sancho

მოთხრობა დაიწერა კონკურსისთვის „ლუარსაბ თათქარიძე", რომელიც გამართა გაზ. „ჩვენმა მწერლობამ". 2003 წ.

ტაო - კლარჯეთული დღიური

2008 წლის 17–19 ოქტომბერი

ზოგჯერ ნამი გადასწონის საათს.

ზოგჯერ საათი დღეს ეთანაბრება.

ზოგჯერ დღე ერთი, ვითარცა მთელი ცხოვრება.

ასეთი დღეების მხურვალებით დაიფერფლა სული ტაო-კლარჯეთის სანახებში.

„გურჯისტანის ვილაიეთში" ჩავდივართ გურჯები, როგორც უცხოები. მაგრამ რატომ ღელავს და შფოთავს გული ასეთი ნეტარებით, თითქოს დიდი ხნის უნახავ სახლში ბრუნდება?!

იონამ სამი დღე დაჰყო გველეშაპის მუცელში და იქიდან განწმენდილი გამოვიდა.

სამი დღე იყო დაფლული მაცხოვარი აკლდამაში, შემდეგ აღდგა და კაცობრიობას მხსნელად მოევლინა.

სამი დღე. ცხოვრება სავსეა სიმბოლოებით.

სამი დღე დავდიოდით ტაო-კლარჯეთის მიდამოებში, როგორც დაკარგული ედემის მაძიებლები. სამი დღის შემდეგ ქალაქის ბულსა და ხვატში შევიგრძენი, რომ ჯოჯოხეთში დავბრუნდი, რიტმულ ერთფეროვნებაში.

ის სამი დღე კი დავყავი სხვა განზომილებაში, მარადისობაში, ან უკეთ, მარადისობის მინიერ გამვლინებაში. ამიტომაც,

ხორცით განვეშორე ტაო_კლარჯეთს, მაგრამ სულით მარადის მივეჯაჭვე.

ახლა შევიგრძენი დაკარგული სამშობლოს ტკივილი.

თითქოს მახვილით მომაკვეთეს სხეულიდან ხორცი და ყორნებს მიუგდეს საჯიჯგნად.

ტაო-კლარჯეთი. რას ნიშნავს მშრალი რიცხვების უდაბნო სულისთვის?! საქართველოს მესამედი შთანთქმულა საუკუნეთა უფსკრულში.

ეს უტყვი რიცხვები ღრღნის გონებას: XVI საუკუნეში თურქებმა მიიტაცეს მშიერი მგლებივით. მერე დათვივით დააცხრა რუსეთი. მერე.. ახლა... „მოვიკლათ ნარსულ დროებზე დარდი".

ახლა ოქტომბერია, 2008 წლის მწიფე ოქტომბრის შუაგული. როცა ფერებს ეტყობათ ღვთის ხელი. თითქოს ახლახან დაუსვა მხატვარმა ფუნჯი ტილოზე და სისველე არ შეშრობია ნახატს, ამიტომაც ასეთი ნოყიერი და სავსეა ყოველი ზურმუხტი და ლაჟვარდი, ჩალა და ბრონეული...

ბანა

ბანა უნდა ნახო, რომ მიხვდე მარტოსულობის ტკივილს.

მთებითა და კლდეებით შემოსალტულ სცენაზე დგას ხანმრავალი განდეგილივით და სამოსის ნაფლეთებს დროის ნიავი უფრიალებს.

ნუ ვინ იტყვის ობლობისა ვაებას.

ნუ ვინ დაიჩივლებს უთვისტომობას.

საბრალოა მხოლოდ სული ობოლი _ ბანა.

დანგრეული და გაცვეთილი, დრო კელავაც ეხლება მძლავრი ტალღებივით. ის კი ანძებდამსხვრეული და აფრებდახეული ხომალდივით დგას ოკეანის შუაგულში და დამორჩილებას არ აპირებს. სანამ ერთი ქვა თუ ლოდი დარჩება მის საძირკველს, მანამ არ დახუჭავს ლაჟვარდისფერ თვალებს, მანამ გააცილებს დღისით მზესა და ღამის მთვარეს ერთგული რაინდივით.

ოქტომბრის ამ ჯადოსნურ პალიტრაზე ყველა ფერი შემოუკრებია შემოქმედს. მწიფე ქლიავი და ყვითელი ქარვა, გაცრეცილი სადაფი და ბრდღვიალა შვინდი, ბრონეული და მბჟუტავი ნაკვერჩხლები, მელნისფერი მაყვალი და მოლისფერი.

სურნელოვანი და გემრიელი ფერებით პურდება თვალი.

გაშლილ ვაკეზე, ოდნავ შემაღლებული გორაკიდან სევდიანი მზერით გვეგებება ბანა. ის არ ითხოვს მოწყალებას. ამაყი და შეუდრეკელია მისი დანგრეული სხეული, რადგან სულით მტკიცეა და შეურყეველი.

ტაოს დიდი ხუთეულის ერთი რაინდი. XI საუკუნის ამაყი მოციქული. თავის ძმებს: ოშკს, ხახულს, იშხანსა და ოთხთა ეკლესიებს დროდადრო ფიქრით ეხმიანება. დაუზარებელი ქარები დააფრიალებენ ძველი მეგობრების გაცრეცილ და დაცრემლილ ბარათებს.

ბანაში დაუწერიათ ჯვარი ბაგრატ მეოთხესა და ბიზანტიელ ელენეს.

ამ სისხლით გაპოხილ მინაში დღესაც ყრია ბაგრატიონთა ძვლები.

ბანა გაჯერებს დარდის სიდიადეში.

ხახული

ის ქალწულივით მიიტაცეს. უცხო სამოსით შემოსეს და ფეხქვეშ გაუშალეს შირაზისა და ქაშანის ხალიჩები. იმზირება ახლა ცხრათავიანი დევის კოშკში დამწვდეული ქალწულივით და მოელის მხსნელს, რომელიც არა ჩანს.

მაგრამ

ვერაფერი დაადნობს ამ გასალკლდეებულ მოლოდინს.

მოლების ხმამაღალი რიტმული ღაღადი დაურღვევს გაყუჩებულ მყუდროებას.

ერთგული ქარი შორიდან მოუტანს საგალობლის ნაფლეთებს

და ილოცებს ხახული.

უღარღილოდ წარმოთქვამს ფსალმუნებს და დაელოდება.

უსაზღვროებას შერწყმია მისი მოლოდინი.

მაინც დგას ქალწული ხახული _ დანინდული ამაყ საქმროს ელის.

მანუგეშებელ მზერას მოგვაპყრობს დაფეთებული მზერით.

რაა, ჩვენ რაა, თვალებდახრილნი გვერდით ჩავუვლით, სამოსის კალთებს ვემთხვევით და მის დაჭრილ გულში ჩავიხედავთ.

გულზე დაუფენიათ ჭრელი ხალიჩები, მაგრამ ჭრილობიდან დადენილ სისხლს მხოლოდ მშობლიური ცრემლის მალამო შეაჩერებს.

ის კი ჯერ არ ჩანს.

ხახულის მეჩეთში ახლა მოლები ლოცულობენ.

აქ ნერდნენ თავდახრილი ბერები პერგამენტზე ღვთის დიდებას.

ნათელ თამარს ხახულისთვის შეუწირავს შამქორის ბრძოლიდან ჩამოტანილი მტრის დროშა.

ხახულის ღვთისმშობლის სასწაულმოქმედი რელიეფი _ მუსლიმთა მორიდებასა და პატივისცემას იწვევდა. ექვთიმე თაყაიშვილის გადმოცემით, სოფლის მკვიდრნი მას მარიამს უწოდებდნენ და შვილიერებას, სნეულთა განკურნებას შესთხოვდნენ.

არნივი მკერდზე _ გამორჩეულობის ნიშანი.

ხახულის არნივი, ტაძარზე თითქოს დასასვენებლად ჩამომჯდარი, ნაბრძოლი და დაღლილი, ბრჭყალებში მონადირებული კურდღლით. ქრისტიანული სიმბოლიკით: არნივი ძლიერებასა და ძალაუფლებას განასახიერებს, თანვე ამაღლებასა და აღდგომას. კურდღელი კი მორწმუნის სიმბოლოა.

არნივი ზეცაში აიტაცებს ღმერთს მინდობილ სულს.

არნივის თავზე სხივებად გაშლილი შარავანდედი და მის ფეხთქვეშ ულამაზესი ნნული ორნამენტები სამოთხის მონატრებაა.

ამ არნივის დინჯი მზერა მოგვაცილებს, გვამუნათებს და გვამხნევებს.

ის არის ერთადერთი დარაჯი დატყვევებული ხახულის სულისა, რო-

მელიც ოსტატმა ხახულის ღვთისმშობლის ხატში მოამინანქრა.

ოშკი

გაცვეთილ ყავარჯენზე ჩამოუყრდნია ერთი მხარი.
შენგრევია მკერდი. X საუკუნეში მეფე დავით მესამე კურაპალატისა და მისი ძმის, ბაგრატ ერისთავთ-ერისთავის ძალისხმევით ნაგები.
დასცვენია ხორცი,
მაგრამ თვალებს ელვარება არ დაუკარგავთ და როცა შორეულ ნათესავი მოინახულებს, ძველებურად წამოიმართება შესაგეგებლად
და მხოლოდ მაშინ აღმოაჩენს, რომ ქარს მიუმსხვრევია დულაბით შეკრული მკლავები.
დროს ჩამოუშლია გაშლილი მხრები.
მაგრამ სხეული, ნატიფი და აღნაგი მაინც დგას.
გამთენიისას მოჟივჟივე ჩიტების გუნდად მოევლინებიან ანგელოზები და ცისკრის ლოცვას იგალობებენ.
გუგუნით აჰყვება ტაძარი.
ხმაც დასჟანგებია, მაგრამ
ხანდახან
თუ მოადგება შორეული მგზავრი სამშობლოდან და მოიკითხავს,
შემციენებულ გვერდებს დანთებული სანთლით შეუთბობს,
კვლავაც დაახვევს თავბრუს მნახველს მცენარეული ორნამენტებით, ფრინველთა და ცხოველთა დახვეწილი გამოსახულებებით, ნატიფი რელიეფებით, დეკორატიული ჩუქურთმებით.
ოშკის ლავრაში მოღვაწეობდა იოვანე-თორნიკე.
აქ გადაინერა „ოშკის ბიბლია" და სხვა მრავალი სულის საოხი ხელნაწერი.
მაშინ კაცსაც დაეწმინდება ხმა და
აღარ შეაშინებს შორეთის მდუმარება.
სალ კლდეებში გაისმება მისი დაწმენდილი და წკრიალა ხმა.
გაიღვიძებენ კედლებში ჩაკირულ წმინდანთა აჩრდილები.
და მთელ სამყაროს გაათბობს მათი ლოცვა.
ან და მარადის და უკუნითი უკუნისამდე.

ხანძთა

წარსულს ქარებივით გავედევნებით.
გზა, რომელიც საკუთარ თავს შეგამეცნებინებს.
გზაში წყაროა, ორიოდე ნაბიჯიღა რჩება ხანძთამდე.
სურნელოვანი ქონდრის აყვავებული ბუჩქები მიუყვება ვიწრო გზას.

აქ მხოლოდ ფეხით უნდა ახვიდე,

ტერფებზე აიკრა აქაური მტვერი და მერე იმ წყალთან შესვენებულმა იგრძნო,

ვიღაც განვდის წყალს ზემოდან, რომელიც წარსულია.

წყალი ანკარაა და მაცოცხლებელი...

ვენაფებით და კვლავ გვწყურია.

შემოდგომაა. ოქტომბრის თერამეტი.

აფერადებულან ხეები.

წითლად ბრდღვიალებს ნეკერჩხალი.

ხანძთა თავმოკვეთილია პავლე მოციქულივით, გული კი კვლავ უფეთქავს.

ნეტარ არის სულით გლახაკი.

ეს არ არის ლეგენდა.

გიორგი მერჩულეს ნაამბობი, ჭეშმარიტად თხრობილი მონაფეთა და მის მონაფეთაგან.

დედაენასავით წასაკითხი „ცხოვრება გრიგოლ ხანძთელისა".

საქორწინე კრებული შორეთს იკარგება.

„ზეცისა კაცი და ქვეყნის ანგელოზი" _ ფსალმუნის გალობასავით ღრმა და ტკბილი წარმოსათქმელი.

„უადბნოთა ქალაქმყოფელი" _ ორსიტყვიანი პოეზია... ფილოსოფიურ-რელიგიური ლირიკა. მირონის ნაკვალევი ატყვია ლოდებს. IX საუკუნეში ბერების ხელით რუდუნებით აშენებულს, ერისკაცთა დახმარებით განმტკიცებულს.

კვლავაც მოისმის გრიგოლ ხანთელის მოუღლელი ლოცვა საუკუნეთა ნიალიდან.

ღამლამობით ცის კაბადონზე ვარსკვლავთა შორის ერთის ბრწყინვალება იტაცებს თვალს. ახლა ვიცი, ის „უდაბნოს ვარსკვლავია" ცაში გაფრენილი გრიგოლ ხანძთელის სული.

ღამლამობით დაფლეთილი სხეული შეჰყურებს ამ ვარსკვლავს და ჩვენი მზერა ერთდება.

ეს ლექსი კი ხანთის ნახვამდე დავწერე:

ხანძთა

ის მიტოვებულს ჰგავს მოხუც მამას,
უძღები შვილის ბედით სნეული,
მზე რომ ამოვა, ძვლებს მიაფიცხებს
ხანძთა _ ხერხემალგადამსხვრეული.
სველ ქუთუთოებს ძლივს ასწევს მაღლა
ფსალმუნთა სითბოს მონატრებული.
და დახავსებულ ხმით ღმერთს ადიდებს
ლოცვებში ჩამდნარ-ჩანაცრებული.

დოლისყანა

მზეზე დაჭორფლილა მისი სხეული. ფერადი ქვებით შეკრული მისი მხრები კვლავაც იზიდავს მნახველს.

განა რა არის საჭირო ბედნიერებისათვის?!

შენიანის მზრუნველი და მოსიყვარულე მზერა_ასე იაფი და იოლად მოსაპოვებელი.

დოლისყანისთვის გაძვირებული.

უბედური?!

არ დაიჩივლებს, წამითაც არ დასცდება საყვედური.

ეგ არის, ცრემლი უნებართვოდ დაუგორდება ღანვებზე,

ვარსკვლავები ხმამაღლა ნაიკითხავენ მისი გულის ფიქრებს და

ბნელ ღამეს გაბზარავს სასონარმკვეთი კვნესა.

დღისით ცრემლის ნაკვალევს ამოაშრობენ თბილი და ტკბილი მზის სხივები.

გათამამდებიან ბალახები და ტანის ხვრას დაუწყებენ, თავიანთი ფესვების საბუდრად გაიხდიან ანგელოზების სამყოფელს,

სად გაფრენილან ანგელოზები?!

იქნებ არსად.

არსად...

* * *

ღამით ძილგატეხილს თუ უცნაური ხმა შემოგესმება,

იცოდე, ეს ტაო-კლარჯეთში მიტოვებული ტაძრები გიხმობენ.

ეს მათი ვედრება არღვევს მყუდროებას...

იფხიზლე - ქარსა და ღრუბლებს მოციქულებად გიგზავნიან.

შენ კი მათი ენა დაგვინყებია და

გაურკვევლობა გაშფოთებს.

ახლა ხომ იცი, რატომ ირღვევა სიმშვიდის გალავნები შუაღამისას...

იცი და გეშინია, წარმავლობის მძლავრმა ტალღამ სამუდამოდ არ შთანთქას ის, რასაც შენი საშობლო ჰქვია...

2008 წ.

შინაარსი

გულის ბარძიმი
ფიქრი სასუფეველზე 3
გალობის ნიავი 3
ტკიეილი 3
ღვთისმშობლის მიძინება 4
ხარება 4
შვება 5
ალუბლისფერი მოსასხამი. 5
მარად ევნები 5
ალუბლის ყვავილს 6
მთაწმინდელთა ქართულით 6
უფლის სახლში ვარ 7
არ დავიძინებ, ... 7
ვაშლის ხის სიმღერა 7
უხილავის მოლოდინი 7
და მოუღლელად იქადაგებ ..... 8.
რტო სიყვარულის 8
შიშის ლანდი 9
სინანული 9
დები 10
ადამის გლოვა 10
ზარები გულიდან 11
ვარსკვლავთა ნვიმით 11
შენკენ 12
მგალობელი გვირილები 12
ნარსულის სილუეტები 13
გლოვა 13
ლამაზი ჩურჩული 14
წინასაშობაო განწყობილება 14
ფიქრები შობისთვის I 15
ფიქრები შობისთვის II 15
სამყაროს სალბუნი 16
წყურვილი 16
ედემში 17
აღმადგინე 17
მახსოვს 18
მელოდეთ 18
დამელოდე 19
გადამარჩინე 19
რად არ იფხიზლე 20
ფერებში ვქრები 21
დილა 21
ნათანაელ 22
ზეცის ჩეროში 22
ფრესკასთან 23

შენ 24
გზა შინისაკენ 24
ღამის სონეტი 25
სონეტი უცხო მონაზონს 26
შებინდებისას. 26
შენ მოგიგონებ 27
ამაღლდი 27
ამოგინატრე 27
განდობა ძნელია 28
ცას შემოანყდნენ 29
სულის კივილი 29
მეუფეო ზეცათაო 30
გვალვისაგან დახეთქილი 30
მოზაიკის ნატეხები 31
ჩრდილებს აკრთობთ 32
მძიმეა ფიქრი 32
ხანძთა 33
შატბერდი 33
გაუსაძლისად ბერწდება ღამე 33

ჰორიზონტის შადრევნები

მთვარის სიმღერები 34
მეგონა 34
არ მომწყინდები 35
დაგეძებ 35
დამშვიდობება 36
ფიქრი ანაზდეული 36
თებერვლის თოვლი 37
სითბოს ნასხლევით 37
ჩემო დარდო 38
სიხარულის კარავი 38
სიმღერა 39
შავი ირემი 39
ფიქრის კვიცები 39
ნყვდიდის არნივებით 40
ბოლერო 40
შენი დუმილი 41
ნეტავი იმ ჩიტს 42
შენც აქ ჩამოიარე 42
უშენობა 43
შემოდგომა 43
ფარშევანგთა ქარები 43
მაპატიე 44
ბაღი სიხარულისა 44
მთვარე_მიჯნური 45
დამარცხება 45
გაზაფხული 46
ავყვავილდები 46
შენ ელოდები ნაბიჯებს კართან 46
წაელენ დღეები 47

ნამო ჩემთან 48
სიტყვის ჩანჩქერები 48
როცა დილა ახლოა 49
კარი გამიღე 49
სიზმარი მოვა 50
რას დაეძებდი 50
ნავსაყუდელი 50
ნუ გეშინია 51
კვლავ უსისხლოდ დავიჭერი 51
იებით ივსება 52
რატომ დაგედევნე 52
ქარები იცდიან 52
შენმა ღიმილმა 53
შენი მზერის 53
მოდიხარ ჩემთან, ვით ჯვაროსანი 53
ყაყაჩოს ფარა რო შეპყვება 54
სად ხარ 54
ტყის სიმღერა 54

მზის ტაძარი

მთვარის ნავით 55
განწყობილება 55
ტკივილი 56
ზეცის ჩეროში 56
გაქცევა 57
მზის ტაძარში 58
***(ქანაობს ქარი) 58
თეთრი და შავი 58
თოვლია თითქო 59
გარეთ ქარია 59
წადი 60
შიშის აფთრები 60
ყანას შეველ, შევენისლე 61
გუშინ~_ უკვე აღარ არის 61
ტკივილი 62
გავალ ბილიკზე 62
ამოისუნთქეს მთებმა 62
მარტის პირველი 62
მზეო, მიხსენი 63
ცისარტყელა 63

ვარსკვლავთა წვიმა

პასტორალი 64
საღამო მოდის 64
მზეში 65
ო, იდუმალებავ, რად დაიგვიანე 65
მარტი 65
უცხო სამოსით 66
შუადღე 66

შენ მოდიოდი 66
ცას დააჩნდება 67
ღამე 67
ვარსკვლავთა ნვიმით 67
მე არაფერი მაბადია 68
შენი ღიმილი 68
წითელი ნვიმა 68
ლხინი პქონდათ 69
ღამის სტუმარი 69
სიზმარი 69
ზეცისკენ მიდიან 70
შემოდგომა 70
დილის დალოცვა 70
ისიც შეინყალე 71
მიგელიან 71
ერთი გზაა 72
სადღეგრძელო 72
ღამე 72
შლეგი რაშები 73
ცოდვის მორევიდან 73

ფოთლის პერგამენტი

სიტყვათა ჩრდილებში 74
ვან გოგის ცხადში დასიზმრება 74
ფიროსმანი 75
დაუნერელი ლექსი 76
ლექსი ამოვა 76
რთველი მქონდა 77
ღვთაებრივი ლექსები 77
სანამ ლექსი ცხელია 78
ქარიშხალი ჩადგება 78
წამო ჩემთან 78
ასე მგონია, გაექეც ჯალათს 79
ლექსის ქნარები 79

მენამული ხმები

პროლოგი ლიმონიანი ჩაისთვის 80
გიხსენებ, მამალო 81
მენამული ხმები 81
ფიროსმანი და ტიციანი 82
დო. რე. მი 82
მახსენდება 83
რა დროა თუ დროა 83
მეგობრებს 83
ელენეს ცეკვა 84
გონების უდაბნო 85
გახსენება 85
ზეცისკენ მიდიან 85
ვიყავით ერთად და გვიხაროდა 86
სვეტიცხოველი და ნიკორწმინდა 87

ბებერი მსახიობი 87
მთვარემ ღუზა ჩაუშვა 87
მენატრები 88
გახსოვს 88
ბაბოს 89
ოც წელთან დამშვიდობება 89

შემკრთალი მინანქარი

ნაკითხვა 90
ის გზა 90
უარი 91
თავბრუსხვევა 91
წავლენ დღეები 92
მონატრება 92
ნაცნობი მაწანწალა 93
მუსიკის ჩრდილში. 93
დასასრულისკენ 94
ვიგალობებ 94
მოლანდება 94
დილა მშვიდობისა 95
დამარცხება 95
ჭაღს დასტრიალებს პეპელა 96
გელიან 96
იქითკენ 97
სასაფლაოზე. 98
შიში 99
უდაბნო 99
თოვა 100
დაუნდობელი იყო ბედი 100
ჰორიზონტს 100

დუმილის მილმა

მზე დასალიერს დაენინდა 101
შენ და მარტი 101
ნვიმს 102
ეს დღეც დაგორდა ცრემლივით 102
სული სინათლით დაიკვირტება 103
შენ სერაფიტი გერქვა 103
ღამდება 104
ნახვამდის 104
შენკენ 105
ტაძარში 105
მოფრინავს ცრემლის ქათქათა გედი 106
გამიყოლებენ სულ სხვა ქარები 107
მინის ძახილი 107
ნუღა დამიძახებ 108
მოვალ დაღლილი 109
სად იკარგება ჩუმი შორეთი 109
ჩუმად მოგეფერები 110

ფიქრის საკანი 110
ფიქრი აბორგდა წყეული 111
თუ შენ ხატავდი 111
როცა ყვავიან აკაციები 112
ამაოება 112
ძოწისაა ღამე 113
ცაზე გაჩნდება ღამის მხეკალი 113
გამხმარი ქადრები 114
შუადღის ბაღში 114
სიჩუმის ტბორში 115
კრთებიან ზამბახის მოლურჯო 115
მზერა გამექცა უამის 116
ლექსი მოვა ასხლეტილი 116
მოდი, მომეგაზაფხულე 116
როკავს დრო 117
გამახსენდები 117
სიმშვიდეა დასასრული 117
წვიმს თუ გლოვობს ანგელოსი 118
მე და ქალაქი 118
სიმარტოვე 119
ზეცაზე დაფრთხნენ სიზმრის ირმები 119
ჩუმია სივრცე 120
იქნება გვიან 121
უშენოდ 121
ისე სავსე ვარ ახლა სიმშვიდით 121
სიკვდილის ვედრება 122
სარკეში 123
სევდის ღილილო 123
ნამოვალ 123
ჩუმად, მოდიან ქალწულები 124
ოგავ-არაკები 125
რადიოპიესები
ფლამინგოები ჯოჯოხეთში 150
საუზმე ბელურებისთვის 156
პარალელური ხაზები 167
მოთხრობები
კედელი 174
სანჩო პანსას დღიურიდან 183
ტაო-კლარჯეთი (დღიური) 189